სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი

ჩინგიზ აიტმატოვი

ამოვიგრილა ოქროს ვიდეგრილ ოთხრეოგები

საბჭოთა მწერალი
"საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1963

ჩინგიზ აიტმატოვი საბჭოთა მწერლობის ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენელია. ძველისა და ახლის ბრძოლა, ახალი საბჭოთა ადამიანი, მისი მდიდარი სულიერი სამყარო, აი საკითხები, რომლებიც აღელვებს ახალგაზრდა მწერალს.

წინამდებარე კრებულში შესულმა ოთხმა ნაწარმოებმა, საერთო სათაურით „მთებისა და ველების მოთხრობები" ლენინური პრემია დაიმსახურა; ეს იყო ახალგაზრდა მწერლის დიდი შემოქმედებითი გამარჯვების აღიარება და იმის ნათელი დადასტურება, თუ განვითარების რა მაღალ დონეზე ავიდა ყირგიზეთის კულტურა საბჭოთა ხალხების მრავალეროვან ძმურ ოჯახში.

„ჯამილა" ამაღლებული, რომანტიული პოემაა დიდ ადამიანურ სიყვარულზე; სიყვარულზე, რომელიც დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და ბრძოლით დაიმკვიდრებს თავის ბედნიერებას. „ჯამილა" საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ორმოცზე მეტ ენაზე ითარგმნა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

„ჩემო წითელთავსაფრიანო ჩინარო" — ეს არის მოთხრობა. იმ შესანიშნავ ადამიანურ თვისებებზე, რომელიც ნამდვილი საბჭოთა ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი.

„აქლემის თვალი" საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, „პირველი მასწავლებელი" — იმ დიდბუნებოვან ადამიანებზე, რომელთაც თავიანთი პირადული საზოგადოების კეთილდღეობის დიად საქმეს მოახმარეს.

ჩ. აიტმატოვის მოთხრობათა კრებული პირველად გამოდის ქართულად. ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ნიჭიერი საბჭოთა მწერლის ნაწარმოებებს.

თარგმნა გივი დვალიშვილმა



ჩვენი წიგნები-თავსებადობა ჩინეთთან

(მოთხრობა ორ ამბად)

პროლოგის მაგიერ

ჩემი პროფესიის გადამკიდეს ხშირად მიხდებოდა ტიან-შანზე ყოფნა. ერთხელ გაზაფხულზე, ეს იყო წლინახევრის წინათ, სასწრაფოდ გამომიძახეს რედაქციაში. მაშინ ნარინში ვიყავი, ტიან-შანის საოლქო ცენტრში. მოხდა ისე, რომ ავ-ტობუსი ავტოსადგურში ჩემს მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე გავიდა. შემდეგი რეისისათვის ხუთი საათი უნდა მეცა-და. სხვა გზა არ იყო, რაიმე მანქანას უნდა გავყოლოდი. გა-ვეშურე ქალაქის გარეუბნისაკენ, საიდანაც გზატკეცილი იწყე-ბოდა.

გზის მოსახვევში, ბენზინის მიმღებ პუნქტთან, სატვირთო

მანქანა იდგა. შოფერს ის იყო დაემთავრებინა ბენზინის აღება. გამეხარდა. კაბინის შუშაზე საერთაშორისო რეისის მანიშნებელი ნიშანი — SU — საბჭოთა კავშირი მოჩანდა. მაშასადამე, მანქანა ჩინეთიდან რიბაჩიეში, ვნეშტრანსის ავტობაზაში მიდიოდა. იქიდან კი ფრუნზეში გამგზავრება იოლი იყო.

ალბათ მალე დაიძრებით? — რიბაჩიემდე წამიყვანეთ! — ვთხოვე შოფერს.

მან თავი ჩემსკენ მოაბრუნა, მხარს ზემოდან გადმომხედა, შემდეგ გასწორდა და მშვიდად მითხრა:

— არა, აგაი[1], არ შემიძლია,

— ძალიან გთხოვთ! სასწრაფო საქმე მაქვს, ფრუნზეში გამომიძახეს.

შოფერმა ისევ წარბგაუხსნელად გადმომხედა:

— მესმის, მაგრამ ნუ გეწყინებათ, აგაი, არავინ არ მიმყავს.

გაკვირვებული დავრჩი: კაბინა თავისუფალია, მისთვის სულაც არაა ძნელი ჩემი წაყვანა, თანაც მატყობს, რომ სულს ძლივს ვითქვამ, მეჩქარება.

— ჟურნალისტი ვარ. ძალზე მეჩქარება. გადაგიხდით, რამდენსაც მომთხოვთ.

— საქმე ფულში არაა, აგაი! — მკაცრად შემაწყვეტინა შოფერმა და გაბრაზებით გაჰკრა ფეხი ბალონს. — სხვა დროს უფასოდ წაგიყვანთ, ახლა კი არ შემიძლია. ნუ გეწყინებათ. აქ კიდევ გამოივლიან ჩვენი მანქანები, ყველა წაგიყვანთ, მე კი არ შემიძლია.

ვიფიქრე, ალბათ, გზაზე ვინმე ელოდება-მეთქი და ვუთხარი: — „არც ძარაში შეიძლება?"

— სულერთია... დიდ ბოდიშს ვიხდი, აგაი.

შოფერმა საათს დახედა და აჩქარდა.

გაოცებულმა მხრები ავიჩეჩე და გაკვირვებით შევხედე ბენზინის ჩამომსხმელ ხანში შესულ რუსის ქალს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩუმად გვადევნებდა თვალს თავისი ჯი-

---

[1] აგაი — (სიტყვასიტყვით უფროსი ძმა) — ზრდილობიანი მიმართვის ფორმა უფროსებისადმი.

ხურიდან. მან თავი გააქნია, თითქოს მითხრა: — „ნუ აწუხებთ, შეეშვით“. უცნაური ამბავია.

შოფერი კაბინაში შევიდა. პირში მოუკიდებელი პაპიროსი ჩაიდო და მოტორი აამუშავა.

იგი ახალგაზრდა იყო, ოცდაათი წლისა, მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი. დამამახსოვრდა საჭეს ჩაჭიდებული მისი მოქნილი, დიდი ხელები და სევდადაკრული, ქუთუთოდაშვებული, დაქანცული თვალები. ვიდრე მანქანას ადგილიდან დაძრავდა, ხელი სახეზე ჩამოისვა, ერთი მძიმედ ამოიოხრა და შეშფოთებული გახედა გზას მთებისაკენ. მანქანა დაიძრა.

ტიანშანელი შოფრები ერთი შეხედვით მკაცრი ხალხია. მაგრამ წაყვანაზე უარს არავის ეტყვიან, იყოს კი ადგილი. თუმცა, ამჯერად, უცნაური, სიტყვაძუნწი შოფერი შემხვდა.

ბენზინის ჩამომსხმელი ქალი ჯიხურიდან გამოვიდა. მას ალბათ ჩემი დამშვიდება უნდოდა:

— ნუ დარდობთ, თქვენ ახლავე გაემგზავრებით.

— არ ვიდარდებდი, რომ არ მეჩქარებოდეს! — ჩავიბუზღუნე წყენით.

— თუკი ასეთი საქმეა...

— რა საქმე?

არაფერი, ისე! — მან გაურკვევლად ჩაიქნია ხელი, თითქოს ვინმეს იცოდებსო. შლანგი ბენზინის ჩამოსასხმელზე დაჰკიდა და ამოიოხრა. — გრძელი ამბავია...

ვდუმდი.

— განიცდის ყმაწვილი... უწინ იგი აქ ცხოვრობდა ჩვენთან, საუღელტეხილო ბაზაში.

ამ დროს „პობედა“ მოგვადგა, ერთი გზა გვქონდა და ბენზინის ჩამომსხმელი ქალის საუბარი ბოლომდე ვეღარ მოვისმინე.

საბარგო მანქანას ჩვენ არცთუ ისე მალე, დოლონის უღელტეხილის მისადგომებთან წამოვეწიეთ. იგი თვით ტიანშანელი შოფრებისთვისაც კი, რომელთაც ვერაფრით გააკვირვებ, საშინელი, უფრო მეტიც, დაუშვებლად დიდი სისწრაფით მიჰქროდა. მოსახვევებზე სიჩქარეს არ ანელებდა და ღრიალით მიიკვლევდა გზას კლდეებს ქვეშ. აღმართებზე თითქოს აფრინ-

დაო, წამით გამოჩნდებოდა და გაჰქრებოდა, თითქოს მიწაზ უყოო პირი. შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა აფრიალებული ბრეზენტის ბოლოებით, რომელიც ბორტებს ეხეთქებოდა.

„პობედას“ მაინც თავისი გაჰქონდა. ჩვენ უკვე გადავუსწარით კიდეც და მე უკან მოვიხედე: ვინ არის ეს თავზეხელაღებული კაცი, საით მიჰქრის ასე კისრისტეხით? ამ დროს მოულოდნელად, როგორც ეს ხშირად იცის ჩვენს ულელტეხილზე, წვიმამ და სეტყვამ წამოუშინა. და წვიმის ირიბ ნაკადში, რომელიც ფანჯრის მინას ეხეთქებოდა, შე, გავარჩიე კაცის ფერმკრთალი, დაძაბული სახე, კბილებში გაჩრილი პაპიროსით. მისი ხელები სწრაფად მუშაობდა საჭეზე. არც კაბინაში და არც ძარაში არავინ იჯდა.

მალე, ამ შემთხვევითი შეხვედრის შემდეგ, ყირგიზეთის სამხრეთ ნაწილში ოშის ოლქში მიმავლინეს. როგორც მოგეხსენებათ, ჟურნალისტს ყოველთვის სადღაც აგვიანდება, დრო თითქოს მუდამ გამორწყული აქვს. საღამოს, ზუსტად მატარებლის გასვლის წინ, მივვარდი ვოგზალზე, კუპეში შესვლისას პირველად არც კი მიმიქცევია ყურადღება ჩემი თანამგზავრისათვის, რომელიც ფანჯრისკენ სახეშებრუნებული იჯდა. ჩვენს გარდა, ეტყობა, არავინ ფიქრობდა ამ კუპეში შემოსვლას. ის კი შემობრუნებას არ აპირებდა. მინისთვის მიეყრდნო სახე, ალბათ ან ფანჯარაში იყურებოდა, ანდა თავისაზე ფიქრობდა რაღაცას.

მატარებელი სიჩქარეს უმატებდა. რადიოში მუსიკის ხმა ისმოდა: კომუზზე უკრავდნენ ნაცნობ მელოდიას. ეს კლასიკური ყირგიზული კიუი, მე რატომღაც წარმოდგენილი მქონდა საღამოჟამს ველზე მარტო მიმავალი მხედრის სიმღერად. გზა დაულეველია, ველი უკიდეგანო, შეიძლება იფიქრო უნაგირზე მჯდომმა და ხმადაბლა იმღერო. იმღერო შენთვის, იმაზე, რაც გაწუხებს, განა ცოტა აქვს საფიქრალი ადამიანს, როცა იგი თავისთვის მიიმღერის ცხენის ფლოქვების ხმაურში? სიმები ჟღერდნენ ნახევარხმაზე, ისე თითქოს წყალი ეთამაშებაო გალაპლაპებულ, კრიალა ქვებს არხში. კომუზი მღეროდა, რომ მზე მალე ბორცვებს მიეფარება, რომ მიწაზე ცისფრად, უჩუმრად გაირბენს სიგრილე და მოწითალო გზისპირებზე ამოსული

მტრედისფერი აბზინდა და ყვითელი ვაციწვერები ოდნავი რხევით მტვერს დაიბერტყავენ. ტრამალი ყურს მიუგდებს მხედრის სიმღერას და ჩაფიქრებული მასთან ერთად ამღერდება.

ვინ იცის, იქნებ ოდესმე უვლია მხედარს ამ გზებზე, სადაც ახლა ჩვენი მატარებელი მიჰქროდა... ისევე, როგორც ახლა, იფერფლებოდა ჩამავალი მზე და სადღაც ტრამალის დასალიერში სიწითლე ემატებოდა, ხოლო მთებზე თოვლი, მზის უკანასკნელი სხივები რომ ეცემოდა, ვარდისფერი ხდებოდა და ისევ სწრაფად იღებდა თავის ფერს.

ფანჯრის მიღმა რჩებოდა ბაღები, ვენახები, მუქმწვანედ აქოჩრილი სიმინდის ყანები. ორთვალა, რომელზეც ახლადმოთიბული იონჯა ეყარა, გადასასვლელისაკენ მიიჩქაროდა. იგი შლაგბაუმთან შეჩერდა. მზემოკიდებული ბიჭი გახუნებული, გაქექილი მაისურით, მუხლებს ზემოთ დაკარწახებული შარვლით, წამოიწია ორთვალაზე, მეოცნებე თვალებით გახედა მატარებელს, გაიღიმა და ვიღაცას დაუქნია ხელი.

მელოდია საოცრად ნაზად ერწყმოდა მიმავალი მატარებლის რიტმს. ფლოქვების მაგივრად რელსების შესაყარზე ბორბლები ხმაურობდნენ. ჩემი მეზობელი მაგიდასთან მიმჯდარიყო, ხელს დაყრდნობილი თვალმოუწყვეტლივ იყურებოდა ფანჯარაში. მე მეჩვენებოდა, რომ ისიც უხმოდ, თავისთვის მღეროდა მარტო მიმავალი მხედრის სიმღერას. სევდა შემოსწოლოდა, თუ ოცნებობდა არ ვიცი, მხოლოდ იგრძნობოდა, რომ მას რაღაც ნაღველი, ჯერ კიდევ ჩაუფერფლავი დარდი აწუხებდა. იგი ისე ღრმად მისცემოდა თავის ფიქრებს, რომ ვერც კი მამჩნევდა. სად შევხვედრივარ ამ კაცს? ხელებიც კი მეცნობა. გარუჯული, გრძელი, მტკიცე თითებით.

და უცებ მომაგონდა: ეს ხომ ის შოფერია, მანქანაში რომ არ ჩამსვა. „მიდის სადღაც თავის საქმეებზე", — გავიფიქრე და ამით შევიჯერე თავი. წიგნი ამოვიღე, ღირდა განა შემეხსენებინა თავი? მან, ალბათ, აღარც ვახსოვდი. ცოტა ვინმე ხედება შოფერს გზაზე?

ასე ვისხედით კიდევ კარგა ხანს, თვითეული თავისთვის. ფანჯრის იქით ბინდი წვებოდა. ჩემს თანამგზავრს მოწევა მო-

უნდა, პაპიროსი ამოიღო ტა, ვიდრე მოუკიდებდა, ხმამაღლა ამოიოხრა. შემდეგ თავი ასწია, გაკვირვებით დამაცქერდა და გაწითლდა. მიცნო.

— გამარჯობათ, აგაი, — მითხრა და დამნაშავესავით გაიღიმა. ხელი ჩამოვართვი.

— შორს მიემგზავრებით?

— დიახ... შორს! — პაპიროსის ბოლი გამოუშვა, ცოტახანს იყუჩა და დაუმატა: — პამირზე.

— პამირზე? ერთი გზა გვქონია. მე ოშში მივდივარ.

— თანამგზავრები ვყოფილვართ.

— ძალიან კარგი, არ მოგვწყინდება.

— ნამდვილად! — რაღაც გაუბედავად ჩაილაპარაკა.

— შვებულებაში? თუ სამსახური გამოიცვალეთ?

— ჰო, შეიძლება ასეცაა... არ მოსწევთ? — შემომთავაზა.

ვაბოლებდით და ვდუმდით. სალაპარაკო არაფერი გვქონდა. ჩემი თანამგზავრი ისევ ჩაფიქრდა. იჯდა, თავი ჩაექინდრა და ირხეოდა მატარებლის მოძრაობის ტაქტზე. მეჩვენა, რომ ძალიან შეცვლილიყო იმ შეხვედრის შემდეგ. გამხდარიყო, სახე დაგრძელებოდა, სამ ღრმა ნაოჭს დაეღარა შუბლი. გადაბმულ წარბებს თითქოს მჭმუნვარე ჩრდილი დაეჩნიათ სახეზე. მოულოდნელად შემომხედა ოდნავ დაელმებული თაფლისფერი თვალებით, ნაღვლიანად გაიღიმა და მკითხა:

— თქვენ, ალბათ, ძალიან გაჯავრდით მაშინ ჩემზე, აგაი, არა?

— როდის? რაღაც არ მახსოვს? — არ მინდოდა, რომ მას ჩემთან უხერხულად ეგრძნო თავი, განა რა მოხდა ისეთი მაშინ. მაგრამ იგი ისეთი წრფელი თვალებით მიყურებდა, რომ მაშინვე გამოვტყდი. — აა, მაშინ? არაფერია, დამავიწყდა კიდეც, განა რა იყო ისეთი... გზაში ყველაფერი ხდება. თქვენ კიდევ გახსოვთ?

— სხვა დროს იქნებ დამვიწყებოდა კიდეც, მაგრამ იმ დღეს არა.

— იმ დღეს რა შეგემთხვათ, ავარია? — ვიკითხე და უნებურად გამახსენდა როგორ მიჰყავდა მანქანა.

— როგორ გითხრათ, ავარია არ ყოფილა! — ჩაილაპარაკა

მან და საჭირო სიტყვას დაუწყო ძებნა, შემდეგ გაიცინა, აიძულა თავი, რომ გაეცინა, — ახლა საითაც გნებავთ იქეთ გაგაქროლებდით, მაგრამ ამ წუთში მეც თქვენსავით მგზავრი ვარ.

— არაფერია, ცხენი თავის ნაკვალევზე კიდევ ათასჯერ გაივლის, იქნებ ისევ მოგვიწიოს გზაზე შეხვედრა.

— თუ შევხვდით, ძალით ჩაგსვამთ კაბინაში! — გადააქნია თავი.

— მაშ, შევთანხმდით? — გავიხუმრე მე.

— პირობას გაძლევთ, აგაი, — მიპასუხა და გამხიარულდა.

— მაინც, რატომ არ წამიყვანეთ მაშინ?

— რატომ? — გამეხმაურა და უცებ მოიღუშა.

— გაჩუმდა, თვალები დახარა და გაბოროტებით დაუწყო პაპიროსს ქაჩვა. მე მივხვდი, რომ არ უნდა შევკითხოდი, ავწრიალდი, მინდოდა საუბარი სხვა თემაზე გადამეტანა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მან ნამწვი ჩააქრო და ძლივს ამოღერღა:

— არ შემეძლო... შვილს ვასეირნებდი...

— შვილს? — გამიკვირდა. — დიდია?

— არა! — გაიღიმა და თვალებში სითბო ჩაუდგა, — ჯერ ნამდვილი სულელია, მეხუთეში გადადგა.

— კი, მაგრამ სადმე გზაზე იყო?

— დიახ, უღელტეხილზე.

— მერე, რა იყო მერე? — ვერაფერს მივხვედრილიყავრა უნდოდა იქ შვილს და, საერთოდ, რა შუაში იყო იგი.

— ასეთი საქმეა... გესმით... როგორ აგიხსნათ... შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ისევ მოუკიდა, მღელვარებას ებრძოდა და მერე თითქო რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, მტკიცედ შემომხედა.

ასე მოვისმინე შოფრის ნაამბობი თავის ბედზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის არავის, მით უმეტეს მე—ჟურნალისტს, არ მოუყვებოდა ამ ამბავს. უფრო გვიან კი, როცა კარგად გავიცანი, გავიგე, რომ მის ხასიათს არ შეეფერებოდა გული გადაეხსნა შემთხვევითი თანამგზავრისათვის. მაგრამ მისი ამბავი ისეთი იყო, რომ ნებით თუ უნებლიეთ უნდა გაეზიარებინა ვინმესთვის, ასე იყო საჭირო. სხვანაირად მე ვერაფრით ვერ გავიგებდი რა მოხდა მაშინ ჩვენს შორის ტიან-შანის გზაზე.

დრო ბევრი გვქონდა. ოშამდი ორი დღეღამის გზა იყო. მე არ ვაჩქარებდი და არც ვაწყვეტინებდი საუბარს კითხვებით. კარგია, როცა ადამიანი გიყვება და თავიდან განიცდის ყველაფერს, ჩერდება ნახევარ სიტყვაზე. მაგრამ დიდი მოთმინების ფასად დამიჯდა არ ჩავრეულიყავი მის ნაამბობში, რადგან, როგორც გამოირკვა, ბედის წყალობით თუ ჩემი პროფესიის გადამკიდემ, უკვე რაღაც ვიცოდი პირადად მასზე კი არა და იმ ადამიანებზე, რომელთანაც შეახვედრა შოფერი ბედმა და რომელთა შესახებაც მან ყველაფერი არ იცოდა. მე შემეძლო გამეგრძელებინა, შემევსო მისი ნაამბობი, ამეხსნა მისთვის ბევრი რამ, რაც არ იცოდა (ამაზეა ამ მოთხრობის მეორე ამბავი), მაგრამ გადავწყვიტე ის გამეკეთებინა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ბოლომდი მოვუსმენდი. მე მგონი სწორად მოვიქეცი. რატომ? ამაზე ახლა არაფერს გეტყვით, გეტყვით ბოლოს, ამ ამბის ბოლოს.

რადგან ძირითადი თემიდან გადავუხვიე, სჯობს აქვე, ასე ვთქვათ, კიდევ ერთი ლირიკული გადახვევაც გავაკეთო.

შეიძლება მკითხველებმა ყურადღება მიაქციეს. უცნაურ ქვესათაურს „მოთხრობა ორ ამბად". სწორედ ასეა. ეს ავტორის ჭირვეულობად არ მიიჩნიოთ. როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ყოფენ ნაწილებად, თავებად, კარებად. მოთხრობა კი თავისთავად დამოუკიდებელი ნაწარმოებია. მაგრამ აქ საქმე ფორმაში არაა, და ამაზე არც არის ლაპარაკი.

„გრძელი ამბავი!"—ასე თქვა ბენზინის ჩამომსხმელმა ქალმა. მართლაც, ამბავი, რომელზეც მე მინდა მოგითხროთ, საკმაოდ გრძელი და შეიძლება არაჩვეულებრივიცაა. მე უკვე დავწერე ამაზე პატარა მოთხრობა ავტორის პირით, ე. ი. აღვწერდი მოვლენებს და ადამიანთა ხასიათებს, როგორც გარეშე დამკვირვებელი და ამით, როგორც ავტორი, მონაწილე ვიყავი იმ ამბისა, რომელიც უნდა ამესახა. როცა მოთხრობა ამხანაგებს წასაკითხად მივეცი, თავზე დამატყდა მათი რისხვა და საყვედური. აზრები მკვეთრად განსხვავდებოდნენ: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მე მართალი ვარ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ავტორის პოზიცია თავისი გმირების მიმართ; მეორენი

ამბობდნენ, რომ არა ვარ მართალი, ჯავრობდნენ და კიცხავდნენ ავტორს, ფიქრობდნენ—ასე კი არა, ასე უნდა გაკეთებულიყოო, განსაკუთრებით აღიზიანებდათ მოთხრობის დასასრული. ერთი სიტყვით, დაობდნენ ყველაფერზე, დაობდნენ მორალზე, გმირების საქციელზე, იწონებდნენ ან იწუნებდნენ მათ, მაგრამ ყველა პრეტენზიას, რაც ხანდახან ცხოვრებაზე ადამიანთა მეტად სუბიექტური შეხედულებებით იყო ნაკარნახევი, წარმომიდგენდნენ მე, ავტორს, თითქოს ყველაფერი ეს ხდებოდა ჩემი სურვილით. არ ვკისრულობ იმის გარჩევას, თუ ვინ იყო მათ შორის მართალი, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ მოთხრობა უნდა დამეწერა ისე, როგორც .იყო სინამდვილეში. მე იგი ორმა ადამიანმა მიამბო და ამიტომაც ეს მოთხრობა ორი ნაამბობისაგან შედგება. ეს არის ორი ადამიანური აღსარება. მე მხოლოდ გადმოგცემთ იმას, რაც მოვისმინე. დაე თვითონ გმირებმა ილაპარაკონ.

ᲨᲝᲤᲠᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ

... ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო. ის-ის იყო დავბრუნდი არმიიდან, სადაც მოტორიზებულ ნაწილში ვმსახურობდი, მანამდე კი საშუალო დავამთავრე და შოფრად ვმუშაობდი. ბავშვთა სახლში ვარ გაზრდილი. ჩემი მეგობარი — ალიბეკ ჯანტურინი ჩემზე ერთი წლით ადრე იქნა დემობილიზებული. იგი რიბაჩიეს ავტობაზაში მუშაობდა. რა თქმა უნდა, მეც მასთან ჩამოვედი. მე და ალიბეკი ყოველთვის ვოცნებობდით მოვხვედრილიყავით ტიან-შანზე ან პამირზე. ავტობაზაში კარგად მიმიღეს. საერთო საცხოვრებელში მომცეს ბინა და მანქანა — თითქმის ახალი, ჩამაბარეს, უბრალოდ განაკაწრიც არ აჩნდა სადმე. უნდა გამოგიტყდეთ, ჩემი მანქანა ადამიანივით მიყვარდა. მძლავრი მოტორი ჰქონდა, ერთი სიტყვით, კარგი გამოშვება იყო. მართალია, ყოველთვის სავსე ტვირთს ვერ ვუდებდი, მაგრამ მოგეხსენებათ როგორი გზაა — ტიან-შანი—მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი ავტოტრასაა, ხევები, ქედები და უღელტეხილები. მთებში წყალი რამდენიც გინდა

იმდენია, მაგრამ მგზავრობისას მაინც თან მიგვაქვს. თქვენ ალბათ შეამჩნევდით ძარის წინა კუთხეზე მიმაგრებულ გადაჯვარედინებულ ხეს, მასზე წყლიანი კამერა ქანაობს ხოლმე. ეს იმიტომ, რომ სერპანტინზე მოტორი საშინლად ხურდება, და ფრთხილად უნდა იყო, რადიატორი არ აგიდუღდეს. ტვირთი არც ისე ბევრი მიგაქვს. პირველად სულ ვანგარიშობდი, თავს ვიმტვრევდი, ისეთი რამე მომეგონებინა, რომ რაც შეიძლება მეტი ტვირთი წამეღო. მაგრამ არაფერი გამოვიდა. რას იზამ, მთები მაინც მთებად დარჩება.

სამუშაოთი კმაყოფილი ვიყავი. ავტობაზა ზედ ისიკ-ყულის ნაპირთან იყო. როცა უცხოელი ტურისტები ჩამოდიოდნენ და საათობით იდგნენ ტბის პირას მოხიბლულნი, მე გულში ვამაყობდი: „ხედავთ, როგორია ისიკ-ყული! სად ნახავს კიდევ ასეთ სილამაზეს კაცის თვალი“.

მხოლოდ ერთი რამ მწყინდა პირველ ხანებში: იდგა გაზაფხული, პირველი გაზაფხული სექტემბრის პლენუმის შემდეგ, როდესაც კოლმეურნეობებმა საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი მშენებლობას. კარგად მუშაობდნენ, მაგრამ ტექნიკა არ ყოფნიდათ და ჩვენი ავტობაზის მანქანების ნაწილს მათ დასახმარებლად გზავნიდნენ. ახალბედებს ხომ მოსვენება არ ჰქონდათ, მათ შორის მეც. მოვემზადები რეისისათვის ტრასაზე, მომხსნიან და უნდა შევაყოლო აულებისაკენ. მესმოდა, რომ დიდი საჭირო საქმე კეთდებოდა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, შოფერი ვარ, მანქანა მეწანებოდა, თითქოს მე თვითონ მიხდებოდა ოღროჩოღრო გზებზე ჯაყჯაყი და ტალახის ზელვა. გზები კი ისეთია — ღმერთმა დაგიფაროს — სიზმარშიც ვერ წარმოიდგენ.

მივდივარ ერთხელ კოლმეურნეობაში. შიფერი მიმაქვს ახლადაშენებული ბოსლისათვის. აული მთისძირასაა და გზაც მთისძირა ტრამალს მიჰყვება. თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, საცაა მივალ და ზედ აულთან რაღაც არხში ჩავვარდი. გზა აქ მანქანებმა გაზაფხულის დაწყებიდან აჯიჯგნეს და ატალახეს; აქლემი რომ დაიხრჩოს, ვერ იპოვნი. ვეწვალე, ხან იქეთ ვქაჩე მანქანა, ხან აქეთ, არაფერი გამოვიდა: ჩაიფლო ლაფში და ვეღარ ამოდის. თანაც საჭე ისე მოვატრიალ-

ლე, რომ სადღაც რაღაც გაფუჭდა, მეტი რა გზაა, უნდა შეძვრე მანქანის ქვეშ. ვწევარ ტალახში ოფლად გაღვრილი და ვწყევლი, რაც შემიძლია, ამ გზას. მესმის ვიღაც მოდის. ქვემოდან მხოლოდ რეზინის ჩექმებს ვხედავ. მოვიდნენ ჩექმები, გაჩერდნენ ჩემს პირდაპირ და დგანან. ბოღმა მახრჩობს, რა არის საყურებელი, ცირკია თუ რა.

— გაიარე, — ვუყვირი მანქანის ქვემოდან, — რა სულთამხუთავივით დამდგომიხარ თავზე. ცალი თვალით კაბის კალთას ვამჩნევ, ძველს, მთლად ნაკელშია ამოსვრილი. ალბათ ვიღაც ბებრუხანაა, მიცდის, რომ აულამდე ავიყვანო.

— გაიარე, ბებია, — ვეხვეწები, — ბევრი წყალი ჩაივლის. ვიდრე ამას ფავაკეთებ, დიდხანს მოგიწევს ცდა.

ის კი მპასუხობს:

— მე ბებია არა ვარ.

მეუბნება რაღაც გაუბედავად, ხმაში თითქოს სიცილიც მესმის.

— მაშ ვინ ხარ? — ვბრაზობ.

— ქალიშვილი!

— ქალიშვილი? — ირიბად ვუყურებ ჩექმებს. ცოტა არ იყოს შემრცხვა ჩემი ყვირილისა და ახლა უკვე ხუმრობით ვეკითხები:

— ლამაზი ხარ?

ჩექმები ადგილზე ამოძრავდნენ, გადაადგილდნენ, ეტყობა წასასვლელად მოემზადნენ. ვიკადრე და გამოვძვერი მანქანის ქვემოდან. რას ვხედავ, დგას გამხდარი გოგონა, მკაცრად შეკუმუხვნილი წარბებით, წითელი თავსაფრით და მხრებზე მოსხმული დიდი, ალბათ მამისეული პიჯაკით. ხმას არ იღებს ისე მიყურებს. მე კი დამავიწყდა და ვზივარ მიწაზე, მთლად ამოთხუპნული ტალახსა და თიხაში.

არა გიშავს რა! ლამაზი ყოფილხარ! — ვიცინი და თავიდან ფეხებამდე ვათვალიერებ. მართლაც რომ ლამაზია! — აი, ტუფლები რომ გეცვას — ვხუმრობ და ვდგები.

გოგონამ ზურგი შემაქცია და უკანმოუხედავად, სწრაფად გაუდგა გზას.

რატომ? ვაითუ გაბრაზდა? ახლა უკვე აღარ მეხუმრება.

გამოვერკვიე და გავეკიდე, მინდა დავეწიო, შემდეგ მივბრუნ-
დი მანქანასთან, შევაგროვე იარაღები, შევვარდი კაბინაში
და ნახტომებით — ხან წინ, ხან უკან, — მოვინდომე მანქანის
ამუშავება. მინდა დავეწიო — მეტზე არაფერზე ვფიქრობ.
მოტორი ღრიალებს, მანქანა ირყევა, მაგრამ არ იძვრის. ის კი
მიდის და მიდის, გვშორდება. ვუყვირი, თვითონ არ ვიცი ვის.
მანქანის ბორბლებსქვეშ მობუხბუხე ტალახს.

— გამიშვი! გამიშვი, გეუბნები! გესმის?

მთელი ძალით ვაწვები აქსელერატორს, მანქანა თითქოს
კვნესით მიფორთხავს და რაღაც სასწაულით უცებ ამოდის
ლაფიდან. როგორ გამიხარდა! მივუშვი და მივუშვი მან-
ქანა გზაზე, ცხვირსახოცით მოვიწმინდე სახიდან ტალახი, გავი-
სწორე თმები. გავუსწორდი ქალიშვილს, დავამუხრუჭე მანქანა
და, ეშმაკმა იცის, როგორ გამოვიდა ისე მოხერხებულად,
თითქმის საჯდომზე წამოწოლილმა, გავაღე კარი:

— გთხოვთ! — და ხელი მანერულად გავშალე.

გოგონა არ შეჩერებულა. „ესეც შენ!“ — მოვიფხანე კეფა.
ჩემი ვაჟკაცობიდან ნატამალიც აღარ დარჩენილა. ისევ წამო-
ვეწიე, ამჯერად მოვუბოდიშე და ვთხოვე:

— ნუ მიბრაზდებით! მე ისე უბრალოდ... დაბრძანდით!

მაგრამ გოგონას ხმა არ გაუცია.

მაშინ შ ვ გავუსწარი, მანქანა გზის გარდიგარდმო გავაჩერე,
გამოვედი კაბინიდან, მარჯვნიდან მოვუარე მანქანას, გავაღე
კარი და შევჩერდი ისე, რომ ხელი არ მომიშორებია კარისათ-
ვის. იგი მომიახლოვდა, დამფთხალმა შემომხედა, თითქოს ამ-
ბობდა, რას გადამეკიდა, ვინ არის ეს დამთხვეულიო. ხმას არ
ვიღებდი, რა უნდა მექნა, მორჩილად ვიცდიდი. არ ვიცი შე-
ვეცოდე, თუ ისე უბრალოდ, გადაიქნია თავი — არაფერი
უთქვამს, ჩაჯდა კაბინაში.

დავიძარით.

ხმას არ ვიღებდი, ვფიქრობდი როგორ დამეწყო საუბარი
გოგონებთან ლაპარაკს შეუჩვეველი არ ვიყავი, მაგრამ ახლა
რატომღაც მერიდებოდა. რატომ, საკითხავია? ვატრიალებ სა-
ჭეს და თან შეფარვით ვუყურებ. კისერთან ნაზი ბუსუსები
ოდნავ ემჩნევა. პიჯაკი მხრიდან ჩამოუვარდა, თვითონ კი

ჩემგან მოშორებით მიმჯდარა, ეშინია, არ შემეხოს. სერიოზულად იყურება, არ და ემჩნევა, ალერსიანია. სახე ნათელი აქვს, გახსნილი, შუბლის შეჭმუხვნა უნდა და არ გამოსდის. მანაც გამოაპარა ჩემსკენ მზერა, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეეფეთა. გამიღიმა. გავბედე დალაპარაკება:

— კი მაგრამ, რატომ გაჩერდით იქ, მანქანასთან? — ვიკითხე რაც პირველად მომივიდა თავში.

— მინდოდა დაგხმარებოდით.

— დამხმარებოდით? — გამეცინა. — იცით, რომ მართლა დამეხმარეთ. თქვენ რომ არა, ახლაც იქ ვიქნებოდი... თქვენ სულ ამ გზით დადიხართ?

— დიახ. მე ფერმაში ვმუშაობ.

— კარგია! — გამიხარდა, მაგრამ იქვე გამოვასწორე — კარგი გზაა!

— სწორედ ამ წუთში მანქანა ისე შეინჯღრა, რომ მხრებით დავეჯახეთ ერთმანეთს, შევყვირე, გავწითლდი და არ ვიცი საით წავიღო თვალები. მან კი გაიცინა, მაშინ მეც ველარ მოვითმინე და ხმამაღლა გადავიხარხარე.

— მე კი სულაც არ მინდოდა კოლმეურნეობაში წამოსვლა! — გამოვტყდი სიცილით. — მცოდნოდა გზაზე ასეთ თანაშემწეს შევხვდებოდი, დისპეტჩერს უმძრახ სიტყვას როგორ ვეტყოდი... ეჰ, ილიას, ილიას! — გავკიცხე თავი. ილიასი — ეს მე ვარ — ავუხსენი ქალიშვილს.

— მე კი ასელი მქვია.

აუულს ვუახლოვდებოდით. გზა გამოსწორდა. გაზს მოვუმატე. ქარი ფანჯრებს ეხეთქებოდა, თავსაფარს აძრობდა ასელს და თმებს უჩეჩავდა. ვდუმდით. მართლაც რომ კარგი იყო ასე ჯდომა. თურმე რა ადვილი, რა სასიხარულო ყოფილა მანქანის ტარება, თუკი გვერდით, ისე რომ შენი იდაყვი თითქმის იმისას ეხება, გიზის ადამიანი, რომელსაც ერთი საათის წინ არც კი იცნობდი, ახლა კი რატომღაც მხოლოდ მასზე გინდა იფიქრო... არ ვიცი რას ფიქრობდა ასელი, მისი თვალები კი ბრწყინავდნენ, ისინი ქარს უღიმოდნენ. შეიძლება მას უარი არ ეთქვა ევლო ასე დიდხანს, დაუსრულებლად, ისე რომ არასოდეს დავშორებოდით ერთმანეთს. მე ვლაპარაკობ იმაზე, რა-

ზეც მაშინ ვოცნებობდი. მანქანა უკვე აულის ქუჩაზე მიდიოდა. უცებ ასელმა, თითქოს გამოერკვაო, შეშინებულმა მითხრა:

— გააჩერეთ, ჩამოვალ!

დავამუხრუჭე.

— რა, უკვე მოვედით? აქ ცხოვრობთ?

— არა, — იგი რატომღაც აღელდა, აწრიალდა—ასე სჯობს, აქ ჩამოვალ.

— კი მაგრამ რატომ, პირდაპირ სახლთან მიგიყვანთ! — მე მას საშუალება არ მივეცი რამე ეთქვა და გზა განვაგრძე.

— აი აქ, — მითხრა ბოლოს ასელმა. — გმადლობთ!

— როგორ გეკადრებათ, — წავიბურტყუნე და იმდენად ხუმრობით კი არა, რამდენადაც სერიოზულად დავუმატე — ხვალაც რომ ასე მომივიდეს, დამეხმარებით?

პასუხიც ვერ მოასწრო. ეზოს ჭიშკარი გაიღო და ქუჩაში, რაღაცით შეწუხებული, ხანში შესული ქალი გამოვარდა.

ასელ! — დაიყვირა მან, მერე ხმას დაუწია და პირზე ხელი აიფარა: — სად იყავი, გაგიწყრეს გამჩენი. ჩქარა გამოიცვალე, მაჭანკლები მოვიდნენ.

ასელი შეცბუნდა. პიჯაკი მხრებიდან ჩამოუცურდა, დაიჭირა და მორჩილად გაჰყვა დედას. ჭიშკართან შემობრუნდა, შემომხედა, მაგრამ კარი სწრაფად დაიხურა.

მხოლოდ ახლა შევნიშნე, იქვე ქუჩის პირას მიბმული შეკაზმული, გაოფლილი, ალბათ შორიდან მოსული ცხენები. საჭეს დავეყრდენი, წამოვიწიე, ყორეზე გადავიხედე. ეზოში კოცონთან ქალები ფუსფუსებდნენ. ბოლავდა დიდი სპილენძის სამოვარი. ორი კაცი ფარდულში ცხვარს ატყავებდა. მაჭანკლებს ყველა კანონის ზუსტი შესაბამისობით ხვდებოდნენ. მე აქ უკვე აღარაფერი მესაქმებოდა. უნდა წავსულიყავი, ტვირთი დამეცალა.

დღის ბოლოს დავბრუნდი ავტობაზაში. მანქანა გავრეცხე და გარაჟში დავაყენე. დიდხანს არ წავსულვარ, მანქანას ჩავკირკიტებდი. ვერ გამეგო, რატომ მივიტანე ასე ახლოს გულთან დღევანდელი ამბავი. მთელი გზა თავს ვიმშვიდებდი, ვლანძღავდი: „კი მაგრამ, შენ რა გესაქმება, გიჟი ხომ არა ხარ? ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ის შენი, საცოლე? და? დიდი

საქმე, შეგხვდა შემთხვევით გზაზე, მიიყვანე სახლამდე და უკვე ისე განიცდი თითქოს სიყვარული შეგეფიცოთ, იქნებ მას შენი გახსენებაც კი არ უნდა. რაში სჭირდები! მას კანონიერი საქმრო ჰყავს, შენ კი ვინა ხარ! შემთხვევით გზად გაცნობილი შოფერი, შენისთანები ასობითაა, ყველას ვერც კი დაიმახსოვრებ... კაცმა რომ თქვას, რა უფლება გაქვს: ადამიანები ინიშნებიან, ქორწილიც ექნებათ, შენ რა შუაში ხარ. მიაფურთხე ყველაფერს. რა შენი საქმეა! ატრიალე შენთვის საქე და ჩასთვალე, რომ ყველაფერი რიგზეა!..

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ როგორც არ ვარწმუნებდი თავს, იმ გოგოს დავიწყება არ შემეძლო.

მანქანასთან აღარაფერი საქმე მქონდა. წავსულიყავი საერთო საცხოვრებელში? ჩვენი საერთო საცხოვრებელი ხმაურიანია, მხიარული. მაგრამ არა. მარტოობა მინდოდა წამოვწექი მანქანის ფრთაზე, თავქვეშ ხელები ამოვიდე. იქვე, ჩემს გვერდით ჯანტაი უჩხიკინებდა მანქანას. ~~ეყო~~ ჩვენთან ასეთი შოფერი. მან ორმოდან თავი ამოჰყო და დამცინავად ჩაიხითხითა:

— ეი, შენ, ლამაზო ჯიგიტო, რაზე ოცნებობ?

— ფულზე! — მივახალე.

მე იგი არ მიყვარდა. ძუნწიო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. ეშმაკი და შურიანი. საერთო საცხოვრებელში არ ცხოვრობდა. ვილაცასთან იდგა კერძო ბინაზე. ამბობდნენ, დიასახლისს ცოლად შერთვას დაჰპირდაო — სხვა რომ არაფერი, საკუთარი ბინა მექნებაო.

ზურგი შევაქციე. ეზოში, იქვე ახლოს, სადაც მანქანებს ვრეცხავდით, ჩვენი ბიჭები ერთ ამბავში იყვნენ. ვილაც კაბინაზე ასულიყო, ბრანდსპოიტი ეჭირა ხელში და წუწავდა შოფრებს, რომლებიც თავის რიგს ელოდნენ. მთელ ავტობაზას აყრუებდა მათი ხარხარი. შლანგიდან მძლავრი ნაკადი ურტყამდა, თუ მოგვწდებოდა, შეგატორტმანებდა. უნდოდათ ბიჭი კაბინიდან ჩამოეთრიათ, მას კი მიუშვია წყლის ნაკადი, თითქოს ხელში ავტომატი სჭეროდეს, ქუდი არავის შეარჩინა თავზე. უეცრად წყლის ნაკადი ზემოთ ავარდა და მზის სხივებზე ცისარტყელასავით აელვარდა. ვხედავ, დგას კადიჩა—ჩვენი დისპეტჩერი. წყლის ნაკადი სწორედ მას აცდა. ასეთი არ გაიქცე-

ვა. კადიჩამ იცოდა თავისი ფასი, ისიც იცოდა რომ ბიჭებს მოსწონდათ. თავს ისე იჭერდა, რომ ადვილად რაიმეს ვერ შებედავდი. და-იგი-ახლა იდგა დაჯერებული, უშიშრად. თითქოს ამბობდა: — ვერ გაბედავთ, ამის ძალა არ შეგწევთ!

იდგა, ჩექმიანი ფეხი წინ წამოეწია, თმებს ისწორებდა, თმის სამაგრები კბილებით ეჭირა და სახე უცინოდა. წვრილი, ვერცხლისფერი შხეფები თავზე ეცემოდა, ბიჭები ხარხარებდნენ და აქეზებდნენ კაბინაზე შემდგარს:

— მიდი, დასცხე!

— მისცხე!

— ვინ მისცა შნო!

— ფრთხილად, კადიჩა!

ბიჭი ვერ ბედავდა, წყლის ნაკადს ათამაშებდა. მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი, აუცილებლად თავიდან ფეხებამდე დავასველებდი, არც კადიჩა მეტყოდა რამეს, გაიცინებდა მხოლოდ. თავს არ ვიწონებ. ყოველთვის ვამჩნევდი, რომ იგი ისე არ მექცეოდა, როგორც სხვებს. ჩემთან იგი სულ სხვა ქალი იყო: დამყოლი, ოდნავ ჭირვეული. უყვარდა, როცა ხუმრობით შევაჯანჯღარებდი და თავზე ხელს გადავუსვამდი. მე მომწონდა, რომ-იგი ხშირად მეჩხუბებოდა, ხანდახან მლანძღავდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც მითმობდა, გინდაც მტყუანი ვყოფილიყავ. ხანდახან კინოში დამყავდა, სახლშიც მიგვაცილებდი ხოლმე, ჩვენსკენ ცხოვრობდა. სადისპეტჩეროში პირდაპირ, მოურიდებლად შევდიოდი, სხვებს ნებას არ აძლევდა, პატარა სარკმლიდან უნდა მიემართათ.

მაგრამ ახლა მისთვის არ მცხელოდა. ჯანდაბას მათი თავი, გაერთონ.

კადიჩამ უკანასკნელი სამაგრი დაიბნია თავზე:

— გეყოთ ლაზღანდარობა! — გასცა ბრძანება.

— მესმის, ამხანაგო დისპეტჩერო! — კაბინაზე მდგარმა ბიჭმა მხედრულად აუღო ხელი, მეტი ვერაფერი მოიფიქრა. იგი ხარხარით ჩამოათრიეს ქვევით.

კადიჩა კი გარაჟისაკენ წამოვიდა. ჯანტაის მანქანასთან გაჩერდა, ეტყობოდა, ვიღაცას ეძებდა, მე უცებ ვერ შემნიშნა. ჩვენ ბადე გვაშორებდა, რომელიც გარაჟის განყოფილებებს ყოფდა ერთმანეთისაგან. ჯანტაიმ ორმოდან თავი ამოყო:

— გამარჯობა, ლამაზო! — შეეხმიანა მას.

— აა, ჯანტაი...

იგი ხარბად, უსირცხვილოდ უყურებდა მის ფეხებს. კადიჩამ უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები.

— რა იყო, რას მომაშტერდი? — უთხრა და მსუბუქად წაჰკრა ჩექმის წვერი ნიკაპში.

სხვა მის ადგილზე გალანძღავდა კადიჩას, ან გაბრაზდებოდა, ეს კი ვითომც არაფერიაო. სახე გაუბრწყინდა, თითქოს აკოცესო და ისევ ორმოში ჩაჰყო თავი.

კადიჩა ძგიდესთან მოვიდა და დამინახა:

— ისვენებ, ილიას?

— ჰო, გეგონება ბუმბულზე ვიწვე!

იგი სახით მოეყრდნო ბადეს, დაკვირვებით დამაცქერდა და წყნარად მითხრა:

— შემოიარე სადისპეტჩეროში.

— კარგი, — ვუპასუხე.

კადიჩა წავიდა. მე წამოვდექი, წასასვლელად მოვემზადე. ჯანტაი ისევ ამოძვრა ორმოდან.

— კარგი დედაკაციაl — მითხრა და თვალი ჩამიკრა, თან ხელები მოიფშვნიტა.

— პირს დაგწვავს!

იმედი მქონდა, რომ ის გაბრაზდებოდა, ჩხუბს დამიწყებდა. მართალია ჩხუბისმოყვარული არა ვარ, მაგრამ ახლა ისეთ ხასიათზე ვიყავი, არ ვიცოდი რა მექნა.

ჯანტაის არც უფიქრია გაბრაზება:

— არაფერია, ცხოვრება წინაა, ვნახოთ... წაიდუდღუნა მან.

სადისპეტჩეროში არავინ იყო. სად ეშმაკშია, მიწამ ხომ არ ჩაყლაპა? ჩემს უკან კარები მიიხურა. მოვტრიალდი და კადიჩა შემრჩა პირისპირ. იგი კარებს მიყრდნობოდა, თავი უკან გადაეგდო, ხშირი წამწამები ვერ მალავდნენ მის ანთებულ თვალებს. ცხელი სუნთქვა სახეს მიწვავდა. ელოდა, რომ მოვეხვეოდი და ვაკოცებდი. თავი ვერ შევიკავე. გავიწიე, მაგრამ, უცებ მოვეგე გონს. საოცარი იყო, მაგრამ იმ წუთს მომეჩვენა, რომ ამით ვუღალატებდი მას, ჩემს ასელს. აზრადაც არ მომდიოდა, რომ ასეთი რამის გაფიქრებაც კი სასაცილო იყო.

— რისთვის დამიძახე? — ვკითხე უკმაყოფილოდ.

კადიჩა ისევ ისე, მდუმარედ შემომცქეროდა.

— თქვი! — გავიმეორე, მოთმინება მელეოდა.

— არ იცი? — მითხრა, ხმაში წყენა ჩანდა. არც კი მიყურებ, თუ სხვა მოგივიდა თვალში?

დავიბენი. რატომ მსაყვედურობს? საიდან გაიგო?

ამ დროს სარკმლის საკეტი აჩხაკუნდა. ჯანტაიმ შემოჰყო თავი. დამცინავი ღიმილი უთამაშებდა მოჭუტულ თვალებში. გვითვალთვალებს! მას რომ სცოდნოდა, რა ცეცხლი მენთო გულში?

— გთხოვთ, ამხანაგო დისპეტჩერო! — გესლიანად გააბრტყელა მან და თან რაღაც ქაღალდი მიაწოდა კადიჩას.

კადიჩამ რისხვით შეხედა, ქაღალდი არ გამოართვა და გაჯავრებულმა მომახალა:

— კი მაგრამ საგზურს ვინ მიიღებს შენს მაგივრად? განსაკუთრებით უნდა მოგიპატიჟოთ?

ხელით გვერდზე გამწია და სწრაფად მივიდა მაგიდასთან.

— აჰა! — გამომიწოდა საგზური.

ავიღე. ხვალ ისევ იმავე კოლმეურნეობაში მიწევდა წასვლა.

სუნთქვა შემეკრა: სად წავიდე, როცა ვიცი, რომ ასელი... და საერთოდ, რატომ მაინც და მაინც მე დამარბენინებენ კოლმეურნეობებში?

ავფეთქდი, ავყვირდი:

— ისევ კოლმეურნეობაში? ისევ ნაკელი და აგური ვათრიო? არ წავალ! — საგზური მაგიდაზე დავაგდე. — მეყო, რაც ტალახი ვზილე, ახლა სხვები გაგზავნონ!

— ნუ ყვირიხარ! შენ კოლმეურნეობაზე ერთი კვირითა ხარ მიმაგრებული! თუ საჭირო იქნება, კიდევ გაგზავნიან! — მომიჭრა კადიჩამ.

მაშინ მე მშვიდად და მტკიცედ ვთქვი:

— არ წავალ!

და როგორც ყოველთვის, კადიჩა მოულოდნელად დამთანხმდა:

— ძალიანაც კარგი. მოველაპარაკები ხელმძღვანელობას.

მაგიდიდან საგზური აიღო.

„მაშასადამე, არ წავალ, — გავიფიქრე მე — და ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ ასელს?“ — უარესად გავხდი. რატომღაც უცებ გადავწყვიტე, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავი იქ. ნათლად ვიგრძენი, ასე რომ არ გამეკეთებინა, მთელი ჩემი ცხოვრება უნდა მენანა. „რაც არის არის, მაინც უნდა წავიდე!“

— კარგი, მომეცი! — გამოვგლიჯე საგზური.

ფანჯრიდან ჯანტაის ქირქილი მომესმა:

— აულში ბებიაჩემს გადაეცი მოკითხვა!

არაფერი მითქვამს. მოუხდებოდა კი კარგი სილა! კარები მივიჯახუნე და საერთო საცხოვრებლისაკენ გავწიე.

* * *

მეორე დღეს თვალები დამაწყდა გზაზე ცქერით. სად არის? გამოჩნდება ჩინარივით ტანკენარი? ჩემი წითელთავსაფრიანი ჩინარი! ველის ჩინარი! ალბათ, იტყვით, რეზინის ჩექმებში და მამისეულ პიჯაკშიო! სისულელეა! მე ხომ ვიცი როგორიცაა!

როგორ მომაჯადოვა? რითი ამიფორიაქა სული?

მივდივარ და აქეთ-იქით ვიხედები. არა, არსად ჩანს, ეს მგზავრობა კი არა წამებაა, სად არის, როგორ ვიპოვნო? მივედი აულამდე, ქუჩას გავყევი, მის სახლთან სვლა შევანელე. მერე სულაც შევაჩერე მანქანა. შეიძლება სახლშია? როგორ დავუძახო, დავუძახო და რა ვუთხრა? გამოდის, არ ყოფილა ჩემი ბედი, რომ კიდევ მომეკრა თვალი. მანქანა დავძარი. ტვირთს გადმოვცლი! მანქანა იცლება, მე კი სულ იმ იმედით ვარ, იქნებ უკან დაბრუნებისას შემხვდეს. არ შემხვდა. მაშინ ფერმისკენ გადავუხვიე. ძველი ფერმა აქვთ, მიყრუებულ ადგილას, სოფლიდან მოშორებით. მივედი, ერთ ქალიშვილს შევეკითხე. მეუბნება — არ არის, არ გამოსულა სამუშაოდო. „მაშასადამე, განგებ არ გამოვიდა, მე რომ არ შემხვედროდა“, — გავიფიქრე და ხასიათი გამიფუჭდა. დანაღვლიანებული დავბრუნდი ავტობაზაში.

მეორე დღეს ისევ გზაში ვარ. მივდივარ და იმედი აღარ მაქვს რომ ვნახავ. კაცმა რომ თქვას, რა საქმე აქვს ჩემთან, ან

მე რა ხელი მაქვს დანიშნულ ქალიშვილთან? მაგრამ მაინც არ მჯერა, რომ ყველაფერი ასე უნდა დამთავრდეს, აულებში ჯერ კიდევ ხომ ნიშნავენ ისე, რომ ერთმანეთს სულაც არ იცნობენ. რამდენჯერ წამიკითხავს ამაზე გაზეთში. მერედა მე რა? ჩხუბის მერე ხელებს ვინ იქნევს, გაათხოვებენ—უკან დაბრუნება არც ისე ადვილია, მთელი ცხოვრება მოგეწამლება... აი, როგორი აზრები მიტრიალებს თავში...

გაზაფხული ეშხში იყო შესული. მთისძირები ტიტებს დაეფარა. ბავშვობიდანვე მიყვარს ეს ალისფერი ყვავილი. ფეხშიშველი დავირბენდი მთისძირებს, დავკრეფდი და მივართმევდი! სად გინდა, რომ ნახო?

და უცებ, ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერებ. ასელი! ზის გზის განაპირას, ქვაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც მაშინ ჩემი მანქანა ჩაიფლა. თითქოს ვიღაცას უცდის. შეშინებული წამოხტა, დაიბნა, თავსაფარი თავიდან მოიგლიჯა, ხელში დაჭმუჭნა. ამჯერად ლამაზი კაბა და ტუფლები ეცვა. ამხელა გზაა, ის კი ქუსლებზე შემდგარა. სასწრაფოდ დავამუხრუჭე, გული ყელში მაწვება.

— გამარჯობა, ასელ!

— გაგიმარჯოს! — მპასუხობს ხმადაბლა.

მინდა შევეშველო კაბინაში ჩაჯდომაში, ის კი შემობრუნდა და ნელა გზის გასწვრივ წავიდა. ე. ი. ჩაჯდომა არ უნდა. მანქანა დავძარი, კარები გავაღე და გვერდზე გავყევი. ასე მივდიოდით: ის გზის განაპირას, მე კი საჭესთან. ვდუმდით. ვერ მომეფიქრებინა რა მეთქვა. შემდეგ მკითხა:

— გუშინ ფერმაში იყავით?

— კი, რა იყო?

— არაფერი, არ უნდა მისულიყავით.

— თქვენი ნახვა მინდოდა.

არაფერი მიპასუხა.

მე კი სულ იმ დაწყევლილ ნიშნობაზე ვფიქრობ. მინდა გავიგო როგორაა საქმე, ვკითხო — ენა არ მიბრუნდება. მეშინია. მისი პასუხის მეშინია.

ასელმა შემომხედა.

— მართლა დაინიშნე?

თავი დამიქნია. ხელში საჭე ამითამაშდა.

— ქორწილი როდისაა? — შევეკითხე.

— მალე, — მიპასუხა ხმადაბლა.

კინაღამ არ იყო გავაქანე მანქანა საითაც თვალი მიმიწვდებოდა, მაგრამ სიჩქარის მაგიერ გამორთვის ქურო ჩავრთე. მოტორი აღრიალდა. ასელი გვერდზე გადახტა, მე ბოდიშიც არ მომიხდია. ამისი თავი არ მქონდა.

— გამოდის, რომ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით? — ვეუბნები.

— არ ვიცი. სჯობს არ შევხვდეთ.

— მე კი, მე სულ ერთია... როგორც გინდათ, აუცილებლად მოგძებნით!

ჩვენ ისევ გავჩუმდით. შეიძლება ერთსადაიმავეზე ვფიქრობდით, ცალ-ცალკე კი მივდიოდით. თითქოს კედელი იდგა ჩვენს შუა და მე საშუალებას არ მაძლევდა მას მივახლოვებოდი, მაკ, კი — ჩემს კაბინაში ჩამჯდარიყო.

— ასელ! — ვუთხარი მე — ნუ გამირბიხართ. ხელს არ შეგიშლით. შორიდან გიყურებთ მხოლოდ. ნებას მაძლევთ?

— არ ვიცი, შეიძლება...

— დაჯექით, ასელ.

— არა. წადით. აული სულ ახლოსაა.

ამის შემდეგ გზაზე ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს და ყოველთვის თითქოს შემთხვევით. მივდიოდით ისევ ისე: — ის გზის პირას, მე კი კაბინაში. გულზე ვსკდებოდი, მაგრამ რას ვიზამდი, ძალას ხომ არ დავატანდი.

საქმროზე არ ვეკითხებოდი. უხერხულიც იყო და არც მინდოდა. მაგრამ მისი სიტყვებიდან გავიგე, რომ იგი თითქმის სულ არ იცნობდა მას. დედის მხრიდან შორეულ ნათესავად მოხვდებოდა, სატყეო მეურნეობაში ცხოვრობდა, სადღაც მთაში. ეს ოჯახები დიდი ხანია აწარმოებდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთმანეთში ქალიშვილების გაცვლას, ამით თაობიდან თაობაში აგრძელებდნენ ნათესაობას. ჩვენთან, როგორც მოგეხსენებათ, ნათესაობა დიდ პატივშია. ასელის მშობლებს აზრადაც კი არ გაუცლიათ იგი ვინმე სხვისათვის მიეთხოვებინათ. მითუმეტეს, ჩემზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა.

ვიღაც გადამთიელი უთვისტომო შოფერი. ვერც მე გავბედავდი ხმის ამოღებას.

ასელი იმ დღეებში ცოტას ლაპარაკობდა. განიცდიდა, სულ რაღაცაზე ფიქრობდა. მე უკვე იმედი გადაწურული მქონდა. მისი ბედი წყდებოდა, შეხვედრებს არავითარი აზრი ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ბავშვებივით ამაზე არაფერს ვამბობდით და ვხვდებოდით იმიტომ, რომ არ შეგვეძლო არ შეეხვედრილიყავით. ორივეს გვეჩვენებოდა, რომ უამისოდ სიცოცხლე არ შეგვეძლო, ხოლო იმაზე თუ რა მოგველოდა წინ, წარმოდგენაც კი არ გვქონდა.

ამასობაში ხუთი დღე გავიდა. იმ დილით ავტობაზაში ვიყავი და რეისისათვის ვემზადებოდი. ამხანაგი მოვიდა და მითხრა — სადისპეტჩეროში გიძახიანო. გავიქეცი.

— გაიხარე!—მხიარულად შემომეგება კადიჩა. — ტრასაზე გადაგიყვანეს სინძიანში.

გავშეშდი. სინძიანში პირველად არ მიხდებოდა წასვლა. ეს შოსალოდნელიც იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მეგონა თითქოს მთელი ჩემი სიცოცხლე კოლმეურნეობაში უნდა მევლო.

ჩინეთში რეისები რამდენიმე დღეს გრძელდება; ვინ იცის, როდის მოვახერხებდი ასელის ნახვას? გავმქრალიყავი მოულოდნელად და ის არ გამეფრთხილებინა?

— შენ თითქოს არც კი გიხარია? — შემნიშნა კადიჩამ.

— კი, მაგრამ კოლმეურნეობაში? — ავღელდი მე, — იქ საშუშაოები ჯერ არ დაუმთავრებიათ.

კადიჩამ მხრები აიჩეჩა.

— შენ თვითონ გსურდა ასე!

— „საქმე გამიკეთა!“ — გავიფიქრე და გავბრაზდი:

— მერე რა, რომ ადრე არ მსურდა!

დავჯექი სკამზე, ვზივარ და არ ვიცი რა ვქნა.

მოირბინა ჯანტაიმ. თურმე ჩემს მაგივრად მას აგზავნიდნენ კოლმეურნეობაში. ყურები ვცქვიტე. ჯანტაი ალბათ უარს იტყვის, სასოფლო გზებზე გამომუშავება ნაკლებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცოტა ფულს მიიღებ. მაგრამ მან, ვერ გავიგე რატომ, აიღო საგზური და კმაყოფილმა თქვა:

— სადაც გინდა იქ წავალ, კადიჩა, გინდა ქვეყნის დასალი-

ერს! აულში ახლა სწორედ ბატკნები იქნება, შეიძლება, გამოვიყოლიო კიდეც! შემდეგ მე შემნიშნა:

— ბოდიშს ვიხდი, ვგონებ ხელი შეგიშალეთ?

— გზას ეწიე! — წავისისინე მე, ისე რომ თავი არ ამიწევია.

— რაღას უზიხარ, ილიას? — მხარზე ხელი დამადო კადიჩამ.

— კოლმეურნეობაში უნდა წავიდე, გამიშვი, კადიჩა! — შევეხვეწე.

— ჭკუაზე ხარ? არ შემიძლია, განაწესი არა მაქვს! — მითხრა მან და შეშფოთებით ჩამაშტერდა სახეში. — რა მოხდა, რა ძალიან გაგიტკბა იქით სიარული?

არაფერი მითქვამს. ხმისამოუღებლად გამოვედი. მივედი გარაჟში. გვერდით ჯანტაის მანქანამ გაიარა, კინაღამ ფრთა გამკრა, დამცინავად მიყურებდა კაბინიდან.

მანქანასთან ვჯახირობდი, არ ვჩქარობდი, მაგრამ გამოსავალი არ იყო, წავედი ტვირთის მისაღებად. დიდი რიგი არ იყო.

ბიჭებმა დამიძახეს, მე კაბინიდან თავი არ გამომიყვია. ვხუჭავ თვალებს და წარმოვიდგენ, როგორ ამაოდ მელოდება გზაზე ასელი. მელოდება ერთ დღეს, მეორეს, მესამეს... რას იფიქრებს ჩემზე? იტყვის: შეეშინდა, გაიქცაო.

რიგი კი ახლოვდება. ჩემს წინა მანქანას უკვე ტვირთავენ. ამწე ძარაში უშვებს რაღაც უშველებელ ყუთებს. ერთი წუთის შემდეგ მე დავაყენებ ამწის ქვეშ მანქანას. „მაპატიე, ასელ! — გავიფიქრე. — მაპატიე, ჩემო ველის ჩინარო, ვერ მოვასწარი. შენი გაფრთხილება!“ მაგრამ უცებ თავში სხვა აზრმა გამიელვა: მოვასწრებდი მასთან წასვლას, გაფრთხილებას და უკან დაბრუნებასაც. რა მოხდა, რამოდენიმე საათით გვიან წავალ რეისში? შემდეგ ავუხსნი ავტობაზის უფროსს, გაიგებს ხომ კარგი, ვერა და შემახურებს. დიდი-დიდი საყვედური გამომიცხადოს, ბოლოსდაბოლოს მომხსნის სამსახურიდან — მეტი რა იქნება. დროზე მომეფიქრებინა! უნდა წავიდე.

უცებ ავამუშავე მოტორი, რომ მანქანა უკან დამეწია. მაგრამ უკნიდან მანქანები ზედ არიან მომდგარი. ამ დროს წინა მანქანაც წავიდა. ჩემი რიგია. მე შევაყოვნე.

— ეი, ჩქარა, რას შვები, დადექი!—მიყვირის ამწის მემანქანე.

წინ წავწიე მანქანა. ამწის ისარი მანქანის ძარას გაუსწორდა. ყველაფერი დამთავრდა. საექსპორტო ტვირთით ვერსადაც ვერ წახვალ. რატომ დროზე არ მოვიფიქრე? მოვიდა გამგზავნი, დოკუმენტები შეამოწმა. მე უკანა ფანჯარაში გავიხედე, ძარის თავზე ნელა, ქანაობით ეშვებოდა კონტეინერი. სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

— მაშინ კი დავიყვირე:

— ფრთხილად! — და კონტეინერის ქვეშიდან ადგილიდან მოვწყვიტე მანქანა. მოტორი გამორთული არ მქონდა. უკან ყვირილი, სტვენა და გინება გაისმა. ჩემთვის სულ ერთი იყო! მანქანას საწყობების, ხე-ტყის შტაბელებისა და ქვანახშირის გროვების გვერდით მივაქროლებდი. მიხვეულ-მოხვეული გზებით გავიქროლე ახალშენი, მთებისაკენ გავედი უდაბურ გზაზე, საჭეს მივაკვდი, იფიქრებდი მიწა მოძრაობსო — მანქანას ხან აქეთ მიაგდებდა, ხან იქეთ. ეს სულ არ მადარდებდა, შეუჩვეველი ხომ არ ვიყავი!

ჩქარა ჯანტაის წამოვეწიე. გასწრება მინდოდა, სიგნალი მივეცი. მან უკმაყოფილოდ გადმოიხედა კაბინიდან და თვალები კინაღამ გუგებიდან გადმოუცვივდა — მიცნო. კაცი რომ ბოროტი იქნება. ხედავს ვიღაცა ჩქარობს, ე. ი. გზა უნდა დაუთმო. ის კი, გადაწყვიტა გავეწვალებინე, გზას არ მაძლევს. მაშინ მე გზიდან გადავედი და პირდაპირ მინდორ-მინდორ გავაქროლე მანქანა გადასასწრებად. ჯანტაიც დააწვა. ახლა საშუალებას არ მაძლევს გზაზე ამოვიდე. იცის, ახლომახლო კაციშვილი არაა, რომ პასუხი მოთხოვოს მოძრაობის წესების დარღვევისათვის; იცის, რომ ვერც მე მივწვდები. ასე მივქროდით: ის გზაზე, მე კი მინდორში, საჭეზე დახრილები, ნადირებივით ვუბრიალებთ ერთმანეთს თვალებს და ვილანძღებით.

— საით? რისთვის? — მიყვირის.

მუშტს ვუქნევ, ვემუქრები. ჩემი მანქანა ცარიელი იყო და, რა თქმა უნდა, გავუსწარი. მოვიხედე: ახლა უკვე აღარ ჩქარობს, მოდის წყნარად. ჭირსაც წაუღია, ვინ აჩქარებს.

ასელს ვერსად შევხვდი. შევედი აულში და მანქანა მის

ეზოსთან გავაჩერე. ‘ვქშინავდი, თითქოს ფეხით მერბინოს. ძლივს მოვითქვი სული. არც ეზოში, არც ქუჩაში არავინ არ ჩანს. მხოლოდ შეკაზმული ცხენია იქვე მიბმული. რა უნდა ვქნა. გადავწყვიტე მოვიცადო, ვფიქრობ მანქანას დაინახავს და გამოვა ქუჩაში. მოტორს ვუჩხიკინებ, ვითომ რამეს ვაკეთებ. ცალი თვალი ჭიშკრისაკენ მაქვს. დიდხანს არ დამჭირდა ცდა. ჭიშკარი გაიღო, გამოვიდნენ დედამისი და ვიღაც შავწვერა ძორძოხი მოხუცი, ორი დაბამბული ხალათი მოუსხამს, ქვედა პლუშისა, ზედა კი ველვეტისა, ხელში მშვენიერი მათრახი უჭირავს. ჭარხალივით გაწითლებულა — ეტყობა, ეს-ეს არის ჩაის სვამდა. ცხენთან მივიდნენ. ასელის დედამ პატივისცემის ნიშნად უზანგი დაუჭირა, მოხუცს დაეხმარა უნაგირზე წამოყუდებულიყო. გამოირკვა, რომ მაჭანკალს აცილებდა.

— ძალიან კმაყოფილი ვართ თქვენით! — უთხრა მან. — ჩვენი იმედიც გქონდეთ. ‘ქალიშვილისათვის არაფერს დავინანებთ. ღვთის მადლით, არც ჩვენ ვართ ხელცარიელები.

— ეე, ბაიბიჩე, ნაწყენი არ დაგრჩებით, — უპასუხა მოხუცმა და თან მოხერხებულად ჩაჯდა უნაგირში, — ღმერთმა ჯანმრთელობა არ მოაკლოს ახალგაზრდებს. რაც შეეხება ქონებას, სხვისთვის ხომ არ გვინდა, ჩვენი ბავშვებისათვის. პირველად ხომ არ ვუნათესავდებით ერთმანეთს, კარგად იყავი, ბაიბიჩე, მაშ ასე, გადაწყვეტილია — პარასკევს!

— აუცილებლად, პარასკევს გელით, წმიდა დღეა. ბედნიერი მგზავრობა. მძახლები მომიკითხე.

„რომელ პარასკევზე ლაპარაკობენ? — ვფიქრობ. — რა დღეა დღეს? ოთხშაბათი... ნუთუ პარასკევს წაიყვანენ? ეჰ, სადამდი უნდა გვიფუჭებდნენ ცხოვრებას ეს ძველი ადათები“.

მოხუცმა მთებისაკენ წააძუნძულა ცხენი. ასელის დედამ დაიცადა, სანამ ის საკმაოდ არ მოგვშორდა, მერე მომიბრუნდა და მტრულად შემათვალიერა:

— შენ რაღაც ძალიან შემოგვეჩვიე! — მითხრა მან. — ‘ქარვასლა ხომ არ გგონია. შენ აქ არაფერი გესაქმება! — წადი, გესმის? შენ გელაპარაკები!

— მაშასადამე, უკვე შემამჩნია.

— მანქანა გამიფუჭდა! — ჯიუტად ჩავიბუზღუნე და ახლა

უკვე წელამდე ჩავძვერი კაპოტში. არა, — ვფიქრობ, — არსადაც არ წავალ, სანამ ასელს არ ვნახავ.

ქალმა იბუზღუნა და წავიდა.

მოტორს თავი მივანებე. საფეხურზე ჩამოვჯექი. პაპიროსს მოვუკიდე. საიდანღაც პატარა გოგონამ მოირბინა. ასკინკილათი შემოუარა მანქანას. ასელს ჩამოგავს, ნეტავ მისი და ხომ არაა?

— ასელი წავიდა, — მეუბნება, თვითონ კი დახტის.

— სად? — დავიჭირე გოგონა. — სად წავიდა?

— მე რა ვიცი! გამიშვი! — გამიძვრა ხელიდან და გამოთხოვების ნიშნად ენაც გამომიყო.

კაპოტს თავი დავახურე, საჭეს მივუჯექი. საით წავიდე, სად ვეძებო? არადა დროა დავბრუნდე. მანქანა მოვატრიალე, მოვჩოჩავ გზაზე, ტრამალში გავედი. გავაჩერე არხზე გადასასვლელთან. რა უნდა ვქნა, წარმოდგენა არა მაქვს. კაბინიდან გადმოვედი, მიწაზე გავგორდი. საზიზღარ ხასიათზე ვარ. ასელი ვერ ვნახე, რეისიც ჩავაგდე. დაბრუნება გვიანაა. სულერთია ერთხელ მეტად ხომ ვერ დამსჯიან. რაც იქნება იქნება. ჩავფიქრდი, ვერც ვერაფერს ვხედავ და არც არაფერი მესმის. რამდენ ხანს ვიწექი ასე არ მახსოვს. ალბათ, დიდხანს, შემდეგ თავი ავწიე, რატომ, აქამდე ვერ ამიხსნია. ვხედავ მეორე მხრიდან მანქანასთან ქალიშვილის ფეხები შეჩერდა მაღალქუსლიანი ტუფლებით. ის არის, უცებ ვიცანი. ისე გამეხარდა, მუხლებზე წამოვიწიე, ადგომას ვეღარ ვახერხებ. და ყველაფერი ეს, ისევ იმ ადგილზე ხდება, სადაც პირველად შევხვდით ერთმანეთს.

— გაიარე, გაიარე, ბებია! — ვეუბნები „ტუფლებს", თან მანქანის ქვეშიდან ვიყურები.

— მე ბებია არა ვარ! — ამბობ მხარი ასელმა.

— მაგ ვინა ხარ?

— ქალიშვილი!

— ქალიშვილი? ლამაზი?

— შენც ადექი და შემომხედე.

ორივემ ერთად გავიცინეთ. წამოვხტი და მისკენ გავიქეცი,

ის კი ჩემსკენ. შევჩერდით ერთმანეთის პირისპირ. ბედნიერებისაგან ბავშვებივით ვიცინით.

— ყველაზე ლამაზი ხარ! — ვეუბნები. ის კი დგას, როგორც ნორჩი ჩინარი ქარში, აშოლტილი, მოქნილი, მოკლე სახელოებიანი კაბა აცვია, ხელში ორი წიგნი უჭირავს.

— რა იცოდი, რომ აქ ვიყავი?

— ბიბლიოთეკიდან მოვდიოდი, ვხედავ, გზაზე შენი მანქანის ნაკვალევია.

— რას ამბობ?—ჩემთვის ეს უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე სიტყვა „მიყვარხარ". გამოდის, რომ ის ჩემზე ფიქრობდა და მე მისთვის ძვირფასი ვარ, თუ ჩემი მანქანის ნაკვალევსაც არ-ჩევს. მარცხენა უკანა ბორბალზე ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საბურავი მქონდა წამოგებული.

— აქეთ გამოვიქეცი, რატომღაც ვიფიქრე, აქ იქნებოდი. ეე ხელზე მოვკიდე ხელი.

— დაჯექი, ასელ, გავისეირნოთ.

იგი სიამოვნებით დამთანხმდა. მე მას ვერ ვცნობდი. ვერც ჩემს თავს ვცნობდი. ყველა ფიქრი და მწუხარება თითქოს სადღაც გაჰქრა. ვიყავით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ბედნიერება, ცა და გზა. გავაღე კაბინის კარები, დავსვი ასელი და თვითონ საჭეს მივუჯექი.

ჩვენ მივდიოდით. უბრალოდ მივყვებოდით გზას. არ ვიცოდით საით, რისთვის. მაგრამ ამას ჩვენთვის არც ჰქონდა მნიშვნელობა. ბედნიერები ვიყავით იმით, რომ ერთმანეთის გვერდით ვისხედით, თვალი თვალს ხვდებოდა და ხელი ხელს. ასელმა გამისწორა ჯარისკაცური ქუდი. (მე მას ორი წელი ვატარებდი).

— ასე უფრო გიხდება! — მითხრა და ალერსიანად მომეკრა მხარზე.

მანქანა ჩიტივით მიჰქროდა ტრამალზე. მთელი სამყარო ამოძრავებულიყო. ჩვენს შესახვედრად მორბოდნენ მთები, ველები, ხეები... ქარი სახეში გვცემდა — ჩვენ ხომ წინ მივდიოდით, მზე იმიტომ ანათებდა ცაზე, რომ ჩვენ ვიცინოდით, ჰაერში აბზინდისა და ტიტების სურნელი იმიტომ იდგა, რომ ჩვენ გაშლილი მკერდით ვსუნთქავდით...

ტრამალის ძერა, განმარტოებულ კუნბეზის[1] ნანგრევებზე რომ იჯდა, წამოფრინდა, ფრთები გაშალა და გზას გაჰყვა ფრენით, თითქოს გვეჯიბრებაო.

ორი მხედარი შეშინებული გვერდზე გახტა. შემდეგ კი საშინელი ღრიალით გამოგვეკიდა:

ეი-ი, გაჩერდით! — მათრახს სცემდნენ ისედაც ისარივით მოწყვეტილ ცხენებს. ვინ იყვნენ, არ ვიცი. შეიძლება ასელის აულიდან იყო ვინმე. ჩვენ ისინი სწრაფად მოვიტოვეთ უკან, გზაზე წამომდგარი მტვრის ღრუბლებში.

წინ მიმავალმა ორთვალამ გზიდან გადაუხვია. ქალ-ვაჟი წამოდგა. ჩვენ რომ დაგვინახეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ და მისალმების ნიშნად ხელი დაგვიქნიეს.

— გმადლობთ! — დავუყვირე მათ კაბინიდან.

ტრამალი დამთავრდა, შარაგზაზე გამოვედით, ბორბლების ქვეშ ასფალტი ახმაურდა.

გზას ტბისაკენ მივყავდით. გზიდან გადავუხვიე და პირდაპირ ყამირზე ბუჩქებსა და ბალახებზე შევაგდე მანქანა, მივაქროლებდი ნაპირისაკენ. ბორცვთან გავაჩერე, ზედ ნაპირზე.

ო, ისიკ-ყული, ყირგიზეთის მიწის მარადიული სიმღერა. განა შეძლება არ დაიჯერო, რომ ეს ტბა მიჯნურთა ლეგენდებმა და სიმღერებმა შეჰქმნეს. იგი ამ წუთში ლაჟვარდს ეჯიბრებოდა თავისი სიკამკამითა და ფერადოვნებით.

მოლურჯო-თეთრი ტალღები თითქოს ხელიხელჩაკიდებულნი აწყდებოდნენ ყვითელ ნაპირებს. მზე მთებს იქით ჩადიოდა და შორს წყალი ვარდისფერი გეგონებოდა. მეორე მხარეს, ისიც სადღაც შორს იასამნისფრად იხედებოდა თოვლიანი მთების გრეხილი და ტყვიისფერი ღრუბლები იყრიდნენ თავს მათ მწვერვალებზე.

— ასელ, შეხედე! გედები! — ვიყვირე მე. გედები ისიკ-ყულიზე მხოლოდ შემოდგომობით იცის, ისინი აქ იზამთრებენ. იშვიათად თუ მოხვდებიან გაზაფხულზე. ამბობენ, ესენი სამხ-

---

[1] კუნბეზი — საფლავის ქვა.

რეთის გედებიაო, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიფრინავენ. იმასაც ამბობენ, რომ მათ ბედნიერება მოაქვთო...

თეთრი გედების გუნდი საღამოს ტბის სარკეზე დასრიალებდა, ფრინველები ხან ზევით აიჭრებოდნენ, ხან კი ფრთებგაშლილნი დაბლა ეშვებოდნენ. წყალზე ჯდებოდნენ, ხმაურით ფანტავდნენ აქაფებულ წყლის შხეფებს და ისევ აფრინდებოდნენ. შემდეგ მწკრივად დაეწყვნენ, ერთად გაშალეს ფრთები და ყურესთან მდებარე ქვიშიანი ფერდობისაკენ გასწიეს ღამის გასათევად.

ჩვენ კაბინაში ვიჯექით და მდუმარედ გავცქეროდით ტბას. და შემდეგ, მე ვთქვი, ისე თითქოს უკვე ყველაფერი გადაგვეწყვიტოს.

— ხედავ სახურავებს, ნაპირზე, აი იქ, ჩვენი ავტობაზაა. ეს კი — ხელით ვანიშნე კაბინაზე — ეს ჩვენი სახლია! — ვთქვი და გავიცინე. მეტი გზა არ მქონდა, არ მეგულებოდა ადგილი, სადაც მისი წაყვანა შემეძლო.

ასელმა თვალებში შემომხედა, მკერდზე მომეკრა, ხელები მომხვია, თან ტირის, თან იცინის:

ჩემო ძვირფასო, საყვარელო! — არ მინდა არც სახლი, არც კარი! ოღონდ დედამ და მამამ, შემდეგ, როცა იქნება, გამიგოთ და მაპატიონ. ეწყინებათ მათ. მომიძულებენ სამუდამოდ, ვიცი... მაგრამ განა დამნაშავე ვარ?

სწრაფად ბნელდებოდა. ცაზე ღრუბლები გაიშალნენ და ტბაზე ჩამოწვნენ. ტბა გაირინდა, გაშავდა. იფიქრებდი მთებში ელექტროშემდუღებელი ჩამჯდარაო, ხან აქ იელვებს, თვალს მომჭრის და ჩაქრება, ხან იქ. ჭექა-ქუხილი ახლოვდებოდა; ტყუილად კი არ შემოუხვიეს აქეთ გედებმა. წინასწარ იგრძნეს, რომ ავდარს მათთვის შეეძლო მთათა მწვერვალებზე მოესწრო.

დაიქუხა. წამოვიდა შხაპუნა წვიმა. აბუტბუტდა, ათუხთუხდა ტბა და გაბრაზებული მიაწყდა ნაპირებს. ეს გაზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილი იყო.

ეს იყო ჩვენი პირველი ღამე. კაბინის შუშებზე წყალი ნაკადულებად ჩამოდიოდა. ტბის შავ უკუნეთ ზედაპირს ეხეთქებოდა ელვის მოთამაშე სხივები. ჩვენ კი ჩავეკარით ერთმანეთს და ვჩურჩულებდით, ვგრძნობდი, რომ ასელი ცოტათი შეში-

ნებული იყო, ან სიცივეს აეტანა. ჩემი პიჯაკი მოვახურე და უფრო მაგრად მივიკარი მკერდზე, თავი წარმოვიდგინე ძლიერ, დიდ ადამიანად. არ ვიცოდი თუ ამდენი ალერსი შემეძლო, არც ის ვიცოდი, რომ ასე კარვია ზრუნავდე ვინმეზე, უფრთხილდებოდე. ყურში ჩავჩურჩულე: „არასდროს არავის არ მივცემ უფლებას რამე გაწყენინოს შენ, ჩემო წითელთავსაფრიანო ჩინარო!“

მალე გამოიდარა. მაგრამ აბობოქრებული ტბა კიდევ დიდხანს ახმაურებდა ტალღებს, ისევ ყინჟღლავდა.

კაბინის ნიშიდან პატარა ტურისტული რადიომიმღები ამოვიღე — მთელი ჩემი ქონება იმხანად. მიყვარს მუსიკა, ამიტომ მიმღები მუდამ თან დამქონდა. ჩავრთე, ტალღაზე დავაყენე. ახლა ასე მაგონდება, იმ ღამეს გადმოსცემდნენ ბალეტ „ჩოლპონს“, ტრანსლაცია იყო თეატრიდან. მთებისა და ქედების იქიდან კაბინაში შემოიჭრა მუსიკა, ნაზი და ძლიერი, როგორც სიყვარული, და რაზეც ეს ბალეტი მოგვითხრობდა. დარბაზი ქუხდა, ტაშს უცრავდნენ, ყვიროდნენ შემსრულებელთა გვარებს, შეიძლება ყვავილთა თაიგულებსაც ჰყრიდნენ ბალერინების ფერხთით, მაგრამ, მე ვფიქრობ, არავის თეატრში მჯდომთაგან არ განუცდია იმდენი აღფრთოვანება და მღელვარება, რამდენიც ჩვენ — კოკისპირულ წვიმაში, აბობოქრებულ ტბის ნაპირთან კაბინაში მჯდომთ. ეს იყო ჩვენი ბალეტი, ჩვენი ერთად ცხოვრების პირველ ღამეს. ჩვენ მხურვალედ განვიცდიდით ბედს იმ გოგონასას, რომელსაც ჩოლპონი ერქვა, და რომელიც თავისი ბედნიერების საძებნელად წავიდა. ჩემი ჩოლპონი, ჩემი ცისკრის ვარსკვლავი ჩემთან იყო. შუაღამისას მას ჩემს მხარზე ჩაეძინა. მე კი დიდხანს ვერ დავმშვიდდი, ვეალერსებოდი ასელს და ვუსმენდი, როგორ ოხრავდა და ბუტბუტებდა მოუსვენარი ისიკ-ყული.

დილით ავტობაზაში ვიყავით. მაგრად შემახურეს. მაგრამ ასეთი ამბის გამო, მაპატიეს. შემდეგშიც დიდხანს იცინოდნენ, როცა იგონებდნენ როგორ გავრბოდი მე ჩემი მანქანით.

ჩინეთში მიწევდა წასვლა. ასელიც თან წავიყვანე, ვფიქრობდი გზაზე დავტოვებდი ჩემს მეგობარ ალიბეკ ჯანტურინთან. იგი ოჯახით საუღელტეხილო ბაზაზე, ნარინის მახლობლად

ცხოვრობდა. ეს არც ისე შორსაა საზღვრიდან. მიყვარდა ხოლმე მათთან გავლა. ალიბეკის ცოლი კარგი ქალია და მას პატივს ვცემდი.

წავედით. პირველ რიგში ასელისათვის გზისპირა მაღაზიაში ტანსაცმელი ვიყიდეთ. მას ხომ თან ერთადერთი კაბა და ბიბლიოთეკის ორი წიგნი გამოჰყვა. სხვათაშორის, ვიყიდეთ ფერადი თავსაფარი და სწორადაც მოვიქეცით. პირველი ვინც გზაზე შეგვხვდა იყო ხანში შესული შოფერი, ჩვენი აკსაკალი ურმატაკე. მან ჯერ კიდევ შორიდან გვანიშნა შევჩერებულიყავით. დავამუხრუჭე. კაბინებიდან გადმოვედით და ერთმანეთს მივესალმეთ:

— ასალოუ-მალეიკუმ, ურმატ-აკე!

— ალეკიმ-ასალამ, ილიას! — მტკიცე იყოს საბელი იმ მიმინოსი, რომელიც შენს ხელზე დაჯდა! — მომილოცა მან წესის მიხედვით. ღმერთმა მოგცეთ ბედნიერება და ბავშვები!

— გმადლობთ! როგორ გაიგეთ, ურმატ-აკე? — გამიკვირდა მე.

— ე-ე, ჩემო შვილო, კარგ ამბავს ფრთები აქვს, მთელ ტრასაზე გადასცემენ ერთმანეთს...

— აი, როგორ ყოფილა საქმე! — კიდევ უფრო გამიკვირდა მე.

ვდგავართ გზაზე და ვსაუბრობთ, ურმატ-აკე მანქანასთან არ მიდის, არც კი უყურებს ასელს. კიდევ კარგი ასელმა მოიფიქრა: თავსაფარი მოიხვია, სახე დაიფარა. მაშინ ურმატ-აკემ კმაყოფილებით გაიღიმა:

— ახლა ყველაფერი რიგზეა! — თქვა და კაბინასთან მივიდა, ასელს შეხედა. — გმადლობთ, შვილო, პატივისცემისათვის. ამიერიდან შენ ჩვენი რძალი ხარ, ავტობაზის ყველა აკსაკალის რძალი. ისინი კიდევ შეგხვდებიან გზაზე. აიღე ილიას, პატარძალს მუქთად არ უყურებენ — მითხრა და ფული მომაწოდა. უარი ვერ ვუთხარი, ეწყინებოდა.

ჩვენ დავშორდით. ასელი თავსაფარს არ იშორებდა, როგორც ეს პატარძლის რიგია ნამდვილ ყირგიზულ სახლში, მორცხვად იფარავდა ხოლმე სახეს უცხოებთან შეხვედრისას.

როცა მარტონი ვრჩებოდით, ვიცინოდით. თავსაფარში ქეასელი კიდევ უფრო ლამაზი მეჩვენებოდა.

ავტობაზის რძალო, ასწიე თვალები, შემომხედე და მაკოცე! — ვეუბნებოდი მე.

— არ. შეიძლება, აკსაკალები დაგვინახავენ, — პასუხს მაძლევდა იგი და უკვე სიცილით, ვითომც მალულად მკოცნიდა.

რაც უფრო შორს მივდიოდით, გზა უფრო საინტერესო ხდებოდა. ავტობაზის ყველა შოფერი ჩვენთან შეხვედრისას მანქანას აჩერებდა, გვილოცავდა. ბევრ მათგანს ჩვენს მოსართმევად ყვავილების დაკრეფაც მოესწრო გზაზე და საჩუქრებიც ეშოვნათ. არ ვიცი ვის მოუვიდა თავში პირველად ეს იდეა. ალბათ, ადგილობრივ ჩვენ რუს ბიჭებს. ისინი ქორწილის დროს მანქანებს რთავენ. და აი ჰკიდებდნენ ჩვენს მანქანაზე წითელ, ცისფერ, მწვანე ბაბთებს, აბრეშუმის თავსაფრებს, ყვავილთა თაიგულებს. აჭრელდა, ნაირფერებით მოირთო ჩვენი მანქანა, ისე რომ ალბათ ათობით კილომეტრზე შეამჩნევდით. მე და ასელი ბედნიერები ვიყავით. გულში ვამაყობდი ჩემი მეგობრებით. ამბობენ, რომ მეგობარს ჭირში გამოიცნობო, ჩემის აზრით კი ლხინშიც.

გზაზე შემოგვხვდა ალიბეკ ჯანტურინიც, ჩემი ყველაზე უახლოესი მეგობარი. იგი ჩემზე ორი წლით უფროსია. ჯმუხი, დიდთავა. ჭკვიანი ბიჭია, სერიოზული და კარგი შოფერიცაა. ბაზაში დიდ პატივს სცემდნენ, პროფკომად აირჩიეს. ვფიქრობ, ნეტავ რას მეტყვის-მეთქი.

ალიბეკმა უხმოდ შეხედა ჩვენს მანქანას და თავი გადაიქნია, შემდეგ ასელთან მივიდა, მიესალმა, ხელი ჩამოართვა და მიულოცა.

— აბა, მომეცი შენი საგზური! — მოითხოვა მან. მე არ მოველოდი ასეთ შეხვედრას. ვერაფერი გამეგო, საგზური ამოვიღე და მივეცი. მან ავტოკალამი აიღო და დიდი ასოებით მთელ საგზურზე დიაგონალურად დააწერა: „საქორწინო რეისი, № 167“ — საგზურის ნომერი.

რას შვები? — დავიბენი მე, — ეს ხომ საბუთია.

— საჭიროა ისტორიისათვის! — გაიცინა მან. — შენ როგორ გგონია, ბუხჰალტერიაში ხალხი არ ზის? აბა, ახლა მომე-

ცი ხელი! — მაგრად მომეხვია, მაკოცა. ავხარხარდით. შემდეგ წავედით ჩვენ-ჩვენი მანქანებისაკენ, მაგრამ ალიბეკმა შემაჩერა:

— ცხოვრებას სად აპირებთ?

მე ხელები გავშალე.

— აი, ჩვენი სახლი! — ვუჩვენე მანქანაზე.

— კაბინაში? იქნებ ბავშვებსაც მანდვე გაზრდით? აი რა, ჩასახლდით ჩვენს ბინაში უღელტეხილზე, ბაზაში უფროსებს მე მოველაპარაკები, ჩვენ კი ჩვენს სახლში გადავალთ.

— კი, მაგრამ დაუმთავრებელი რომაა? — ალიბეკი რიბაჩიეში იშენებდა სახლს, ავტობაზის მახლობლად. თავისუფალ დროს მეც მივდიოდი და ვეხმარებოდი ხოლმე.

— არაფერია! იქ რაღა დარჩა გასაკეთებელი. მეტის იმედი კი ნუ გექნება, თვითონ იცი, ჯერ ბინები გვიჭირს.

— დიდი მადლობა! ჩვენ მეტი არც გვჭირდება.

— ერთი სიტყვით, ჩვენთან გაჩერდით, უკან რომ დაბრუნდები, დამიცადე. მოგისწრებ, იქვე გადავწყვეტთ ყველაფერს, ცოლებთან ერთად! — მან ასელზე მანიშნა.

დიახ, ახლა — ცოლებთან ერთად!

— ბედნიერი საქორწინო მოგზაურობა! — მოგვაძახა ალიბეკმა.

— დალახვროს ეშმაკმა! ჩვენ ვერც კი მოვიფიქრეთ, რომ ეს ჩვენი საქორწინო მოგზაურობაა! და მერე როგორი!

ძალიან გვიხაროდა, რომ ყველაფერი კარგად მოეწყო; მხოლოდ ერთმა შეხვედრამ გამიფუჭა ხასიათი.

გზაზე, ერთი მოსახვევიდან ჯანტაის მანქანა გამოვარდა. იგი საიდანღაც მოდიოდა, ყოველ შემთხვევაში არა რეისიდან. მარტო არ იყო. კაბინაში კადიჩა ეჯდა. ჯანტაიმ ხელი დამიქნია. ადგილზევე დავამუხრუჭე. მანქანები თითქმის გვერდი-გვერდ გაჩერდნენ. ჯანტაიმ კაბინიდან თავი გადმოჰყო:

— შენ რა ისე მოგირთავს მანქანა გეგონება ქორწილიაო?

— ასეც არის! — ვუპასუხე მე.

— არაა? — უნდობლად გასჭიმა და კადიჩას შეხედა. — ჩვენ კი შენ გეძებთ — წამოსცდა მას.

კადიჩა კი, როგორც იჯდა, ისევე დარჩა, გაფითრებული, დაბნეული.

— საცოლეც თან გახლავს? — მხოლოდ ახლა მიხვდა ჯანტაი.

— არა, ცოლი, — მივუგე მე და ასელს მხრებზე მოვხვიე ხელი.

— რას ამბობ? — და ჯანტაიმ კიდევ უფრო გადმოკარკლა თვალები, არ იცოდა გახარებოდა თუ არა. — მოგილოცავ, გულით გილოცავ...

— გმადლობთ!

ჯანტაიმ უწმინდურად გაიღიმა:

— დიდი ეშმაკი ხარ! უყალიმოდ დაითრიე?

— სულელო! — ვუთხარი და მანქანა დავძარი.

აი უწმინდური კაცი! არიან ასეთებიც. მინდოდა კიდევ ერთი შემეკურთხებინა მისთვის, როგორც საჭირო იყო. კაბინიდან გადმოვიხედე: წინ მარცხნივ მოსახვევი და აღმართი იყო. ვხედავ, ჯანტაი მანქანასთან დგას, ცალ ხელს ყბაზე ისვამს, მეორეთი კი კადიჩას ემუქრება. ის კი მირბის სადღაც, გზის გადაღმა—მინდორში. ირბინა, ირბინა, შემდეგ კი მოწყვეტით დაეცა მიწაზე და ხელებით დაიფარა სახე. მე არ ვიცი რა მოხდა იქ მათ შორის, მაგრამ ძალიან შემეცოდა კადიჩა, ისე თითქოს მე ვყოფილიყავი მასთან დამნაშავე. ასელისთვის არაფერი მითქვამს. არ მინდოდა მისთვის ხასიათი გამეფუჭებინა.

ერთი კვირის შემდეგ პატარა ბინაში ჩავსახლდით, უღელტეხილზე, სადაც ჩვენამდე ალიბეკი ცხოვრობდა ოჯახით.

ჩვენი სახლი პატარა იყო: წინკარი და ორი პაწაწინა ოთახი. ასეთი სახლები უღელტეხილზე რამდენიმეა, მასში ჩვენი შოფრები და მუშები ცხოვრობენ. სამაგიეროდ ადგილია კარგი, გზასთან, ზედ ნარინის სიახლოვეს. რაც არ უნდა იყოს გვერდით საოლქო ცენტრია. კინო, მაღაზიები, საავადმყოფო... კიდევ იმით არის კარგი, რომ საუღელტეხილო ბაზა ზედ შუა გზაზეა. ჩვენ ძირითადში რიბაჩიედან სინძიანში დავდიოდით. უკან დაბრუნებისას შემეძლო სახლში შევჩერებულიყავი, დამესვენა, ღამე გამეთია. თითქმის ყოველდღე შინ ვიყავი. გზაზე რომ შემგვიანებოდა კიდეც, შუაღამეზე მაინც შინ მივდიოდი. ჩემს მისვლამდე ასელი არ წვებოდა, მიცდიდა.

ჩვენ უკვე შევიძინეთ ზოგი რამ, რაც ოჯახისთვის იყო საჭირო. ერთი სიტყვით, ცხოვრება თანდათან აეწყო. გადავწყვიტეთ, რომ ასელიც დაიწყებდა მუშაობას. თვითონ სურდა ასე: აულში გაიზარდა, მუშაობას შეჩვეული იყო, მაგრამ შოულოდნელად, ჩვენდა სასიხარულოდ, გავიგეთ, რომ იგი დედა უნდა გამხდარიყო. რატომღაც ეს ჩვენ გვიან გავიგეთ. იმ დღეს, როცა ასელს უნდა ემშობიარა, მე ჩინეთიდან ვბრუნდებოდი. ვჩქარობდი, ვღელავდი. ასელი სამშობიაროში იწვა. ჩამოვდივარ—ვაჟი! მე მასთან არ მიშვებენ, რა არ ვუმტკიცე. არაფერი გამოვიდა. დავჯექი მანქანაზე და მთებისაკენ გავაქროლე, თავის შეკავება ვერ მოვახერხე. მივერეკებოდი რაც შემეძლო. ზამთარი იყო. ირგვლივ კლდეები და თოვლია. თვალები მიჭრელდებოდა: შავი და თეთრი, შავი და თეთრი. ავვარდი დოლონის უღელტეხილის თხემზე: ძალიან მაღლა ვარ. ღრუბლები მიწაზე დასცურავენ, მთები კი ქვევით ჯუჯებივით ჩანან, არადა არც ისინი არიან პატარა. გადმოვხტი კაბინიდან. მივირბინე უფსკრულის პირთან, ღრმად ჩავისუნთქე და ავღრიალდი რაც შემეძლო:

— ე, ეი-ი, მთებო! ვაჟი მყავს, ვაჟი!

მომეჩვენა, რომ მთები შედრკნენ. ჩემი სიტყვები გაიმეორეს. დიდხანს ჰქუხდა ექო, ტალღასავით გადადიოდა ხეობიდან ხეობაში.

ბიჭს სამატი დავარქვით. მე შევურჩიე სახელი. სულ იმაზე ვლაპარაკობდით: სამატი, ჩვენი სამატი, სამატმა გაიღიმა, სამატს კბილები ამოსდის. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ახალგაზრდა მშობლებს შეეფერებათ.

ძალიან მეგობრულად ვცხოვრობდით, გვიყვარდა ერთმანეთი, შემდეგ კი, ცოტა მოგვიანებით დაიწყო ჩემი უბედურება.

* * *

ახლა ძნელი გასარკვევია საიდან მოვიდა ჩემი უბედურება. ყველაფერი აირია, თავდაყირა დადგა... მე კი ვიცი საიდანაც, მაგრამ რას მშველის.

იმ კაცს ჩვენ არასოდეს არ შევხვედრივართ და ის აქ არა-

ფერ შუაშია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არც მან და არც მე არ ვიცოდით ქვეყნად მეორის არსებობის შესახებ. ერთხელ შემთხვევით შევეყარეთ ერთმანეთს და დავშორდით, ეჭვადაც არ გაგვივლია, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა არ იყო. ეს არის და ეს.

გვიან შემოდგომაზე რეისში წავედი. საზიზღარი ამინდი იდგა. წვიმდა თუ თოვდა ვერ გაიგებდი. მთებში ნისლი ჩამოწოლილიყო. მთელი გზა შუშის საწმენდები ჩართული მქონდა, მინები იორთქლებოდა, უკვე შორს ვიყავი მთებში, სადღაც დოლონის უღელტეხილთან.

დოლონი, დოლონი, ტიან-შანის ურჩხული! ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მაკავშირებს მასთან. ყველაზე რთული, ყველაზე სახიფათო მონაკვეთი ტრასაზე. გზა სერპანტინებით მიდის, მარყუჟივითაა დახვეული და სულ მაღლა მიძვრები სადღაც ცაში, ღრუბლებს ბორბლებით აბიჯებ, ხან საჯდომზე ხარ მიკრული, ვერ წამოიწევ, ხან კი მკლავებით აწვები საჭეს, ზედ რომ მკერდით არ მიეკრა. ამინდიც ხომ ცუდ აქლემს მოგაგონებს. დოლონისთვის სულ ერთია — ზამთარია თუ ზაფხული. უცებ წამოუშენს სეტყვას, წვიმას, ან ისეთ თოვლიან ქარბორბალას დაატრიალებს, რომ ერთ ნაბიჯზე ვერაფერს დაინახავ. ასეთია ჩვენი ჭაღარა დოლონი. მაგრამ ჩვენ, ტიანშანელები, შევეჩვიეთ მას, ღამითაც კი დავდივართ. ასე ახლა ვლაპარაკობ, თორემ როცა ყოველდღე გიწევს მუშაობა ამ გზებზე, ამაზე არ ფიქრობ.

ერთ ხეობაში, დოლონის მახლობლად საბარგო მანქანას დავეწიე. ზუსტად მახსოვს ГАЗ-51-ს. უფრო ზუსტად, კი არ დავეწიე, ის იდგა, ადგილიდან არ იძროდა. ორი კაცი რაღაცას უჩხიკინებდა მოტორს. ერთი იმათთაგანი აუჩქარებლად გამოვიდა შუა გზაზე და ხელი ასწია. მე დავამუხრუჭე, ცოტა წინ წავედი, რომ გზა არ გადამეკეტა. მოვიდა ჩემთან კაპიშონწამოხურული კაცი, ტანზე ბრეზენტის სველი ლაბადა აქვს მოსხმული. ასე ორმოცს მიღწეული იქნება, გაბარდნილი, ჯარისკაცური ულვაშებით და მოღუშული, მკაცრი სახით, თვალები კი მშვიდად გიყურებენ.

—მიგვიყვანე, ჯიგიტო, საგზაო უბანზე,—მეუბნება,—ტრაქ-ტორი წამოვიყვანო, მოტორმა გვიმტყუნა!

— რომელთან? — შევეკითხე, იმიტომ რომ საგზაო-სარე-მონტო უბანი ბევრია. თითქმის ყოველ 15 — 20 კილომეტრზეა.

— დოლონისაზე, ვიდრე მეტეოსადგურამდე მივიდოდეთ. მეტეოსადგური უღელტეხილის ყველაზე მაღალ ადგილა-საა, საგზაო უბანი კი ცოტა ქვევით, ასე შვიდი კილომეტრით, შესაყართან, ოდნავ გზის გვერდით.

დაჯექით, — ვეუბნები, —მიგიყვანთ. თუმცა, შეიძლება ჩვენ თვითონ მოვიფიქროთ რამე? — ვაძლევ წინადადებას და კაბი-ნიდან გადმოვდივარ. მე მომინდა დავხმარებოდი ამ ხალხს, რომ დაბნელებამდე არ ეჯაყჯაყათ ტრაქტორზე. უბრალოდ გზის მუშაკებისადმი პატივისცემის ნიშნად: ისინი ხომ ჩვენ-თვის შრომობენ.

— რას მოიფიქრებ, ხმას არ იღებს, — ნაღვლიანად შემე-პასუხა შოფერი და გახსნილი კაპოტი დახურა. თვითონ საცო-დავი სულ გალურჯებულია, გაყინული, სიცივისაგან მოკრუნჩ-ხული. ეტყობა ჩვენებური არაა, ალბათ დედაქალაქიდანაა, დაბნეული იყურება აქეთ-იქით. ფრუნზედან მოჰქონდათ უბან-ში რაღაც. რა გავაკეთო? — ვფიქრობ და უცებ მოვიფიქრე. მაგრამ ჯერ უღელტეხილს შევხედე. ცა იქ ჩამუქებულია, ამღვ-რეული, ღრუბლები დაბლა ჩამოწოლილან. მაინც გადავწყვი-ტე. დიდი არაფერი იდეა იყო, მაგრამ ჩემთვის იგი მთელ რე-ვოლუციას უდრიდა.

— მუხრუჭების საქმე როგორა გაქვს? — ვეკითხები შო-ფერს.

ერთი შენცა ხარ... რა, უმუხრუჭოდ ვივლი, თუ! გითხა-რი მოტორი...

— ტროსი გაქვს?

— მაქვს!

— მოიტანე, მივაბათ.

ისინი გაკვირვებით მომაშტერდნენ, ადგილიდან არ დაიძრ-ნენ.

— შენ რა ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — წყნარად ჩაილაპა-რაკა შოფერმა.

მე ასეთი ხასიათი მაქვს. არ ვიცი ცუდია თუ კარგი. თუ თავში რაიმე აზრი მომივიდა, ვენთები, მოვკვდები, მაგრამ ჩემსას გავაკეთებ. შოფერთან მივვარდი, ვეხვეწები:

— გესმის, მეგობარო, მივაბათ! სინდისს ვფიცავარ — აგიყვან!

— თავი დამანებე! — ხელი ჩაიქნია მან. შენ განა არ იცი, რომ აქ ბუქსირის წაყვანა არ შეიძლება. ფიქრადაც არ გავივლებ. წადი, ჯანდაბამდის გზა გქონია.

ისეთი ბრაზი მომივიდა, თითქოს რაღაც დიდ სათხოვარზე მითხრეს უარი.

— რა გელაპარაკო, ვირი ხარ, მშიშარა ვირი! — მოვბრუნდი და მივდივარ. — წამოდით! — დავუძახე გზის ოსტატს. მეორე გზის ოსტატი იყო, შემდეგ გავიგე.

— მოიცადე! — შემაჩერა გზის ოსტატმა. — მე შემომხედა და შოფერს უთხრა:

— მოიტანე ტროსი!

მან პირი დააღო და ოსტატს მიუბრუნდა:

— პასუხს თქვენ აგებთ! მანქანა თქვენს განკარგულებაშია, ბაითემირ-აკე.

— ყველანი ვაგებთ! — მოკლედ მოუჭრა მან.

— მე ეს მომეწონა. ასეთ კაცს თავიდანვე სცემ პატივს.

და ჩვენ წავედით, ორი მანქანა ერთმანეთზე ბუქსირით გადაბმული. თავიდან ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ დოლონს რომ მივაწიეთ, მოსახვევები დაიწყო, ხან ზევით მივდივართ, ხან ქვევით. მოტორი აკვნესდა, აყმუვლდა, ყურებში მხოლოდ მისი გუგუნი მესმის. არაფერი გამოგივა, ვეუბნები, უკანასკნელ წვეთამდე ამოგქაჩავ ყველაფერს. ადრეც მქონდა შემჩნეული, გზა დოლონზე მართალია ძნელია, მაგრამ წევის რაღაც რეზერვი მუდამ მრჩებოდა. ჩვენ ყოველთვის ფრთხილად ვტვირთავდით, ნორმის სამოცდაათ პროცენტზე მეტს არ ვუდებდით. ასეთი იყო მითითება. რა თქმა უნდა, იმ წუთში მე ამაზე არ ვფიქრობდი. იმის თავი არ მქონდა გამერკვია, რა როგორ იყო. რაღაც ძალა მამოძრავებდა, სპორტული აზარტის მსგავსი: შევეცადო, მოვახერხო, რადაც არ უნდა დამიჯდეს ჩემსას მივაღწიო. არავითარი სხვა მიზანი მე არ მქონდა, გარდა იმისა, რომ

დავხმარებოდი ადამიანებს, მანქანა დანიშნულ ადგილამდე მიეყვანათ. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ძაგძაგებს, ღრიალებს მანქანა, ფანჯრებს ტალახი ეკვრის, საწმენდები, ძლივს ასწრებს გასუფთავებას. საიდანღაც ღრუბლები გამოძვრნენ და პირდაპირ ბორბლებს ქვეშ წვებიან, გზას ფარავენ. დაიწყო დიდი დაკიდებული მოსახვევები. სადღაც, სულო შეგცოდე, და უკვე ვაგინებ ჩემს თავს. ეს რა საქმე ავიკიდე, ხალხი არ დავღუპო. მანქანაზე მეტად, ვგონებ, მე გავწვალდი. ყველაფერი გავიხადე, სათბური, პიჯაკი, სვიტრი, მოვიხადე ქუდი. ვზივარ ხალათში და ოფლად ვიღვრები, გეგონება აბანოში ვიყო. სახუმრო საქმე ხომ არ არის, მანქანა ბუქსირით მიმყავს, თანაც ზედ რაღაც ტვირთიც უდევს. კიდევ კარგი, რომ ბაითემირი საფეხურზე იდგა და ჩვენს მოძრაობას ათანხმებდა, მე მიყვირის, იმას კი ხელით ანიშნებს. როცა სერპანტინებზე დავიწყეთ ასვლა, ვიფიქრე, ვერ გაუძლებს, გადახტება-მეთქი, ის კი არც განძრეულა. დაიძაბა, როგორც მიმინო გაფრენის წინ და დგას, კაბინისთვის მაგრად ჩაუვლია ხელი. შევხედე, სახეზე არაფერი ემჩნევა, იფიქრებ ქვისაგანაა გამოთლილი, ულვაშებზე წვიმის წვეთები ეცემა — დავმშვიდდი.

ერთი დიდი აღმართი დაგვრჩა ასათავებელი და სიძნელე დაძლეული იქნება, ამ დროს ბაითემირი ფანჯარასთან დაიხარა და მითხრა:

ფრთხილად, წინ მანქანაა! მარჯვნივ აიღე.

მარჯვნივ ავიღე. მთიდან მანქანა ეშვებოდა. ჯანტაის მანქანა. ე-ე,—ვფიქრობ, მომხვდება უსაფრთხოების ინჟინრისაგან: ჯანტაის ენაზე რამე დაამაგრდება? თანდათან ახლოვდება, საჭისთვის ჩაუვლია ხელი. ძირს ეშვება, წარბებს ქვემოდან იხედება. ლამის ერთმანეთს გავეხახუნეთ, ხელით მივწვდით. როცა ერთმანეთს გავუსწორდით, ჯანტაიმ გამკიცხავად გაიქნია თავი, რომელზეც ყვითელი მელის ქუდი ეხურა. „ეშმაკმა წაგიღოს, — გავიფიქრე, — მოიფხანე ენა თუ გეხალისება“.

ავათავეთ აღმართი. ქვევით ციცაბო დაღმართია, შემდეგ დამრეცი გზა და უღელტეხილის უკანასკნელ მისასვლელთან მოსახვევი გზის ოსტატის ბაღისაკენ. იქეთ გავუხვიე. მაინც მოვიყვანე! გამოვრთე მოტორი და არაფერი მესმის, დავყრუვდი.

შეჩვენება, რომ დავყრუვდი და ირგვლივ ყველაფერი დამუნჯ-
და. არანაირი ხმა, მტკნარი სიჩუმე. გავიგე მხოლოდ, როგორ
ჩახტა ბაითემირი. ძლივს გადმოვედი კაბინიდან და იქვე კი-
ბეზე ჩავიკეცე. სუნთქვა მეკვრის, დავიღალე, თანაც უღელტე-
ხილზე ჰაერი გაიშვიათებულია. ბაითემირი მომვარდა, სათბუ-
რი მომახურა, თავზე ქუდი ჩამომაფხატა. ბარბაც-ბარბაცით
მოვიდა მეორე მანქანის შოფერი, ფერდაკარგული, გაჩუმებუ-
ლი. ჩემს წინ ჩაცუცქდა და სიგარეტი გამომიწოდა. ავიღე სი-
გარეტი, ხელები მიკანკალებს. ყველამ მოვწიეთ, გონს მოვე-
დით. ისევ ათამაშდა ჩემში ის ველური ძალა, რამაც ამ საქმის
გაკეთება გამაბედვინა.

— ჰა! — ვიყვირე მე. — ხედავ! — თან ისე დავკარი შო-
ფერს მხარზე ხელი, რომ ჩაჯდა. შემდეგ სამივენი წამოვხტით,
ერთმანეთს ზურგზე, მხრებზე ხელებს ვუბარტყუნებთ და ვხარ-
ხარებთ, ვყვირივართ რაღაც უაზროს, გვიხარია.

როგორც იქნა დავმშვიდდით, კიდევ მოვწიეთ. მე ჩავიცვი,
საათს დავხედე და ავჩქარდი:

— ჩემი წასვლის დროა! — ვამბობ.

ბაითემირი მოიღუშა:

— არა, შემოდი სახლში, ჩემი სტუმარი იქნები!

დრო წუთობით მაქვს გამოთვლილი.

— გმადლობთ! არ შემიძლია, შინ ცოლი მელოდება.

— იქნებ დარჩე? თითო ბოთლი დავლიოთ! — დამიწყო
ხვეწნა ახალმა მეგობარმა — შოფერმა.

— თავი დაანებე! — შეაწყვეტინა ბაითემირმა, — ცოლი
ელოდება. რა გქვია?

— ილიასი.

— წადი, ილიას. მადლობა, რომ გაჭირვებიდან გვიხსენი.

ბაითემირი კიბეზე დადგა და გზამდე გამაცილა. უჩუმრად
ჩამომართვა ხელი და ჩამოხტა.

მთაზე რომ ავდიოდი, კაბინიდან გამოვიხედე, ბაითემირი
ისევ გზაზე იდგა. ქუდი ხელში მოეკუჭა, თავი ჩაექინდრა და
რაღაცაზე ფიქრობდა.

ეს იყო და ეს, ასე დავშორდით.

მაგრამ ყველაფერმა ამან ტყუილად არ ჩამიარა. გავცივდი, სახლში მისვლისას ეს ვერც კი შევამჩნიე. სწრაფად ვისადილე. ასელისთვის დაწვრილებით არაფერი ამიხსნია. ვუთხარი მხოლოდ, გზაზე ხალხს დავეხმარე და ამიტომ შემაგვიანდა-თქო. ცოლს მე არაფერს ვუმალავდი, მაგრამ ამის მოყოლა ვფიქრობ არც იყო საჭირო. ის ისედაც ყოველთვის წუხდა ჩემს გამო. და გარდა ამისა, მე სულაც არ ვაპირებდი მსგავსი რამის გამეორებას. ცხოვრებაში ერთხელ უღელტეხილს შევეჯიბრე და ვგონებ საკმარისი იყო. ყველაფერი ეს მეორე დღესვე დამავიწყდებოდა, რომ უკან დაბრუნებისას ავად არ გავმხდარიყავი. ძლივს მივაღწიე სახლამდე და იმ წუთში ჩავწექი. არ მახსოვს არაფერი, რა არ მელანდებოდა, ვითომ დოლონზე ბუქსირს მივათრევ. ქარბუქი სახეს მწვავს, მიჭირს, სუნთქვა მეკვრის, საჭე თითქოს ბამბისააო, ხელში მეშლება. უღელტეხილი კი წინაა და გზას დასასრული არ უჩანს. მანქანას რადიატორი ცისკენ აუწევია და ზევით მიფორთხავს, ღმუის, ვარდება ციცაბოზე. ალბათ ეს ავადმყოფობის უღელტეხილი იყო, მესამე დღეს დავძლიე და გამოკეთება ვიწყე. ორი დღე ვიწექი, თავს კარგად ვგრძნობ, მინდა ავდგე, მაგრამ ასელს გაგონებაც არ სურს. მაიძულა ორი დღე კიდევ მეხეხა ლოგინი. დავაკვირდი მას და ვფიქრობ: ვინ იყო ავად — ის თუ მე? ვეღარ ვცნობ, გაწამებული სახე აქვს, თვალები ჩალურჯებია, გამხდარა, ნიავმა რომ დაუბეროს, წააქცევს. ამას ბავშვიც დაუმატეთ. არა, ვფიქრობ, ასე არ ივარგებს. არა მაქვს უფლება ლოგინში ვიკოტრიალო. მასაც უნდა მივცე დასვენების საშუალება. ავდექი ლოგინიდან, ჩაცმა დავიწყე.

— ასელ! — ხმადაბლა დავუძახე. ბიჭს ეძინა. — სთხოვე მეზობლებს სამატი დაიტოვონ, კინოში წავიდეთ.

იგი მომვარდა, წამაქცია ლოგინზე, მიყურებს, თითქოს პირველად მხედავს, ცრემლების შეკავება უნდა, მაგრამ ისინი უკვე წამწამებზე უბრწყინავენ, ტუჩები უთრთის. შემდეგ მკერდზე დამემხო და ატირდა.

— რა მოგივიდა, ასელ? რა იყო? — დავიბენი მე.

— მიხარია კარგად რომ ხარ.

— მეც მიხარია, მაგრამ რა საჭიროა ღელვა, ვიავადმყოფე

ცოტა, სამაგიეროდ სახლში ვიყავი შენთან, სამატთან თამაშით გული მოვიოხე. ბიჭი უკვე ფორთხავდა, სიარულს ეშურებოდა, ყველაზე სასაცილო ასაკში იყო. — თუ გინდა იცოდე, მე თანახმა ვარ კიდევ ვიავადმყოფო ასე! — გავიხუმრე მე.

— რას ამბობ! არ მინდა! — შემომყვირა ასელმა.

ამ დროს ბიჭმაც გაიღვიძა. ასელმა მოიყვანა, იგი ჯერ კიდევ ძილბურანშია. სამივენი ლოგინში ავფართხალდით. ბიჭი დათვივით დაფორთხავს, ხან მე შემდგება, ხან ასელს.

— ხედავ, რა კარგია! — ვეუბნები. — შენ კი? ცოტაც მოიცადე და შენს მოხუცებსაც ვეწვევით აულში. ერთი სცადონ და არ გვაპატიონ. ნახავენ ჩვენს სამატს და ყველაფერი დაავიწყდებათ...

მართლაც, გვქონდა ასეთი სურვილი: წავსულიყავით აულში, მოხუცებთან ბოდიშის მოსახდელად... როგორც წესია ასეთ შემთხვევებში, მაგრამ ჯერ შვებულება იყო საჭირო. უნდა მოვმზადებულიყავით. საჩუქრები გვეყიდა ნათესავებისათვის. ცარიელი ხელით იქ მისვლა ზე არ მინდოდა.

ამ დროს ზამთარმაც მოგვისწრო. ტიანშანის ზამთარი მკაცრია, ქარბუქიანი, მთებში ზვავები იცის. ჩვენ შოფრებს ამ დროს საზრუნავი გვემატება, გზის მუშაკებს კი უფრო მეტი. ამ დღეებში ისინი ზვავის საწინააღმდეგო საგუშაგოზე დგანან, სახიფათო ადგილებში, სადაც შეიძლება თოვლი მოწყდეს. წინასწარ აფეთქებენ, ხელოვნურად იწვევენ ზვავს და შემდეგ გზას წმენდენ. მართალია ის ზამთარი შედარებით წყნარი იყო. ანდა, ალბათ, მე ვერ ვამჩნევდი, შოფერს ყოველთვის საკმარისად აქვს საქმე. თანაც მოულოდნელად ჩვენს ავტობაზას დიდი დავალება მისცეს. უფრო ზუსტად თვითონ ჩვენ, შოფრებმა, ვიკისრეთ მისი შესრულება, ყველაზე პირველმა მე გამოვთქვი სურვილი. ახლაც არ ვნანობ, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. მაგრამ სწორედ აქედან დაიწყო ჩემი უსიამოვნებანი. საქმე ასე იყო.

ერთხელ საღამოს ავტობაზაში ვბრუნდებოდი. ასელმა მთხოვა ალიბეკ ჯანტურინის ცოლისთვის პატარა ფუთა გადამეცა. შევუხვიე მათთან, სიგნალი მივეცი. ალიბეკის ცოლი გამოვიდა, გადავეცი ასელის გამოტანებული და ვეკითხები:

— ალიბეკი სახლშია?

— არა, ჯერ არ გამოჩენილა.

— სად არის, რეისში ხომ არაა?

— არა, არ წასულა დღეს, გადაუდეს, სულ დარბის, ამბობს, ჩინეთიდან მუშებმა ავტობაზას დეპეშა გამოუგზავნესო.

— რაო, რაშია საქმე?

— გვთხოვენ სასწრაფოდ ჩავუტანოთ ქარხნის მოწყობილობაო.

— რა მოწყობილობა? მინძიანის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნისა ხომ არა, ახლა რომ შენდება?

— არ ვიცი, ილიას, თვითონ გაიგებ.

— კი, მაგრამ სად არის ახლა ალიბეკი?

— როგორ თუ სად? სატვირთო სადგურზე, მთელი ხალხი იქაა, ამბობენ ეშელონები ეს-ესაა ჩამოვიდაო.

მეც იქით გავვარდი. გადავწყვიტე ხეირიანად გამეგო ყველაფერი. ჩვენი სატვირთო სადგური ხეობაშია, ტბის მისასვლელთან. ეს რკინიგზის ბოლო სადგურია. სადგურში რაღაც შფოთიანი სიბნელე ჩამოწოლილიყო. ხეობიდან მონაქროლი ქარი ბოძებზე ფარნებს აქანავებდა. ორთქლმავლები ვაგონებს ახარისხებდნენ. ბოლო ლიანდაგზე ამწე ისარს ათამაშებდა და პლატფორმაზე სცლიდა თუნუქითა და მავთულით შეკრულ ყუთებს. მე არ შევმცდარვარ. ეს იყო სინძიანში გასაგზავნი სატრანზიტო ტვირთი. იქ დიდ მანქანათმშენებელ ქარხანას აშენებდნენ. ჩვენ აქამდისაც გადაგვქონდა მათთვის სხვადასხვა მოწყობილობა.

სატვირთო სადგურში ჩვენი ავტობაზის მანქანები ბევრი იყო. მაგრამ არცერთს არ ტვირთავდნენ. ყველა რაღაცას უცდიდა. იჯდნენ კაბინებში, საფეხურებზე, ზოგიერთი ყუთებს მიყრდნობოდა, ქარისაგან იფარავდა თავს. მივესალმე. ხეირიანად არავინ მიპასუხა. დუმან, პაპიროსს აბოლებენ. ალიბეკს მოვკარი თვალი. მასთან მივედი.

— გამარჯობა, ალიბეკ!

— გაგიმარჯოს!

— რა ხდება აქ? დეპეშა მიიღეთ?

— კი, ვადაზე ადრე უნდათ ქარხნის გაშვება.

—მერედა რა?

— ახლა ჩვენზეა საქმე.

— გასაგებია, რომ ჩვენზეა!

— შეხედე რამდენი ტვირთი ყრია გზის გასწვრივ. კიდევ დაემატება. როდის მოვასწრებთ?! წარმოგიდგენია? იქ კი ხალხი გველოდება, ჩვენი იმედი აქვთ!.. იმათ ყოველი დღე ძვირად უღირთ.

— რას მომვარდი! მე რა შუაში ვარ?

— როგორ თუ რა შუაში! შენ რა სხვა სახელმწიფოდან ხარ? თუ არ გესმის რა საქმე გაქვს გასაკეთებელი?

— გაგიჟდი, ღმერთმანი! — ვუთხარი გაკვირვებით და განზე გავდექი.

ამ დროს ყუთების გროვიდან ხმა მოისმა. ჩვენი ავტობაზის უფროსი ამანჟოლოვი მოვიდა. მან საყელო წამოიწია, პაპიროსს მოუკიდა და ყველანი შეგვათვალიერა.

— მაშ ასე, ამხანაგებო! — თქვა მან. — სამინისტროს დავურეკავ, იქნებ ვინმე დაგვახმარონ. მაგრამ ამის იმედზე არ უნდა ვიყოთ. ჯერჯერობით თვითონაც არ ვიცი როგორ მოვიქცეთ.

— აქ ძალიან ძნელია რამის მოფიქრება, ამხანაგო ამანჟოლოვ! — გაისმა ვიღაცის ხმა. — დიდი ტვირთია. ორ-სამ ნაჭერზე მეტი ძარაში არ ჩავა. სადღეღამისო გადატანაც რომ მოვაწყოთ, სამუშაო მაინც ყელამდი იქნება, გაზაფხულამდე ვერც მოვერევით.

— საქმეც ეს არის, — უპასუხა ამანჟოლოვმა. — უნდა გავაკეთოთ. ახლა კი ჯერჯერობით სახლებში წავიდეთ და ვიფიქროთ.

იგი მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ჩვენები ადგილიდან არ დაძრულან. იცდიდნენ. კუთხეში ვიღაცამ, არავისთვის არ მიუმართავს ისე, ბოხი ხმით ჩაილაპარაკა:

— ერთბაშად, რამე არ გამოვიდეს. ერთი ცხვრის ტყავიდან ორ ქურქს ვერ გამოჭრი! ადრე უნდა გვეფიქრა! — ადგა, პაპიროსის ნამწვი ჩააქრო და მანქანისკენ წავიდა.

მას მეორემ დაუჭირა მხარი. — ჩვენთან ყოველთვის ასეა:

როგორც კი რამე გაჭირდება, ჩვენ მოგვმართავენ, აბა გვიშველეთ, ძმებო-შოფრებო!

მას შეუტიეს:

— ეს საერთაშორისო საქმეა, შენ კი, ისმაილ, ბაზრის დედაკაცივით ლაქლაქებ!

მე კამათში არ ვერეოდი. მაგრამ უცებ გამახსენდა როგორ მიმყავდა უღელტეხილზე ბუქსირით მანქანა და ვერ მოვითმინე, ავენთე. როგორც ყოველთვის.

რა არის აქ საფიქრალი! — გამოვვარდი შუაში. — მისაბმელით უნდა წავიყვანოთ მანქანები.

— არავინ განძრეულა. ზოგმა არც შემომხედა. ასეთი რამ მხოლოდ უიმედო სულელს შეეძლო წამოეროშა.

ჯანტაიმ ჩუმად დაუსტვინა:

— ხედავთ! — მე იგი ხმაზე ვიცანი.

ვდგავარ, აქეთ-იქით ვიყურები, მინდა მოვყვე ყველაფერი როგორც იყო, მაგრამ ვიღაც ოყლაყი ჩამოვიდა ყუთებიდან, ხელთათმანები მეზობელს გადასცა, საყელოში მომკიდა ხელი, თავისაკენ მიმწია და მითხრა:

— აბა, ამოისუნთქე!

— ჰა! — ჩავასუნთქე მე სახეში.

— ფხიზელია! — გაუკვირდა ოყლაყს და ხელი გამიშვა.

— მაშასადამე, სულელია! — წამოეშველა მეგობარი და ორივემ მანქანებისაკენ გასწია, ჩაჯდნენ და წავიდნენ. დანარჩენებსაც ხმა აღარ ამოუღიათ ისე წამოიმართნენ, წასასვლელად მოემზადნენ.

— მოიცადეთ, სად მიდიხართ! — ავყვირდი მე, — სერიოზულად გეუბნებით. მისაბმელების წაყვანა შეიძლება...

ერთი ძველი შოფერი, აკსაკალთაგანი, ძალიან აღელვებული მოვიდა ჩემთან.

— როცა მე აქ შოფრობა დავიწყე, შენ მაშინ უშარვლოდ დარბოდი, ბიჭუნა. ტიან-შანი საცეკვაო მოედანი როდია. მეცოდები, ხალხს ნუ აცინებ...

ეს ხალხი სიცილ-ქირქილით მანქანებისაკენ გაემართა, მაშინ ყველას გასაგონად დავიძახე:

— დედაკაცები ხართ, შოფრები კი ბრა! — არ უნდა მეთქვა ეს, ტყუილად ავიტეხე შარი.

ერთი წამით ყველა გაჩერდა, მერე ერთბაშად დაიძრნენ ჩემსკენ.

— რაო, ძაღლიშვილო! სხვისი სიცოცხლით თამაში მოგინდა!

— ნოვატორია! პრემია უნდა! — წამოიძახა ჯანტაიმ. ხმები ერთმანეთში აირია, მე ყუთებთან მიმაკრეს.

— დაგვცინი!

— მოუხდება ყბაში!

— ლაწირაკო!

— ვფიქრობდი, თავპირს დამამტვრევდნენ და მიწიდან ფიცარი ავიღე.

— აბა, გამიშვით! — დაუსტვინა ვიღაცამ და ხალხი მიფანტ-მოფანტა.

ალიბეკი იყო.

— წყნარად! — იყვირა მან. — შენ კი, ილიას, გაგვაგებინე რისი თქმა გინდა. თქვი ჩქარა!

— რა უნდა ვთქვა! — ვუპასუხე მე და სული მოვითქვი.— ღილები სულ დამაწყვიტეს ვიდრე ხმას ამოვიღებდი. უღელტეხილზე საგზაო უბანზე მიმყავდა მანქანა ბუქსირით, ტვირთიც ედო. ეს არის და ეს.

სიჩუმე ჩამოვარდა, ეტყობა არ ჯეროდათ ნათქვამი.

— მერე, მიიყვანე? — ეჭვით შემეკითხა ვიღაც.

— კი, მთელი დოლონის გავლით, ბაღამდე.

— კარგი საქმეა! — გაუკვირდა ვიღაცას.

— ახეთქებს! — შეაწყვეტინა მეორემ.

— ვახეთქებ? ჯანტაიმ თვითონ ნახა. ეი, ჯანტაი, სადა ხარ? თქვი! გახსოვს, რომ შეგხვდი?

ჯანტაის ხმა ვერ გავიგონე. გაქრა, გეგონება მიწამ უყო პირიო. ტყუილად კი არ მეჯავრებოდა ეს ბილწი ადამიანი. მაგრამ ახლა მის ხასიათზე არ ვიყავი. ხალხმა დავა დაიწყო. აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ჩემი მხარი დაიჭირეს. მაგრამ ვიღაც ურწმუნომ ყველა გადააჯერა:

— რა საჭიროა ტყუილად ქაქანი! — თქმა მან მოღუშულმა. — ვიღაცამ ერთხელ რაღაც გააკეთა. ცოტა რამ ხდება. ბავშვები ხომ არა ვართ. ჩვენს ტრასაზე მისაბმელების ტარება

აკრძალულია. არავინ ნებას არ მოგვცემს. სცადეთ, ერთი უთ-ხარით უსაფრთხოების ინჟინერს და მაშინ ნახავთ რა დროს გაატარებთ. ეგლა აკლია, პასუხისგებაში წავა თქვენი გულის-თვის... მორჩა და გათავდა.

— გეყოფა ერთი! — დამიცვა ვიღაცამ. — რას ქვია ნებას არ მოგვცემს. აი, ივან სტეპანოვიჩმა ოცდაათ წელში ტონანა-ხევრიანით პირველმა გადაიარა უღელტეხილი. არავისგან ნე-ბართვა არ აუღია. თვითონ წავიდა. აი ისიც, ჯერ ცოცხალია.

— სწორია, ასე იყო, — დაუდასტურა ივან სტეპანოვიჩ-მა. — მაგრამ ეჭვი მეპარება. უღელტეხილზე ზაფხულშიც არავის გაუვლია მისაბმელით, ახლა კი ზამთარია...

ალიბეკი ჩუმად იყო, მხოლოდ ახლა ამოიღო ხმა:

— გვეყოფა დავა. მართალია არავის გაუვლია, მაგრამ და-ფიქრება მაინც საჭიროა. ისე კი არა, შენ რომ გინდა, ილიას, მომეცით მისაბმელი და წავედიო. ასე არ კეთდება, უნ-და მოვემზადოთ. უნდა მოვიფიქროთ ყველაფერი როგორც სა-ჭიროა, ხალხს შევეკითხოთ, საცდელი გადასვლაც მოვაწყოთ. მარტო სიტყვებით ვერაფერს დაამტკიცებ...

— დავამტკიცებ! — ვუპასუხე მე. — სანამ თქვენ იფიქ-რებთ და იმკითხავებთ, მე დავამტკიცებ. მაშინ დარწმუნდე-ბიხ! — მოვბრუნდი, ჩავჯექი მანქანაში და ავტობაზისაკენ წავედი.

ყველა ადამიანს თავისებური ხასიათი აქვს. ხასიათი შენ უნდა გემორჩილებოდეს, მაგრამ ყოველთვის ასე არ გამოდის. საჭესთან ვიჯექი: ვერც მანქანას ვგრძნობდი, ვერც გზას. გუ-ლი მტკიოდა, შიგ ბოღმა მიტრიალებდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მაწუხებდა შელახული თავმოყვარეობა. არა, მე თქვენ დაგიმტკიცებთ! დაგიმტკიცებთ, რომ ადამიანს უნდა ენდობოდეთ, რომ არ უნდა დასცინოთ მას, დაგიმტკიცებთ, რომ ზედმეტად ფრთხილობთ. ალიბეკიც კარგი ვინმეა: მოფიქ-რება უნდა, მომზადება, შემოწმება! ის ყოველთვის ასეთი ჭკვიანია, წინდახედული. მე კი ამისთვის მიმიფურთხებია, უბ-რალოდ გავაკეთებ, მაშინ რას იზამთ, არ შეგრცხვებათ?

მანქანა გარაჟში დავაყენე და კიდევ დიდხანს ვუტრიალებ-დი მას. გარეგნულად თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ შინაგანად

მთლად დაძაბული ვიყავი. მე მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი: ხვალვე დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე. უფროსებთან მისვლა, მათთვის ყველაფრის ახსნა, მტკიცება, მათგან საწინააღმდეგოს მოსმენა არ მინდოდა. გამოსავალი ერთი იყო: დავძრულიყავი უღელტეხილისაკენ მისაბმელით. მაგრამ ვინ მომცემდა მისაბმელს, ვინ მომცემდა ნებას მისაბმელით წავსულიყავი ტიან-შანისაკენ?

ამ ფიქრებით გამოვედი გარაჟიდან და ეზოს გავყევი. გვიან იყო. მხოლოდ სადისპეტჩეროში ენთო სინათლე. შევჩერდი: დისპეტჩერი. დისპეტჩერს ყველაფერი შეუძლია. ყველაფერი მის ხელთაა. ფეხს ავუჩქარე. დღეს მგონი კადიჩა მორიგეობდა. მით უკეთესი. ის უარს არ მეტყვის, არც უნდა მითხრას. თუ საქმე საქმეზე მიდგება — დანაშაულს ხომ არ ჩავდივარ, პირიქით, ის მხოლოდ დამეხმარება კარგი, ყველასათვის საჭირო საქმის გაკეთებაში.

სადისპეტჩეროს მივუახლოვდი და გამახსენდა, რომ დიდი ხანია არ შემიღია ეს კარები. თუ მომიხდებოდა, ფანჯრიდან მივმართავდი ხოლმე. შევყოვნდი. კარი გაიღო. ზღურბლზე კადიჩა იდგა.

— შენთან ვარ, კადიჩა, კარგია, რომ მოგისწარი.

— მე უკვე მივდივარ.

— წავიდეთ, სახლამდე მიგაცილებ.

კადიჩამ გაკვირვებით შეჰყარა წარბები, უნდობლად შემომხედა. შემდეგ გაიღიმა და მითხრა:

— წავიდეთ.

გარეთ გამოვედით და ქუჩას დავადექით. ბნელოდა. ტბიდან წყლის ხმაური ისმოდა, ცივი ქარი უბერავდა. კადიჩამ ხელი გამომდო, მომეკრა და ქარისაგან დაიფარა თავი.

— გცივა? — ვკითხე.

— შენთან არ გავიყინები! — მიპასუხა.

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თავი შეიკავა და უფრო მაგრად მომეკრა მხარზე. აქამდე ვღელავდი, ახლა კი რატომღაც დავმშვიდდი. უკეთეს ხასიათზე დავდექი.

— ხვალ როდის მორიგეობ, კადიჩა?

— მეორე ცვლაში.

— საქმე მაქვს შენთან. დიდი საქმე. ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

გზაში დაწვრილებით ავუხსენი. ჯერ მოსმენაც კი არ უნდოდა, მაგრამ მე ვარწმუნებდი, შევჩერდით კუთხეში, ფარანთან. კადიჩას ვერ გადაეწყვიტა.

— ოხ, ილიას! — წაილაპარაკა მან და შეშფოთებით ჩამხედა თვალებში. — ტყუილად ჰკიდებ ამ საქმეს ხელს.

მე უკვე მივხვდი, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა. ხელზე ხელი მოვკიდე:

— დამიჯერე, კადიჩა! ტყუილად არა! ყველაფერი რიგზე იქნება! ხომ შევთანხმდით.

მან ამოიოხრა:

— შენ ვინ გადაგაჯერებს! — და თავი დამიქნია.

მე უნებლიეთ მხრებზე მოვხვიე ხელი:

— ჯიგიტად უნდა დაბადებულიყავი, კადიჩა! ნახვამდის! — ვუთხარი და მაგრად ჩამოვართვი ხელი: — საღამოსთვის ყველაფერი მოამზადე, გაიგე?

— ნუ ჩქარობ! — მითხრა მან, ჩემი ხელი ისევ ხელში ეჭირა. — შემდეგ მოულოდნელად შებრუნდა. — თუმცა, წადი... საერთო საცხოვრებელში უნდა მიხვიდე?

— კი, კადიჩა!

— ღამე მშვიდობისა!

მეორე დღეს ტექნიკური დათვალიერება გვქონდა. ხალხი ნერვიულობდა. ეს ინსპექტორები ყოველთვის მაშინ გამოჩნდებიან, როცა საჭირონი არ არიან, ყველაფერზე დაობენ, აქტებს ადგენენ. რამდენი შარი, რამდენი დავიდარაბა მოაქვთ თან. მაგრამ ისინი აუღელვებლად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. მათ გეგმაში ჰქონდათ ავტობაზის ტექნიკური შემოწმება და ეს მათთვის ყველაფერს ნიშნავდა.

ჩემი მანქანა სრულ წესრიგში იყო, მაგრამ ცოტა მოშორებით ვიდექი, ვითომ რემონტით ვიყავი გართული. საჭირო იყო დროის მოგება, ვიდრე კადიჩა გამოვიდოდა სამორიგეოდ. არავინ გამომლაპარაკებია, არავის მოუგონებია გუშინდელი ამბავი. მე ვიცოდი, რომ ხალხს ჩემთვის არ ეცალა. ყველას ეჩქარებოდა გაეარა ტექშემოწმება და რეისში წასულიყო. დაკარ-

გულ დროს ანაზღაურება უნდოდა. მიუხედავად ამისა, გულში მაინც ნაწყენი ვიყავი.

ტექშემოწმება მე დღის მეორე ნახევარში გავიარე. ინსპექტორები წავიდნენ. სიწყნარემ და სიცარიელემ დაისადგურა. ეზოს სიღრმეში, ღია ცის ქვეშ მისაბმელები იდგა. მათ ხანდახან იყენებდნენ სწორ გზებზე, თუ ადგილობრივად რამე იყო გადასაზიდი. მე მათთან მისასვლელი გზა შევათვალიერე და განაპირა ავირჩიე. ჩვეულებრივი ურიკა, ოთხთვალზე შემდგარი ძარა. აი მთელი სიბრძნე. რამდენი კი ვინერვიულე, მაშინ მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი თუ რა მომელოდა და მშვიდად წავედი საერთო საცხოვრებელში. უნდა მესადილა და ცოტაც წამეძინა. წინ ძნელი გზა მქონდა. მაგრამ დაძინება მაინც ვერ მოვახერხე, ხოლო როცა შებინდდა, ავტობაზისაკენ გავწიე.

კადიჩა მოსული დამხვდა. ყველაფერი გაემზადებინა. ტყუილად რომ არ შემეშფოთებინა, უხმოდ ავიღე საგზური და გარაჟისაკენ გავწიე. მივრბივარ და თან ვფიქრობ: „თუ ბიჭები ხართ, დამიდექით!“ დავძარი მანქანა, მისაბმელთან მივაყენე, მოტორი მცირე ბრუნებზე გადავიყვანე, კაბინიდან გამოვედი და მივიხედ-მოვიხედე. არავინაა. მხოლოდ დაზგების გუგუნი ისმის სარემონტო სახელოსნოდან და მოქცევის ხმა მოაქვს ნიავს ტბიდან. ცა თითქოს მშვიდია, ვარსკვლავები არ ჩანს მხოლოდ. გვერდით მოტორი გუგუნებს. გაბოლება მომინდა, მაგრამ პაპიროსი გადავაგდე. მერე მოვწევ...

გასასვლელთან გუშაგმა გამაჩერა:

— სდექ, საით?

— ტვირთის მისაღებად, აკსაკალო, — ვეუბნები, მინდა გულგრილი ვეჩვენო. — აი საშვი.

მოხუცმა ქაღალდში ჩარგო ცხვირი, ვერაფერს არჩევს ფარნის სინათლეზე.

— ნუ მაყოვნებ, აკსაკალო! — ვეღარ მოვითმინე მე. — საქმე არ იცდის!

დატვირთვა ნორმალურად ჩატარდა. მთლიანად ჩაალაგეს: ორი ყუთი ძარაში, ორიც მისაბმელზე. გავედი ტრასაზე და მხოლოდ მაშინ მოვუკიდე პაპიროსს. მოხერხებულად მივუჯექი საჭეს, ჩავრთე სინათლე და მთელი გაზი მივეცი. გზა თავი-

სუფალი იყო და არაფერი მიშლიდა ხელს მაქსიმალური სიჩქარით მევლო. მანქანა მსუბუქად მიდიოდა, თითქოს არც კი გრძნობდა უკან მიბმულ ბუქსირს. მართალია, მოსახვევებში ცოტა გვერდზე გვაგდებდა და საქის მოტრიალება ჭირდა; მაგრამ ეს შეუჩვევლობის ბრალია, შევეჩვევი, — ვფიქრობდი მე. „იძლევი დოლონს! იძლევი სინძიანს!“ — შემოვუძახე თავს და საქეზე ისე დავიხარე, როგორც ცხენზე. სანამ გზა საშუალებას იძლეოდა, უნდა დავწოლოდი. ვანგარიშობდი, რომ შუალამისთვის დოლონს მიმეღწია.

დასაწყისში გაანგარიშებულზე ჩქარაც მივდიოდი, მაგრამ როცა მთები დაიწყო, უფრო ფრთხილად წავედი. იმიტომ კი არა, რომ მოტორი ვერ უძლებდა დატვირთვას. იმდენად აღმართები არ მაბრკოლებდნენ, რამდენადაც დაღმართები.

მისაბმელი ფერდობებზე ჯაყჯაყებდა, ხმაურობდა, წინ აგდებდა მანქანას და ხელს მიშლიდა მშვიდად დავშვებულიყავი. ყოველწუთს მიხდებოდა სიჩქარის გადართვა, დამუხრუჭება, მოხვევა. დასაწყისში თავს ვიმაგრებდი, ვცდილობდი არაფერი შემემჩნია, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ყველაფერი ეს უფრო მეტად მაწუხებდა, მოთმინებას მიკარგავდა. რამდენია ამ გზაზე აღმართები და თავდაღმართები, უფიქრია ვინმეს დაეთვალა! და მაინც სულით არ ვეცემოდი. აქ მე არავითარი საფრთხე მემუქრებოდა, გარდა დაღლისა. „არაფერია! — ვიმშვიდებდი თავს. უღელტეხილზე გადასვლის წინ შევისვენებ!“ მე არ ვფიქრობდი იმაზე, რატომ მიჭირდა ახლა უფრო მეტად, როცა ამ ადგილებში ბუქსირით გადამყავდა მანქანა.

დოლონი ახლოვდებოდა. სინათლის სხივები ხეობის ჩაბნელებულ პიტალოებზე ათამაშდნენ. გზას თოვლისქუდიანი მთები გადაეფარა. სინათლის შუქზე თოვლის მსხვილი ფანტელები ჟელვარდნენ. „ალბათ ქარმა თუ გადმოყარა ზევიდან“, — გავიფიქრე. მაგრამ ფიფქები უკვე მინებს ეკვროდნენ და ძირს ცურდებოდნენ. თოვდა. ვერ ვიტყვი ბარდნიდა-თქო, მაგრამ სველი თოვლი მოდიოდა. „ესღა მაკლდა!“ — გამოვცერი კბილებში და საწმენდები ჩავრთე.

უღელტეხილის ფრიალოები დაიწყო. მოტორი ნაცნობ მოტივზე ამღერდა. მონოტონური, გულისწამღები გუგუნი მატ-

ლივით მიხოხავდა ბნელ გზაზე. როგორც იქნა, აღმართი უკან მოვიტოვე. ახლა წინ იყო გრძელი ციცაბო დაღმართი. მოტორის ხმა შეიცვალა, ათუხთუხდა. მანქანა თავქვე დაეშვა, უცებ შემაქანა აქეთ-იქით. მე ვგრძნობ ზურგს უკან რა ამბავშია მისაბმელი, როგორ უახლოვდება და ეჯახება მანქანას, მესმის როგორ ხმაურობს და ღრჭიალებს ლითონი. ეს ღჭრიალი ისე მოქმედებს, გეგონება ზურგი მტეხავსო, ყრუ ტკივილს ვგრძნობ მხრებში. ბორბლები მუხრუჭებს არ ემორჩილება, მიცურავს სველ თოვლზე. მანქანა ზიგზაგებით წავიდა, მთელი კორპუსით ირყევა, საჭეს ხელიდან მტაცებს, ფერდობზე ვეშვები. სხვა გზა არ იყო, მოვუხვიე და გავჩერდი. მეტი აღარ შემიძლია, ღონე გამომელია. სინათლე გამოვრთე და მოტორი ჩავაქრე. ხელები გამიშეშდა, აღარ მემორჩილება, თითქოს პროტეზები მაქვს. მე თვითონ მესმის ჩემი ხრინწიანი სუნთქვა. რამოდენიმე წუთს ვიჯექი ასე; შევისვენე, პაპიროსი მოვწიე. ირგვლივ საშინელი სიბნელეა და სიჩუმე. მხოლოდ ქარი უსტვენს კაბინის ნაჩვრეტებში. არ მინდა ვიფიქრო იმაზე, თუ რა მელის წინ. აქედან ზევით დამრეცებზე სერპანტინები მიდის. ესაა სწორედ საწვალებელი მოტორისა და ხელებისათვის. ეს დაუსრულებელი ცოცვა მთის ფერდობებზე, ზიგზაგები, წინ — უკან, ისევ წინ — ზევით — უკან და ისევ და ისევ... ფიქრის დრო აღარ არის. თოვას უმატა.

მოტორი ავამუშავე. მანქანა საოცარი ღრიალით დაიძრა მთისკენ. კბილი კბილს დავაჭირე, ერთიმეორის მიყოლებით სულმოუთქმელად ვიღებ სერპანტინებს. დამთავრდა ისინიც. ახლა ციცაბო დაღმართია, შემდეგ დამრეცი საგზაო უბნის მოსახვევამდე და ბოლოს უღელტეხილის უკანასკნელი მისასვლელი. დავეშვი ძირს. დიდი სისწრაფით გავიარე დაახლოებით ოთხი კილომეტრი სწორი გზა და პირდაპირ შევუტიე აღმართს. მივდივარ ზევით, ცოტაც... ეს სისწრაფე დიდხანს არ გამყვა. მანქანამ სახიფათოდ უკლო სიჩქარეს. გადავრთე მეორე, შემდეგ პირველ სიჩქარეზე. საზურგეს მივეყრდენი, ხელები მაგრა ჩავჭიდე საჭეს. ღრუბლებს შუა თვალებში ვარსკვლავები ამითამაშდნენ და გავჩერდი, არ იძვრის, ბორბლები ად-

გილზე ტრიალებს, გვერდით გამირბის, ბოლომდე დავაწექი აქსელერატორს.

— ცოტაც! ცოტაც კიდევ! გაუძელი! — ვეუბნებოდი მე არაადამიანური ხმით.

მოტორი აკვნესდა, აკანკალდა და გაჩერდა, ჩაქრა. მანქანა ნელ-ნელა დაცურდა ძირს. მუხრუჭებს დავაწექი. არ იჭერს, დაბლა ეშვება მისაბმელის სიმძიმის წყალობით, ბოლოს კლდეს მიეჯახა და გაჩერდა. ყველაფერი დადუმდა. კარი გავაღე და კაბინიდან გადმოვიხედე. ასეა, ღმერთმა დასწყევლოს. მისაბმელი თხრილში ჩავარდა და ახლა ვერანაირი ძალა იმას იქიდან ვერ ამოიღებს. გონდაკარგულმა ხელახლა ჩავრთე მოტორი, მოვწყვიტე მანქანა, ბორბლები გაცოფებულივით დატრიალდნენ, მანქანა დაიჭიმა, დაიძაბა მთელი კორპუსით, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დაიძრა. ჩამოვხტი და მისაბმელისაკენ გავიქეცი. მისი ბორბლები ღრმად ჩაფლულიყვნენ თხრილში. რა ვქნა? გონდაკარგული რაღაც ველური, არაადამიანური ძალით ვეცი მისაბმელს; ხელებით, მთელი ტანით მივაწექი, შემდეგ ძარის ქვეშ შევძვერი და შევეცადე მხრით ამეწია, დავიღმუვლე, ისე დავიძაბე, რომ თავში ტკივილმა გამიარა, შევეცადე მისაბმელი გზაზე გამომეყვანა, მაგრამ საქმე არა გაქვს. ღონე გამომეცალა, გზაზე დავეცი, თოვლნარევი ტალახი მოვხვეტე და ბოლმისაგან ავტირდი. შემდეგ ავდექი, მივბარბაცდი მანქანასთან და საფეხურზე ჩამოვჯექი.

შორიდან მოტორის ხმა შემომესმა, ორი სინათლე ეშვებოდა ციცაბოდან. არ ვიცი ვინ იყო ეს შოფერი, საით მიაქროლებდა ბედი ამ სიბნელეში, მაგრამ შემეშინდა, თითქოს სინათლეები მე მომდევდნენ, ქურდივით მივვარდი გადასაბმელს, ავხსენი შემაერთებელი ყური, შევვარდი კაბინაში და მანქანა აღმართზე გავაქროლე. მისაბმელი თხრილში დავტოვე.

გაურკვეველი უცნაური შიში დამეუფლა. მეჩვენებოდა, რომ მანქანა უკან მომდევდა და ისეთი სისწრაფით მივქროდი თუ არ დავიმტვერი მხოლოდ იმიტომ, რომ ზეპირად ვიცი ეს გზა. თვალებიც რომ აეხვიათ ჩემთვის, მაშინაც იმასვე გავაკეთებდი.

განთიადისას საუღელტეხილო ბაზაში მივედი. თავს ანგარიშს არ ვაძლევდი, ისე გიჟივით მივვარდი კარებს, მუშტები დავუშინე. კარი გაიღო და ასელისათვის არც კი შემიხედავს, ისე შევედი სახლში, თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოსვრილი. ძლივს ვსუნთქავდი, რაღაც სველზე დავჯექი. გარეცხილი თეთრეული იყო, სკამზე იდო. პაპიროსის ამოსაღებად ჯიბეში ჩავიყავი ხელი, მანქანის გასაღები მომხვდა ხელში, შორს მოვისროლე, თავი ჩავქინდრე და გავქვავდი. ვზივარ დაღლილი, ამოთხუპნული, გაოგნებული. ფეხშიშველა ასელი მაგიდის ირგვლივ ტრიალებს. რა შემეძლო მეთქვა მისთვის? იატაკიდან გასაღები აიღო და მაგიდაზე დადო.

— დაიბან? წყალი გაგიცხელე, ჯერ კიდევ საღამოს, — ჩუმად მითხრა მან.

ნელა ავწიე თავი. შეცივებული ასელი ჩემს წინ დგას ღამის პერანგში, გულზე გამხდარი ხელები დაუწყვია. მისი თვალები შიშითა და თანაგრძნობით მათვალიერებენ.

— მისაბმელი გადამივარდა უღელტეხილზე, — ვთქვი უცხო, რაღაც უფერული ხმით.

— რომელი მისაბმელი? — ვერ გაიგო მან.

— რკინის, მწვანე, 02—38! სულ ერთი არ არის რომელიც! — გაბრაზებულმა ვიყვირე: მე ის მოვიპარე, გესმის, მოვიპარე!

ასელმა ჩუმად ამოიოხრა და საწოლზე ჩამოჯდა.

— კი, მაგრამ რატომ?

— რა რატომ? — ნერვებს მიშლიდა, რომ არ ესმოდა. მისაბმელით მინდოდა უღელტეხილი გადამევლო! გაიგე? მინდოდა დამემტკიცებინა... არ გამიმართლა!..

სახე ხელებში ჩავმალე. ერთ ხანს ორივე ვდუმდით. უცებ ასელი ადგა და ჩაცმა დაიწყო.

— რას უზიხარ? — მკაცრად მითხრა მან.

— აბა, რა უნდა ვქნა? — ჩავიბურტყუნე მე.

— დაბრუნდი ავტობაზაში.

— როგორ! მისაბმელის გარეშე?!

— იქ ყველაფერს აუხსნი!

— გაგიჟდი! — ვიყვირე და ოთახში დავიწყე სირბილი. —

როგორ მივიყვანო, როგორ შევხედო ხალხს თვალებში. რა ვუთხრა: მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი, შევცდი-თქო, მუხლებზე დავუჩოქო, ვეხვეწო? არა! რაც უნდათ ის მიქნან! მიმიფურთხებია!

ჩემს ყვირილზე ბიჭს გამოეღვიძა, ატირდა. ასელმა იგი ხელში აიყვანა, ის უფრო აღრიალდა.

— ლაჩარი ხარ! — წყნარად, მაგრამ მტკიცედ მითხრა ასელმა.

— რა-ა! — არაფერი მახსოვდა ისე მივვარდი, ხელი მოვუქნიე, მაგრამ გარტყმა ვერ გავბედე. მისმა გაკვირვებულმა, ფართოდ გაღებულმა თვალებმა შემაჩერა. მის თვალებში ჩემი საშინელი, დამახინჯებული სახე დავინახე.

ასელი უხეშად გავწიე გვერდზე, ზღურბლისკენ წავედი და მაგრად მოვიჯახუნე კარები.

უკვე გათენებულიყო. დღის სინათლემ ცუდად გამხადა: ყოველივე გუშინდელი უფრო საშინლად, გამოუსწორებლად მეჩვენა. მხოლოდ ერთ გამოსავალს ვხედავდი: გადამეტანა ის ტვირთი, რომელიც მანქანაზე მქონდა. შემდეგ კი არ ვიცი...

უკან დაბრუნებისას სახლში არ შემივლია. იმიტომ კი არა, რომ ასელს წავეჩხუბე. უიმისოდაც გაბრაზებული ვიყავი. არავის მინდოდა ვჩვენებოდი, არც არავის დანახვა მინდოდა. არ ვიცი ვის როგორ, მე კი ასეთ დროს მარტო ყოფნა მირჩევნია, არ მიყვარს ვინმეს გავუმჟღავნო ჩემი დარდი. ვის ჭირდება? მოითმინე თუ შეგიძლია, მანამ ყველაფერი არ გაივლის...

ღამე გზაზე გავათიე. რა დამაძინებდა, მთელი ღამე საშინელ სიზმრებს ვხედავდი. მესიზმრება ვითომ მისაბმელს ვეძებ ულელტეხილზე. კვალი ჩანს, მისაბმელი კი არა, ვწრიალებ, ვკითხულობ: სად გაჰქრა მისაბმელი, ვინ წაიყვანა? მართლაც არ დამხვდა დაწყევლილ ადგილზე, როცა ვბრუნდებოდი. მარტო ნაკვალევი იყო. წაეყვანათ. შემდეგ გავიგე ალიბეკს მიეყვანა ავტობაზაში.

მისაბმელის შემდეგ მეც მივედი ბაზაში. შავი ფერი დამდებოდა სახეზე, სარკეში ჩავიხედე თავი ველარ ვიცანი.

ავტობაზაში, როგორც ყოველთვის, ცხოვრება ჩვეულებრივ მიდიოდა. მხოლოდ მე, უცხოსავით, გაუბედავად მივაყენე

შანქანა კარებთან, ჩუმად გავიარე ეზო და გარაჟიდან მოშორებით კუთხეში გავჩერდი. კაბინიდან უცებ არ გადმოვსულვარ. მიდამო შევათვალიერე. ხალხმა მუშაობას თავი მიანება, მე მიყურებენ. ეჰ, ჩამსვა ახლა მანქანაში და გამაქროლა, საითაც თვალი მიმიწვდება. მაგრამ ვერსად დავიმალებოდი, კაბინიდან გამოვედი. ღონე მოვიკრიფე, ეზო გადავჭერი და სადისპეტჩეროსაკენ გავწიე. ვცდილობდი დინჯად, თანაბარი ნაბიჯებით მევლო, სინამდვილეში კი მივდიოდი, როგორც დამნაშავე გაივლის მწყობრის წინაშე, ვიცი, რომ ყველა მოღუშული მიყურებს. მეც მათ ადგილზე ალბათ ასე მოვიქცეოდი.

ზღურბლზე წავიფორხილე. თითქოს გულმაც წაიფორხილა: კადიჩა დამავიწყდა, ცუდ დღეში ჩავაგდე! რა პასუხი გავცე ახლა მას?

დერეფანში შევისვენე, შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე. თავი ავწიე. კედლიდან პლაკატი მიყურებდა. ჩვენი კედლის გაზეთის სასწრაფო ნომერი — „ელვა“ გამოეშვათ. „სირცხვილი“— დაეწერათ დიდი ასოებით, ქვევით კი დახატული იყო მთებში მიტოვებული მისაბმელი.

შემოვბრუნდი. სახე ისე მეწვოდა, თითქოს ვინმემ სილა გამაწნაო. სადისპეტჩეროში შევედი. კადიჩა ვიღაცას ელაპარაკებოდა ტელეფონზე. დამინახა თუ არა, ლაპარაკი შეწყვიტა და ყურმილი დაჰკიდა.

— აჰა! — დავაგდე მაგიდაზე საგზური.

კადიჩამ სიბრალულით შემომხედა. „ოღონდ ყვირილი არ დაიწყოს, ოღონდ არ ატირდეს, — ვფიქრობ. — შემდეგ, სხვა დროს“, — ვეხვეწები გუნებაში. და მან გამიგო. ხმა არ ამოუღია.

— დიდი ამბავი ატყდა? — ვეკითხები ჩუმად.

კადიჩამ თავი დამიქნია.

— არაფერია! — გამოვცერი კბილებში, მის გამხნევებას შევეცადე.

— ტრასიდან მოგხსნეს, — მითხრა მან.

— მომხსნეს? სულ? — და ცალყბად ჩავიცინე.

— სულ უნდოდათ. რემონტზე გადაყავდით... ბიჭებმა და-

გიცვეს... ადგილობრივ რეისებზე გადაგიყვანეს. უფროსთან შედი, დაგიბარა.

— არ წავალ! უჩემოდ გადაწყვიტონ! არ ვიდარდებ!

გარეთ გამოვედი. თავჩაქინდრული მივდივარ. დერეფანში ვიღაც მოდის. მე განზე გავდექი, გზა დავუთმე. ალიბეკი იყო. იგი გარაჟიდან მოვიდა, ხელები ზეთში ჰქონდა მოთხუპნული. მინდოდა გამევლო, მაგრამ ალიბეკმა გზა გადამიღობა.

— არა, მოიცა! — და კუთხეში მიმაყენა. თვალებში ჩამაშტერდა და ბრაზიანი, მოსისინე ჩურჩულით მითხრა: — რაო, გმირი ხარ? დაამტკიცე? დაამტკიცე, რომ ძაღლის შვილი ხარ!

— მე კარგი მინდოდა, — ჩავიბურტყუნე.

— სტყუი!

— რას ვტყუი?

— თავის გამოჩენა გინდოდა! კარგი საქმე კი დაღუპე. მიდი ახლა და უმტკიცე, რომ შეიძლება მისაბმელით სიარული! არაფერი გამოვა! მეტიჩარა!

შეიძლებოდა ამ სიტყვებს სხვა ვინმე ჭკუაზე მოეყვანა, მაგრამ ჩემთვის ახლა სულერთი იყო: შეიძლება თუ არა დამტკიცება, გავიტან თუ არა ჩემსას. თუ აქამდე მე მარტო ჩემი სადარდებელი მაწამებდა, ამ წუთში გავიგე მთელი წუხილი და სიმძიმე იმ სირცხვილისა, როდესაც ხალხს ეზიზღები. მე მათ თვალში მეტიჩარა ვიყავი, მეტიჩარა, რომელსაც თავის გამოჩენა, სახელი უნდა. სინამდვილეში ხომ ასე არ იყო. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

— გამიშვი! — მოვიშორე ალიბეკი. — უშენოდაც ცუდად ვარ!

ზღურბლზე გამოვედი. ცივი, გამჭოლი ქარი გზიდან თოვლს ხვეტავდა. ხალხი გვერდს მივლიდა და უხმოდ მათვალიერებდა. რა უნდა მექნა? გათოშილი ხელები ჯიბეში ჩავიწყე და გასასვლელისაკენ წავედი. გაყინული გუბეების თხელი ყინული იმსხვრეოდა ჩემს ფერხთ. ფეხებში მანქანის ზეთის ყუთი წამომედო, გაბრაზებულმა გავკარი ფეხი, ქუჩაში გადავაგდე და თან გავყევი.

მთელი დღე უაზროდ დავხეტიალობდი ქალაქში, ცარიელ

ნავსაყუდელში ვეგდე. ისიკ-ყული ბობოქრობდა. კარპაჭები ქანაობდნენ ნავმისაბმელებთან.

შემდეგ საჩაიეში აღმოვჩნდი. ვიჯექი მარტო ფანჯარასთან. მაგიდაზე ჩემს წინ არაყი და თეფშით საუზმე იდგა. პირველივე ჭიქისაგან გაბრუებული უაზროდ დავშტერებოდი ჩემს ფეხებს. ჩემი გული ისეთივე ამღვრეული და ჩაბნელებული იყო, როგორც ეს საჩაიე, რომელიც შავმოისფრო მძიმე კვამლსა და მთვრალების უაზრო სადღეგრძელოებში ჩაძირულიყო.

რა ცხვირი ჩამოგიშვია, ჯიგიტო? — მომესმა უცებ ვიღაცის ალერსიანი, ოდნავ დამცინავი ხმა. თავი ძლივს ავწიე. ჩემს გვერდით კადიჩა იდგა.

— ვერ სვამ მარტო? — გამიღიმა მან და მაგიდასთან დაჯდა. — მოდი, ერთად დავლიოთ!

კადიჩამ არაყი დაასხა და ჭიქა მომიწია.

— აიღე! — მითხრა და მხიარულად, გამომწვევად ჩამიკრა თვალი, თითქოს აქ უბრალოდ, დროს გასატარებლად შემოვსულიყავით.

— შენ რაღა გიხარია? — ვკითხე უკმაყოფილოდ.

— რაზე ვიდარდო? შენთან ერთად ჩემთვის ყველაფერი სულერთია, ილიას! მე შენ უფრო მაგარი მეგონე. ცოტა რამ გადახდენიათ ჩვენისთანებს! — ხმადაბლა გაიცინა, ახლო მოიწია, ჭიქა მომიჭახუნა და ალერსიანი დაბინდული თვალებით შემომხედა.

დავლიეთ. პაპიროსს მოვუკიდე. თითქოს უკეთესად გავხდი და მთელი დღის განმავლობაში პირველად გავიღიმე.

— ყოჩაღი ხარ, კადიჩა! — ვუთხარი და ხელი ჩამოვართვი. ის იმ საღამოს მართლაც კარგი იყო.

შემდეგ ქუჩაში გამოვედით. უკვე ბნელოდა. ტბიდან მონაბერი ქარი ხეებსა და ფარნებს ეთამაშებოდა. ფეხქვეშ მიწა ირყეოდა. კადიჩას მოვყავდი, ხელით ვეჭირე, მზრუნველობით ამიწია საყელოც.

— დამნაშავე ვარ შენთან, კადიჩა! — წავილაპარაკე მეთან მის წინაშე დანაშაულისა და მადლიერების გრძნობას განვიცდიდი. — მაგრამ იცოდე შენ თავს არავის დავაჩაგვრინებ... მე თვითონ ვაგებ პასუხს...

— დაივიწყე ეს ამბავი, ჩემო ძვირფასო! — მიპასუხა მან. — მშფოთვარე ვინმე ხარ... სულ სადღაც მიისწრაფვი, მე კი შენს მაგივრად გული მტკივა, ადრე მეც ასეთი ვიყავი. ცხოვრებას ვერსად გაექცევი, ხელი ჩასჭიდე, რასაც მისწვდები... რა საჭიროა ბედთან თამაში.

— ეს იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ გავიგებთ! — შევეკამათე მე, შემდეგ დავფიქრდი და დავუმატე: — თუმცა იქნებ შენ მართალი ხარ...

ჩვენ კადიჩას სახლთან შევჩერდით.

— აი, მეც მოვედი! — მითხრა მან.

წასვლა მინდოდა, მაგრამ ვაყოვნებდი. ჩვენს შორის უკვე იყო ისეთი რაღაც, რაც მე მაკავებდა. მისი გულახდილობით გამოწვეული გაურკვეველი გრძნობა, რომელიც მაიძულებდა გავჩერებულიყავი. გულახდილად რომ ვთქვა, მარტო დარჩენისაც მეშინოდა, არ მინდოდა საერთო საცხოვრებელში წასვლა. სიმართლე კარგია, მაგრამ იგი ხანდახან მეტისმეტად მწარეა და იძულებული ხარ გაექცე.

— რაზე დაფიქრდი, ჩემო კარგო? — შემეკითხა კადიჩა. დაიღალე, შორი გზა გაქვს გასავლელი?

— არაფერია, როგორმე მივალ. ნახვამდის.

მან ხელი ხელზე მომკიდა:

— უ-უ, გაყინულხარ, მოიცა გაგათბობ! — ჩაილაპარაკა, ჩემი ხელი თავის პალტოში ჩამალა და მკერდით მომეკრა. მე ვერ გავბედე ხელი მეკრა, ვერ გავბედე წინ აღვდგომოდი ამ მხურვალე, ვნებიან ქალურ ალერსს. ჩემი ხელის ქვეშ მისი გული ფეთქავდა. თითქოს მოითხოვდა თავისას, დიდი ხნის ნანატრს. მე მთვრალი ვიყავი, მაგრამ ისე კი არა, რომ ვერაფერი გამეგო. ფრთხილად მოვარიდე ხელი.

— წახვედი? — მითხრა კადიჩამ.

— ჰო.

— კარგად იყავი! — კადიჩამ ამოიოხრა, მობრუნდა და ჭიშკრისკენ წავიდა. სიბნელეში კარები ახმაურდა. მეც ქუჩას გავუყევი, მაგრამ რამოდენიმე ნაბიჯი გადავდგი და შევჩერდი. თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, მე უკვე ჭიშკართან ალ-

ჩოჩინდი. ხელი ვკარი. გაიღო. კადიჩა აქ მელოდებოდა. ყელზე ჩამომეკიდა, მაგრად მომეხვია და ტუჩებში მაკოცა.

— დაბრუნდი! — წაიჩურჩულა მან. შემდეგ ხელი მომკიდა და წამიყვანა.

ღამით გამომეღვიძა და დიდხანს ვერ გავარკვიე სად ვიყავი. თავი მტკიოდა. ჩვენ გვერდიგვერდ ვიწექით. ერთ ლოგინზე. თბილი, ნახევრად შიშველი კადიჩა გვერდზე მომხუტებოდა და მშვიდად სუნთქავდა ჩემს მხარზე. გადავწყვიტე ავმდგარიყავი. წამოვიწიე. კადიჩას თვალი არ გაუხელია, ისე მომხვია ხელები; მრგვალი, გლუვი მუხლი ხელისგულზე დამადო.

— არ წახვიდე! — წყნარად ჩამჩურჩულა ყურში. შემდეგ თავი ასწია, სიბნელეში თვალებში ჩამაშტერდა და ალაპარაკდა ჩურჩულით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად — მე ახლა უშენოდ არ შემიძლია! შენ ჩემი ხარ! შენ ყოველთვის ჩემი იყავი! მე მეტი არაფერი არ მინდა ვიცოდე! მხოლოდ შენ გიყვარდე, ილიას! სხვას არაფერს ვთხოულობ... მაგრამ უკან დახევაც არ შემიძლია, გესმის, არ შემიძლია უარი ვთქვა შენზე! — კადიჩა ატირდა, მისი ცრემლები სახეზე მეცემოდნენ.

მე არ წავსულვარ... განთიადისას ჩაგვეძინა, თურმე საკმაოდ დიდხანს ვიძინეთ. უკვე გათენებულიყო. სასწრაფოდ ჩავიცვი. უსიამოვნო სიცივე გულს მიკუმშავდა. ქურქი მოვისხი, გამოვედი ეზოში, ჭიშკარში თავი გამოვყავი, თან ქურქის ღილებს ვიკრავდი. მივიხედ-მოვიხედე. პირდაპირ ჩემს შესახვედრად მოდიოდა ბეწვის მოწითალო ფაფახიანი კაცი. იმის დანახვას ტყვია მომხვედროდა მერჩივნა! ჯანტაი მიდიოდა სამსახურში. იგი აქვე ახლოს ცხოვრობდა. ისეთი სახე მივიღე, ვითომც არ შემიმჩნევია, ზურგი შევაქციე და სწრაფად გავწიე ავტობაზისაკენ. ჯანტაიმ მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა ჩემს უკან. მისი ნაბიჯები თოვლზე ჭრაჭუნებდა, არც მიახლოვდებოდა და არც მშორდებოდა. რამდენი შეფარული ღვარძლი იყო ამ ბოროტ ჭრაჭუნში. ასე გავიარეთ მთელი გზა ავტობაზამდე.

შესასვლელში ავჩქარდი. გარაჟისაკენ არ გამიხვევია, პირდაპირ კანტორისაკენ გავწიე. მინდოდა დავწყნარებულიყავი. გონს მოვსულიყავი.

მთავარი ინჟინრის კაბინეტიდან, სადაც ჩვეულებრივ დილით ხუთწუთიანი თათბირები ეწყობოდა, დაგუდული ხმები გამოდიოდა. როგორ მინდოდა იქ შესვლა, ხალხს რომ მისაბმელის ისტორია არ ხსომებოდა. მინდოდა შევსულიყავი, უბრალოდ ჩამოვმჯდარიყავი სადმე ფანჯრის რაფაზე, ფეხი ფეხზე გადამედო, პაპიროსისათვის მომეკიდებინა, ერთი-ორი სიტყვა მეთქვა მეზობლებისათვის, მთისაზე თუ ბარისაზე, მომესმინა დილის განაწესი. ყური მიმეგდო როგორ დაობდნენ შოფრები რაღაც წვრილმანზე. ვერასოდეს წარმომედგინა, რომ ყველაფერი ეს შეიძლებოდა ასე ძვირფასი და სანატრელი ყოფილიყო კაცისათვის. მაგრამ მე ვერ ვბედავდი შოფრების წინაშე გამოჩენას მაშინ, როცა ყველანი ერთად იყვნენ თავშეყრილნი. ეს შიში არ იყო, ნამდვილად არ იყო შიში. ჩემში თავს დატეხილი მარცხის გამო უფრო მეტად გაბოროტება, გამომწვევი, უსუსური სიჯიუტე სჭარბობდა. ყველაფერ ამას ემატებოდა შეშფოთება იმ გაუთვალისწინებელი ღამის გამო, რომელიც კადიჩასთან გავატარე. თანაც გამოირკვა, ხალხი სულაც არ ფიქრობდა ჩემს დაკიწყებას. ოთახში სწორედ ჩემზე ლაპარაკობდნენ. ჯერ მე უურადღება არ მიმიქცევია იმ ხმებისათვის, რომელიც იქიდან ისმოდა. მაგრამ აი ვიღაცამ მრისხანედ წამოიძახა:

— რა უმსგავსობაა! კაცი პასუხისგებაშია მისაცემი, თქვენ კი ელოლიავებით! ზოგიერთებს კიდევ ჰყოფნით გამბედაობა თქვან, რომ ვითომ მან სწორად ჩაიფიქრა! კი, მაგრამ მისაბმელი რომ მიატოვა უღელტეხილზე?

მას სხვა ხმამ შეაწყვეტინა.

— სწორია! გვინახავს მაგისთანები! ზედმეტად ჭკვიახია. ბრემია მოუნდა ამ არეულობაში. ავტობაზის მხსნელად უნდოდა გვჩვენებოდა! ვერ მიართვეს.

ხალხი აყაყანდა. ხმები აირია. მე მოვწყდი იქაურობას. კარებს უკან ყურს ხომ არ მივუგდებდი. სადისპეტჩეროსაკენ გავსწიე საგზურის ასაღებად.

— საით მაგზავნიან, — ვკითხე ქალიშვილს, რომელიც იმ დღეს მორიგეობდა.

ჯერ ძველებურად მტოვებდნენ. ეტყობა საკითხი საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი.

გამოვბრუნდი. ზურგს უკან მომესმა როგორ გაიღო კარი და ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ შოფრები, ნაბიჯს ავუჩქარე. ისინი კიდევ ხმაურობდნენ. ალიბეკი მათ რაღაცას გაცხარებული უმტკიცებდა:

— მისაბმელისათვის მუხრუჭებს ჩვენ თვითონ დავამზადებთ ავტობაზაში. სულაც არაა რთული საქმე კომპრესორიდან შლანგის გადაგდება და კალაპოტში ჩასმა! ეს რა, ილიასია თუ? ილიას, მოიცადე! — დამიძახა მან.

არ შევჩერებულვარ, გარაჟისაკენ წავედი, ალიბეკი დამეწია, მხარზე მომქაჩა.

— ეშმაკმა წაიღოს! დავაჯერე როგორც იქნა! მოემზადე, ილიას! წამოხვალ ჩემს მეწყვილედ? საცდელი რეისია! მისაბმელით!

არ მომეწონა: ჩემი ხსნა გადაწყვიტა, ბუქსირზე უნდა აიყვანოს ფათერაკიანი მეგობარი! მეწყვილედ! მხრიდან ხელი მოვიცილე:

— დამეკარგე შენი მისაბმელით!

— რას ბრაზობ? თვითონ ხარ დამნაშავე! ტყუილად კი არ გეუბნები: ჩვენ აქ რაღაც მოვიფიქრეთ, ხალხმა გვირჩია, თანაც მე თვითონ მომყავდა შენი მისაბმელი უღელტეხილიდან... გამოვა...

— როგორც გინდა ისე გააკეთე, მე კი თავი დამანებე, მომშორდი.

— გეყოფა, შუაგზაზე ხომ არ მივატოვებთ საქმეს. სულ დამავიწყდა, ვალოდკა შირიაევს შენთვის არაფერი უთქვამს?

— არა, არ მინახავს. რა იყო?

— როგორ თუ რა! სად დაიკარგე? ასელი გზაზე გელოდება, ყველას ეკითხება, განიცდის! შენ კი...

მუხლთ მომეკვეთა. ისე ცუდად გავხდი, ისეთ ხასიათზე დავდექი, მერჩივნა ადგილზე მოვმკვდარიყავი. ალიბეკი კი სახელოზე მკიდებს ხელს და მიხსნის მისაბმელზე გაკეთებული რაღაც მოწყობილობის შესახებ. და კიდევ ვინ იცის რაზ. შორიახლოს, ჯანტაი დგას და ყურს გვიგდებს.

— მომშორდი! — გამოვგლიჯე ხელი. — რა ჯანდაბა გინდათ ჩემგან! პასუხისგებაში მიმეცით! მეყო! არავითარი მისაბმელი მე არ მჭირდება! არც არავის მეწყვილად არ წავყვები! გასაგებია?

ალიბეკი მოიღუშა, შუბლზე ძარღვები აუთამაშდა:

— თვითონ წამოიწყე, ხალხი ატეხე — ახლა კი ბუჩქებში პირველი გარბიხარ? ასეა არა?

— როგორც გინდა ისე გაიგე! — მოვუჭერი მე, შემოვბრუნდი და გარაჟისაკენ გავწიე.

მანქანასთან მივედი, ხელები მიკანკალებს, არ ვიცი რას ვაკეთებ. რატომღაც მანქანის ქვეშ, ორმოში ჩავხტი, აგურს მივეყრდენი, გაცხელებული შუბლის გაგრილება მინდოდა.

— ყური მიგდე, ილიას! — ზედ ყურთან მომესმა ვილაცის ჩურჩული.

თავი ავწიე: ეს კიდევ ვინ გამოტყვრა! ჯანტაი თავის წითელი ფაფახით ორმოს თავზე სოკოსავით ჩაცუცქულიყო და მოჭუტული თვალებით მიყურებდა.

— შენ სწორად დასცხე, ილიას!

— ვის?

— ალიბეკს, აქტივისტს! ქვასავით მოხვდა კბილებში! უცებ გაჩუმდა, თორემ რა დააწყნარებდა ნოვატორს!

— შენ რაღა გესაქმება?

— როგორ თუ რა, შენ როგორ ვერ მიხვდი, რომ ჩვენ, შოფრებს, მისაბმელები არაფერში გვჭირდება. ვიცით ჩვენ როგორც კეთდება ეს: გაზრდიან გამომუშავების ნორმას, შეამცირებენ გარბენას, მოდი და იწვალე, შეფასებას ტვირთკილომეტრზე ჩამოსჭრიან, რა ხერხია, რომ ჩვენ ჯიბეს დავარტყათ. ერთდღიანი სახელი, შემდეგ რა? ჩვენ შენზე ნაწყენი არა ვართ, ეგრევე იყავი...

— კი მაგრამ ვინა ხართ ეს — თქვენ? — რაც შეიძლებოდა მშვიდად შევეკითხე. თან მოწოლილი ბოლმა მახრჩობს. ეი თურმე რატომ არაფერი თქვა, როცა მნახა, ბუქსირით რომ მანქანა გადამყავდა. შორს იყურებოდი, მაგრამ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავ და ფიქრობ, რომ სხვებიც ვერ მიხვდებიან, როგორ სულელად მთვლი?!

— ჩვენ — ეს შენა ხარ? — შევეკითხე.

— მარტო მე რატომ, — თვალები აახამხამა ჯანტაიმ.

— ტყუიხარ! გათახსირებულო! შენს ჯინაზე ვივლი მისაბმელით! თავს დავდებ — მოვახერხებ. ახლა კი აქედან გაეთრიე! მე შენ კიდევ მოგწვდები!

— კარგი, კარგი, ძალიან ნუ იჭიმები! — შემომიღრინა ჯანტაიმ. — გიცნობთ რა სულწმინდაცა ხარ... მაინც იფიქრე... რაც შეეხება იმას, დრო ატარე მანამ შეგიძლია...

— ოჰ, შენი! — წამოვიყვირე და თავდავიწყებით, რაც შემეძლო, ნიკაპში ამოვარტყი.

იგი ორმოს ნაპირზე იჯდა და ისევე გადავარდა ზურგზე, ფაფახი მიწაზე გაგორდა. მე კატასავით ამოვხტი ორმოდან და ვეცი, მაგრამ ჯანტაიმ წამოხტომა მოასწრო, გვერდზე გადახტა და დაჭრილივით აღრიალდა:

— ხულიგანო! ბანდიტო! მუშტებით ვერ შემაშინებ! შენც მოგივლიან! თავი აიშვი, ჯავრს იყრი!..

ყოველი მხრიდან შეგროვდა ხალხი. ალიბეკიც მოვარდა.

— რა მოხდა? რატომ მოარტყი?

— სიმართლისათვის! — აქაქანდა ჯანტაი. — იმიტომ, რომ სიმართლე პირდაპირ პირში მივახალე, თვითონ მოიპარა მისაბმელი, გადაჩეხა, ჩაფუშა საქმე, ხოლო როცა სხვებს უნდათ პატიოსნად გამოასწორონ შეცდომა, ეგ ცხვირ-პირში ურტყამს! ახლა მას ეს ამბავი ხელს არ აძლევს, სახელი გაუფრინდა.

ალიბეკი მომიბრუნდა. გაფითრებულს ბრაზისაგან ენა დაება.

— უნამუსო! — მიბიძგა მან მკერდში. — თავს გაგივიდა, უღელტეხილი რომ ვერ დაიმორჩილე ჯავრს იყრი? არაფერია, უშენოდაც. იოლად გავალთ! უგმირებოდ...

ხმას არ ვიღებდი. არ შემეძლო რამე ამეხსნა. ისე ვიყავი შეძრწუნებული ჯანტაის ამ საშინელი, თავხედური ტყუილით, რომ კრიჭა ვერ გავხსენი. ამხანაგები დაბღვერილნი მიცქეროდნენ. ჯანტაი კი განაგრძობდა ყვირილს, თან გახეთქილი ტუჩიდან გადმონადენ სისხლს ფაფახით იწმენდდა.

მე მანქანას მივვარდი. ავტობაზიდან გამოვიქეცი.

გზაში დავთვერი. ძალიან ცუდად ვიყავი. არ ვიცოდი რითი დამეოკებინა ბრაზი, ჩემს თავზე რომ მომდიოდა უკანასკნელ დღეებში ჩადენილი საქციელის გამო. სინდისიც მოსვენებას არ მაძლევდა, როგორც კი ასელი გამახსენდებოდა.

ჯერ ერთ გზისპირა მაღაზიაში შევირბინე — არ მიშველა. გავჩერდი ისევ, მთელი ჭიქა დავლიე. შემდეგ კი წავიდა — მხოლოდ გაიელვებდნენ ხიდები, საგზაო ნიშნები და შემხვდური მანქანები. თითქოს გავმხიარულდი. „ეჰ! — ვფიქრობ, — ყველაფერი ჯანდაბას, რა გაკლია, მიჯდომიხარ საჭეს — ატრიალე. კადიჩაც არაფერ შუაშია: რა გაგიფუჭა, ან რითია სხვაზე უარესი. ახალგაზრდა, მშვენიერი ქალია, ლამაზი, გულკეთილი. უყვარხარ, თავს ურჩევნიხარ. შენი გულისათვის ყველაფერზე თანახმაა, შენ კი მასზე ათასნაირი რამის გაფიქრებას ბედავ. რა ცუდად გაატარე ის ღამე? უმადურო ღორო!

სახლში საღამოსანს მივედი, კარებთან ვდგავარ და ვბარბაცებ. კურტაკი ცალ მხარეზე მაქვს მოგდებული, ხანდახან ცალ ხელს ვინთავისუფლებ ხოლმე, რომ საჭესთან უფრო თავისუფლად ვიყო. დამჩემდა ბავშვობიდან, ქვების სროლისას შევეჩვიე.

ასელი გამოექანა, მერე გაჩერდა — შეშინებული და გაკვირვებული.

— ილიას, რა დაგემართა? — შემდეგ, ვგონებ მიხვდა რაშიც იყო საქმე. — რაღას უდგეხარ? დაიღალე, შეგცივდა? გაიხადე!

იგი წამოიწია. უნდოდა დამხმარებოდა, მაგრამ მე უსიტყვოდ გავწიე გვერდზე. სირცხვილი უხეშობით მინდოდა დამეფარა. ბარბაცით შევედი ოთახში, რაღაცა გადავაყირავე და მძიმედ დავეშვი სკამზე.

რა იყო, ილიას, მოხდა რამე? — მოვიდა ასელი და შეშფოთებით ჩამხედა მთვრალ, ამღვრეულ თვალებში.

— რა, არ იცი თუ? — მე თავი დავხარე: უმჯობესია თვალებში არ ჩამხედოს. ვიჯექი და ველოდი, რომ ასელი მოჰყვებოდა საყვედურებს, იწუწუნებდა თავის ბედზე, დაიწყევლიდა გაჩენის დღეს. მზად ვიყავი მომესმინა ყველაფერი, ყოველგვარი თავის მართლების გარეშე. მაგრამ იგი ხმას არ იღებდა,

თითქოს ოთახში არავინ იყო. თვალი ჩუმად გავაპარე და დავინახე: ასელი ფანჯარასთან იდგა, ზურგშექცეული მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იტანჯებოდა, რომ თვალთაგან ცრემლები სდიოდა. სიბრალულმა გული შემიკუმშა.

— ასელ, იცი რა უნდა გითხრა, — დავიწყე გაუბედავად. —მე უნდა გითხრა! — და დავდუმდი, მძიმედ ვსუნთქავდი, გამბედაობა არ მეყო გამოვმტყდარიყავი. არა, მე არ შემეძლო მეთქვა მისთვის, რასაც იგი არასოდეს არ მოელოდა. შემებრალა და სწორედ მაშინ შევცდი. იმ წუთში ვერ მოვახერხე თავი დამეძლია — თქვენებთან აულში წასვლას, ალბათ, მალე ვერ მოვახერხებთ, — გადავიტანე ლაპარაკი სხვა საგანზე. — როგორმე უფრო გვიან. ახლა ამისი თავი არა გვაქვს...

— კარგი, გადავდოთ! საჩქარო არაა! — გამომეპასუხა ასელი. თვალები შეიმშრალა და ჩემთან მოვიდა. — შენ ახლა ამაზე ნუ იფიქრებ, ილიას. ყველაფერი კარგად იქნება. შენ თავზე იფიქრო უმჯობესია. რაღაც უცნაური გახდი. ველარ გცნობ, ილიას...

— კარგი, კარგი! — გავაწყვეტინე გაბრაზებულმა იმით, რომ სულმოკლეობა გამოვიჩინე. — დავიღალე, მეძინება.

უნდა დავწოლილიყავი და თვალები დამეხუჭა, რომ კიდევ უფრო მეტი ტყუილი არ მეთქვა, რომ არაფერი არ გამეკეთებინა არაგულწრფელი. ასელი თავს არ მაბეზრებდა შეკითხვებით. რამდენჯერმე მინდოდა ყველაფერი გულწრფელად მეთქვა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიჭირდა ლაპარაკი. თურმე ყველაფერს თავისი დრო, თავისი ჟამი ჰქონია. გამოვფხიზლდი და მივხვდი, რომ აღარასოდეს არ ვეტყვი მას, რაც მოხდა, თუ რატომ, თვითონაც ვერ ამეხსნა ჩემი თავისთვის.

ერთი დღის შემდეგ, უკან დაბრუნებისას უღელტეხილის გადაღმა შევხვდი ალიბეკს. მისაბმელით მოჰყავდა მანქანა. დოლონი აღებული იყო.

რომ დამინახა, ალიბეკი მიმავალი მანქანის მარჯვენა მხრიდან გადმოხტა, ხელი დამიქნია. სიჩქარეს შევუნელე. ალიბეკი იდგა გზაზე მხიარული, მოზეიმე.

— გამარჯობა, ილიას! ჩამოდი, მოვწიოთ! — დამიძახა მან.

მე დავამუხრუჭე. ალიბეკს მანქანის კაბინაში საჭესთან ეხალგაზრდა ბიჭი უჯდა, მეორე შოფერი. მანქანის ბორბლებზე ჯაჭვები დაეხვიათ. მისაბმელისათვის პნევმატური მუხრუჭები დაედგათ. ეს უცებ შევნიშნე. მაგრამ არ გავჩერებულვარ. ძალიან ნაწყენი ვიყავი. მოახერხე — ძალიან კარგი! მე კი თავი დამანებე.

— მოიცა, მოიცა! — გამომეკიდა ალიბეკი. — საქმე მაქვს, შეჩერდი, ილიას! ეხ, მართლაც რომ შეითანი ხარ, რას შვები? კარგი, შენ იცი...

მე გავრეკე მანქანა. ნუ ყვირიხარ. არავითარი საქმე ჩვენ არა გვაქვს. ჩემი საქმე დიდიხანია წასულია. ცუდად მოვიქეცი, მე საუკეთესო მეგობარი დავკარგე. თანაც ის ხომ მართალი იყო, მართალი ყველაფერში, მე ახლა კარგად მესმის, მაგრამ მაშინ არ შემეძლო მისთვის მეპატიებინა, როგორ უბრალოდ და სწრაფად მიაღწია ყველაფერ იმას, რაც მე ამდენი ნერვების, თითქმის სიცოცხლის ფასად დამიჯდა.

ალიბეკი ყოველთვის დაკვირვებული, სერიოზული ბიჭი იყო. არასოდეს არ წავიდოდა უღელტეხილზე პარტიზანივით, როგორც მე. ასეთი რამ მის ხასიათს არ შეეფერებოდა. სამაგიეროდ ეს იყო მისი ძალა. იგი სწორად მოიქცა, როდესაც მანქანა მეწყვილესთან ერთად წაიყვანა. მათ შეეძლოთ ერთმანეთი შეეცვალათ გზაში და უღელტეხილისათვის განახლებული ძალებით შეეტიათ. უღელტეხილზე ხომ მთავარი—მოტორი, ნეზისყოფა და ადამიანის ხელებია. გარდა ამისა, ალიბეკს მეწყვილესთან ერთად ორჯერ უმცირდებოდა გარბენის დრო. ყველაფერი ეს მან გაითვალისწინა და მასთან ერთად მისაბმელს მუხრუჭები მოარგო. არც ჩვეულებრივი ჯაჭვები დავიწყებია წინა ბორბლებზე. ერთი სიტყვით, იგი უღელტეხილს შეიარაღებული შეებრძოლა და არა მარტო „ვაშათი". აი ასე გახდა დოლონი მისაწვდომი მისაბმელიანი მანქანებისათვის.

ალიბეკის შემდეგ ასეთი მანქანების ტარება სხვებმაც დაიწყეს, ყველამ ერთად არა, რა თქმა უნდა, ასეთ საქმეში ყოველთვის მთავარი პირველი ნაბიჯია. იმ ხანებში მანქანებიც შეგვემატა, დაგვეხმარნენ მეზობელი ავტობაზიდან. კვირანახევ-

რის განმავლობაში დღედაღამე ბორბლების ქვეშ გუგუნებდა ტიან-შანის ტრაქტი. ერთი სიტყვით, სიძნელეების მიუხედავად, ჩინელი ამხანაგების თხოვნა დროზე შევასრულეთ, არ დავაღალატეთ. მეც ვმუშაობდი. ეს ახლა ვყვები ასე, როცა ყველაფერმა გაიარა, როცა ამდენი წელი გავიდა, იმ ცხარე დღეებში კი კოფოზე თავი ვერ შევიმაგრე, სხვანაირად შებრუნდა ჩემი ცხოვრების ეტლი...

როცა ალიბეკთან შეხვედრის შემდეგ ავტობაზაში მივედი, უკვე გვიან იყო. წავედი საერთო საცხოვრებელში, მაგრამ გზაზე ცენტრალურ ქუჩაზე ისევ საჩაიეში შევუხვიე. მთელი ამ დღეების განმავლობაში რაღაც დაუძლეველი, არაადამიანური მისწრაფება მქონდა — დავმთვრალიყავი უგონოდ, თუნდაც ერთხელ ყველაფერი დამვიწყებოდა და მკვდარივით დამეძინა. ბევრი დავლიე, ძალით ვსვამდი, მაგრამ არაყი თითქოს არ მოქმედებდა ჩემზე. საჩაიედან კიდევ უფრო გაღიზიანებული და ნერვებაშლილი გამოვედი. შუაღამისას დავეხეტებოდი ქუჩებში და შემდეგ არც დავფიქრებულვარ, ისე შევუხვიე სანაპირო ქუჩაზე, კადიჩასთან. ის თურმე მე მელოდა.

შემდეგ ასე გაგრძელდა. ორ-ცეცხლს შუა ვიწვოდი. დღისით სამუშაოზე, საქმეს ვუჯექი, ხოლო საღამოს, როცა ავტობაზაში ვრჩებოდი, კადიჩასთან მივდიოდი. გული მისკენ მეწეოდა, მასთან კარგად ვგრძნობდი თავს, მშვიდად ვიყავი, თითქოს ვემალებოდი ჩემს თავს, ხალხს, სიმართლეს. მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ კადიჩას ვუყვარდი და ესმოდა ჩემი. სახლში მისული, ვცდილობდი ჩქარა წავსულიყავი უკან. ასელ, ჩემო ძვირფასო ასელ! მას რომ სცოდნოდა თავისი ნდობით, სულიერი სიწმინდით, სახლიდან მიშორებდა. იგი მაიძულებდა მეძებნა მიზეზი, რომ რაც შეიძლება ჩქარა წავსულიყავი; არ შემეძლო დიდხანს დარჩენა, რადგან ვიცოდი, რომ მისი ღირსი არ ვიყავი, არ ვიმსახურებდი იმას, რასაც იგი ჩემთვის აკეთებდა. რამდენჯერმე მივედი სახლში მთვრალი. მას ერთხელაც არაფერი უთქვამს. აქამდე ვერ მივხვედრილვარ რას ნიშნავდა ეს მისი მხრიდან: სისუსტეს, უნებისყოფობას, თუ პირიქით, ვაუკაცობასა და რწმენას ადამიანში? დიახ, რა თქმა უნდა, იგი ელოდა, მას სჯეროდა, რომ თავს ხელში ავიყვანდი, რომ

მე მოვერეოდი ჩემს თავს და გავხდებოდი ისეთი, როგორიც ვიყავი. მაგრამ უმჯობესი იყო გაველანძღე, იძულებული გავეხადე მეღიარებინა სიმართლე. შეიძლება, ასელს მოეთხოვა ჩემთვის პასუხი, რომ ცოდნოდა მარტო სამსახურის საქმეები არ მაწუხებდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა რა გადამხდა თავს ამ დღეებში. მე კი მეცოდებოდა იგი, ლაპარაკს ყოველთვის მეორე დღისათვის, შემდეგისათვის ვდებდი და ამიტომაც ვერ მოვასწარი გამეკეთებინა ის, რისიც ვალდებული ვიყავი — მისი, ჩვენი სიყვარულის, ჩვენი ოჯახის წინაშე.

უკანასკნელად გახარებული, აღფრთოვანებული დამხვდა. იგი წამოწითლებულიყო. თვალები უბრწყინავდა, უცინოდა. პირდაპირ შემათრია ოთახში, არ მომცა საშუალება კურტაკი და ჩექმები გამეხადა.

— შეხედე, ილიას! სამატი უკვე ფეხზე დადგა!

— რას ამბობ! სად არის?

— აგერ, მაგიდის ქვეშ!

— მერედა ხომ ხედავ, რომ დაფორთხავს.

— ახლავე დაინახავ! აბა, შვილო, აჩვენე მამას როგორ დგახარ! მოდი, სამატ, მოდი!

სამატი როგორღაც მიხვდა რას მოითხოვდნენ მისგან. მხიარულად გამოცოცდა მაგიდის ქვეშიდან, გაჩერდა ლოგინთან, ხელი წაატანა და ძლივს გაიმართა. იდგა ცოტა ხანს თავის ბუნჩულა ფეხებზე, იღიმებოდა, ბარბაცებდა და შემდეგ ისევე ვაქკაცური ღიმილით დაეცა იატაკზე. მივვარდი, ხელში ავიტაცე, მაგრად მივიკარი ბიჭუნა, რომლისგანაც რძის სუნი მცემდა. რა მშობლიური იყო ეს სურნელი, ისეთივე როგორც ასელი.

— დაახრჩობ, ილიას, ფრთხილად! — ასელმა ბავშვი გამომართვა. რას იტყვი, ჰა? გაიხადე. მალე სულ დიდი გახდება, მაშინ დედაც დაიწყებს მუშაობას. ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი კარგად იქნება, ასე არაა, შვილო? შენ კი! — ასელმა მომღიმარედ, ოდნავ სევდიანად შემომხედა, მე სკამზე დავჯექი. გავიგე და მივხვდი, რომ ამ მოკლე სიტყვაში მან ჩააქსოვა ყველაფერი რისი თქმაც უნდოდა, ყველაფერი, რაც გულში დაუგროვდა ამ დღეებში. ეს იყო თხოვნაც, საყვედურიც, იმე-

დიც. მე ახლა უნდა მოვყოლილიყავი ყველაფერს, ან დაუყოვნებლივ წავსულიყავი. უმჯობესი იყო წავსულიყავი. იგი ბედნიერი იყო და არაფრის ეშვი არ ჰქონდა. წამოვდექი.

— მე წავალ.

— საით? — აწრიალდა ასელი. — დღესაც არ დარჩები? ჩაი მაინც დალიე.

— არ შემიძლია. მეჩქარება, — წავიბურტყუნე მე. — თვითონაც იცი როგორი სამუშაო მაქვს...

არა, სამუშაო არ მეწეოდა სახლიდან. მე მხოლოდ დილით უნდა წავსულიყავი რეისში.

ბნელოდა, მანქანასთან მივედი, მძიმედ დავეხეთქე საჯდომზე და სიმწრისაგან ავკვნესდი. დიდხანს ვწვალობდი, ვიდრე გასაღებს მოვარგებდი. შემდეგ გზაზე გავედი, მივდიოდი, სანამ თვალს არ მიეფარა განათებული ფანჯრები. ხეობაში, ხიდთან გზიდან გადავუხვიე, მანქანა ბუჩქებში შევიყვანე და სინათლე ჩავაქრე. გადავწყვიტე აქ დამეძინა. პაპიროსი ამოვიღე. ასანთის ერთადერთი ღერი დამრჩენოდა. გავკარი, აინთო და უცებ ჩაქრა. პაპიროსიანად გადავუძახე ყველაფერს გარეთ. კურტაკი თავზე გადავიფარე და საჯდომზე მოვიკეცე.

მთვარე მიბღვერდა ცივ მთებს ზემოდან. სევდიანად უსტვენდა ხეობაში ქარი, მანქანის გამოღებულ კარებს აქანებდა და ჩუმად აკრაჭუნებდა. კაბინაში გაწოლილმა, ძლიერად, ისე როგორც არასდროს, ვიგრძენი ჩემი სიმარტოვე, მოწყვეტილი ვიყავი ხალხისაგან, ოჯახისაგან, ამხანაგებისაგან. ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა. თავს სიტყვა მივეცი: როგორც კი რეისიდან დავბრუნდებოდი, მოველაპარაკებოდი კადიჩას, ბოდიშს მოვუხდიდი, ვთხოვდი დავევიწყებინე და დაევიწყა ყველაფერი, რაც ჩვენს შორის იყო. ეს სწორი იქნებოდა, პატიოსანი და სამართლიანიც.

მაგრამ ცხოვრებამ ყველაფერი სხვაგვარად გადაწყვიტა. არასდროს არ მოველოდი თუ ასეთი რამ მოხდებოდა. ერთი დღის შემდეგ, დილით, როცა საუღელტეხილო ბაზაში მივედი. სახლში არავინ დამხვდა. კარი ღიად იყო მიტოვებული. ჯერ ვიფიქრე, რომ ასელი სადღაც გავიდა შეშისათვის, ან წყლისათვის. მივიხედ-მოვიხედე. ოთახში უწესრიგობა იყო. ღუმელი-

დან, რაღაც ისეთი სიცივე ვიგრძენი თითქოს აქ არავინ ცხოვრობდა. გავწიე სამატის საწოლისაკენ — ცარიელი დამიხვდა.

— ასელ! — წავიჩურჩულე შეშინებულმა. — „ასელ“! — ჩურჩულითვე მიპასუხეს კედლებმა.

კისრისტეხით გავვარდი გარეთ.

ასელ! — დავიყვირე ეზოში. არავინ მიპასუხა. მივვარდი მეზობლებთან, ბენზინის ჩამოსასხმელთან, ხეირიანად არავინ არაფერი იცოდა. მითხრეს, რომ გუშინ მთელი დღით სადღაც იყო წასული, ბავშვი ნაცნობებს დაუტოვა, ღამე დაბრუნდა სახლშიო. „წავიდა, ყველაფერი გაიგო!“ — შემაძრწუნა საშინელმა ფიქრმა.

არა მგონია, რომ როდესმე ასე მეტარებინოს მანქანა ტიანშანის მთებზე, როგორც იმ ჩემთვის უბედურ დღეს. მეჩვენებოდა, რომ რომელიმე მოსახვევში ან ხეობაში, ანდა სადმე გზაზე დავეწეოდი. მიმინოსავით დავაცხრებოდი ხოლმე წინ მიმავალ მანქანას, პირდაპირ მის გვერდზე ვამუხრუჭებდი, ვათვალიერებდი კაბინას, ძარას და მივაქროლებდი ისევ, თან შოფერთა ლანძღვა-გინება მიმყვებოდა. ასე მივქროდი შეუსვენებლივ სამი საათი, მანამ რადიატორში წყალი არ ამიდუღდა. გამოვვარდი კაბინიდან, რადიატორს თოვლი დავაყარე, წყლის მოსატანად გავიქეცი. მანქანა ხვნეშოდა, როგორც ღონეგამოცლილი ცხენი. ის იყო საჭეს უნდა მოვჯდომოდი, რომ ალიბეკის მანქანა დავინახე. გამეხარდა. თუმცა ერთმანეთს არ ვესალმებოდით და არც ველაპარაკებოდით, მაგრამ თუ ასელი მათთან იყო, ვიცოდი აუცილებლად მეტყოდა. გზაზე გამოვვარდი, ხელი ავწიე:

— ალიბეკ, გაჩერდი! ალიბეკ! გააჩერე!

— შემცველმა, რომელიც საჭეს უჯდა, ალიბეკს გადახედა. იგი მოღუშული შებრუნდა. მანქანამ გამიქროლა ისე, რომ არ შეჩერებულა. ვიდექი გზაზე თოვლში ამოგანგლული და დიდხანს მქონდა ხელი აწეული. შემდეგ სახე მოვიწმინდე. რას იზამ, ვალს გადახდა უხდება! მაგრამ მე გაბრაზების თავი არ მქონდა. მაშასადამე, ასელი მათთან არ მისულა. გამოდის, რომ თავისიანებთან წავიდა აულში. სხვა გზა არ ჰქონდა. როგორ გადააბიჯებდა იგი ამ სახლის ზღურბლს, რას იტყოდა?

დაუყოვნებლივ ბულში უნდა წავსულიყავი.

მანქანის გადმოტვირთვის შემდეგ ავტობაზის ეზოში არ შევსულვარ. მანქანა ქუჩაში დავტოვე და სადისპეტჩეროში გავიქეცი საბუთების ჩასაბარებლად. გასასვლელში ჯანტაის შევეჩეხე. ჩუმად გაძვრა, სახეზე თავხედური, საძულველი ღიმილი გაჰყვა.

აქლოშინებულმა შევყავი თავი სადისპეტჩეროს ფანჯარაში, საგზური კადიჩას დავუგდე მაგიდაზე. მან უცნაურად შემომხედა. რაღაც შეშფოთებამ, დანაშაულის მსგავსმა გაიელვა მის თვალებში.

— ჩაიბარე ჩქარა! — ვუთხარი მე.

— მოხდა რამე?

ასელი წავიდა სახლიდან.

— რას ამბობ? — კადიჩა გაფითრდა, მაგიდიდან წამოდგა, ტუჩები მოიკვნიტა და წაილაპარაკა. — მაპატიე, მაპატიე, ილიას! ეს მე, მე...

— რა შენ? თქვი, გამაგებინე, მითხარი ყველაფერი!—შევვარდი ოთახში.

— თვითონაც არ ვიცი როგორ მოხდა. გულწრფელად გეუბნები, ილიას! გუშინ გუშაგმა დამიკაკუნა ფანჯარაზე, მითხრა ვილაც ქალიშვილი მოვიდა, შენი ნახვა უნდაო. დაუძახა მას და თვითონ წავიდა. მაშინვე ვიცანი. მან ჩუმად შემომხედა და მკითხა: „ეს მართალია?“ და უცებ, ჩემდა უნებურად, თავდავიწყებულმა ვუთხარი: „დიახ, მართალია. ყველაფერი მართალია. ჩემთანაა!“ — იგი ფანჯარას მოწყდა. მე კი მაგიდაზე დავემხე და ავტირდი, თან სულელივით ვიმეორებდი: „ჩემია იგი! ჩემი!“ ასელი გაიქცა და მე აღარ მომიკრავს მისთვის თვალი.

— მოიცა. საიდან გაიგო?

— ჯანტაიმ უთხრა. ეს მან გააკეთა, ის მეც მემუქრებოდა. შენ ხომ იცნობ იმ უსინდისოს!

— ვიცნობ. მხოლოდ ამჯერად სიმართლე თქვა.

— წადი, ილიას, მოძებნე იგი. მე მეტს აღარ შეგიშლით ხელს, წავალ სადმე...

მანქანა მიმაქროლებდა ზამთრის ტრამალზე. შავმოიისფრო,

გიყინულ მიწაზე ძნელი იყო სიარული. ქარი ნამქერს ატრიალებდა, ამოჰქონდა არხებიდან და ერეკებოდა მინდორში, შორს კი, სადღაც შორს, მთის ძირში შავად მოჩანდა აულის ქარდაკრული ღობეები და გაშიშვლებული ბაღები.

კოლმეურნეობაში საღამოხანს მივედი. გავჩერდი ნაცნობ ეზოსთან, სწრაფად მოვუკიდე პაპიროსს, გული რომ დამემშვიდებინა. შემდეგ ნამწვი ჩავაქრე და სიგნალი მივეცი. ასელის მაგივრად დედამისი გამოვიდა, მხრებზე ქურქი მოესხა. მე კარები გავაღე, საფეხურზე დავდექი და ჩუმად ვთქვი:

— გამარჯობათ, აპა!

— აა, ეს შენ გამოცხადდი! — მიპასუხა გაკაპასებულმა ქალმა. — შენ ყოველივე იმის შემდეგ ბედავ „აპა" დამიძახო? აქედან გაეთრიე, არ გნახონ ჩემმა თვალებმა. მაწანწალავ, გადაიბირე ჩემი შვილი, ახლა კი მობრძანდი. უსირცხვილოვ, თვალებს როგორღა მისწორებ, ამირიე მთელი ცხოვრება...

მოხუცი პირის გაღების საშუალებას არ მაძლევდა. იგი მლანძღავდა და მათრევდა, რაც შეეძლო. მის ხმაზე მეზობელი სახლებიდან ხალხი გამოვიდა, შეგროვდა, ბიჭებიც გაჩნდნენ.

— წადი, მანამ ხალხი არ შემიყრია! წადი შერცხვენილი, რომ არასოდეს გნახო! — წამოიწია ჩემზე განრისხებულმა დედამ, ქურქი მიწაზე დააგდო.

— ეი, წადი აქედან სანამ კარგად ხარ! — პირქუშად ჩაიბუზუნა ვიღაცამ და ხელით მიჩვენა მოვშორებოდი იქაურობას.

სხვა გზა არ იყო, საჭეს უნდა მივჯდომოდი. უნდა წავსულიყავი, რადგან ასელს ჩემი დანახვაც არ უნდოდა. მანქანას ქვები და ჯოხები დააცვივდა. ეს ბიჭები მაცილებდნენ აულიდან, რატომ მექცეოდნენ ასე? შეიძლება ფიქრობდნენ, რომ მე შეურაცხყოფა მივაყენე, რამე ვაწყენინე ამ მოხუც ქალს? ან გადაწყვიტეს, რომ ვიღაც ბანდიტი ვარ...

იმ ღამეს დიდხანს დავზეტიალობდი ტბის ნაპირას. იგი ადგილს ვერ პოულობდა, ბორგავდა, მთვარის შუქით განათებული. ო, ისიკ-ყულო, მუდამ მხურვალე ტბავ! შენ იმ ღამეს ცივი და მიუკარებელი იყავი. ბე ვიჯექი გადაბრუნებული ნავის ფსკერზე. ტალღები მრისხანედ ეხეთქებოდნენ რიყეს, მცემ-

დნენ ჩექმის ყელებზე და მძიმე ხვნეშით ბრუნდებოდნენ უკან.

შემდეგ ვიღაც მოვიდა ჩემთან, ფრთხილად დამადო მხარზე ხელი. კადიჩა იყო.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ერთად წავედით ფრუნზეში, მოვეწყეთ საძიებო ექსპედიციაში, რომელიც ანარხაის ველის საძოვრებს სწავლობდა. მე — შოფრად, კადიჩა — მუშად. ასე დაიწყო ახალი ცხოვრება.

შორს, ანარხაის სიღრმეში, ბალხაშის პირეთამდე მივედით ექსპედიციასთან ერთად. ექსპედიცია რომ კიდევ უფრო შორს წასულიყო, უკან არც მაშინ დავბრუნდებოდი. რახან მოინდომე წარსულთან კავშირის გაწყვეტა, უნდა გაწყვიტო სამუდამოდ.

პირველ ხანებში დარდს მუშაობით ვიქარვებდი. საქმე კი ბევრი მქონდა. სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღმა-დაღმა გადავსერე ანარხაი, ჭები გავთხარეთ, გზები გავჭერით, ბაზები გავმართეთ. ერთი სიტყვით, ანარხაი ძველებურად გაუვალი ველური აღარ არის, სადაც შეიძლებოდა დღისით-მზისით გზა აგბნეოდა, სადაც შეგეძლო მთელი თვე გეხეტიალა და ვერ გაგეგო სად არის ამ ბორცვებიანი, აბზინდით სავსე ტრამალის თავი და ბოლო. ახლა ეს მეცხოველეობის მხარეა, კულტურის ცენტრებით, სახლებით. პურს თესავენ და თივასაც კი ამზადებენ. მართალია, სამუშაო ანარხაიში ახლაც თავსაყრელია, მით უმეტეს, ჩვენი ძმას—შოფრისათვის ხომ არის და არის... მაგრამ მე დავბრუნდი. იმიტომ კი არა, რომ გამიჭირდა უკაცრიელ ადგილებში, ან გამიჭირდა აღმა-დაღმა სიარული უგზო ტრამალზე. ქარბუქიან ზამთარში. ყველაფერი ეს ხომ დროებითი, წარმავალია. თუ ადამიანი მყარად დგას ადგილზე, დაიმორჩილებს ტრამალს, თვითონაც შეეთვისება და მასაც მოარჯულებს. მე და კადიჩას სიძნელეების არ გვეშინოდა, უნდა ითქვას, არც ცუდად ვცხოვრობდით, პატივს ვცემდით ერთმანეთს. მაგრამ პატივისცემა ერთია, სიყვარული კი მეორე. ვინდაც ერთს უყვარდეს და მეორეს არა, ჩემის აზრით, ეს ნამდვილი ცხოვრება არ არის. ან ადამიანი ასეა მოწყობილი, ანდა მე ვარ ბუნებით ასეთი, რომ სულ მუდამ მაკლდა რაღაც ისეთი, რასაც ვერც მუშაობით, ვერც ამხანაგებთან მეგობრობით,

ვერც მოყვარული ქალისადმი სიკეთითა და ყურადღებით ვერ აინაზღაურებ. მე დიდი ხანია, სადღაც გულის სიღრმეში ვნანობდი, რომ ერთხელ კიდევ არ შევეცადე ასელს დავბრუნებოდი; უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ასელ და ბავშვი ძალიან მომენატრენ. ვდარდობდი, ღამეები არ მეძინა. მეჩვენებოდა ფუნჩულა ფეხებზე მდგარი სამატი, მომღიმარი, როგორც მაშინ. მისი ბავშვური ნაზი სურნელი ვე მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გამყვება. გული მეწეოდა მშობლიური ტიან-შანინ მთებისაკენ, ჩემი ლურჯი ისიკ-ყულისაკენ, მთისპირა ტრამალებისაკენ, სადაც შევხვდი ჩემს პირველ და უკანასკნელ სიყვარულს. კადიჩამ იცოდა ამის შესახებ და არაფერში არ მადანაშაულებდა, ისევე როგორც მე არ ვადანაშაულებდი მას არაფერში. უბრალოდ ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება არ ივარგებდა.

ანარხაიში ადრიანი გაზაფხული იდგა. სწრაფად გადნა თოვლი, ბორცვებმა თეთრი სამოსი მოიშორეს. მიდამო ამწვანდა, ტრამალი სულს ითქვამდა, თბებოდა, აგროვებდა სითბოსა და წყალს. ღამღამობით ჰაერი გამჭვირვალე გახდა, ცა ვარსკვლავიანი.

ჩვენ ვიწექით კარავში, ჭაბურღილის კოშკის გვერდით და, როგორც ყოველთვის, არ გვეძინა. უცებ ტრამალის სიჩუმეში. ვინ იცის საიდან. გაისმა ორთქლმავლის კივილი. არ ვიცი როგორ მოაღწია ძან ჩვენამდე. ყაზახეთის რკინიგზა ჩვენგან ნახევარი დღის სავალზე იყო. ან იქნებ მე მომეჩვენა, არ ვიცი. მხოლოდ გული ამიჩქროლდა, გზისკენ გამიწია. და მე ვუთხარი მას:

— წავალ, კადიჩა.

— წადი, ილიას, ჩვენი გზები უნდა გაიყაროს, — მიპასუხა მან.

დავშორდით. კადიჩა ჩრდილოეთ ყაზახეთში წავიდა. ყამირზე. ღმერთმა ბედნიერი ჰქნას, მე ეს ძალიან მინდა. მინდა დავიჯერო. რომ იგი მაინც შეხვდება იმ ადამიანს. რომელიც მას ეძებს, ისე რომ თვითონაც არ იცის ამის შესახებ. არ გაუმართლა მას პირველ ქმართან. გასცილდა. სულ სხვა კაცი გამოდგა. არ გაუმართლა არც ჩემთან. შეიძლება მე დავრჩენილიყავი მას-

თან, რომ არ მცოდნოდა რას ნიშნავს ნამდვილი, წრფელი სიყვარული. რას ნიშნავს გიყვარდეს და უყვარდე ვინმეს. ეს ხომ ისეთი რამაა, რასაც ვერავის ვერ აუხსნი, რატომაა სწორედ ასე და არა სხვანაირად.

მე იგი პატარა სადგურამდე მივიყვანე, მატარებელში ჩავსვი. მივსდევდი მატარებელს, ვიდრე არ ჩამოვრჩი. — „გზა მშვიდობისა, კადიჩა, ნუ მომიგონებ ცუდად!“ — უკანასკნელად ჩავიჩურჩულე ჩემთვის.

წეროები ანარხაის გავლით სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ, მე კი ჩრდილოეთისაკენ მივდიოდი, მივდიოდი ტიან-შანისაკენ...

* * *

ჩავედი, არსად გავჩერებულვარ, აულისაკენ გავწიე. ჩემოდანი რაიონში დავტოვე. პატარა სასტუმროში. მანქანა დროულად შემხვდა: მთებში მიდიოდა, გეოლოგებთან. ძარაში ვიჯექი და ვცდილობდი არაფერზე მეფიქრა, მეშინოდა და თან მიხაროდა. ჩვენ მივდიოდით იმ ტრამალზე, იმ გზით, სადაც მე და ასელი ვხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ ეს უკვე აღარ იყო სასოფლო გზა, არამედ ხრეშით დაფარული შარაგზა, ბეტონის ხიდებით, საგზაო ნიშნებით. დამენანა კიდეც ძველი უბრალო გზა. ვერ ვიცანი ვერც ის გადასასვლელი არხზე, სადაც ჩემი მანქანა ჩაეფლო, აღარც ის ქვა იყო არსად, რომელზეც ასელი იჯდა.

სოფელს არც ვიყავი მიახლოებული, რომ კაბინაზე დავაბრახუნე.

— რაშია საქმე? — თავი გამოყო შოფერმა.

— გააჩერე, ჩამოვალ.

— მინდორში? ახლავე მივალთ.

— გმადლობთ! აქვეა, ახლო, — მანქანიდან ჩამოვხტი, — ფეხით. გავიარ. — რა იცოდა რისთვის მოვდიოდი. ფული შევაძლიე.

— არ მინდა! — მეუბნება. — შოფრებისაგან არ ვიღებ.

— აიღე, შუბლზე ხომ არ მაწერია.

— მაინც გეტყობა.

— თუ ასეა, კეთილი. კარგად იყავი!

მანქანა წავიდა, ქუჩის ბოლოს ეზოებს მიეფარა. მე კი ისევ გზაზე ვიდექი და ძალა ვერ მომეკრიბა. ქარს ზურგი შევაქციე. პაპიროსს მოვუკიდე. თითები მიკანკალებდა, სიგარეტი პირთან რომ მიმქონდა, რამდენჯერმე მოვქაჩე, ნამწვი ფეხით გაესრისე და წავედი. „აი გამოვცხადდი!“ — ვუთხარი ჩემს თავს, მეტი არაფერი მქონდა სათქმელი. გული ახშობდა აზრიბს, იგი ჩქარობდა, ყურებში რეკავდა, თითქოს ჩაქუჩს ურტყამენო.

აული შესამჩნევად შეცვლილიყო, გაზრდილიყო, ბევრი ახალი შიფერის სახურავებიანი სახლი ჩანდა. მავთულები დაეჭიმათ ქუჩების თავზე. კოლმეურნეობის გამგეობასთან, ბოძზე რადიო ლაპარაკობდა. ბავშვები სკოლაში მირბოდნენ. უფრო მოზრდილები ჯგუფად მიჰყვებოდნენ ახალგაზრდა უნივერსიტეტდამთავრებულ მასწავლებელს (სამკერდე ნიშნით მივხვდი), რაღაცაზე საუბრობდნენ. შეიძლება მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც მე ქვებსა და ჯოხებს მესროდა. რა ვუყოთ მერე, პატარები იყვნენ მაშინ...

ჩქარი ნაბიჯით მივუყვებოდი ქუჩის ნაპირს, ვცდილობდი შეუმჩნევლად მევლო, თუმცა მე აქ არავინ მიცნობდა.

აი ის ეზოც — ტირიფებით და თიხის ყორით,—შევჩერდი, სული მოვითქვი. შიშისა და მღელვარებისაგან გული შემეკუმშა, გაუბედავად გავემართე ჭიშკრისაკენ. დავუკაკუნე. ენას რომ მიჩვენებდა, იმ გოგონამ გამოირბინა. ხელში პორტფელი ეჭირა, ახლა ის სკოლაში დადიოდა. გოგონას ეჩქარებოდა. მან გაკვირვებით შემომხედა და თქვა:

— სახლში არავინ არ არის!

— არავინაა?

— დიახ. აპა სტუმრად წავიდა, სატყეო მეურნეობაში... მამა წყალს უზიდავს ტრაქტორისტებს.

— ასელი სადაა? — გაუბედავად შევეკითხე და ვიგრძენი როგორ გამიშრა ხახა.

— ასელი? — გაუკვირდა გოგონას. — ასელი დიდიხანია წავიდა...

— და არასოდეს დაბრუნებულა?

— ყოველ წელს ჩამოდის ჯეძესთან[1] ერთად. აპა ამბობს ძალიან კარგი კაციაო!..

გოგონასათვის მეტი არაფერი მიკითხავს, იგი სკოლაში გაიქცა. მე უკან მოვბრუნდი. ისე მეწყინა, რომ ჩემთვის ახლა სულ ერთი იყო, როდის და ვის გაჰყვა იგი ცოლად. ან რა საჭირო იყო ამის ცოდნა? რატომღაც არასოდეს მომსვლია აზრად, რომ შეიძლებოდა ასელი ამ პერიოდში სხვა ვინმეს შეხვედროდა, არადა ეს ხომ მოსალოდნელი იყო. ხომ არ დაჯდებოდა და წლობით არ დამიწყებდა ლოდინს.

აულიდან გამოსული პირდაპირ ფეხით წამოვედი, მანქანებისთვის არ დამიცდია. რომ დამწეოდა კიდეც, არც გავაჩერებდი. უნდა წავსულიყავი, საით — სულ ერთი იყო, ქვეყნის კიდემდი ვივლიდი.

მივდიოდი იმავე გზით, რომლითაც ოდესღაც მე და ასელი წავედით. მაგრამ გზა სულ შეცვლილიყო. დაეტკეპნათ. ხრეში მოეყარათ. მხოლოდ ტრამალი დარჩენილიყო უცვლელი: მუქი მზრალად ნახნავითა და ღია ფერის. გახუნებული ნაწვერალით. ფართო, დამრეცი ფერდობებით მიიმართებოდა იგი ჰორიზონტისაკენ და წითელი ნაწიბურებით წყდებოდა შორეული ისიკ-ყულის ნაპირებთან. მიწა გაშიშვლებულიყო, მას ახლახან გადაეცალა თოვლის საბურველი. სადღაც უკვე გუგუნებდნენ ტრაქტორები. პირველ კვალს ავლებდნენ გაზაფხულზე.

გვიან საღამოს ჩავაღწიე რაიონში, ღამე სასტუმროში გავათენე და დილით ავტობაზაში წასვლა გადავწყვიტე.

სხვაგან წასვლას ახლა არავითარი აზრი არ ჰქონდა. ყველაფერი დამთავრებული, ყველაფერი დაკარგული იყო. უნდა გეცხოვრა და გემუშავა, შემდეგ კი — ვინ იცის...

ტიან-შანის ტრაქტი, როგორც ყოველთვის, ბორბლებქვეშ გუგუნებდა, მანქანები განუწყვეტლივ მიდიოდნენ. მე ვარჩევდი ჩემსას — ავტობაზისას. აი რომელიღაც ჩვენიანი მოდის. ხელი ავწიე.

შოფერი კაბინაში ვერ გავარჩიე, მანქანა სისწრაფისაგან წინ გავარდა და უცებ დაამუხრუჭა. მე ჩემოდანი ავიღე. შოფერი კაბინიდან გადმოვიდა. ვხედავ ჩემი თანაპოლკელი, ერ-

[1] ჯეძე — უფროსი დის ქმარი.

მეკი, არმიაში ჩემთან გადიოდა სტაჟირებას. მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. ერმეკი ჩუმად მიყურებს, გაუბედავად იღიმება.

— ვერ მიცანი?

— სერჟანტი... ილიას, ილიას ალიბაევი! — გამიხსენა მან.

— სწორედ ის! — ჩავიცინე. გულში კი მეწყინა, გამოდის, რომ ძაგრად შეეიცვალე, თუ ხალხს ცნობა უჭირს.

დავიძარით. ვსაუბრობდით ცისაზე, ბარისაზე, ვიგონებდით სამსახურს არმიაში. მე სულ მეშინოდა: ჩემს ცხოვრებაზე რამე არ მკითხოს-თქო. მაგრამ ერმეკმა ალბათ არაფერი არ იცოდა. დავმშვიდდი.

— როდის დაბრუნდი შინ? — შეეკითხე.

— უკვე ორი წელია რაც ვმუშაობ.

— ალიბეკ ჯანტურინი სად არის?

— არ ვიცი, მე მისთვის არ მომისწრია. ამბობენ, რომ მთავარ მექანიკოსად მუშაობსო ავტობაზაში, სადღაც პამირზე...

„ყოჩაღ, ალიბეკ! ყოჩაღ, მეგობარო! ნამდვილი ჯიგიტი ხარ!“ — გამიხარდა გუნებაში. ალბათ მიაღწია თავისას. ჯერ კიდევ არმიაში ყოფნის დროს დაიწყო დაუსწრებლად სწავლა ავტოსაგზაო ტექნიკუმში. ინსტიტუტის დამთავრებასაც აპირებდა დაუსწრებლად.

— უფროსი ამანჟოლოვია?

— არა, ახალია. ამანჟოლოვი დააწინაურეს, სამინისტროშია.

— როგორ ფიქრობ მიმიღებენ სამსახურში?

— რატომაც არა, რა თქმა უნდა მიგიღებენ. პირველი კლასის შოფერი ხარ, არმიაშიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდი.

— ვითვლებოდი ოდესღაც, — წავიბუტბუტე ჩემთვის. — ჯანტაის იცნობ?

— ჩვენთან ასეთი არავინაა. არც გამიგონია არასდროს. „ბევრი ცვლილებები მომხდარა ავტობაზაში,“ — ვფიქრობდი გულში, შემდეგ კი შეეკითხე:

— მისაბმელების საქმე როგორაა, გადაგყავთ უღელტეხილზე?

— ჩვეულებრივად, — უბრალოდ მიპასუხა მან. — იმის მი-

ხედვით, თუ როგორი ტვირთია. თუ საჭიროა, მოაწყობენ და წაიყვან. მანქანები ახლა მძლავრია... მან არ იცოდა რა ფასად დამიჯდა მე ეს მისაბმელები. ანარხაიში ცხოვრების დროს ხშირად ვფიქრობდი, რატომ გახდა ჩემთვის საბედისწერო ეს შემთხვევა უღელტეხილზე. მხოლოდ მე ვიყავი დამნაშავე, თუ სხვა მიზეზებიც იყო. არსებითად რომ ვიმსჯელოთ ხომ სულ უბრალო საქმე იყო, არავითარ სიბრძნეს არ მოითხოვდა დოლონზე მისაბმელების ტარება; სიძნელეთა მიუხედავად შესაძლებელი აღმოჩნდა და ახლა ამას აკეთებენ ყოველთვის, თუკი საჭიროა, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ჩვენთან ყოველთვის თავის დროზე ვერ ამჩნევენ იმას, რაც უკვე საცაა კარებს შემოგიმტვრევს და მოითხოვს საქმეში გამომიყენეთო. რატომ მოეკიდნენ ასე უნდობლად ჩემს წინადადებას? თუ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ეს მართლაც ძნელი ნაბიჯი იყო მთის პირობებში. იყო კიდევ ინსტრუქცია, რომელიც ეხებოდა ჩვენს გზებზე მანქანების ექსპლოატაციასა და ტვირთის გადატანას. იგი კრძალავდა უღელტეხილზე მისაბმელის ტარებას. როდის შეიმუშავეს ეს ინსტრუქცია? ღმერთმა უწყის! ალბათ ომამდე, როცა ტონანახევრიანი სატვირთო მანქანები დადიოდნენ. მას მისაბმელის ტარება კი არა, თვითონ უჭირდა სიარული სწორ გზაზე. აქ არავითარი ინსტრუქცია არაა საჭირო. გამოჩნდნენ ახალი, თანამედროვე მძლავრი მანქანები, ქაღალდზე კი ყველაფერი ძველებურად რჩებოდა, სანამ ცხოვრებამ არ წაშალა. დავუშვათ, რომ ეს ცალკეული, პატარა ფაქტია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მსგავსი რამ მომხდარიყო, უფრო მნიშვნელოვან, უფრო დიდ საქმეში. ახლა მე ნაწყენი აღარა ვარ ამხანაგებზე, კინაღამ რომ მცემეს სატვირთო სადგურში, ჩემი, ასე ვთქვათ, თავხედობისათვის. მაგრამ მაშინ მე ამან გამაცხარა და მისაბმელიც უღელტეხილისაკენ სწორედ ამან წამაყვანინა, ისე რომ აღარ დავფიქრებულვარ, რა მოჰყვებოდა ამას...

ერთი სიტყვით, მშობლიურ ავტობაზაში დავბრუნდი. პირველ დღეს ერმეკმა მიმიწვია სახლში. კარგად მიმიღო. შეხვედრის აღსანიშნავად დავლიოთო — შემომთავაზა. უარი ვუთხარი. დიდი ხანი იყო; რაც არ დამელია და არც ვაპირებდი დალევას.

არც ავტობაზაში შემხვედრიან ცუდად. მიმიღეს სამსახურში, ბინაც საერთო საცხოვრებელში მომცეს. ამხანაგების, რომლებიც ადრევე მიცნობდნენ, ძალიან მადლიერი ვიყავი, შეკითხვებით თავს არ მაბეზრებდნენ. ხედავდნენ, რომ ადამიანმა ბევრი იხეტიალა, დაბრუნდა და კეთილსინდისიერად, პატიოსნად მუშაობს, ჰოდა ძალიან კარგი. რა საჭიროა ძველის გახსენება? მე თვითონაც ვცდილობდი ყველაფერი დამევიწყებინა, დამევიწყებინა ერთხელ და სამუდამოდ. როცა საუღელტეხილო ბაზასთან გავივლიდი ხოლმე, იქით არ ვიხედებოდი, სადაც ადრე ვცხოვრობდი ოჯახითურთ. ბენზინსაც არ ვასხამდი მანქანაში. იოლად გავდიოდი, არ მინდოდა იქ ერთი წამითაც შევჩერებულიყავი. მაგრამ ვერაფერმა მიშველა, ვერ შევძელი თავის მოტყუება.

მე უკვე კარგა ხანია ვმუშაობდი, ტრასას შევეჩვიე, მანქანა შევამოწმე, მოტორი გამოვცადე ყველა სიჩქარესა და აღმართზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ვიცოდი ჩემი საქმე და ვაკეთებდი კიდეც.

იმ დღეს ჩინეთიდან ვბრუნდებოდი. მოვდიოდი მშვიდად, არაფერზე არ ვფიქრობდი, პაპიროსს ვეწეოდი, საჭეს ვატრიალებდი და აქეთ-იქით ვიხედებოდი. გაზაფხული იდგა, მშვენიერი იყო მიდამო. სადღაც მოშორებით უკვე იურტები დაედგათ: მეჯოგეები საზაფხულო საძოვრებზე გამოდიოდნენ. იურტების თავზე შავმოიისფრო კვამლი მოჩანდა. ქარს ცხენების ჭიხვინის ხმა მოჰქონდა. ფარები გზის მახლობლად ძოვდნენ. მომაგონდა ბავშვობა და სევდა შემომაწვა... უცებ ტბის მისასვლელისაკენ გავიხედე და შეშინებული შევკრთი: — გედები!

ჩემს ცხოვრებაში მეორედ ვხედავდი გაზაფხულზე გედებს ისიკ-ყულის ნაპირებთან. ლურჯი-ლაჟვარდოვანი ისიკ-ყულის თავზე თეთრი ფრინველები ტრიალებდნენ. თვითონაც არ ვიცი რატომ, მკვეთრად მოვუხვიე გზიდან და როგორც მაშინ, პირდაპირ ყამირით გავემართე ტბისაკენ.

ო, ისიკ-ყულო, ისიკ-ყულო, ჩემო დაუმთავრებელო სიმღერავ! რატომ მომაგონდა ის დღე, როდესაც სწორედ ამ ბორცვთან, ზედ წყლის პირას მე და ასელი გავჩერდით! ყველაფერი ასევე იყო: მოთეთრო-მოლურჯო ტალღები, თითქოს

ხელიხელჩაკიდებულნი მწკრივად აწყდებოდნენ ყვითელ ნაპირებს. მზე მთებს მიღმა ეშვებოდა და შორს წყალი ვარდისფრად მოჩანდა. გედები დაფრინავდნენ ტბის თავზე აღელვებულნი და მოზეიმე. ისინი აიჭრებოდნენ მაღლა. შემდეგ ძირს ეშვებოდნენ გაშლილი ფრთებით. აქაფებდნენ წყალს, რომელზედაც ჩნდებოდა ფართო წრეები. დიახ, ყველაფერი ისევე იყო, ოღონდ ასელი არ იყო ჩემთან. სად იყო იგი, ჩემი წითელთავსაფრიანი ჩინარი?

დიდხანს ვიდექი ტბის ნაპირთან. შემდეგ შევედი ავტობაზაში. იქიდან გამოსულმა თავი ვეღარ შევიკავე, ავიწყვიტე... შევედი საჩაიეში, რომ გულში გამოღვიძებული ტკივილი ჩამეკლა. საჩაიედან გვიან გამოვედი. ცა ჩამობნელებულიყო, მოქუფრულიყო. ხეობიდან, როგორც მილიდან, უბერავდა ულანი[1]. ხეებს ხრიდა, მაკანკალებდა ზუზუნებდა და სახეში ძლიერად მცემდა. შფოთავდა, ოხრავდა ტბა. ძლივს მივაღწიე საერთო საცხოვრებლამდე და გაუხდელად მივეგდე ლოგინზე.

დილას თავი ვერ ავწიე, ნამთვრალევზე მთელ ტანში მამტკივნეულებდა. ფანჯრებს იქით საზიზღრად ცრიდა თოვლში არეული წვიმა. კიდევ სამ საათს ვიწექი, არ მინდოდა სამუშაოდ გასვლა. ასეთი რამ პირველად მემართებოდა: სამუშაოც არ მახარებდა. შემდეგ შემრცხვა და რეისში გავედი.

მანქანა დუნედ მიდიოდა, უფრო სწორად, მე ვიყავი მოდუნებული. გზად მხვდებოდნენ მანქანები, მათ ძარაზე და კაბინის თავზე თოვლი იდო. ძნელი მისახვედრი არ იყო — უღელტეხილზე ჩამოთოვა. ჩამოთოვა და ჩამოთოვა, თუნდაც იქ ქარტეხილი ყოფილიყო, ჩემთვის სულერთი იყო. რისი უნდა მშინებოდა, ბოლო ხომ ერთია...

ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. ზევით სარკეში ჩავიხედე, გულს მირევდა გაუპარსავი, შეშუპებული სახე. მოთენთილი, თითქო დიდი ავადმყოფობა გადამეტანოს. „მეჭამა რამე, — გავიფიქრე, — დილიდან პირში არაფერი ჩამსვლია“, თუმცა საჭმელი არ მინდოდა, დალევაზე კი არ ვიტყოდი უარს, ცნობილია, თუ ერთხელ დალიე, მერე ძნელია თავის შეკავება. პირ-

---

[1] ულანი — ქარის სახელწოდებაა. იგი რიბაჩიეში ბოომის ხეობიდან უბერავს.

ველი ჭიქის შემდეგ ხასიათზე მოვედი. მანქანაც უფრო მხიარულად ამუშავდა. შემდეგ გზაზე კიდევ ერთხელ სადღაც შევირბინე, ასი გრამი დავლიე და ბოლოს ერთიც მივუმატე. გაუტია გზამ, ამოძრავდნენ წინ და უკან ჩემს თვალწინ საწმენდები. მათრახივით მოვიკეცე, სიგარეტს ვეწეოდ. მხოლოდ იმას ვამჩნევ როგორ ჩამიქროლებენ გვერდით შემხვედრი მანქანები, ფანჯრები ტალახის ნაშხეფით იფარება. მეც დავაწექი, უკვე გვიან იყო. მთებში მომისწრო ღამემ, ბნელმა, შუქი არსად ტყდებოდა. აი აქ კი მომეკიდა არაყი. დავიღალე. თვალებში შავი წრეები დამიტრიალდა და გზა დამიფარა. კაბინაში ჩამოცხა, გული მერეოდა. ოფლად გავიღვარე. მეჩვენებოდა, რომ მანქანაში კი არ ვზივარ, არამედ სინათლის სხივებზე და წინ მივემართები. ამ სხივებთან ერთად ხან მოწყვეტით ვეშვებოდი ძირს, ხან მათთან ერთად მივცოცავდი ზევით კლდეებზე მოცახცახე, ანდა ვწრიალებ აქეთ-იქით. ყოველ წუთს ძალა მეცლებოდა, მაგრამ არ ვჩერდებოდი. ვიცოდი საკმარისი იყო საჭისათვის ხელი მომეცილებინა, რომ შემდეგ მანქანას ვეღარ წავიყვანდი, სად ვიყავი მაშინ არ მახსოვს, ვიცოდი, რომ სადღაც უღელტეხილზე. ოხ, დოლონო, დოლონო, ტიან-შანის ურჩხულო! მართლაც რომ ძნელად სავალი ხარ! განსაკუთრებით ღამით, მთვრალი შოფრისათვის.

მანქანა სიმწრით ავიდა რომელიღაც აღმართზე და შემდეგ დაბლა დაეშვა. ღამე დატრიალდა, გადაყირავდა ჩემს თვალებში. ხელები უკვე აღარ მემორჩილებოდნენ. საჭეს ვეღარ ვიჭერდი, სიჩქარეთა ბერკეტი ჯიუტობდა. მანქანა უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს და ეშვებოდა თავდაღმართზე. შემდეგ რაღაც ყრუ დარტყმის ხმა, ღრჭიალი გაისმა, სინათლეები წამით აფეთქდნენ და თვალთ დამიბნელდა. სადღაც გონების სიღრმეში წამით გაიელვა აზრმა: „აი ავარიაც!"

რამდენ ხანს ვიწექი ასე არ მახსოვს. მხოლოდ უცებ სადღაც შორიდან მომესმა ხმა: „აბა მოანათე!" ვიღაცის ხელებმა გამისინჯა თავი, ხელები, მკერდი. „ცოცხალია, ოღონდ მთვრალია", — თქვა ხმამ. მეორემ კი უპასუხა: „გზა უნდა გავანთავისუფლოთ".

— აბა, მეგობარო, შეეცადე გაიწიო, საჭესთან მიმიშვი,

მანქანა გვერდზე გადავაყენოთ! ვიღაცა მსუბუქად მომაწვა მხარზე.

მე ავკვნესდი, ძლივს ავწიე საჭიდან თავი. შუბლიდან სისხლი ჩამომდიოდა. მკერდი დაბეჟილი მქონდა, ვერ ვსწორდებოდი. კაცმა ასანთი გაკრა. შემომხედა. შემდეგ კიდევ გაკრა. ისევ შემომხედა, გაკვირვებით ჩაიღიმა ულვაშებში.

— ეს რა მოგსვლია, მეგობარო, როგორ მოგივიდა, ა? — შეწუხებულმა ჩაილაპარაკა მან სიბნელეში.

— მანქანა... მაგრადაა დალეწილი? — ეს იყო რაც პირველად ვთქვი და სისხლი გადმოვაფურთხე.

— არა, არც ისე. ოღონდ გზაზეა გაჩხერილი.

— მაშინ წავალ ახლავე, არ გავჩერდები! — ურჩი აკანკალებული ხელებით მანქანის ამუშავებას შევეცადე.

— მოიცა! — მაგრად მომხვია მან ხელები. — გეყოფა, გადმოდი. გამოიძინებ და დილას ვნახოთ!

მან კაბინიდან გადმომათრია.

— ქემელ, მანქანა გზის პირას დააყენე, ვიდრე არ დაუმტვრევიათ, დანარჩენს შემდეგ გავარკვევთ! — უთხრა მან ამხანაგს, ჩემი ხელი მხარზე გადაიგდო და სიბნელისაკენ წამათრია. კარგახანს მივდიოდით, კაცი ჩუმად მიმათრევდა, მე ვცდილობდი თვითონ მევლო, მაგრამ მალე ვიღლებოდი და იგი ისევ და ისევ მაშველებდა მხარს. ასე მივაღწიეთ რომელიღაც ეზომდე. უცნობი დამეხმარა სახლში შევსულიყავი. წინა ოთახში ნავთის ლამპა ენთო. კაცმა ტაბურეტზე დამსვა და კურტაკის გახდა დამიწყო. მაშინ შევხედე მას და მომაგონდა. ეს ის იყო, გზის ოსტატი ბაითემირი, ის ბაითემირი, რომელთან ერთად უღელტეხლზე მანქანა გადავიყვანე. შემრცხვა და მიუხედავად ამისა, მაინც გამიხარდა, მინდოდა ბოდიში მომეხადა, მადლობა მეთქვა, მაგრამ ამ დროს ძირს დაცვენილი შეშის ნაჭრების ხმაურზე მოვაბრუნე თავი. მე გავიხედე ნელა და მთელი ძალ-ღონე მოვიკრიფე. თითქოს მხრებზე რაღაც დიდი სიმძიმე დამაწვა, ადგილიდან წამოვდექი. დაფანტული შეშის წინ იდგა ასელი. ის იდგა არაბუნებრივად გამართული და მიყურებდა, თვალს არ მაშორებდა.

— რა მოხდა? — ჩუმად წაიჩურჩულა მან. მე კინაღამ არ

ვიყვირე: „ასელ!“ მაგრამ მისმა მიუკარებელმა გამოხედვამ უფლება არ მომცა სიტყვა დამეძრა. ოთახში წამით საშინელი სიჩუმე ჩამოწვა. არ ვიცი რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რომ ბაითემირი არა. მან, თითქოსდა აქ არაფერიაო, ადგილზე დამსვა.

— არაფერი, ასელ, — მშვიდად უთხრა მან, — შოფერი ცოტათი დაიმტვრა, დაწვება ერთი დღით... შენ უმჯობესია იოდი მოგვიტანო...

— იოდი? — ამჯერად მისი ხმა საკუთარს დაემსგავსა, სითბო ჩაუდგა, შეშფოთდა. — იოდი მეზობლებმა წაიღეს... ახლავე! — გაახსენდა მას და გარეთ გავარდა.

ჩუმად ვიჯექი, არ ვინძრეოდი, კბილები ტუჩზე დავაჭირე. სიმთვრალემ წამის უმალ გამიარა. ახლა სისხლი ხმაურით აწყდებოდა საფეთქლებს.

— ჯერ უნდა მოვწმინდოთ, — თქვა ბაითემირმა, ჩემი დაკაწრული შუბლი რომ დაათვალიერა, ამ სიტყვებით მან ვედრო აიღო და გარეთ გავიდა. მეზობელი ოთახიდან. ასე ხუთი წლის ფეხშიშველა ბიჭუნამ გამოიხედა, პერანგის ამარა იყო. ეტყობოდა ლოგინიდან წამოხტა და დიდი, ცნობისმოყვარე თვალებით მათვალიერებდა. უცებ ვიცანი. არ ვიცი როგორ, მაგრამ ვიცანი, გულმა იცნო.

— სამატ! — მოულოდნელობისაგან ჩახშული ხმით წავიჩურჩულე და შვილისაკენ გავიწიე. ამ დროს კარებში ბაითემირი გამოჩნდა; რატომღაც შეკრთი. მან, ეგონებ, გაიგონა, რომ შვილს სახელი დავუძახე. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, თითქოს ვინმემ ქურდობაზე წამისწრო. უხერხულობა რომ დამეფარა, ხელით დავმალე თვალს ზემოთ ჩალურჯებული ადგილები და უცებ ვიკითხე:

— ეს თქვენი შვილია? — რა საჭირო იყო ასეთი შეკითხვა? დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

— ჩემი! — მასპინძლის გულკეთილობით მიპასუხა ბაითემირმა, ვედრო იატაკზე დადგა და სამატი ხელში აიყვანა. ჩემი, რა თქმა უნდა, საკუთარი, ასეა არა, სამატ! — წაილაპარაკა მან, თან შვილს კოცნიდა და ულვაშებით ყელში ულიტინებდა. ბაითემირის ხმასა და ქცევაში სიყალბის ნატამალი არ იგრძნობო-

და. იგი ისე ბუნებრივად იქცეოდა, თითქოს ყველაფერ ამახ მი ვაკეთებდი — რატომ არ გძინავს? ოხ, ჩემო მოუსვენარო ბიჭო, ყველაფერი გაინტერესებს, აბა, ლოგინში!

— დედა სად არის? — იკითხა სამატმა.

— ახლავე მოვა. აი ისიც. შენ წადი, შვილო.

ასელმა ჩუმად შემოირბინა. სწრაფად. დაძაბულად შეგვათვალიერა. ოდიანი პატარა შუშა ბაითემირს მიაწოდა და სამატი გაიყვანა.

ბაითემირმა სველი პირსახოცით სახიდან სისხლი მომწმინდა.

— მოითმინე!—წაილაპარაკა მან. როცა სახეზე ოდს მისვამდა და მკაცრად დაუმატა: „ტყავი უნდა გაგაძროს ამნაირი საქმისათვის კაცმა, მაგრამ ჩვენი სტუმარი ხარ... ახლა ყველაფერი რიგზეა. მალე მოშუშდება. ასელ, სამოვრით ჩაი მოგეტანა, ა?“

— ახლავე! — გამოგვეხმაურა ასელი, რომელიც ბავშვს აძინებდა.

ბაითემირმა იატაკზე გაშლილ ქეჩაზე ორად გაკეცილი ბამბის საბანი გაშალა, ზედ ბალიში დადო.

— აქეთ გადმოჯექი, — მითხრა. — წამოწექი, ცოტა მოისვენე...

— არაფერია, გმადლობთ! — წავიბურტყუნე მე.

— დაჯექი, ნუ გერიდება, მოიქეცი ისე, როგორც საკუთარ სახლში! — თავისი გაიტანა მან.

ყველაფერს ისე ვაკეთებდი თითქოს სიზმარში ვიყავი. გული მეკუმშებოდა მოლოდინისა და დაძაბულობისაგან, მეშინოდა: — აი ახლა ყველაფერი გაირკვევა და მაშინ სჯობს მიწა გაირღვეს და თან ჩამიტანოს. მე ხომ ვიცოდი რასაც ვგავდი ახლა: მთვრალი, ტალახში ამოსვრილი, გასისხლიანებული და საცოდავი. ეხ, რატომ გავჩნდი მაინც ამ ქვეყანაზე.

ასელი შემოვიდა, ცდილობდა ჩემთვის არ შეეხედა, სამოვარი აიღო და გარეთ გავიდა.

— ახლავე მოგეხმარები, ასელ! — მიაწვდინა ხმა ბაითემირმა. იგი გაყოლას აპირებდა, მაგრამ სამატი ხელახლა წამოხტა ლოგინიდან. ჩანდა დაძინებას არც ფიქრობდა.

— რა ამბავში ხარ, სამატ? — გულკეთილად გაიქნია თავი ბაითემირმა.

— ძია, თქვენ პირდაპირ კინოდან გადმოხვედით? — სერიოზულად შემეკითხა შვილი და მომიახლოვდა.

მე მივხვდი რაშიც იყო საქმე, ბაითემირმა გაიცინა.

— ეხ, ჩემო პატარა, უჭკუო ბიჭო! — იცინოდა ბავშვის მახლობლად ჩაცუცქული ბაითემირი. მოგვკალი სიცილით და ეს არი. ჩვენ მაღაროში დავდივართ კინოს სანახავად! — მითხრა მან. — სამატიც დაგვყავს.

— კი, მე კინოდან გადმოვედი! — მხარი ავუბი საერთო მხიარულებას.

მაგრამ სამატი მოიღუშა:

— ტყუილია! — განაცხადა მან.

— როგორ თუ ტყუილი?

— მაშინ სად არის შენი ხმალი, რომლითაც იბრძოდი?

— სახლში დავტოვე...

— ძია, მაჩვენებ? ხვალ მაჩვენებ?

— გაჩვენებ. აბა ახლოს მოდი. რა გქვია შენ, სამატი, არა?

— სამატი. შენ რა გქვია, ძია?

— მე... — გავჩუმდი. — მე — ძია ილიასი, — ძლივს ამოვთქვი:

ბაითემირი აჩქარდა:

— თქვენ აქ ისაუბრეთ, ჩვენ კი ახლავე ჩაის მოვიტანთ.— კარებში შეჩერდა. — შენ წადი, სამატ. დაწექი. უკვე გვიანაა.

— მამა, თუ შეიძლება ცოტა ხანს კიდევ დავრჩები! — სთხოვა სამატმა.

— კარგი, იყავი! — დათანხმდა ბაითემირი.

სამატი ჩემთან მოვიდა. ხელზე ხელი გადავუსვი: მგავდა, ძალიან მგავდა. ხელებიც ჩემნაირი ჰქონდა და ისევე იციხოდა, როგორც მე.

— რა უნდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები? — ვკითხე მე, ლაპარაკი რომ დამეწყო.

— შოფერი გამოვალ.

— გიყვარს მანქანით სიარული?

— ძალიან, ძალიან... ოღონდ არავინ არ მიჩერებს, როცა ხელს ავუწევ...

— მე გაგასეირნებ ხვალ. გინდა?

— მინდა. მე შენ კოჭებს გაჩუქებ! — იგი მეორე ოთახში ჯაიქცა კოჭების მოსატანად.

ფანჯრის იქით მოჩანდა როგორ ამოდიოდა სამოვრის მილიდან ალი. ასელი და ბაითემირი რაღაცაზე საუბრობდნენ. „ნეტავი გაგაგონა რას ამბობს ჩვენი სამატი, სიცილით მოკვდები!“ — მხიარულად ამბობდა ბაითემირი, თან შეშას ჩეხავდა. უცნაურია. ასელიც ისევე მშვიდად იძლეოდა პასუხს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. — „რას ამბობ! იგი ასეთია, რასაც ხედავს, ამბობს კიდეც!“

აქოშინებულმა სამატმა პატარა ტოპრაკით კოჭები შემოიტანა და ჩემს წინ დაყარა.

— ამოირჩიე, ძია! — გადამიშალა თავისი ნაირფერად შეღებილი მეურნეობა.

მე მინდოდა სახსოვრად ერთი კოჭი ამეღო, მაგრამ ვერ გავბედე. კარი გაიღო და ბაითემირი შემოვიდა, მოთუხთუხე სამოვრით ხელში. თან ასელი შემოჰყვა. სანამ იგი ჩაის ხდიდა, ბაითემირმა ჩემს წინ ქეჩაზე პატარა, დაბალი მაგიდა დადგა და სუფრა გადააფარა. მე და სამატმა კი კოჭები შევაგროვეთ და ისევ ტოპრაკში ჩავყარეთ.

— თავის სიმდიდრეს გიჩვენებს? აი, შე ტრაბახა! — ბაითემირმა სამატს ალერსით აუწია ყური.

ერთი წუთის შემდეგ სამოვარს ვუჯექით, ჩაის ვსვამდით. ყველაფერი ისე იყო, თითქოს ჩვენ ერომანეთს არ ვიცნობდით და არც არასოდეს შევხვედროდით. ალბათ ამიტომ ვცდილობდით მშვიდად ვყოფილიყავით, ვდუმდით. მხოლოდ სამატი გრძნობდა კარგად თავს. ბაითემირის მუხლებზე მოკალათებული, იგი მას ეკვროდა და თავს ატრიალებდა:

— უჰ, შენი ულვაშები ყოველთვის იჩხვლიტებიან! — ტოკავდა იგი და თვითონვე მიიწევდა მისკენ, ლოყას უშვერდა.

— ფრთხილად, ჩაის გადაისხამ! — აფრთხილებდა ბაითემირი. ეჭვადაც არ მოსდიოდა პატარას, რომ მის ირგვლივ მჯდომი უფროსები ჩვენ-ჩვენ საფიქრალს ვფიქრობდით. განა არ იყო საფიქრალი? ვის შეეძლო განეჭვრიტა, რომ ჩვენ

დღეს ასე მოულოდნელად შეგვახვედრებდა ბედი. რითი უნდა დამთავრებულიყო ეს?

ძნელი იყო მჯდარიყავი საკუთარი შვილის გვერდით. რომელიც სხვა კაცს ეფერებოდა და მამას ეძახდა. ჩემთვის ადვილი არ იყო გამეძლო იმისათვის, რომ ასელი, ჩემი საყვარელი ასელი, რომლისთვისაც მე ამდენი განვიცადე, ჩემს გვერდითაა და მე ვერ ვბედავ შევხედო მას. როგორ მოხვდა იგი აქ? შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა? საიდან უნდა მცოდნოდა, როცა იგი ისე იქცეოდა, თითქოს საკვებით უცხო, უცნობი ვიყავი მისთვის. დამეჯერებინა, რომ ასე შემიძულა? ბაითემირი? ნუთუ იგი ვერ ხედებოდა ვინ ვიყავი სინამდვილეში მე? ნუთუ მან ვერ შეამჩნია მსგავსება ჩემსა და სამატს შორის? რატომ ერთხელაც არ უხსენებია ჩვენი შეხვედრა უღელტეხილზე, როცა მანქანა ბუქსირით გადაგვყავდა. თუ დაავიწყდა?

უფრო ძნელი ასატანი გახდა ყველაფერი, როცა დავწექით. მე იქვე ქეჩაზე დამიგეს. ვიწექი კედლისაკენ გადაბრუნებული, ლამპას ოდნავ ჰქონდა ჩაწეული, ასელი ჭურჭელს ალაგებდა.

— ასელ! — წყნარად შეეხმიანა მას ბაითემირი მეზობელი ოთახის გაღებული კარიდან.

ასელი მივიდა.

— გაგერეცხა, — უთხრა მან ასელს.

ასელი სკამთან მივიდა, აიღო ჩემი კუბოკრული ხალათი, რომელიც მთლად სისხლში იყო მოსვრილი და რეცხვა დაიწყო, მაგრამ უცებ შეწყვიტა და ბაითემირთან მივიდა:

— რადიატორიდან წყალი გადმოაქციეთ? — ჩურჩულით ჰკითხა. ყინვა რომ დაიჭიროს...

— გადმოვაქციეთ, ქემელმა გადმოღვარა! —ასევე წყნარად უპასუხა ბაითემირმა, — მანქანას თითქმის არაფერი მოსვლია... დილით დავეხმარებით...

მე კი დამავიწყდა: არც რადიატორის, არც მოტორის თავი არ მქონდა.

ასელმა მოათავა ხალათის რეცხვა, ღუმელის თავზე დაჭკიდა და მძიმედ ამოიოხრა. შემდეგ ლამპა ჩააქრო და გავიდა.

სახლში სიბნელემ დაისადგურა. ვიცი, ჩვენ არცერთს არ ვვეძინა. თვითეული მარტო დარჩა საკუთარ ფიქრებთან. ბაი-

თემირი სამატთან ერთ საწოლში იწვა. იგი რაღაცას ალერსიანად ბუტბუტებდა, საბანს უსწორებდა სამატს, როდესაც ის ძილში შფოთავდა. ასელი ხანდახან თავშეკავებულად ოხრავდა. სიბნელეში ვხედავდი მის თვალებს, რომლებიც დანამული ქვებივით ბრწყინავდნენ... რაზე ან ვისზე ფიქრობდა იგი? ჩვენ ხომ მას ახლა სამნი ვყავდით... შეიძლება ახლა იხსენებდა ყველაფერს სასიამოვნოსა და სამწუხაროსაც, რაც ჩვენ გვაკავშირებდა. მაგრამ იგი ახლა ჩემთვის მიუწვდომელი იყო. მიუწვდომელი იყო მისი აზრებიც. ასელი შეცვლილიყო, შეცვლილიყვნენ მისი თვალებიც... ეს უკვე აღარ იყო მიმნდობი, სიწმინდითა და გულუბრყვილობით აღსავსე თვალები: მათ სიმკაცრე მომატებოდათ და მაინც ასელი ჩემთვის ისევ ისეთად, ტრამალის ჩინარად რჩებოდა. ყოველ მის ნაკვთში, ყოველ მოძრაობაში მე ჩემთვის ნაცნობს, მშობლიურს ვხედავდი. მით უფრო მწარე. საწყენი და მტანჯველი იყო ყველაფერი. სასოწარკვეთილი. კბილებით ბალიშის კიდეს ჩავფრენოდი და ჩუმად ვიწექი. დილამდე თვალი არ მომიხუჭავს.

ფანჯრებს მიღმა ღრუბლებში ცურავდა მთვარე.

დილაადრიან, როცა ბაითემირი და ასელი ეზოში გამოვიდნენ თავიანთი მეურნეობის დასახედავად. მეც ავდექი. უნდა წავსულიყავი. ფეხაკრეფით მივედი სამატთან, ვაკოცე და სწრაფად გამოვედი ოთახიდან.

ასელი ეზოში ქვებზე დადგმულ დიდ ქვაბში წყალს ათბობდა. ბაითემირი შეშას ჩეხდა. ჩვენ მანქანისაკენ წავედით. ჩუმად მივდიოდით, პაპიროსს ვეწეოდით.

მანქანა გზისპირა ბოძკინტებს დაჯახებოდა. ორი მათგანი იქვე ეგდო. ამოგლეჯილი თავისი ბეტონის საძირკვლიანად. მანქანას ფარები დამსხვრეოდა, წინარი და ფრთა შეკეკყოდა, ბორბალი გამრუდებოდა. ყველაფერი ეს, ჩაქუჩისა და ძელაყინის დახმარებით, ასე თუ ისე გავასწორეთ. შემდეგ დაიწყო გრძელი მომქანცველი სამუშაო საქოქავი სახელურით. მოტორი გაყინულიყო, დამუნჯებულიყო. ანთებული ძენძით კარტერს ვახურებდით, ორივენი ვატრიალებდით სახელურს. ჩვენი მხრები ერთმანეთს ეხებოდნენ. ხელისგულები ერთ სახელურზე ხურდებოდნენ. ერთის სუნთქვა სახეს უწვავდა მე-

ორეს, ერთ საქმეს ვაკეთებდით და შეიძლება ერთდაიმავეზეც ვფიქრობდით.

მოტორი არ გვნებდებოდა. ჩვენ დავიღალეთ. ამასობაში ასელმა ორი ვედრო ცხელი წყალი მოიტანა. უსიტყვოდ დადგა ჩემს წინ და განზე გადგა. წყალი რადიატორში ჩავასხი. ბაითემირთან ერთად დავატრიალე სახელური, კიდევ, კიდევ ერთხელ და ბოლოს მოტორი ამუშავდა. კაბინაში ჩავჯექი, მოტორი უთანაბროდ, წყვეტილად მუშაობდა. ბაითემირი კაპოტში ჩაძვრა, სანთლები შეამოწმა. ამ დროს სამატმა მოირბინა, აქლოშინებულმა, პალტოს საკინძე გაღეღილმა. იგი მანქანის ირგვლივ აწრიალდა, გასეირნება უნდოდა. ასელმა დაიჭირა, მერე ხელი აღარ გაუშვია მისთვის, მანქანის გვერდით დადგა. მან ისეთი საყვედურით, ისეთი ტკივილითა და სიბრალულით შემომხედა, რომ იმ წუთს მზად ვიყავი ყველაფერი გამეკეთებინა, ოღონდ ჩემი დანაშაული გამომესყიდა, ისინი დამებრუნებინა უკან. გაღებული კარებიდან გადმოვიხარე.

— ასელ! აიყვანე ბავშვი, დაჯექი! წაგიყვან როგორც მაშინ, სამუდამოდ! დაჯექი! — შევევედრე მოტორის ხმაურში.

ასელს არაფერი უთქვამს, ნელა მიაბრუნა ცრემლით დანისნული თვალები და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— წავიდეთ, დედა! — ხელით გამოსწია სამატმა. — გავისეირნოთ! მან მაგრად ჩასჭიდა ხელი ბავშვს და წავიდა. იგი მიდიოდა უკანმოუხედავად, თავდახრილი. სამატი ხელიდან უძვრებოდა, უკან დაბრუნება უნდოდა.

— მზადაა! — დაიძახა ბაითემირმა, კაპოტი დახურა და კაბინაში იარაღი მომაწოდა.

და გავუდექი გზას. ისევ საჭე ხელში, ისევ გზა და მთები, მანქანა მიმაქროლებდა, რა ესაქმებოდა მას ყველაფერ ამასთან...

აი ასე ვნახე ასელი და ჩემი შვილი უღელტეხილზე, ასე შევხვდით და დავშორდით. მთელ გზაზე, საზღვრისკენ და უკან, ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე, დავიღალე ფიქრებისაგან... ახლა უნდა წავსულიყავი, წავსულიყავი სადაც თვალი მიმიწვდებოდა, ჩემი აქ დარჩენა არ შეიძლებოდა.

ეს მტკიცედ გადავწყვიტე, ასეთი აზრებით ვბრუნდებოდი

უკან. ულელტეხილი გადავიარე, საგზაო უბანს რომ ჩავუარე, სამატი დავინახე. იგი გზისპირას თამაშობდა ბავშვებთან — გოგონასა და ბიჭუნასთან ერთად, ისინი სულ ოდნავ იყენენ მასზე უფროსები. ტაშკარგონობანას თამაშობდნენ: ქვისგან სახლებს, ეზოს, საქონლის სადგომებს აკეთებდნენ. შეიძლება მე ადრეც შემიმჩნევია გზასთან, მაგრამ ვერ ვცნობდი. გამოდის, რომ მე ყოველდღე მიხდებოდა გავლა ჩემი შვილის გვერდით და არ ვიცოდი. მანქანა გავაჩერე. — სამატ! — დავუძახე. მინდოდა ახლოს მენახა. ბავშვები ჩემსკენ გამოქანდნენ.

— ძია, იმიტომ მოხვედი, რომ ჩვენ გაგვასეირნო? — მოირბინა სამატმა.

— კი. ცოტას გაგასეირნებთ! — ვუთხარი მე.

ბავშვები კაბინაში შემოძვრნენ.

— ეს ჩვენი ნაცნობი ძიაა! — დაიტრაბახა სამატმა ამხანაგებთან. მე ისინი პატარაზე გავატარე, მაგრამ რამდენი სიხარული და ბედნიერება განვიცადე, მგონია უფრო მეტი, ვიდრე ბავშვებმა. შემდეგ ჩამოვსვი.

— ახლა სახლისკენ მოუსვით! — ბავშვები გაიქცნენ. შვილი გავაჩერე:

— მოიცა, სამატ, რაღაც უნდა გითხრა! — ხელში ავიყვანე, მაღლა თავს ზევით ავწიე, დიდხანს ვუყურებდი სახეში, შემდეგ მკერდზე მივიკარი. ვაკოცე და მიწაზე დავსვი:

— ხმალი სად არის, მომიტანე, ძია? — მოიგონა სამატმა.

— ოჰ, სულ დამავიწყდა, მეორედ რომ ამოვალ, მოგიტან, შვილო! — შეეპირდი მე.

— ახლა არ დაგავიწყდება, არა, ძია? ჩვენ ისევ იმ ადგილზე ვითამაშებთ.

— კარგი. ჩქარა გაიქეცი!

ავტობაზაში, სადურგლო სახელოსნოში სამი სათამაშო ხმალი გამოვთალე და თან წამოვიღე.

ბავშვები მართლაც მელოდნენ. მე ისევ გავასეირნე ბავშვები მანქანით. ასე დაიწყო ჩემი მეგობრობა შვილთან და მის მეგობრებთან. ისინი მალე შემეჩვიენ. შორიდან მორბოდნენ ხოლმე, რომ დამინახავდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ:

— მანქანა, ჩვენი მანქანა მოდის!

გამოვცოცხლდი, კაცს დავემსგავსე. მივდივარ რეისში და გულს უხარია: თან რაღაც კარგი გრძნობა მიმყვება. ვიცი. რომ გზასთან შვილი მიცდის. ორ წუთს მაინც დავისვამ გვერდით კაბინაში. ახლა მთელი ჩემი ფიქრები და აზრები იქით იყო მიმართული, რომ როგორმე დროზე მიმესწრო შვილისათვის. დროს ისე ვანგარიშობდი, რომ უღელტეხილზე დღისით გამეევლო. გაზაფხულის თბილი დღეები იდგა. ბავშვები გამუდმებით თამაშობდნენ ეზოში, ისე რომ მე ხშირად ვხედებოდი მათ გზის პირას. მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ამისთვის ვცოცხლობდი და ვმუშაობდი: იმდენად ბედნიერი ვიყავი. მაგრამ ხანდახან შიშისაგან გული მიჩერდებოდა. იცოდნენ თუ არა იქ, საგზაო უბანში, რომ მე ბავშვებს ვასეირნებდი, ხომ შეეძლოთ ჩემი შვილისთვის აეკრძალათ ჩემთან შეხვედრა. არ გამოეშვათ გზაზე სათამაშოდ. ძალიან მეშინოდა და გუნებაში ვეევედრებოდი ასელსა და ბაითემირს არ გაეკეთებინათ ეს. არ წაერთმიათ ჩემთვის ეს პატარა ბედნიერება, ხანმოკლე შეხვედრები. მაგრამ ერთხელ სწორედ ასე მოხდა...

პირველი მაისი ახლოვდებოდა. გადავწყვიტე შვილისთვის საღღესასწაულოდ რაიმე საჩუქარი მეყიდა. ვუყიდე მოსამართი მანქანა. საბარგო, სწორედ ისეთი როგორიც მე მყავდა.

იმ დღეს ავტობაზაში შევყოვნდი, გვიან გამოვედი და ძალიან მეჩქარებოდა. შეიძლება, სწორედ ამიტომ მქონდა ცუდი წინათგრძნობა. ვღელავდი და ვშფოთავდი სრულიად უსაფუძვლოდ. საგზაო უბანს რომ ვუახლოვდებოდი, მანქანა ამოვიღე და გვერდზე დავიდე. თან წარმოვიდგინე როგორ გაუხარდებოდა სამატს. სათამაშოები მას უკეთესიც ჰქონდა. მაგრამ ეს განსაკუთრებული იყო — საჩუქარი ნაცნობი შოფრისაგან ბიჭუნას. რომელიც ოცნებობს გახდეს შოფერი. მაგრამ სამატი ადგილზე არ დამიხვდა. ბავშვებმა უიმისოდ მოირბინეს. კაბინიდან გადმოვედი.

— სამატი სად არის?

— სახლშია. ავად გახდა. — მიპასუხა ბიჭმა.

— ავად გახდა? რა დაემართა?

— არა. ავად არ გამხდარა! — მცოდნის სახით ჩაურთო გოგონამ. დედა არ უშვებს აქ!

— რატომ?

— არ ვიცი. ამბობს, არ შეიძლებაო.

ცუდ ხასიათზე დავდექი: ესეც ასე, ყველაფერი დამთავრდა.

— აჰა, წაუღე, მივეცი ბიჭს შეკრული, მაგრამ იქვე გადავიფიქრე. — თუმცა არა, არ გინდა. — უკან გამოვართვი და თავჩაქინდრული გამოვბრუნდი.

— რატომ ჩვენ არ გვასეირნებს ძია? — შეეკითხა ბიჭუნა დას.

— ავად გახდა, — მოღუშულმა გასცა მან პასუხი.

ნამდვილად, გოგონა მიხვდა. ყველაზე მძიმე ავადმყოფობამ დამრია ხელი. მთელი გზა ვფიქრობდი როგორ უნდა მომსდარიყო, რომ ასელი ასე გაბოროტებულიყო ჩემზე. დავიჯერო, რომ მასში სიბრალულის ნატამალიც არ დარჩა, რაც არ უნდა ცუდი ვყოფილიყავი. არა, არ მჯეროდა... ასელი ამას არ გააკეთებდა, აქ რაღაც სხვა ამბავია... მაგრამ რა? საიდან უნდა მცოდნოდა. და მაშინ შეეცადე თავი დამეჯერებინა, რომ სამატი ავად გახდა, როგორც მისმა მეგობარმა მითხრა. იმდენად დავარწმუნე თავი ამაში, რომ შემდეგ მე თვითონ შემეშინდა. მეჩვენებოდა როგორ წრიალებდა და ბოდავდა სიცხიანი ბავშვი... იქნება რაიმე დახმარება სჭირდება, წამალია მოსატანი, ან საავადმყოფოში წაყვანაა საჭირო. ხალხი უღელტეხილზე ცხოვრობს, ქალაქის რომელიმე პროსპექტზე კი არა! საშინლად გავწამდი. უკან დაბრუნებისას ვჩქარობდი, წარმოდგენა არ მქონდა რა უნდა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, ვიცოდი მხოლოდ ერთი: ჩქარა მივსულიყავი ადგილზე, მენახა შვილი, თუ ის ჯანმრთელი იყო. მჯეროდა, რომ შემხვდებოდა, გული მეუბნებოდა და თითქოს ჯიბრზე საწვავი გამითავდა, იძულებული გავხდი საუღელტეხილო ბაზაზე შევჩერებულიყავი ბენზინის ასაღებად...

* **

ჩემი თანამგზავრი ილიასი ამ ადგილას შეჩერდა. გახურებულ სახეზე ხელი მოისვა, მძიმედ ამოიოხრა, ღია ფანჯარა დაკეტა და, ვინ იცის, ეს მერამდენედ მოუკიდა პაპიროსს.

შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო. მატარებელში ჩვენს

გარდა, ალბათ, ყველას ეძინა, ბორბლები რახრახით ამბობდნენ დაუსრულებელ სიმღერას. ფანჯრებს მიღმა მიჰქროდა ნათელი ზაფხულის ღამე, ოდნავ გაიელვებდნენ პატარა სადგურების მთვლემარე სინათლეები. ორთქლმავალი რიხიანად გაჰყვიროდა სივრცეს.

— სწორედ ამ დროს მოხვედით თქვენ, აგაი. მე კი უარი გითხარით. ახლა თქვენთვის გასაგებია რატომ, — ნაღვლიანად ჩაიცინა ჩემმა თანამგზავრმა და თხრობა განაგრძო. თქვენ ბენზინის ჩამომსხმელ პუნქტთან დარჩით, შემდეგ „პობედით“ გადამისწარით. მე ეს შევამჩნიე. სწორედ ამ დროს წვიმაც წამოვიდა...

დიახ, მე მივდიოდი და საშინლად ვღელავდი. წინათგრძნობამ არ მიმტყუნა. სამატი გზასთან მიცდიდა. მანქანა დაინახა თუ არა გამოიქცა:

— ძია! ძია შოფერ!

ჩემი ბიჭი კარგადაა! ო, როგორ გამიხარდა, გული სიხარულს ვერ იტევდა!

მანქანა გავაჩერე, კაბინიდან გადმოვხტი და შვილისაკენ გავიქეცი.

— რა, ავად იყავი?

— არა, დედა არ მიშვებდა. მეუბნება, რომ არ უნდა ვისეირნო შენი მანქანით. მე კი ვტიროდი, — იჩივლა სამატძა.

— კი, მაგრამ ახლა როგორ მოხვედი?

— მამამ თქვა, თუ კი კაცს უხარია, რომ ბავშვები ასეირნოს, გაუშვი ასეირნოსო.

— აი, თურმე რაშია საქმე!

— მე კი ვთქვი, რომ შოფერი უნდა გავხდე...

— აუცილებლად გახდები, მერე როგორი! იცი რა მოგიტანე? — სათამაშო მანქანა ამოვიღე. — ნახე მოსამართია. ყველაზე შესაფერი პატარა შოფრისათვის!

ბიჭმა გაიღიმა, სახე გაუბრწყინდა.

— მე მუდამ შენთან ვივლი, არა, ძია? — შემომხედა მან და მის თვალებში ვედრება იგრძნობოდა. გული ამიჩუყდა.

— რა თქმა უნდა, ყოველთვის! — დავარწმუნე მე. — გინდა ქალაქში წაგიყვან პირველი მაისის დღესასწაულზე, მან-

ქანას დროშებით მოვრთავთ, შემდეგ კი უკანვე ჩამოგიყვან. ახლაც მიჭირს იმის ახსნა, რატომ ვუთხარი მას ისეთი რამ, რისი თქმის უფლებაც არ მქონდა, რაც მთავარია, რატომ დავიჯერე თვითონვე ჩემი სიტყვები. ესეც არ ვიკმარე. უფრო შორს შევტოპე. — თუკი მოგეწონება, სულაც ჩემთან დარჩები! — შევთავაზე შვილს საკვლევით სერიოზულად. — ჩვენ სულ ერთად ვიცხოვრებთ კაბინაში, მუდამ თან გატარებ და არსადაც არ გაგიშვებ, არ მოგშორდები, გინდა?

— მინდა! — უცებ დამეთანხმა სამატი. — ჩვენ მანქანაში ვიცხოვრებთ! წავიდეთ, ძია, ახლავე წავიდეთ!..

ხდება ხოლმე, როცა უფროსი ბავშვს ემსგავსება. კაბინაში ჩავჯექით, რაღაც გაუბედავად გადავატრიალე გასაღები, დავაწექი სტარტერს. სამატს კი უხარია. მიტყაპუნებს, მეალერსება, საჯდომზე ხტის. მანქანა დაიძრა. სამატს კიდევ უფრო გაუხარდა. იცინის, რაღაცას მეუბნება. საჭეზე. ხელსაწყოთა დაფაზე მანიშნებს. მეც გავმხიარულდი. მაგრამ უცებ გონს მოვეგე, სიმწრისაგან დამცხა: რას ვშვები?! მანქანა დავამუხრუჭე. მაგრამ სამატმა ნება არ მომცა გავჩერებულიყავი:

— ჩქარა, ძია, ჩქარა წავიდეთ! — მთხოვა მან. როგორ შემეძლო უარი მეთქვა ბედნიერი ბავშვური თვალებისათვის. გაზს მოვუმატე. ის იყო გავრეკე, რომ გამოჩნდა გრეიდერი გზაზე, გუდრონს ანახლებდნენ. გრეიდერმა მოუხვია, გაასწორა ფისიანი მასა და ჩვენსკენ წამოვიდა. უკან კი ცოტა მოშორებით ბაითემირი იდგა. იგი მოსახვევში ფოცხით გუდრონს ურევდა. მე დავიბენი. გაჩერება მინდოდა, მაგრამ გვიან იყო. დაბლა დავიხარე და მანქანა რაც შემეძლო გავაქროლე. ბაითემირს არაფერი შეუმჩნევია. იგი თავაუღებლად მუშაობდა: განა ცოტა მანქანა გაივლის ყოველწუთს გზაზე. მაგრამ სამატმა დაინახა იგი:

— აი მამაც! ძია, მოდი მამაც წავიყვანოთ! გააჩერეთ, დავუძახებ!

მე ვდუმდი. გაჩერება ახლა შეუძლებელი იყო, რა უნდა მეთქვა! სამატმა უცებ უკან მოიხედა, შეეშინდა, ყვირილი დაიწყო, ატირდა კიდეც:

— მამასთან მინდა! გააჩერე, მამასთან მინდა! გააჩერე, არ, მინდა! დე-და!..

მე დავამუხრუჭე. მანქანა მოსახვევში კლდის უკან მოვაფარე და შვილს დამშვიდება დავუწყე:

— ნუ ტირი, სამატ, კარგი, გეყოფა! ახლავე უკან წაგიყვან, ოღონდ ნუ იტირებ!

მაგრამ შეშინებულ ბიჭს არაფრის გაგონება არ უნდოდა.

— არა, არ მინდა! მამასთან გამიშვი! გააღე! — ააბრახუნა მან ხელები კარებზე. — გამიღე, მამასთან გავიქცევი! გამიღე!

ასეთ ხათაბალაში ჩავვარდი.

— ნუ ტირი! გეყოფა! — ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი. — ახლავე გავაღებ, ოღონდ დამშვიდდი! მე თვითონ მიგიყვან მამასთან! გამოდი, წავიდეთ!

სამატი ჩამოხტა და ტირილით უკან გაიქცა. მე გავაჩერე:

— მოიცა! ცრემლები მოიწმინდე. ნუ ტირიხარ. გთხოვ. ჩემო ბიჭო, ნუ იტირებ! შენი მანქანა? რას შვები, ტოვებ? აიღე! — მე ხელი დავტაცე მანქანას და აკანკალებული ხელებით მოვმართე. — შეხედე, როგორ წამოვა შენსკენ, დაიჭირე! მანქანა გზაზე გაგორდა, ქვას დაეჯახა და თხრილში გადაყირავდა.

— არ მინდა! — უარესად აღრიალდა სამატი და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

მე გავშეშდი. ცრემლები ყელში მომებჯინა და შვილს გამოვეკიდე:

— მოიცადე. ნუ ტირიხარ, სამატ! მოიცადე. მე შენი... მე, მე, შენი, გესმის?.. მაგრამ ენა სათქმელად არ მომიბრუნდა...

სამატი უკანმოუხედავად მირბოდა და მოსახვევს მიეფარა. მე კლდემდე მივირბინე, გავჩერდი და გავცქეროდი შვილს, რომელიც თანდათან მშორდებოდა.

დავინახე როგორ მიირბინა მან გზაზე მომუშავე ბაითემირთან. ბაითემირი მის წინ ჩაცუცქდა, ხელი მოხვია, მკერდზე მიიკრა. ბიჭიც კისერზე მოეხვია და შეშინებულმა ჩემს მხარეს გამოიხედა.

შემდეგ ბაითემირმა მას ხელი ხელში ჩასჭიდა, ფოცხი

მხარზე მოიგდო და წავიდნენ ერთად — დიდი და პატარა ადამიანი.

დიდხანს ვიდექი კლდეზე მიყრდნობილი, შემდეგ უკან შემოვბრუნდი. სათამაშო მანქანასთან გავჩერდი, იგი თხრილში ეგდო აყირავებული, ბორბლები მაღლა აეშვირა. ცრემლები ჩამომდინდა. „ყველაფერი დამთავრდა!" ვუთხარი მე ჩემს დიდ მანქანას და კაპოტზე ხელი გადავუსვი. მოტორის სიმხურვალე ვიგრძენი... რაღაც მშობლიური იყო ახლა ამ მანქანაშიც, შვილთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის მოწმეში...

* * *

ილიასი ადგა და კარებისაკენ წავიდა.

— სუფთა ჰაერზე გავალ, — თქვა მან.

კუპეში მარტო დავრჩი. განთიადის ცა თეთრ სარტყელებად ირხეოდა ფანჯრის მიღმა. ბუნდოვნად გაიელვებდნენ ტელეგრაფის ბოძები. უკვე შეიძლებოდა სინათლის ჩაქრობა.

წამოწოლილი ვფიქრობდი, მოვყოლოდი თუ არა ილიასს იმას, რაც ჩემთვის იყო ცნობილი და რაზედაც მან არაფერი იცოდა? მაგრამ იგი კუპეში არ შემოდიოდა. „ხვალ მოვუყვები, დაე დაისვენოს", — გადავწყვიტე მე და კარგადაც მოვიქეცი, რადგან მეორე დღეს საერთოდ გადავიფიქრე რამის მოყოლა.

გზის ოსტატი ბაითემირი თითქმის სწორედ იმ დროს გავიცანი, როდესაც ილიასმა უკვე იცოდა, რომ ასელი და მისი შვილი უღელტეხილზე ცხოვრობდნენ. პამირზე ყირგიზეთის გზის მუშაკების დელეგაციას ელოდნენ. ერთმანეთს შორის შეჯიბრების შედეგები უნდა შეემოწმებინათ და, რა თქმა უნდა, გამოცდილებასაც გაუზიარებდნენ ურთიერთს. ამასთან დაკავშირებით ტაჯიკეთის რესპუბლიკურმა გაზეთმა მთხოვა დამეწერა ნარკვევი ყირგიზეთის სამთო გზებზე მომუშავე ადამიანების შესახებ.

დელეგაციის წევრთა შორის იყო ბაითემირ კულოვიც, ერთ-ერთი საუკეთესო გზის ოსტატი.

დოლონში გავემგზავრე, ბაითემირს რომ გავცნობოდი.

მას უცებ შევხვდი, მოულოდნელად და, ასე ვთქვათ, ჩემდა საბედნიეროდ. სადღაც, ზედ უღელტეხილზე ჩვენი ავტობუსი გააჩერა მუშამ, რომელსაც ხელში პატარა წითელი ალამი ეჭირა. გამოირკვა ახლახან ზვავი ჩამოწოლილიყო და გზას წმენდნენ. მიწისა და ქვის დიდი ნაკადი ჩამოცურებულიყო მაღლიდან და გზის ნაპირას მდგომი ბოძები მიენგრ-მოენგრია. უბანი ახლა უკვე შემოღობილი იყო. ბულდოზერი მიწას ხრამში ყრიდა. იქ, სადაც მას მუშაობა არ შეეძლო, მუშები ტრიალებდნენ ნიჩბებითა და სატკეპნებით ხელში. ბრეზენტის წამოსხმასა და ქირზის ჩექმებში გამოწყობილი კაცი ბულდოზერს დაჰყვებოდა და ტრაქტორისტს უყვიროდა:

— მარცხნივ აიღე! ერთხელ კიდევ მიდი! შემოფიცრულს გადაუარე! ასე! შეჩერდი! უკან!

გზა თითქმის აღდგენილი იყო, გასასვლელი გაწმენდილი. შოფრები ორივე მხრიდან თავგამოდებით აყვირებდნენ მანქანებს, ლანძღავდნენ გუშაგად მდგარ მუშებს, მოითხოვდნენ გზის გახსნას, მაგრამ წამოსასხამიანი კაცი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. იგი ისევ და ისევ აიძულებდა ბულდოზერს გზაზე გაევლო, მიწა ყალიბში ჩაეტკეპნა. „ალბათ, ეს არის ბაითემირი, თავისი საქმის ოსტატი!“ გადავწყვიტე მე და არც შევმცდარვარ. ნამდვილად ის იყო. ბოლოს გზა გაიხსნა, მანქანებიც დაიძრნენ.

— რაღას უცდით, თქვენი ავტობუსი ხომ წავიდა? — მომმართა ბაითემირმა.

— მე თქვენთან ვარ.

ბაითემირმა თავისი გაკვირვება არ შემამჩნევინა. უბრალოდ და ღირსებით ჩამომართვა ხელი.

— სტუმარი ყოველთვის მახარებს.

— თქვენთან საქმე მაქვს, ბაკე. — მივმართე საპატივცემულო სახელით. თავი გავაცანი. — თქვენ იცით, რომ ჩვენი გზის მუშაკები ტაჯიკეთში უნდა გაემგზავრონ?

— ყური მოვკარი.

— სწორედ ამიტომ პამირზე გამგზავრების წინ, თქვენთან საუბარი მსურდა.

რაც უფრო ვუხსნიდი ჩემი ჩამოსვლის მიზანს, ბაითემირი

მით უფრო იღუშებოდა და ჩაფიქრებით ისვამდა ხელს ჯაგარა, მოწითალო ულვაშებზე.

— კარგია, რომ ჩამოხვედით, — მითხრა მან, — მაგრამ მე პამირზე არ წავალ და ჩემზე წერაც არ ღირს.

— შეიძლება გკითხოთ, რა მიზეზით? საქმეები გაქვთ? თუ სახლშია რამე?

— რა საქმეები — გზა. თქვენც ხედავთ. სახლში კი — იგი გაჩუმდა და პაპიროსი ამოიღო. — სახლში... იქაც საქმე მაქვს, როგორც ყველა მეოჯახეს. მაგრამ პამირზე მე არ წავალ.

მე ვარწმუნებდი, ვუხსნიდი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დელეგაციის შემადგენლობაში ისეთი გზის ოსტატის გამგზავრებას, როგორიც ის არის, მაგრამ ბაითემირი უფრო ზრდილობის გულისათვის მისმენდა, მისი დაჯერება ვერაფრით ვერ შევძელი.

ძალიან განაწყენებული ვიყავი და უპირველესად საკუთარ თავზე. პროფესიულმა ალღომ მიღალატა, ისე არ მივუდექი ადამიანს. უღელტეხილიდან ხელცარიელი უნდა დავბრუნებულიყავი, უნდა დავბრუნებულიყავი ისე, რომ ვერ შევასრულე მეზობელი რესპუბლიკის გაზეთის რედაქციის თხოვნა და დავალება.

— რა გაეწყობა, ბაკე, მაპატიეთ, უნდა წავიდე. გამოიცლის რამე მანქანა და...

ბაითემირი ყურადღებით დამაცქერდა თავისი ჭკვიანი, მშვიდი თვალებით, შემდეგ ულვაშებში ჩაიღიმა.

— ქალაქელ ყირგიზებს ადათი ავიწყდებათ. მე მაქვს სახლი, ოჯახი, დასტორკონი[1] და ღამისსათევი. რადგან თქვენ ჩემთან ჩამოხვედით, წახვალთ ხვალ, წახვალთ სახლიდან და არა გზიდან. წამოდით მეუღლესთან და შვილთან მიგიყვანთ. ნაწყენი არ დამრჩებით, მე გათენებამდე შემოვლა უნდა მოვასწრო. მალე დავბრუნდები. ასეთი სამუშაოა...

— მოითმინეთ, ბაკე! — შევაჩერე იგი. — მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

---

[1] დასტროკონი — სუფრა, სასმელ-საჭმელი სტუმრისათვის.

ბაითემირმა ეშმაკურად მოკუტა თვალები და ჩემი ჩაცმულობა შეათვალიერა.

— უხერხულია თქვენთვის ჩემთან სიარული, ერთი ბოლოდან მეორემდე დიდი გზაა. თანაც სულ აღმართ-დაღმართი.

— არაფერია! — ვუპასუხე მე.

გზას გავუდექით. ვჩერდებოდით ყოველ ხიდთან, მოსახვევთან, ხრამთან, გზაზე გადმოხურულ კლდეებთან. ყველაფერ ამას გზის ოსტატის დაკვირვებული თვალი ამოწმებდა. ჩემთვის აქამდეც გამოცანად რჩება, როგორ მოხდა, რომელი სიტყვიდან დაიწყო, რანაირად მოვიპოვე ბაითემირის ნდობა, რომ მომიყვა თავისი და თავისი ოჯახის ისტორიას და მხოლოდ ახლა, როცა ილიასის ამბავი ბოლომდე მოვისმინე, მივხვდი, რომ მე, როგორც ჟურნალისტს, ბედმა გამიღიმა. იმ დღეებში გარეგნულად მშვიდი ბაითემირი განცდების, დარდისა და ფიქრის დიდი მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილი დადიოდა. შეიძლება მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა უნდოდა გულის მოსაოხებლად, შემდეგ თავი ვეღარ შეიკავა და გულში ნაგროვებმა დარდმა ამოხეთქა.

გზის ოსტატის ნაამბობი

თქვენ მკითხეთ, რატომ არ მინდა პამირზე წასვლა? მე თვითონ პამირელი ყირგიზი ვარ. ჩემი სამშობლო პამირია, მოვხვდი კი აქ. ტიან-შანზე.

თითქმის ბავშვი ვიყავი პამირის ტრაქტის მშენებლობაზე რომ მივედი, კომკავშირის მოწოდებით. მშენებლობა სახალხო იყო, მექანიზმები არ გვყოფნიდა, გვიჭირდა, მაგრამ ბეჯითად და მონდომებით ვმუშაობდით, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ანდა რა გასაკვირი იყო: გზა პამირისაკენ მიდიოდა. საუკუნეების მანძილზე უკარებად მდგარი პამირისაკენ. დამკვრელი გავხდი, პრემიებსა და ჯილდოებს ვიღებდი. მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა.

იქ მშენებლობაზე ერთი გოგონა გავიცანი. შემიყვარდა, ძალიან შემიყვარდა. გარეგნულად კარგი იყო, თან ჭკვიანიც. ფულიდან მშენებლობაზე მოსვლა მოახერხა .ეს ყირგიზი ქალი

შვილისათვის იმ დროს ადვილი საქმე არ იყო. არც ახლაა ქალიშვილის გზა წარმოებისაკენ ვარდით ფენილი, თვითონაც გეცოდინებათ, ადათები გვბოჭავენ. ერთი წელი გავიდა, რაც გულბარა გავიცანი. ტრაქტის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. გზის ექსპლოატაციისათვის საკუთარი კადრები იყო საჭირო. აშენება ერთი საქმეა. საერთო ძალებით შეიძლება, შემდეგ გზას მიხედვა, მოვლა უნდა. ჩვენთან ერთად ახალგაზრდა ინჟინერი მუშაობდა, ხუსაინოვი იყო მისი გვარი, ახლაც საგზაო ხაზით მუშაობს, მინისტრად. სწორედ მან ამაგულიანა საგზაო კურსებზე წავსულიყავი. ვფიქრობდი, გულბარა არ დამელოდება-მეთქი, აულში წაიყვანენ-თქო, მაგრამ არა, დამიცადა. შევეუღლდით და იქვე, საგზაო უბანზე დავრჩით. კარგად, მეგობრულად ვცხოვრობდით. გზის მუშაკებისათვის, რომლებიც მთებში, უღელტეხილებზე ცხოვრობენ, მტკიცე ოჯახი, ცოლი — კოდექსის განსაკუთრებული მუხლი, დიდი საქმეა. უფრო გვიან, ეს ჩემს თავზე გამოვცადე. და თუ მე ჩემი საქმე შემიყვარდა, ამაში ჩემს ცოლსაც აქვს წილი. შეგვეძინა ქალიშვილი, შემდეგ მეორე და ამ დროს ომიც დაიწყო.

ახმაურდა პამირის ტრაქტი, როგორც მდინარე დიდი წვიმების შემდეგ. ხალხი დაბლა ეშვებოდა — არმიაში მიდიოდა.

ჩემმა რიგმაც მოაწია. დილით ყველანი გზაზე გამოვედით. უმცროსი გოგო ხელში აყვანილი მყავდა, უფროსი კი გვერდით მომყვებოდა, მაგრად ჩაეჭიდა ხელი. ჩემი გულბარა, საბრალო გულბარა! მას ჩემი სალაშქრო ჩანთა მოჰქონდა, გულმაგრობდა, მე მამშვიდებდა. მაგრამ ხომ კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა ორი ბავშვის ანაბარა უკაცრიელ მთებში, საგზაო უბანზე დარჩენა, ასეთივე მეზობლების იმედით. მინდოდა გულბარა აულში გამეგზავნა, თავის ნათესავებთან, მაგრამ თვითონ არ ისურვა. როგორმე თავს გავიტანთო, მითხრა, დაგელოდებით და თანაც არც გზის მიტოვება შეიძლებაო უპატრონოდ. უკანასკნელად ვიდექით ჩვენ გზის პირას, მე ცოლს და ბავშვებს შევყურებდი, ვემშვიდობებოდი. სულ ახალგაზრდები ვიყავით მაშინ მე და გულბარა, ის-ის იყო, ცხოვრებას ვიწყებდით.

მესანგრეთა ბატალიონში მოვხვდი. ბევრ ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებას მოსკოვთან აჩნდა ჩემი ხელი. შემდეგ გადა-

ვიარეთ დონი, ვისლა, დუნაი. ვინ მოთვლის, რამდენი გზა, რამდენი ხიდი, გადასასვლელი გავაკეთეთ ომით დასეტყვილ მიწაზე. იყო შემთხვევები წელამდე ყინულივით წყალში დგახარ გათოშილი და ცეცხლსა და კვამლში იწვი, ყუმბარები გრგვინავენ ირგვლივ, გადასასვლელს მიწასთან ასწორებენ, ხალხი იღუპება, უკვე დგომის თავი აღარა გაქვს, ფიქრობ, ნეტავი მომკლავდნენ და რაც შეიძლება ჩქარა! მაგრამ ამ დროს მომაგონდებოდნენ ჩემიანები, მომაგონდებოდა, რომ შორს მთებში ისინი მელიან როგორც ღმერთს და რომ იმისთვის კი არ მოვსულვარ აქ პამირიდან, ამ ხიდის ქვეშ ტყუილუბრალოდ დავიღუპო. არ ვიცი საიდან და ძალა მემატებოდა, კბილებით ვღუნავდი აცილებული სამაგრების დასაკავებელ მავთულს, არ მინდოდა სიკვდილს დავნებებოდი. არ დავღუპულვარ. ბერლინამდე ჩავედი თითქმის.

ცოლი ხშირად მწერდა. ფოსტას ხომ ტრაქტის გვერდით უნდა გაევლო. მწერდა ყველაფერზე, დაწვრილებით, გზის შესახებაც მწერდა ხოლმე, ჩემს მაგივრად იყო ოსტატად. ვიცოდი, რომ უჭირდა, განა ადვილი მოსავლელი იყო გზა? ისიც სად? პამირზე! თანაც მეზობლებიც გაფანტულიყვნენ — ვინ საით.

და უცებ, ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე, წერილები შეწყდა. ვფიქრობდი: ფრონტზე არც ისე ადვილია წერილის მოტანა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ამით ვიმშვიდებდი თავს. ერთხელ პოლკის შტაბში გამომიძახეს. ზემდეგო, — მითხრეს, — საკმარისად იომეთ, დიდი მადლობა, ჯილდოებიც მიიღეთ. დაბრუნდი სახლში, შენ ახლა იქ უფრო საჭირო ხარ. ოღონდ ჩასვლისთანავე სამხედრო კომისარიატში შეიარე, გამოეცხადე, შემდეგ კი თავისუფალი ხარ. მე, რა თქმა უნდა, გამიხარდა — არ მოველოდი. დეპეშა გავუგზავნე სახლში.

ჩამოვედი მშობლიურ ადგილებში. სამხედრო კომისარიატში არ შემივლია, მოვასწრებ, სად გავიქცევი! გავწიე შინისაკენ! რაც შეიძლება ჩქარა! საბარგო მანქანა შემხვდა, იქით მიდიოდა, დავიძარი პამირის ტრაქტისაკენ.

ფრთები მინდოდა მქონოდა, შევეჩვიე ფრონტულ „სტუდებეკერებს,“ შოფერს კაბინაში ვუყვირი:

— დააწექი, ძამიკო, ნუ გენანება შენი ჯაბახანა! შინ მივდივარ.!

მივუახლოვდი. მოსახვევი, და ჩემი უბანი დაიწყება. მიმავალი მანქანიდან ჩამოვხტი, ზურგზე ჩანთა მოვიგდე და სირბილით განვაგრძე გზა. ვფიქრობდი, ასე უფრო ჩქარა მივიდოდი. მანქანას გავასწრებდი. მივრბივარ, მივრბივარ, მოსახვევიც უკან მოვიტოვე, და... ვეღარაფერს ვცნობ. თითქოს ყველაფერი ადგილზეა: მთები ისევ იქ დგანან, გზაც იგივეა, ოღონდ არც სახლია, აღარც ეზო, არც კაციშვილი ჭაჭანებს სადმე. მხოლოდ ქვებია ერთმანეთზე დახორებული. ჩვენი სახლი ოდნავ განაპირას, ზედ მთის ძირას იდგა. იქ ვიწრო ადგილებია. ავხედე მთას და გავშეშდი. თოვლიანი ზვავი დაქანებულიყო ფერდობზე და ყველაფერი პირწმინდად მოეხვეტა თავის გზაზე. არაფერი დაეტოვებინა, თითქოს ბრჭყალებიანი თათებით მოეთხარა ფერდობზე მიწა და იქ შორს, დაბლა ხევში, უზარმაზარი ხრამი გაეთხარა. ცოლი უკანასკნელ წერილში მწერდა დიდი თოვლი იყო და უცებ წვიმები მოკყვაო. ზვავი უნდა აეფეთქებინათ წინასწარ, მაგრამ ეს განა ქალის საქმე იყო.

აი ასე შევხვდი ჩემს ოჯახს. ათასჯერ შემიხედავს სიკვდილისათვის თვალებში, ცოცხალი დავბრუნდი ჯოჯოხეთიდან და ისინი კი თითქოს არც ყოფილანო ამ ქვეყნად. ვდგავარ და განძრევა არ შემიძლია. მინდა ვიღრიალო, ვიღრიალო ისე, რომ მთები შეირყნენ და არ შემიძლია. ყველაფერი გამიქვავდა, თითქოს ამ ქვეყნად აღარ ვარ. ვგრძნობ მხოლოდ, როგორ ჩამოცურდა მხრიდან ზურგჩანთა და ფეხებთან დავარდა. ასევე მივატოვე იქ. საჩუქრები მომქონდა გოგონებისათვის. ცოლისათვის. გიმნასტურა გზაში შაქარყინულზე გადავცვალე. დიდხანს ვიდექი, თითქოს რაღაც სასწაულს ველოდი. შემდეგ მოვბრუნდი უკან და გავყევი გზას. შევჩერდი ერთხელ, მივიხედე: მთები ირწევიან აკვანივით. ერთმანეთს უახლოვდებიან. მთელი სიმძიმით მაწვებიან ზემოდან. ვიყვირე და გავიქეცი. შორს აქედან! უნდა მოვშორდე ამ დაწყეველილ ადგილებს! აი მაშინ კი ავტირდი. საშინლად ავღრიალდი.

არ მახსოვს როგორ და სად მივდიოდი, მესამე დღეს სად-

გურში აღმოვჩნდი. დავხეტიალობ ქვეყნის ხალხში დაკარგულივით. ვიღაც ოფიცერმა დამიძახა. შევხედე — ინჟინერი ხუსაინოვი. სახლში ბრუნდებოდა დემობილიზებული. ორიოდ სიტყვით ვუამბე ჩემი უბედურების შესახებ. საით აპირებ ახლა წასვლას?—მკითხა. — „თვითონაც არ ვიცი!"—ვუპასუხე. არა, ასე არ ივარგებს, უნდა გაუძლო. უფლებას არ მოგცემ ასე მარტოხელამ იხეტიალო. წავიდეთ ტიან-შანზე, გზაა დასამთავრებელი. შემდეგ კი ვნახოთ...

ასე მოვხვდი აქ, პირველად ხიდებს ვაშენებდი ტრასაზე. დრო გადიოდა. უნდა გამერკვია სად დავიდებდი ბინას. ინჟინერი ხუსაინოვი იმ დროს სამინისტროში მუშაობდა. ხშირად ჩამოიკლიდა ხოლმე ჩემთან, სულ მირჩევდა ძველ სამუშაოს დავბრუნებოდი, გზის ოსტატობა დამეწყო ისევ. ვერ გადამეწყვიტა. მეშინოდა. როცა ვაშენებდი, მარტო არ ვიყავი. ხალხთან უფრო ადვილად გაუძლებ განსაცდელს. მარტოს კი, ალბათ, დარდი მომკლავდა. წლები გავიდნენ, მე კი გონს ვერ მოვსულიყავი. არ მავიწყდებოდა წარსული. თითქოს ჩემთვის ცხოვრება დამთავრდა და წინ უკვე აღარაფერი მელის. კვლავ ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ძალიან მიყვარდა გულბარა და ბავშვები. ვფიქრობდი, რომ მათ ვერასდროს ვერავინ შეცვლიდა. ხოლო ცოლის მოყვანა იმისათვის, რომ იცხოვრო — რა კაცობაა! ჯობდა მარტო დავრჩენილიყავი.

გადავწყვიტე წავსულიყავი უბანზე ოსტატად. ვფიქრობდი შევეცდები და თუ არაფერი გამომივა, წავალ სადმე-თქო. მომცეს უბანი უღელტეხილზე. თანდათანობით შევეჩვიე. შეიძლება იმიტომ, რომ რთული უბანია. ყოველთვის ბევრი საქმეა. ჩემთვის ეს უკეთესიც არის. თანდათანობით ტკივილი მიყუჩდა. ხანდახან მესიზმრებოდა მხოლოდ: გაქვავებული ვდგავარ გაპარტახებული სახლ-კარის წინ, ვგრძნობ როგორ ჩამომიცურდა მხრიდან ზურგჩანთა და როგორ დაეცა ფეხებთან. ვბრუნდები და გზაზე მივდივარ. თვალცრემლიანი ვიღვიძებდი ასეთ დღეებში დილიდან მივდიოდი გზაზე და გვიან საღამომდე არ ვბრუნდებოდი. ასე დავრჩი მარტოდმარტო. სადღაც გულის სიღრმეში ხანდახან გამკრავდა: „იქნებ ჩემთვისაც გამოჩნდეს ბედნიერება?"

და იგი მოვიდა, მოვიდა მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებად ველოდი.

ერთხელ, ოთხი წლის წინათ, ზამთრის მიწურულს ჩემი მეზობლის ავადმყოფი დედა წავიყვანე საოლქო საავადმყოფოში. თვითონ ვერ მოახერხა: სამსახური, ოჯახი, ბავშვები... მრხეცის საქმე დღითიდღე უკან-უკან მიდიოდა. გადავწყვიტე მე წამეყვანა ექიმებთან. სწორედ ამ დროს ჩვენთან უბანზე საგზაო სამმართველოდან მოვიდა მანქანა. რაღაც ამოიტანა, აი ამ მანქანას გავყევით. ექიმებს გავასინჯე მოხუცი. მითხრეს, საავადმყოფოში უნდა დააწვინო, თორემ მოკვდებაო. მოხუცი საავადმყოფოში პირველად იყო და გაჯიუტდა. არ დავრჩები, თუ სიკვდილი მიწერია, მირჩევნია სახლში მოვკვდეო. წამიყვანე, თორემ შეგაჩვენებ, დაგწყევლიო. ვერაფრით ვერ დავაჯერე. იძულებული გავხდი უკან წამეყვანა. გამოვართვი რაღაც წამლები და წამოვედით. უკვე გვიან იყო. ავტობაზის საუღელტეხილო ბაზას რომ გავცდით, შოფერმა უცებ მანქანა დაამუხრუჭა, მესმის ვიღაცას ეკითხება — საით მიდიხართ?

ქალის ხმამ რაღაც გაურკვევლად უპასუხა და ნაბიჯები დაგვშორდნენ.

— დაჯექით! — უთხრა შოფერმა. — სად მიხვალთ? — და მანქანა წამოაწია.

ძარასთან ახალგაზრდა ქალი მოვიდა, ბავშვით ხელში და პატარა ფუთით. მე დავეხმარე მაღლა ამოსვლაში, ქარისაგან დაფარული ადგილი დავუთმე, კაბინის უკან, თვითონ კი კუთხეში მივჯექი.

წავედით. ციოდა. ნესტიანი ქარი ძვლებში ატანდა. ბავშვი ატირდა. ქალი უნანავებდა, მაგრამ ის დაწყნარებას არც ფიქრობდა. აი უბედურება! კაბინაში უნდა ჩაგვეჯინა წესით, მაგრამ იქ მოხუცია, ძლივს ღაფავს სულს. მაშინ ოდნავ შევეხე მხარზე:

— აბა, მე მომეცით, იქნებ დაწყნარდეს, თქვენ კი თავი უფრო დახარეთ, ქარი ნაკლებად შეგაწუხებთ.

კურტაკი გავიხსენი, ბავშვს გადმოვახურე და მკერდზე მივიკარი. დაწყნარდა, აქსუტუნდა. კარგი ბავშვი იყო, ათი თვის იქნებოდა ან ცოტა მეტი. მარცხენა მხარეს მეჭირა. უცებ გუ-

ლი ამითრთოლდა, თვითონაც არ ვიცი რატომ, დაჭრილი ფრინ-
ველივით აფრთხიალდა. ვწუხვარ და მიხაროა. „ეჰ, ნუთუ არა-
სოდეს აღარ ვიქნები მამა?" — გავიფიქრე მე. ბავშვი კი
მომყრდნობია, გათბა, აღარაფერი აწუხებს.

— ბიჭია? — შევეკითხე.

მან თავი დამიქნია. ვხედავ საცოდავი მთლად გაიყინა. თხე-
ლი პალტო ეცვა. მე ზამთრობით კურტაკს ზემოდან წამოსას-
ხამსაც ვატარებ, არ შეიძლება ჩვენი სამუშაოს მქონე ხალხის-
თვის უმისოდ. ცალი ხელით ბიჭი მიჭირავს და თავისუფალ სა-
ხელოს მას ვუშვერ.

— წამოსასხამი გამხადეთ. თორემ გაცივდებით.

— არა, რას ბრძანებთ, ნუ წუხდებით, — უარი მითხრა
მან.

— გამხადეთ, გამხადეთ! — მოვთხოვე მე, — ქარისაგან და-
იფარეთ თავი.

იგი წამოსასხამში გაეხვია, მე კალთები შემოვუკეცე ფე-
ხებს ქვეშ, ქარს რომ არ დაებერა.

— ცოტათი მაინც გათბით? — შევეკითხე.

— დიახ.

— კი, მაგრამ რატომ ასე გვიან?

— ასე გამოვიდა, — ჩუმად მიპასუხა მან.

ამ დროისათვის ხეობაში შევედით. აქ მაღაროელთა დასახ-
ლებაა. უკვე ყველას ეძინა. ფანჯრები ჩაბნელებული იყო. ძალ-
ლები ყეფით აედევნენ მანქანას. უცებ გამახსენდა: სად უნდა
მიდიოდეს? რატომღაც მეგონა. რომ მაღაროში, სხვაგან არსად
არ შეიძლებოდა. ზევით ულელტეხილი იყო, შემდეგ კი ჩვენი
უბანი.

— თქვენ, ალბათ, მოხვედით? — ვუთხარი მე და კაბინაზე
დავაკაკუნე. — ჩვენ ულელტეხილამდე ცოტა დაგვრჩა, იმას
იქით კი მანქანა აღარ მიდის.

— აქ რა არის? — იკითხა მან.

— მაღარო. რა, თქვენ აქ არ მოდიხართ?

— მე, მე აქ მოვდიოდი, — გაუბედავად თქვა მან. მაგრამ
შემდეგ სწრაფად წამოდგა. მოსასხამი მომაწოდა და ბავშვი გა-
მომართვა. იგი უცებ ასლუკუნდა. მე ქიმთან მივედი, მინდოდა

ჩამოვმხტარიყავი და დავხმარებოდი, მაგრამ ვიგრძენი ქალს რაღაც სხვა დარდი აწუხებდა. როგორ დამეტოვებინა იგი მარტო ამ ცივ ღამეში?

— თქვენ არსად არ გაქვთ მისასვლელი! — პირდაპირ ვუთხარი მე. ცუდს ნურაფერს იფიქრებთ. მომეცით ბავშვი! — თითქმის ძალით გამოვართვი ხელიდან. — ნუ უარობთ. ჩემთან უბანში გაითევთ ღამეს, მერე კი თქვენ იცით თქვენი საქმე. მოვრჩით! წავედით! — ჩავძახე შოფერს.

მანქანა დაიძრა. იგი ჩუმად იჯდა, სახე ხელისგულებში დაეშალა, არ ვიცი, შეიძლება ტიროდა კიდეც.

— ნუ გეშინიათ! — დავამშვიდე ქალი. — არაფერს დაგიშავებთ. მე გზის ოსტატი ვარ — ბაითემირ კულოვი. შეგიძლიათ მენდოთ.

ისინი ჩემთან მოვათავსე. თვითონ კი წავედი. ეზოში გვქონდა პატარა თავისუფალი ოთახი, ტახტზე დავწექი.

დიდხანს არ დამეძინა, ვფიქრობდი. ვერ მოვისვენე. გამომეკითხა ყველაფერი უხერხული იყო. თვითონაც არ მიყვარს, და მაინც იძულებული გავხდი მეკითხა ზოგი რამ, იქნებ ადამიანს უჭირს, დახმარება უნდა. რაღაც შებოჭილად, უხალისოდ მპასუხობდა. ვხედებოდი, რომ რაღაცას მიმალავდა. როცა ადამიანს დიდი დარდი აქვს, მისი ყოველი სიტყვის უკან ათი უთქმელი იფარება. სახლიდან წამოვიდა, ქმრისგან. ამაყი უნდა იყოს. ეტყობა იტანჯება, ძლიერ განიცდის და არ უნდა შეიმჩნიოს. ყველას უფლება აქვს როგორც უნდა ისე მოიქცეს. თვითონ უკეთ იცის თავისი საქმე. მაგრამ მაინც მეცოდებოდა ახალგაზრდა ქალი. ტანმაღალია, სახენათელი. ალბათ ალერსიანი და გულკეთილია ჩვეულებრივ. როგორ შეეძლო კაცს ასეთი ქალი აეძულებინა სახლიდან წასულიყო? ჩემთვის გაუგებარი ჟყო. მაგრამ ეს მათი საქმეა. ხვალ გავაცილებ, დავსვამ რომელიმე მანქანაზე.

დავიღალე იმ დღეს, ჩამეძინა და მომეჩვენა, რომ მანქანით მოვდივარ. კურტაკს ქვეშ კი ბიჭი მყავს შეხიზნული. გათბა პატარა ადამიანი. მკერდზე მეკვრის.

უთენია ავდექი. შემოვლაზე წავედი და სწრაფად დავბრუნდი. ნეტავ როგორ გრძნობენ თავს ჩემი სტუმრები? ფრთხი-

ლად, რომ არ გავაღვიძო, გავახურე წინა ოთახში ღუმელი; სამოვარი დავდგი. იგი კი თურმე ამდგარა და წასასვლელად ემზადება. მადლობას მიხდის. უჩაიოდ არ გავუშვი, ვაიძულე ცოტა დაეცადა. ჩემი ღამეული თანამგზავრი სასაცილო ბიჭუნა გამოდგა, მიიწევს ყველასკენ პირდაპირ, უბრალოდ, არაფრის დარდი არ აწუხებს ამ ქვეყნად. ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო მასთან თამაში. უცებ შეევთვისე. ჩაის სმის დროს შეეკითხე:

— საით უნდა წახვიდეთ? მანქანა გავაჩერო?

იგი დაფიქრდა და მითხრა:

— რიბაჩიეში.

— მშობლები გყავთ იქ?

— არა, ჩემი მშობლები აულში არიან, ტოსორს იქით.

— ოო, გადაჯდომა მოგიწევთ, გაწვალდებით.

— მე იქით მაინც არ ვაპირებ წასვლას. არ მიგვესვლება,— ჩაფიქრებით უთხრა მან შვილს. — თვითონა ვართ დამნაშავენი. მივხვდი, რომ იგი მშობლების სურვილის წინააღმდეგ გაჰყვა ქმარს. შემდეგში გავიგე, რომ ასეც იყო.

იგი გზაზე გასვლას აპირებდა, მაგრამ დავითანხმე სახლში დაეცადა, რომ ბავშვით ქარში არ მდგარიყო. მანქანას კი მე გავაჩერებდი.

გზაზე რომ გამოვედი, ცუდ ხასიათზე დავდექი. არ ვიცი რატომ და გულზე ნაღველი მაწვებოდა იმის გამო, რომ არ ვიცოდი რა მექნა მათი წასვლის შემდეგ. ისევ მარტო უნდა დავრჩენილიყავი.

თავიდან რიბაჩიესკენ მიმავალი მანქანები არ ჩანდნენ. შემდეგ კი მე არ გავაჩერე, ხელი არ ავწიე. თვითონაც შემეშინდა. რატომ ვაკეთებ ამას? სწორედ აქედან დაიწყო ჩემი წამება. მანქანები მოდიან და მე კი არ ვაჩერებ. ვფიქრობ, ახლა რომ გამოიცლის იმას გავაჩერებ, ხელის აწევა მინდა და ვერ ვწევ. სიმწრის ოფლი მასხამს. რა გამოდის, ადამიანს ვატყუებ, ვაბრკოლებ. მაქვს ამის უფლება? ის კი მიცდის, ჩემი იმედი აქვს. გზაზე ბოლთის ცემა დავიწყე. ჩემი თავის მეშინია. რაღაც უცნაური ხდება. თავს ვიმართლებ: იმ კაბინაში შეცივდება — შუშები აქვს ჩამტვრეული, ხან მანქანა არ მომწონს, ხანაც შოფერი — თავზეხელაღებულია, ზოგსაც ნასვამობას ვაბრა-

ლებ. ხოლო, როცა კაბინაში ადგილი არ იყო, ბავშვივით მიხა-როდა. ოღონდ ახლა არ წავიდნენ. კიდევ ცოტა ხანს. თუნდაც ხუთ წუთს დარჩნენ სახლში. „თუმცა სად უნდა წავიდეს? — გავიფიქრე მე. — აულში არ მიესვლება, თვითონ თქვა. სხვა კი არავინ ჰყავს. რიბაჩიეში კი ათასნაირი ხალხი ცხოვრობს. სად უნდა შეაფაროს თავი ბავშვიანმა ქალმა? დაღუპავს ბავშვს ზამთარში! სჯობს ჩემთან დარჩნენ. იცხოვროს ცოტა ხანი, მოიფიქროს რა სჯობია. შეიძლება ქმარს დაუბრუნდეს, ანდა თვითონ ის მოძებნის...“

ეჰ, უბედურებაა. ჯობდა გამომეყვანა გზაზე და უცებ გამე-მგზავრებინა. სამი საათი დავდიოდი და ვტკეპნიდი ერთ ად-გილს, თავი შემჯავრდა, რატომ ვაკეთებ ასე? არა თვითონ მო-ვიყვან და მის თვალწინ გავაჩერებ მანქანას. სხვანაირად არა-ფერი გამოდის. სახლისკენ მოვბრუნდი. იგი უკვე კარიდან გა-მოდიოდა, ლოდინით დაღლილიყო. შემრცხვა და დამნაშავე ბავშვსავით შევაცქერდი.

— ლოდინით დაიღალეთ? — წავიბურტყუნე მე. — რიბა-ჩიესკენ მიმავალი მანქანები არ არის, არა არის, მაგრამ ისეთი არა. რომ გამოდგეს. მაპატიეთ. ცუდად არ გამიგოთ, ერთი წუ-თით სახლში შემოდით, ძალიან გთხოვთ.

მან გაკვირვებით და ნაღვლიანად შემომხედა, ჩუმად შებ-რუნდა სახლში.

— მე თქვენ გებრალებით? — მითხრა მან, როცა შევედით.

— არა, მაგიტომ არა. გესმით... მეშინია თქვენს მაგივრად. გაგიჭირდებათ. როგორ იცხოვრებთ?

— ვიმუშავებ. შეუჩვეველი არ ვარ.

— სად?

— სადმე მოვეწყობი. მაგრამ უკან არ დავბრუნდები, არც აულში წავალ. ვიმუშავებ და ვიცხოვრებ.

მე გავჩუმდი. ყველაფერს მივხვდი. იგი ახლა არაფერზე არ ფიქრობდა.

წყენა და სიამაყე მას სადღაც მიაქანებდა. მაგრამ განა ადვილი სათქმელია — ვიმუშავებ და ვიცხოვრებ! რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ განა ასე ადვილად აეწყობა საქმეები. ხოლო ადამიანს რომ ძალა დაატანო არ შეიძლება.

ბიჭმა ჩემსკენ გამოიწია. ხელში ავიყვანე. ვაკოცე და გავიფიქრე: „ეჰ. ჩემო კარგო. ახლა ჩვენ ერთმანეთს დავშორდებით. და როგორ არ მინდა, ღვიძლი შვილივით შეგეთვისე...“

— რა გაეწყობა. წავიდეთ. — წყნარად ვუთხარი.

ავდექით, ბავშვი მე მომყავდა, მაგრამ კარებში შევჩერდი:

— სამუშაო ჩვენთანაც მოიძებნება, — ვთქვი მე, — შეგიძლიათ იცხოვროთ და იმოშაოთ კიდეც. პატარა ბინაც არის. დარჩით. ნუ ჩქარობთ. წასვლას ყოველთვის მოასწრებთ. იფიქრეთ...

იგი ჯერ არ მთანხმდებოდა. მაგრამ მერე დავაჯერე. დავუმტკიცე. რომ სჯობდა ჯერ აქ. ჩვენთან ემუშავა. შემდეგ კი ცხოვრება თვითონ უჩვენებდა, წასვლით ხომ როცა მოისურვებდა მაშინ წავიდოდა.

ასე დარჩნენ ასელი და მისი ვაჟიშვილი სამატი ჩვენთან საგზაო უბანზე.

პატარა ოთახი ეზოში ცივი იყო და დაბეჯითებით მოვითხოვე, რომ ასელს და მის ვაჟს ჩემს ოთახში ეცხოვრათ, მე თვითონ კი იქ გადავსახლდი. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო.

იმ დღიდან ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირი გახდა. თითქოს ბრაფერი შეცვლილა, ძველებურად მარტოხელი ვიყავი. მაგრამ ჩემში ადამიანმა გაიღვიძა, მარტოობისაგან გაყინული გული გამითბა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული ვის როგორ ესმის მარტოობა. რა თქმა უნდა. ხალხთან ვცხოვრობდი. შეიძლება ხალხში ცხოვრობდე. მუშაობდე. მეგობრობდე. ეხმარებოდე და გეხმარებოდნენ, როცა შენი საათი დარეკავს სხვაზე ცუდად არ გიპატრონონ. მაგრამ არის ცხოვრების ერთი მხარე, რასაც ვერაფრით ვერ შეცვლი, თუ არა სიყვარულით საყვარელი ადამიანისადმი. ბიჭუნას ძალიან შეევთვისე. შემოვლაზე რომ მივდიოდი, თბილად ჩავაცმევდი და ჩვენ გზებზე ხელით დამყავდა. მთელ თავისუფალ დროს მასთან ვატარებდი. ვერ წარმომედგინა, როგორ ვცხოვრობდი აქამდი უიმისოდ. ჩემი მეზობლები ძიხვედრილი ხალხია და გულთბილად მოეკიდნენ ასელს და სამატს. ბავშვები ვის არ უყვარს. ასელი კი თვითონ არის გულკეთილი. გულღია და ამიტომ თვითონაც ადვილად შეეგუა და შეეთვისა სხვებს. მე ბავშვი ასელის გამოც

შემიყვარდა. ვერაფრით ვერ დავუმალე ჩემს თავს, ან როგორ დამემალა. მე იგი შემიყვარდა. შემიყვარდა ერთბაშად, სულით და გულით, მარტოობაში განვლილი მთელი ჩემი ცხოვრებისათვის, მთელი ჩემი ნაღველისა და ტანჯვისათვის. ყველაფერმა, რაც დავკარგე და განვიცადე, ამ სიყვარულში მოიყარა თავი. მაგრამ ამის თქმის უფლება არ მქონდა. ასელი მას ელოდა. დიდხანს ელოდა, თუმცა კი არ იმჩნევდა. ხშირად შემინიშნავს, როცა გზაზე ვმუშაობდით, როგორ ხვდებოდა და აცილებდა თვალებით ყველა გავლილ მანქანას. ხანდახან შვილს აიყვანდა, გზაზე გავიდოდა და დიდხანს, დიდხანს იჯდა იქ. ის კი არ ჩანდა. არ ვიცი ვინ იყო, ან როგორი, მე არ ვეკითხებოდი, თვითონ კი არავის არაფერს ეუბნებოდა.

დრო ნელა გადიოდა. სამატი იზრდებოდა. მკვირცხლი, მართლაც რომ მშვენიერი ბუთხუზა ბიჭუნა დადგა. არ ვიცი ვინმემ ასწავლა, თუ თვითონ მოიფიქრა — მამას მიძახდა. დამინახავს თუ არა, კისერზე ჩამომეკიდება:

„ატა! ატა!" სამატის შემხედვარე ასელი ფიქრიანად გაიღიმებდა ხოლმე. მე კი მიხაროდა, თან გულიც მტკიოდა. სიხარულით გავუწევდი მამობას, მაგრამ რას იზამ...

იმ წელიწადს, ზაფხულზე გზას ვარემონტებდით. მანქანები გზას გვერდზე უვლიდნენ. ასელმა უცებ ერთ შოფერს დაუძახა:

— ეი, ჯანტაი, გაჩერდი!

ინერციით მანქანა წინ გავარდა და გაჩერდა. ასელმა შოფერთან მიირბინა. რაზე ლაპარაკობდნენ არ ვიცი, მხოლოდ გავიგონე როგორ შესძახა ასელმა შოფერს:

— ტყუი! ტყუი! არ მჯერა! გასწი აქედან! ახლავე წადი!

მანქანამ გზა განაგრძო, ასელი კი სახლისაკენ გაიქცა. იგი მგონი ტიროდა.

საქმეს გულს ვერ ვუდებდი. ვინ იყო? რა უთხრა ასელს? ათასნაირი იქვები და ფიქრები მაწვალებდნენ. ვერ მოკითმინე და შინისაკენ წავედი. ასელი შვილთან ერთად შინ იჯდა, გარეთ გამოსვლას არ აპირებდა. საღამოს გავბედე მასთან შესვლა.

— სამატი სად არის? მომენატრა! — ვთქვი მე.

— აქაა, — ნაღვლიანად შემესიტყვა ასელი.

— ატა! — ჩემსკენ წამოიწია სამატი. ხელში ავიყვანე, ვეთამაშები, ის კი ზის ნაღვლიანი და ხმას არ იღებს.

— რა მოხდა, ასელ? — შევეკითხე მე.

ასელმა ღრმად ამოიოხრა.

— წავალ მე, ბაკე. — მითხრა მან. — იმიტომ კი არა, რომ აქ თავს ცუდად ვგრძნობ. თქვენი ათასგზის მადლობელი ვარ. მაგრამ რატომ... წავალ, გზას რა დალევს, წავალ სადმე...

ამას ის ტყუილად არ ამბობდა, ვხედებოდი დარდიან გულზე მართლა შეეძლო წასულიყო. მე კი რაღა მრჩებოდა, სიმართლე უნდა მეთქვა:

— რა გაეწყობა. ასელ, რომ დაგაკავო ამის უფლება არ მაქვს. მაგრამ მაშინ მე აქ აღარ მეცხოვრება. ერთხელ უკვე მივატოვე დაცარიელებული კუთხე. იმის შემდეგ, რაც თითქოს ტკივილს შევეგუე... შემთხვევა იყო, თუ ბედი, მხოლოდ შენთან, ასელ, და სამატთან... და თუ შენ აქედან წახვალ, აქაურობა ჩემთვის ისევე საძულველი იქნება, როგორც ის ეთი ადგილი პამირზე. იფიქრე, ასელ... ხოლო თუკი ის დაბრუნდება და გული გაგიწევს. ხელს არ შეგიშლი, შენ ყოველთვის თავისუფალი იქნები, ასელ...

ამ სიტყვებით სამატი ხელში ავიყვანე და გზაზე გავედიდიდხანს დავდიოდით ერთად. იგი კი, ჩემი პატარა ვერაფერს ხვდებოდა.

ასელი ჯერ არ მიდიოდა. მაგრამ, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა იგი? ამ დღეებში ჩამოვხმი, სახე გამიშავდა.

ერთხელ, შუადღისას ეზოში შევდივარ, ვხედავ სამატი დაბეჯითებით ცდილობს თვითონ გაიაროს, ასელს ხელით უჭირავს, ეშინია არ დაიმტვრეს.

— ბაკე, ხედავ შენი შვილი უკვე დადის, შეხედე! — ბედნიერად გამიღიმა ასელმა. რა თქვა? შენი შვილიო! მე ნიჩაბი გადავაგდე, ჩავცუცქდი და პატარას დავუძახე:

— მოდი, მოდი, ჩემო ბიჭუნა! მოდი ჩემთან, გაბედულად, ნუ გეშინია!

სამატმა ხელები გაშალა.

— ატა! — მორბის, ფეხები ებლანდება. მე ხელში ავიტაცე, ჰაერში შევათამაშე და მკერდზე მივიკარი.

— ასელ! — ვუთხარი მე. — მოდი ხვალ ბავშვების ზეიმი მოვაწყოთ. შენ თოკი დაგრიხე, თეთრი და შავი შალისაგან.

— კარგი, ბაკე! — გაიცინა მან.

— აუცილებლად თეთრი და შავი შალისაგან...

ცხენს მოვახტი და მეგობარ მეჯოგეებთან გავაქანე. კუმისი და ახალი ხორცი წამოვიღე. მეორე დღეს კი მეზობლები მოვიწვიეთ, ბიჭუნას „ფეხის ადგმას“ ვდღესასწაულობდით.

მე სამატი მიწაზე დავაყენე, ფეხები შავი და თეთრი თოკით შევუკარი, იქვე მაკრატელი დავდე და ვუთხარი ბავშვებს, რომლებიც ეზოს მეორე ბოლოში იდგნენ:

— ვინც პირველი მოირბენს და თოკს გაჭრის, იმას პირველს ერგება საჩუქარი, დანარჩენებს კი რიგის მიხედვით.

ბავშვები ყვირილით გამოიქცნენ, ნამდვილი შეჯიბრება გეგონებოდა.

როცა თოკები გადაჭრეს, მე სამატს ვუთხარი:

— ახლა კი, შვილო ჩემო, ირბინე. ბავშვებო, სამატიც თან წაიყვანეთ.

მათ ბიჭუნას ხელი ჩასჭიდეს და მასთან ერთად გაიქცნენ. მე კი ჩემთვის ვთქვი:

— ხალხნო! ჩემმა კვიცმა ფეხი აიდგა! დაე იგი ფრთამალ მერანად გაიზარდოს!

სამატი ბავშვებს მისდევდა, შემდეგ შემობრუნდა, დამიძახა: „ატა!“ და წაიქცა. მე და ასელი ერთად გავიქეცით მისკენ. როცა სამატი ხელში ავიყვანე, ასელმა პირველად მითხრა:

— ჩემო ძვირფასო!

ამ დღიდან ცოლ-ქმარი გავხდით.

ზამთარში აულში მოხუცებს ვეწვიეთ. ნაწყენი იყვნენ, მაგრამ შემდეგ გვაპატიეს შეცოდება, დაგვლოცეს.

დრომ შეუმჩნეველად გაიარა. ახლა სამატი ხუთი წლისაა. კარგად, თანხმობით ვცხოვრობთ. ოღონდ ერთ რამეზე არ ვლაპარაკობთ არასდროს. არ ვიცი იგონებდა ასელი მას თუ არა, როცა მარტო რჩებოდა თავისთავთან, მაგრამ ჩვენს შო-

რის არსებობს უთქმელი მოლაპარაკება: ჩვენს მას არ ვიცნობთ, ის კაცი ჩვენთვის არ არსებობდა და არც არსებობს.

მაგრამ განა ყველაფერი ადამიანის სურვილზეა დამოკიდებული. ხდება ხოლმე ისეთი რამ, რასაც ვერაფრით ვერ დაეშალები. სულ ცოტა ხნის წინათ იგი თვითონ გამოგვეცხადა.

გზაზე ავარია მოხდა. ღამე იყო. მე და ჩემი მეზობელი, ჩემი თანაშემწე, გავიქეცით. გვინდოდა გაგვეგო რაშია საქმე. შეიძლება უბედურებაა რაიმე. მივირბინეთ. საბარგო მანქანა გზისპირა ბოძებს დაჯახებია. შოფერი დამტვრეულია, თითქმის გრძნობადაკარგული, უგონოდაა მთვრალი. მე იგი ვიცანი, ოღონდ სახელი ვერ მოვიგონე. ერთხელ გაპირვებიდან გვიხსნა. ჩვენი მანქანა ბუქსირით უღელტეხილზე აათრია. ეს კი დოლონზე სახუმარო საქმე არაა. ადრე ასეთი რამ არავის გაუკეთებია. გაკეთება კი არა, გაფიქრებაც ჭირდა. ის კი შეუპოვარი, თავზეხელაღებული გამოდგა, ჩემს სახლამდის მოგვათრია. ძალიან მომეწონა. ჩქარა ამის შემდეგ, ვიღაცამ უღელტეხილზე მისაბმელი ამოიყვანა, სულ ცოტა დარჩენოდა, ეტყობა არ გამოუვიდა. მისაბმელი თხრილში ჩაუვარდა, მიატოვა და წავიდა. მე მაშინ გავიფიქრე, ნეტავი ის გამბედავი ყმაწვილი ხომ არ იყო-თქო. შემეცოდა, რომ მამაცმა კაცმა საწადელს ვერ მიაღწია. მაგრამ ამის შემდეგ უღელტეხილზე მისაბმელიანმა მანქანებმა დაიწყეს სიარული. ალბათ ბიჭებმა შესაფერისად მოაწყვეს და სწორადაც მოიქცნენ.

გულახდილად ვიტყვი, არ ვიცოდი, რომ სწორედ ის კაცი იყო, ვისგანაც ასელი წავიდა. მაგრამ რომ მცოდნოდა კიდეც, იმასვე გავაკეთებდი. სახლში მოვიყვანე და ყველაფერს მივხვდი. ასელს შეშა შემოჰქონდა, როგორც კი იგი დაინახა. ნაჭრები ხელიდან გაუცვივდა. მაგრამ არც ერთმა ჩვენთაგანმა ერთმანეთს არაფერი არ აგრძნობინა. თითქოს პირველად ვხვდებოდით. მით უმეტეს, მე მმართებდა თავის დაჭერა, რომ რაიმე სიტყვით, ქცევით მათთვის ტკივილი არ მიმეყენებინა, ხელი არ შემეშალა, რომ ერთმანეთისათვის გაეგოთ. ახლა მე არაფერს არ ვწყვეტდი. წყვეტდნენ თვითონ ისინი: მათ აკავშირებდათ წარსული, აკავშირებდათ შვილი, რომელიც მე მეწვა გვერდზე და რომელსაც მე ვეალერსებოდი.

იმ ღამეს არც ერთს არ გვძინებია. ყველა თავისას ფიქრობდა. მე — ჩემსას.

ასელს შეუძლია წავიდეს და შვილიც თან წაიყვანოს. ეს მისი უფლებაა, დაე ისე მოიქცნენ, როგორც გული და გონება უკარნახებთ. მე. მე კი. მე რა სახსენებელი ვარ, ჩემზე არაფერი არ არის დამოკიდებული, მე ხელი არ უნდა შევუშალო მათ.

ის ახლაც აქაა, ჩვენს ტრასაზე დადის. სად იყო იგი ამ წლების განმავლობაში, რას აკეთებდა? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს... ეს მათი საქმეა...

მე და ბაითემირი შემოვლიდან ვბრუნდებოდით. უღელტეხილზე საღამო წვებოდა. ცას ნაცრისფერი დასდებოდა. მზე სადღაც მთების იქით იკარგებოდა. გზაზე ორივე მიმართულებით ღრიალით მიექანებოდნენ მანქანები.

— აი, ასეა საქმე, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჩაფიქრებით წაილაპარაკა ბაითემირმა. — სახლიდან ჩემი წასვლა ახლა არ შეიძლება. თუ ასელი სახლიდან წასვლას გადაწყვეტს, იგი წმინდა უნდა იყოს თავისი სინდისის წინაშე. მე კი შვილს უკანასკნელად უნდა დავულოცო გზა. იგი ხომ ჩემთვის მშობლიურზე უფრო მშობლიურია. მაგრამ შვილს მე მათ ვერ დავაშორებ. ამიტომაც არსად არ მივდივარ. მითუმეტეს პამირზე... ამ ამბავს, რა თქმა უნდა, გაზეთისათვის არ გიყვებით... ისე, როგორც კაცი კაცს...

ეპილოგის მაგიერ

მე და ილიასი ერთმანეთს ოშში დავშორდით. იგი პამირზე წავიდა. მე კი ჩემს საქმეებს გავყევი.

— ჩავალ, ალიბეკს მოვნახავ, ახალ ცხოვრებას დავიწყებ! — ოცნებობდა იგი გზაზე. — ნუ იფიქრებთ, რომ მე ხელიდან წასული ადამიანი ვარ. მე ყველაფერი კიდევ წინა მაქვს. მოვა დრო, ცოლსაც შევირთავ. ბავშვებიც მეყოლება, მექნება ოჯახი, სახლი, ყველაფერი ისე, როგორც სხვებს. მუშაობას დავიწყებ, მეგობრები და ამხანაგებიც გამომიჩნდე-

ბიან. მხოლოდ ერთი რამ არ მექნება, ის რაც სამუდამოდ, უკანდაუბრუნებლად დავკარგე. — წარსულს ვერაფრით ვერ დაიბრუნებ... მაგრამ ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მეხსომება ასელი და ყველაფერი ის, რაც ჩვენს შორის იყო.

წამოსვლის დღეს ტბასთან მივედი, იმ ციცაბო ბორცვთან, მე იქ ტიან-შანის მთებს ვეთხოვებოდი, ვეთხოვებოდი ისიკ-ყულს. მშვიდობით, ისიკ-ყულო, ჩემო უთქმელო სიმღერავ! წაგიყოლებდი თან შენი ლაჟვარდითა და ყვითელი ნაპირებით, მაგრამ არ შემიძლია, ისევე არა, როგორც არ მერგო თან წამეღო სიყვარული საყვარელი ადამიანისაგან. მშვიდობით, ასელ! მშვიდობით, ჩემო წითელთავსაფრიანო ჩინარო! მშვიდობით, ჩემო სიყვარულო! ბედნიერი იყავი!..

მე ილიასისათვის არ მითქვამს, რაც ბაითემირისაგან გავიგე. განა ის არ არის ამ ორი ადამიანის მშვენიერება და ღირსება, რომ ასე კეთილშობილურად მოეკიდნენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთზე არაფერი იცოდნენ. მე რატომ უნდა მოვყოლოდი.

ჩემს თანატოლებს, რომლებიც მამებისა და
უფროსი ძმების ფარაჯებში გაიზარდნენ.

ი, ისევ ვდგავარ უბრალო ჩარჩოში ჩასმული ამ პატარა სურათის წინ. ხვალ დილიდანვე აულში უნდა წავიდე და სურათს დიდხანს, დაკვირვებით მიეჩერებივარ, თითქოს შეუძლია გამგზავრების წინ კეთილი რჩევა მომცეს.

ეს სურათი მე გამოფენაზე ჯერ არ გამიტანია. უფრო მეტიც, როცა აულიდან ჩემთან ნათესავები მოდიან, ვცდილობ რაც შეიძლება შორს გადავმალო. მასში არაფერია სამარცხვინო, არც დიდი ხელოვნების ნიმუშია. იგი ისეთივე უბრალოა, როგორც მასზე გამოსახული მიწა.

სურათის სიღრმეში შემოდგომის მიმქრალი ზეცის ნაფლეთი მოჩანს. ქარი შორეული მთაგრეხილებისაკენ ერეკება ღრუბლებს. წინა პლანზე მოწაბლისფრო-წითელი აბზინდე-

ბით აელვარებული ტრამალია. გზა კი შავია, ჯერ კიდევ არ გამ-შრალა ამასწინანდელი წვიმების შემდეგ. გზის ნაპიოას მორ-ცხვად მიმდგარან ვაცოწვერას გადამხმარი ბუჩქები. გადარეცხილი ნაურმალის გასწვრივ ორი ნაკვალევია, ნაკვალევი თანდათან მკრთალდება, თვითონ მიმავალნი კი ggონია ნაბიჯს გადადგამენ და ჩარჩოს იქით გაჰქრებიან. ერთი მათგანი... თუმცა, მგონი, ცოტა ავჩქარდი.

ეს იყო ჩემს ადრეულ სიჭაბუკეში. ომის მესამე წელიწადს. შორეულ ფრონტებზე, სადღაც კურსკთან და ორიოლთან, ჩვენი მამები და ძმები იბრძოდნენ, ჩვენ, თხუთმეტი წლის ბიჭები, კოლმეურნეობაში ვმუშაობდით. გლეხის ყოველდღიური, ძძიმე ჯაფა გვაწვა, მაშინ ჯერ კიდევ სუსტ მხრებზე. განსაკუთრებით მოსავლის აღების დღეებში გვიჭირდა. მთელი კვირაობით ვიკარგებოდით, დღედაღამე მინდვრად ვმუშაობდით. ხან კალოზე, ხან კი გზას ვიყავით გაკრული — სადგურში მიგვქონდა ხორბალი.

ერთ ასეთ პაპანაქება დღეს, როცა ნამგალი მეტი სიმხურვალისაგან აელვარებულიყო, მე ცარიელი ორთვალით სადგურიდან ვბრუნდებოდი და სახლში შევლა გადავწყვიტე.

ფონის მახლობლად, მაღლობზე, ქუჩის ბოლოს ალიზით შემოღობილი ორი ეზოა. ეზოებს ირგვლივ ალვის ხეები აკრავს. ეს ჩვენი სახლებია. დიდი ხანია, რაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს ჩვენი ორი ოჯახი. მე თვითონ — დიდი სახლიდან ვარ. ორი ძმა მყავს, ორივე უფროსი, უცოლო. ორივენი ფრონტზე არიან და უკვე დიდი ხანია არაფერს იწერებიან.

მამაჩემი, ძველი დურგალი, განთიადისას, ნამაზის შემდეგ მიდიოდა საერთო ეზოში მდგარ სადურგლო სახელოსნოში. იქიდან კი გვიან საღამოს ბრუნდებოდა.

სახლში დედა და და რჩებოდნენ.

მეზობელ ეზოში, ან როგორც მას აულში უწოდებენ — მცირე სახლში — ჩვენი ახლო ნათესავები ცხოვრობენ. ჩვენი პაპის პაპები თუ იმათი პაპები, ღვიძლი ძმები იყვნენ. მაგრამ ვამბობ ახლო ნათესავები-თქო იმიტომ, რომ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. ასე დაწესდა მას შემდეგ, რაც ჩვენი პაპები

ერთად მომთაბაროობდნენ, ერთად დგამდნენ კარვებს, ერთად უვლიდნენ ჯოგს. ეს ტრადიცია ჩვენც შევინარჩუნეთ. როცა აულში კოლექტივიზაცია დაიწყო, ჩვენმა მამებმა ერთმანეთის გვერდით აიშენეს სახლები. არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი არალის ქუჩა აულსა და მდინარეს შუა, თანატომელები ვართ, ყველანი ერთ გვარს ვეკუთვნით.

კოლექტივიზაციის დაწყების შემდეგ მალე მცირე სახლის უფროსი გარდაიცვალა. მის ცოლს ორი ბავშვი დარჩა. ძველი საგვარეულო ადათის მიხედვით, რომელსაც აულში მაშინ ჯერ ისევ იცავდნენ, ბავშვებიანი ქვრივის უპატრონოდ დატოვება, სხვა ტომისათვის მისი გატანება არ შეიძლებოდა და ჩვენმა თანატომელებმა მასზე მამაჩემი დააქორწინეს. ამას მოითხოვდა მოვალეობა წინაპართა სულების წინაშე, ისინი ხომ მიცვალებულის უახლოესი ნათესავებიც იყვნენ.

ასე გაგვიჩნდა მეორე ოჯახი. მცირე სახლი დამოუკიდებელ მეურნეობად ითვლებოდა: თავისი კარ-მიდამოთი, საქონლით, მაგრამ ფაქტიურად ჩვენ ერთად ვცხოვრობდით.

მცირე სახლმაც ორი შვილი გააცილა არმიაში. უფროსი სადიკი ქორწინების უმალ წავიდა. მისგან წერილებსაც ვიღებდით, თუმცა იშვიათად.

მცირე სახლში დარჩა დედა, რომელსაც მე „კიჩი-აპას", უმცროს დედას ვეძახდი და მისი რძალი — სადიკის ცოლი. ორივენი დილიდან საღამომდე კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. ჩემი უმცროსი დედა კეთილი, გამრჯე და უწყინარი ქალი იყო. შრომაში ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდებოდა. არხების გათხრა იყო თუ მორწყვა, ერთნაირად მაგრად ეჭირა ხელში თოხი. ბედმა თითქოს დააჯილდოვაო, გამრჯე და მუყაითი რძალი არგუნა. ჯამილა დედასავით დაუღლელი და ფხიანი იყო, ოღონდ ცოტა უცნაური ხასიათი ჰქონდა.

ძალიან მიყვარდა ჯამილა. მასაც ვუყვარდი. კარგადაც ვმეგობრობდით, მაგრამ ვერ ვბედავდით ერთმანეთისთვის სახელით მიგვემართა. მე მას როგორც უფროსი ძმის ცოლს „ჯენეს" ვუძახდი, ის კი „კიჩინე ბალას" — პატარა ბიჭუნას, თუმცა, მე სულაც არ ვიყავი პატარა და ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობა არც ისე დიდი იყო. მაგრამ რა უნდა მექნა — ასეა

მიღებული აულებში: რძლები ქმრის უპროსა ძმებს „კიჩინე ბალას“ ანდა „ჩემო კაინის“ უწოდებენ.

ორივე სახლის საშინაო საქმეებს დედაჩემი აწესრიგებდა. მას ეხმარებოდა ჩემი და, სასაცილო გოგონა, წვრილ-წვრილი ნაწნავები რომ ეყარა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ბეჯითად მუშაობდა იგი იმ მძიმე დღეებში. ბოსტნის გადაღმა აძოვებდა ორივე ოჯახის ბატკნებსა და ხბოებს, აგროვებდა წივასა და ფიჩხს, რომ სახლში ყოველთვის გვქონოდა შეშა. ჩემი ცხვირპაჭუა დაიკო უმსუბუქებდა დედაჩემს მარტოობის სიმძიმეს, განარიდებდა მძიმე ფიქრებს უგზოუკელოდ დაკარგულ შვილებზე.

თანხმობითა და შეძლებით ჩვენი დიდი ოჯახი დედაჩემის მადლიერი უნდა იყოს. ის იყო ორივე სახლის სრულუფლებიანი დიასახლისი, კერიის დედაბოძი. სულ ახალგაზრდა შემოვიდა იგი ჩვენი მომთაბარე პაპების სახლში და შემდეგ წმიდად ინახავდა მათ ხსოვნას და სამართლიანად განაგებდა ოჯახებს. აულში მას პატივს სცემდნენ როგორც ყველაზე დარბაისელ, მოსარიდებელ და ბრძენ დიასახლისს. ყველაფერს ოჯახში დედა განაგებდა, მამას, მართალი რომ ითქვას, აულის მცხოვრებნი ოჯახის უფროსად არც თვლიდნენ. არაერთხელ გამიგონია როგორ ლაპარაკობდნენ აულში: „ეე, უმჯობესია უსტაკესთან ნუ მიხვალ — ასე უწოდებენ პატივისცემის ნიშნად ჩვენთან ხელოსნებს, — მან მხოლოდ თავისი ნაჯახი იცის. იმათთან ყველაფრის თავი უფროსი დედაა — იმას დაეკითხე, ასე აჯობებს“.

უნდა ითქვას, რომ მეც, ჩემი ახალგაზრდობის მიუხედავად, ხშირად ვერეოდი სამეურნეო საქმეებში. ეს მხოლოდ იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ უფროსი ძმები საომრად იყვნენ წასულნი. და მე, ხშირად ხუმრობით, ხანაც სერიოზულად ორი ოჯახის ჯიგიტს, დამცველს და მარჩენალს მიწოდებდნენ. ამით ვამაყობდი და მუდამ თან მსდევდა პასუხისმგებლობის გრძნობა. დედაც ხელს უწყობდა ჩემს დამოუკიდებლობას. მას სურდა, რომ დამოუკიდებელი და გონებამახვილი მეოჯახე გამოვსულიყავი და არ დავმსგავსებოდი მამაჩემს, რომელმაც მხო-

ლოდ ის იცოდა, რომ დღიანღამიანად ხერხავდა და რანდავდა რაღაცას.

ორთვალა სახლთან, ტირიფის ჩრდილში გავაჩერე, სადავეები მოვუშვი და ჭიშკრისაკენ გავეშურე. ეზოში ჩვენი ბრიგადირი ოროზმატი დავინახე. ის, ჩვეულებისამებრ, ცხენზე იჯდა, ყავარჯენი უნაგირზე მიეკრა. მის გვერდით დედა იდგა. რაღაცაზე დაობდნენ. ახლოს მოსულმა დედის ხმა გავიგონე.

— ეს არ მოხდება! ღმერთის მოგერიდოს, სად გაგონილა, რომ ქალი ორთვალათი ტომრებს დაათრევდეს? არა, ძვირფასო, შეეშვი ჩემს რძალს, დეე ისე იმუშაოს, როგორც მუშაობდა. ისედაც მზის სინათლე დაკარგული მაქვს, ერთი სიჯე როგორი საქმეა ორი ოჯახის მოვლა-პატრონობა! კიდევ კარგი გოგო წამომეზარდა... მთელი კვირაა წელი ვერ გავმართე, მტკივა. თითქოს ქეჩა მეთელოს, სიმინდი კი ფუჭდება — წყალსაა დანატრებული. დედა გაცეცხლებული იყო, ლაპარაკის დროს მანდილის ბოლოს კაბის საყელოში იტენიდა. ასე მაშინ იქცეოდა, როცა ბრაზობდა.

— რა ადამიანი ხართ!—ჩაილაპარაკა იმედგადაწყვეტილმა ოროზმატმა. როგორ ფიქრობთ, ფეხი რომ მქონდეს, თქვენ დაგიწყებდით ხვეწნას? განა არ აჯობებდა, წინანდებურად თვითონ დავმჯდარიყავი ორთვალაზე!.. რა ქალის საქმეა ამის კეთება, მაგრამ კაცი სად ვიპოვნო? გადავწყვიტეთ ჯარისკაცების ცოლებს ვთხოვოთ. თქვენ რძალს ნებას არ აძლევთ, უფროსები კი რაიონიდან უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღავენ... ჯარისკაცებს პური სჭირდებათ, ჩვენ კი გეგმას ვერ ვასრულებთ. რას ჰგავს ეს?

მე მათ ვუახლოვდებოდი, მათრახს მიწაზე მივათრევდი, ბრიგადირმა შემნიშნა და ცას ეწია სიხარულით — ეტყობოდა, რაღაცა მოიფიქრა.

— რას იზამ, თუკი ასე გეშინიათ რძალი ვინმემ არ მოგტაცოთ, აი მისი კაინი. — გახარებულმა მიუთითა მან ჩემზე, — არავის გააკარებს სათოფეზე. ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ! სეითი ყოჩაღი ბიჭია. აი ეს ყმაწვილები არიან ჩვენი მარჩენლები. ძალიან გვეხმარებიან...

დედამ საშუალება არ მისცა დაემთავრებინა.

— რას დამსგავსებიხარ, შე მაწანწალავ! — ავიშვიშდა იგი. — თმები მღვდელივით ჩამოგზრდია, გაბურძგნულხარ. მამაშენსაც დრო ვერ უპოვნია თმა გადაგპარსოს...

— ასე აჯობებს, დღეს ბიჭმა თქვენთან ინებივროს, თმა გადაიღოს, — მოხერხებულად აუბა დედაჩემს მხარი ოროზმატმა. — სეით, დარჩი დღეს სახლში, ცხენები გამოაძღე, ხვალ დილით კი ჯამილას ორთვალას ჩავაბარებთ და ერთად იმუშავებთ. იცოდე, თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე. თქვენ ნუ გეფიქრებათ, ბაიბიჩე, სეითი ჯამილას არავის დაანაგვრინებს. თუკი ამაზე მიდგება საქმე, დანიარსაც მაგათთან ერთად გავაგზავნი. ხომ იცნობთ: უწყინარი ყმაწვილია... აი, ის ახლახან რომ დაბრუნდა ფრონტიდან. სამივენი ერთად წაიღებენ ხოლმე ხორბალს სადგურზე. მაშინ კი ვინ გაბედავს თქვენ რძალს ხმა გასცესს სწორს ვამბობ, სეით? შენ როგორ ფიქრობ, ჯამილა გვინდა ორთვალაზე დავნიშნოთ. დედაშენი წინააღმდეგია, დააჯერე როგორმე.

მესიამოვნა, ბრიგადირმა რომ შემაქო, ისიც მესიამოვნა, რომ მოზრდილივით მეთათბირებოდა. თანაც უცებ წარმოვიდგინე თუ რა კარგი იქნებოდა სადგურზე ჯამილასთან ერთად სიარული. სერიოზული გამომეტყველება მივიღე და დედას ვუთხარი:

— არაფერი არ მოუვა, მგლები შესჭამენ თუ?

და გამოცდილი მებარგულივით, საქმიანად გადმოვაპურჭყე, დინჯად მხრების ქნევით გავუდექი გზას სახლისაკენ, თან მათრახს მივათრევდი.

— ერთი ამას დამიხედეთ! გაუკვირდა დედას, თითქოს გაუხარდა კიდეც, მაგრამ იმ წუთშივე მომაძახა: — მე შენ გაჩვენებ მგლებს, ბევრი გესმის, ძალიან დამიბრძენდი.

— მაშ ვის უნდა ესმოდეს ორი ოჯახის ჯიგიტს თუ არა. უნდა ამაყობდეთ! — გამომესარჩლა ოროზმატი, თანაც შიშით შეხედა დედას, არ გაჯიუტდესო.

მაგრამ დედა არ შეპასუხებია, თავი ჩაქინდრა, მძიმედ ამოიოხრა და ჩაილაპარაკა:

— რა დროს მაგის ჯიგიტობაა, ჯერ სულ ბავშვია და დღე და ღამე გასწორებული აქვს მუშაობით. ჩვენი ჯიგიტები, ჩვენი

თვალისჩინები, ღმერთმა იცის სად არიან! დაცარიელდა ჩვენი სახლები, ნასახლარებს დაემსგავსნენ.

მე უკვე შორს ვიყავი და ვეღარ გავიგე კიდევ რა თქვა დედამ. არ შევჩერებულვარ, ისე მოვუქნიე მათრახი სახლის კიდეს და მტვერი დავაყენე; დისთვის, რომელიც ხელების ტყაპუნით ეზოში კიზიაკს აცხობდა, ღიმილზე არც კი მიპასუხია. დინჯად გავიარე ეზო და ფარდულში შევედი. ჩავცუცქდი, აუჩქარებლად დავიბანე ხელები, თვითონ ვისხამდი წყალს დოქიდან. შემდეგ ოთახში შევედი, ჭიქით მაწონი დავლიე, მეორე ფანჯრის რაფაზე დავდგი და პურის ჩაფშვნა დავიწყე.

დედა და ოროზმატი ისევ ეზოში იდგნენ. უკვე აღარ კამათობდნენ, ხმადაბლა დინჯად ლაპარაკობდნენ. ალბათ, ჩემს ძმებზე საუბრობდნენ. დედაჩემი დროდადრო კაბის სახელოთი იწმენდდა წამოწითლებულ თვალებს და დანაღვლიანებული უქნევდა თავს ოროზმატს, რომელიც ჩანდა მას ამშვიდებდა. სევდაჩამდგარი თვალებით დედა სადღაც შორს, ხეებს ზევით იცქირებოდა, თითქოს ელოდა, რომ იქ თავის შვილებს დაინახავდა.

ნაღველმოკიდებული დედა ეტყობოდა დაეთანხმა ბრიგადირის წინადადებას. მან კი კმაყოფილმა იმით, რომ თავისი გაიტანა, ცხენს მათრახი შემოჰკრა და ეზოდან თოხარიკით გაიყვანა.

არც დედას, არც მე წარმოდგენაც კი არ გვქონდა რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს.



დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯამილა მოუვლიდა ორცხენიან საბარგულს. იგი ცხენებს კარგად იცნობდა, ჯამილა ხომ მეჯოგის ქალიშვილი იყო, მაღალმთიან აულ ბაკაირიდან. ჩვენი სადიკიც მეჯოგე იყო. ერთხელ თურმე გაზაფხულზე დოღის დროს, სადიკმა ვერ მოახერხა ჯამილას დასწეოდა. ვინ იცის, მართალი იყო თუ არა, ამბობდნენ, რომ შეურაცხყოფილმა სადიკმა ჯამილა მოიტაცაო. სხვები ამტკიცებდნენ: მათ ერთმანეთი უყვარდათ და ამიტომ შეუღლდნენო. მაგრამ, როგორც

არ უნდა ყოფილიყო, მათ ერთად მხოლოდ ოთხი თვე იცხოვრეს. შემდეგ ომი დაიწყო და სადიკი ჯარში გაიწვიეს.

არ ვიცი რისი ბრალი იყო, იქნებ იმისი, ჯამილა ბავშვობიდანვე ცხენის რემას რომ დასდევდა, ან იქნებ იმისი, რომ მშობლებისათვის ქალიც იყო და ვაჟიც, ჯამილას ხასიათში რაღაცა ჰქონდა მამაკაცური, იგი ხანდახან უკმეხი, უხეშიც კი იყო ხოლმე და მუშაობაც მამაკაცური იცოდა. მეზობლებთან კარგ ურთიერთობაში იყო, მაგრამ თუ ვინმე აწყენინებდა, არავის ჩამორჩებოდა ლანძღვაში და ზოგს თმებითაც დაითრევდა ხოლმე.

ხშირად შემოუჩივლიათ მეზობლებს:

ეს რა ღვთის რისხვაა თქვენი რძალი, ჯერ სახლში ხეირიანად ფეხი არ შემოუდგამს, ენას კი ისე ატრიალებს, ღმერთმა დაგიფაროს. არც არავისი პატივისცემა აქვს და არც სირცხვილი.

— ძალიანაც კარგი, რომ ასეთია! — პასუხობდა დედა, — ჩემს რძალს პირში სიმართლის თქმა უყვარს. ასე სჯობია, ვიდრე ჩუმად იყო და ზურგს უკან იგესლებოდე. თქვენები კი ვითომ წყნარები არიან, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კისერს წაგატეხინებენ.

მამა და უმცროსი დედა არასოდეს არ ექცეოდნენ ჯამილას ისე მკაცრად, როგორც ეს მამამთილსა და დედამთილს შეეფერებათ. მათ ჯამილა უყვარდათ და მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ: ქმრისა და ღვთის ერთგული ყოფილიყო.

მე ძალიან კარგად მესმოდა მათი. ადამიანები, რომელთაც ოთხი შვილი გააცილეს ჯარში და რომელთაც ერთადერთი რძალი ჰყავდათ, მასში პოულობდნენ ნუგეშს და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. მაგრამ დედაჩემის ვერ გამეგო, იგი არ იყო ისეთი ქალი, რომ უბრალოდ ჰყვარებოდა ვინმე. დედას მკაცრი, მომთხოვნი ხასიათი ჰქონდა, თავისი კანონ-წესებით ცხოვრობდა და მას არასოდეს არ ჰღალატობდა. დედა ზაფხულის დადგომისთანავე ეზოში ღვიით ახრჩოლებდა ხოლმე ჩვენს სამომთაბარო იურტას, რომელიც ჯერ კიდევ სიჟაბუკეში გამართა მამამ. იგი ჩვენც შრომისმოყვარეობისა და უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობით გვზრდიდა იმთავითვე. ოჯახის ყველა წევრისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

ჯამილა ჩვენთან მოსვლის პირველი დღეებიდანვე, სულ სხვანაირი აღმოჩნდა, ვიდრე რძალს შეეფერებოდა. მართალია, იგი პატივს სცემდა უფროსებს, დამჯერეც იყო, მაგრამ მათ წინაშე არასოდეს ქედს არ იხრიდა, სამაგიეროდ სხვა რძლებივით არასოდეს ენაგესლიანობდა ზურგს უკან. იგი ყოველთვის პირდაპირ ამბობდა, რასაც ფიქრობდა და არ ეშინოდა გამოეთქვა თავისი აზრი. დედა ხშირად უჭერდა ხოლმე მხარს, ეთანხმებოდა, მაგრამ საბოლოო სიტყვის თქმის უფლებას ყოველთვის თვითონ იტოვებდა.

მე მგონია, რომ დედა ჯამილას პირდაპირობასა და სამართლიანობაში თავის ტოლფასოვან ადამიანს ხედავდა და ჩუმად ოცნებობდა ოდესმე მისთვის ადგილი დაეთმო, გაეხადა იგი უფლებამოსილი დიასახლისი, ბაიბიჩე, ოჯახური კერის დამცველი.

— ალაჰს უმადლე, შვილო ჩემო, — უქადაგებდა დედა ჯამილას, — ასეთ შეძლებულ, დალოცვილ ოჯახში მოხვდი. ეს შენი ბედნიერებაა. ქალის ბედნიერებაა ის, რომ ყავდეს შვილები და ჰქონდეს სიკეთით სავსე ოჯახი. შენ კი, ღვთის მადლით, დაგრჩება ყველაფერი, რაც ჩვენ, მოხუცებს შეგვიძენია. თან ხომ არ ჩავიტანთ საფლავში. ოღონდ ბედნიერება მხოლოდ იმასთან რჩება, ვინც თავის ღირსებასა და სინდისს უფრთხილდება. გახსოვდეს ეს და დაიცავი სახელი და პატიოსნება.

მაგრამ ჯამილას მაინც ჰქონდა რაღაც, რაც მოხუცებს აშფოთებდა. იგი პატარა ბავშვივით ზედმეტად მხიარული იყო. ზოგჯერ თითქოს სრულიად უმიზეზოდ იწყებდა ხმამაღალ სიცილს. ხოლო, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდა, სახლში კი არ შემოდიოდა, შემორბოდა ხოლმე, ერთი ნახტომით იტოვებდა უკან არხს. სრულიად უმიზეზოდ ჰკოცნიდა ხან ერთ, ხან მეორე დედამთილს.

ყველაზე მეტად ჯამილას მაინც სიმღერა უყვარდა, იგი მუდამ ღიღინებდა, უფროსებსაც არ ერიდებოდა. ყველაფერი ეს არ ეგუებოდა აულში გამეფებულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს რძალი ოჯახში, მაგრამ ორივე დედამთილი თავს იმით იმშვიდებდა, რომ დრო გავა და ჯამილა დადინჯდებაო: ახალგაზრდობაში ხომ ყველა ასეთია. ჩემთვის კი

ჯამილაზე უკეთესი ქვეყნად არავინ იყო. როცა ერთად ვიყავით, შეგვეძლო მთელი დღე სრულიად უმიზეზოდ გვეხარხარა, გვერბინა ეზოში.

ჯამილა კარგი შესახედავი იყო, მოხდენილი, ტანკენარი, სწორი სქელი თმებით, რომელიც მძიმე ნაწნავებად ეცემოდა ზურგზე. იგი კოხტად იკრავდა ხოლმე თეთრ თავსაფარს, რომელიც ძალიან უხდებოდა და სასიამოვნო ელფერს აძლევდა მის შავგვრემან სახეს. როცა ჯამილა იცინოდა, მისი მოლურჯო-შავი ნუშისებური თვალები ახალგაზრდული ცეცხლით ენთებოდა, ხოლო როცა სიმღერას იწყებდა, მასში ნაპერწკლები კიაფობდნენ.

მე ხშირად ვამჩნევდი, რომ ჯიგიტებს, განსაკუთრებით ფრონტიდან დაბრუნებულებს, თვალი რჩებოდათ მასზე. ჯამილას თვითონაც უყვარდა ხუმრობა, მაგრამ ზედმეტის უფლებას კი არავის აძლევდა. მე ყოველთვის მაბრაზებდა ეს. ვეჭვიანობდი, როგორც უმცროსი ძმები ეჭვიანობენ ხოლმე თავიანთ დებზე და თუკი ჯამილასთან ვინმეს შევამჩნევდი, ვცდილობდი ყოველნაირად შემეშალა ხელი. ინდაურივით ვიფხორებოდი და ისეთი ბრაზით ვუყურებდი, თითქოს ვეუბნებოდი: „ტყუილად როხროხებთ. იგი ჩემი ძმის ცოლია და ნუ იფიქრებთ, რომ მას დამცველი არ ჰყავს“.

ასეთ წუთებში მე მოურიდებლად ვეჩრებოდი ხოლმე მათ საუბარში, საჭირო იყო თუ არა, რაღაცას ჩავურთავდი, ვცდილობდი დამეცინა მის აშიყთათვის, ხოლო როცა ეს არ გამომდიოდა, თავს ვეღარ ვიკავებდი და გამწარებით ვქშინავდი. ბიჭები სიცილით იფხრიწებოდნენ:

— ერთი ამას დამიხედეთ! დავიჯეროთ ჯამილა მაგის რძალია? ჩვენ კი არ ვიცოდით!

თავს ვიკავებდი, მაგრამ ვგრძნობდი როგორ მოღალატურად მიწითლდებოდა ყურები და თვალზე ცრემლი მადგებოდა. ჯამილას კი, ჩემს ჯენეს, ესმოდა ჩემი. იგი ძალით იკავებდა სიცილს, რომელსაც ის იყო უნდა ეფეთქა, და სერიოზულ სახეს იღებდა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ჯენე ასე ადვილი საშოვნელია, ქუჩაში იპოვნი? — ეუბნებოდა იგი ჯიგიტებს. იქნებ

თქვენსკენ ჰყრია, ჩვენსკენ კი არა! წავიდეთ, ჩემო კაინი, ერთი მაგათ! — იგი ამაყად ასწევდა თავს, გამომწვევად შეარხევდა მხრებს, ჩემთან ერთად მოდიოდა და თან ჩუმად იღიმებოდა.

მე ამ ღიმილში ვამჩნევდი დარდსაც და სიხარულსაც. შეიძლება იგი მაშინ ფიქრობდა: „ეხ, შე პატარა სულელო ბიჭო, მე რომ რამე მინდოდეს, ვინ დამიშლის? მთელი ოჯახიც რომ ჩამისაფრდეს მაინც მოვახერხებ!“ ასეთ შემთხვევებში მე დამნაშავესავით ვდუმდი, ვეჭვიანობდი ჯამილაზე, ვაღმერთებდი მას, ვამაყობდი იმით, რომ იგი ჩემი ჯენეა, ვამაყობდი მისი სილამაზით, დამოუკიდებელი ხასიათით. ჩვენ გულითადი მეგობრები ვიყავით და ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით.

იმ ხანებში აულში ცოტა იყო მამაკაცები. ზოგიერთი ამით სარგებლობდა, თავხედურად იქცეოდა ქალებთან, აგდებულად ეკიდებოდა მათ, თითქოს ამბობდა: რა გვაქვს მათთან სახვეწარი, თითის დაქნევა საკმარისია, რომელსაც ისურვებ ის გამოგეკიდება.

ერთხელ სათიბზე ჯამილას ჩვენი შორეული ნათესავი ოსმონი შეუჩნდა, ოსმონიც მათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ფიქრობდა, რომ ვერცერთი ქალი ვერ დაუმაგრდებოდა. ჯამილამ ზიზღით მოიშორა მისი ხელი და წამოდგა ზვინის ძირიდან, სადაც ის ჩრდილში ისვენებდა.

— შემეშვი! — ჩაილაპარაკა მან გულისტკივილით და შებრუნდა. — თუმცა თქვენგან მეტს რას უნდა მოელოდეს კაცი, გაუხედნავ კვიცებს გავხართ!

ოსმონმა, რომელიც ზვინის ძირას გაშხლართულიყო, დამცინავად მობრიცა სველი ტუჩები.

— კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო... რას იპრანჭები, ხომ ვიცი შენც ძალიან გინდა, ცხვირს კი მაღლა სწევ.

ჯამილა უცებ შემობრუნდა.

— შეიძლება, მინდა კიდეც! ასეთი ბედი გვარგუნა ღმერთმა, შენ კი სულელი ხარ და იცინი. ეს წელს ვიქნები ჯარისკაცის ცოლი, შენისთანებს კი ზედაც არ შევაფურხებ — მეზიზღები. ომი რომ არ იყოს, ნეტავი ვიცოდე ვინ დაგელაპარაკებოდა!

— მეც მაგას ვამბობ! ომია — შენ კი მამაკაცის ხელი მოგაკლდა და იმიტომ ხარ გაცოფებული! — ოსმონმა ჩაიცინა.— ერთი ჩემი გქნა, გაგატიტვლებდი და იმდენს გირტყამდი, გნახავდი როგორც ამღერდებოდი.

ჯამილას უნდოდა მივარდნოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმად მიხვდა, რომ თავის გაყადრება არ ივარგებდა, მერე დიდხანს უყურებდა, მის გამოხედვაში მძულვარება იგრძნობოდა. შემდეგ ზიზღით გადააფურთხა, მიწიდან ფიწალი აიღო და გზას გაუდგა.

მე იქვე ვიდექი, ზვინის უკან. ჯამილამ დამინახა და შებრუნდა. მიხვდა რასაც განვიცდიდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იგი კი არა, მე შეურაცხმყვეს, შემარცხვინეს. გულისტკივილით ვკიცხავდი ჯამილას:

— რატომ უყადრებ თავს ამნაირ ხალხს, რატომ ელაპარაკები?

ჯამილა მთელი დღე დაღვრემილი დადიოდა, ჩემთვის სიტყვა არ უთქვამს, არც წინანდებურად იცინოდა. თავაუღებლივ მუშაობდა, რომ საშუალება არ მოეცა მეთქვა რამე იმ დიდ შეურაცხყოფაზე, რომელიც მას მიაყენეს. ჯავრიანად ჩაარჭობდა ძნაში ფიწალს, მაღლა ასწევდა და სახეს იფარავდა. შემდეგ მოწყვეტილად მოიქნევდა ხოლმე და ახალ ზვინს მიადგებოდა. ურემი სწრაფად ივსებოდა. მივდიოდი და ეხედავდი, როგორ იდგა ჯამილა თავჩაქინდრული, ფიწლის ტარზე დაყრდნობილი და ფიქრობდა, შემდეგ უცებ გამოერკვეოდა და ისევ სამუშაოს მივარდებოდა ხოლმე.

როდესაც ჩვენ უკანასკნელი ურემი დავტვირთეთ, ჯამილა, თითქოს ყველაფრის არსებობა დაავიწყდაო, დიდხანს უყურებდა მზის ჩასვლას. მდინარის გაღმა, სადღაც ყაზახური ტრამალის ბოლოს გავარვარებული ტანდირის[1] პირდაღებულ ორმოსავით ელვარებდა მოთენთილი საღამოს მზე. იგი ნელა მიცურავდა ჰორიზონტისაკენ, ალისფრად ანათებდა ნაცრისფერ ღრუბლებს და უკანასკნელ მკრთალ სხივებს ესროდა მოლურჯო ტრამალს, სადაც უკვე ჩამოწოლილიყო ნაადრევი მწუხრი.

---

[1] ტანდირი — მიწაში, სახლის მახლობლად, მოწყობილი ღუმელი, ფართო ნაჩვრეტით, რომელშიც კვერს აცხობენ.

ჯამილა მზის ჩასვლას ისეთი ჩუმი აღფრთოვანებით შესჩერებოდა, თითქოს საოცნებო ზმანება გამოეცხადაო. მის სახეზე სინაზე კრთოდა, იღიმებოდნენ მისი ნახევრადგახსნილი ბავშვური ტუჩები და თითქოს ჩემს გამოუთქმელ საყვედურს, რომელიც მე ისევ ენის წვერზე მადგა, პასუხობსო, მომიბრუნდა და ვითომ დაწყებული საუბარი გააგრძელაო, მითხრა:

— ნუ ფიქრობ, კიჩინე ბალა, ნეტავი შენ! ის ხომ კაცი არ არის?! — ჯამილა დადუმდა, თვალი გაადევნა ჩამავალ მზეს, ამოიოხრა და ჩაფიქრებით განაგრძო: — საიდან უნდა იცოდნენ ისეთებმა, როგორიც ოსმონია, რა აწუხებს ადამიანს? ეს არავინ არ იცის, იქნებ არც არიან ასეთი მამაკაცები ქვეყნად...

სანამ მე ცხენებს მოვაბრუნებდი, ჯამილამ მოასწრო მიერბინა ქალებთან, რომლებიც ჩვენთან შორიახლოს მუშაობდნენ და ახლა უკვე იქიდან ისმოდა მხიარული ხმები. ძნელი სათქმელია რა მოხდა, შეიძლება გულზე გადაუარა, როცა მზის ჩასვლას უყურებდა, შეიძლება იმიტომაც გამხიარულდა, რომ კარგად იმუშავა. მე ვიჯექი ურემზე, თივის ზვინის თავზე და ვუყურებდი ჯამილას. მან თავიდან მოიძრო თეთრი თავსაფარი და მეგობართან ერთად ხელებგაშლილი გაიქცა, უკვე მოთიბულ, ჩამუქებულ ტრამალზე. ქარი ათამაშებდა მისი კაბის კალთებს და უცებ მეც გულიდან გადამეყარა წყენა. „ღირს კი ვფიქრობდე ოსმონის ნალაყბევზე?“

— აჩუ, წავედით! — ავჩქარდი მე და ცხენებს მათრახი გადავუჭირე.

იმ დღეს, როგორც ბრიგადირმა მირჩია, გადავწყვიტე სახლში დავრჩენილიყავი, მამისათვის დამეცადა და თმა გადამეღო. მანამდე კი შევუდექი სადიკისათვის საპასუხო წერილის წერას. ამ საკითხშიაც ჩვენს ოჯახში თავისებური წესები იყო დამკვიდრებული: ძმები წერილებს მამის სახელზე აგზავნიდნენ, აულის ფოსტალიონი მას დედას გადასცემდა ხოლმე, ხოლო წაკითხვა და წერილზე პასუხის გაცემა ჩემს მოვალეობას შეადგენდა. წაკითხვამდეც ზეპირად ვიცოდი თუ რას იწე-

რებოდა სადიკი. მისი წერილები ტყუპი ბატკნებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ყველა მისი წერილი ერთი და იმავე სიტყვებით — ჯანმრთელობის სურვილით — იწყებოდა. შემდეგ მოდიოდა: „ამ წერილს ფოსტით ვუგზავნი. ჩემს მშობლებსა და ახლობლებს, რომლებიც მშვენიერ, აყვავებულ აულში ცხოვრობენ — ჩემს ძვირფას მამას ჯოლჩუბაის, შემდეგ მოიკითხავდა დედაჩემს, შემდეგ დედამისს და ამის შემდეგ მოვდიოდით ჩვენ ყველანი — მკაცრი თანმიმდევრობით. ამის შემდეგ იწყებოდა აუცილებელი შეკითხვები გვარის აკსაკალების, ახლო ნათესავების ჯანმრთელობაზე და სულ ბოლოს, თითქოს ნაჩქარევად წერილში მიწერილი იყო: „აგრეთვე მოკითხვას ვუთვლი ჩემს ცოლს ჯამილას...“

რა თქმა უნდა, როცა დედ-მამა გყავს, როცა აულში თავს კარგად გრძნობენ აკსაკალები და ახლო ნათესავები, ცოლის პირველად დასახელება, მით უმეტეს მისთვის წერილის მიწერა უბრალოდ უხერხული, უფრო მეტი — ულამაზოცაა. ასე თვლიდა არა მარტო სადიკი, არამედ ყველა მამაკაცი, რომელიც თავის თავს პატივს სცემდა. აქ სადავოც არაფერია, ასე იყო მიღებული აულში და ვინმე არათუ კამათობდა, უბრალოდ არც ფიქრობდა ამაზე. ამისი დროც არ იყო. ყოველი წერილი ხომ, ნანატრი, სასიხარულო მოვლენაა.

დედა რამდენჯერმე გადამაკითხებდა ხოლმე წერილს, შემდეგ გულაჩუყებული მოწიწებით აიღებდა თავისი დახეთქილი ხელებით და ისე მოუხერხებლად ეჭირა, თითქოს ჩიტია და ეს-ეს არის გაუფრინდებაო. შემდეგ თითებით, რომლებიც ძლივს ემორჩილებოდნენ, ბარათს სამკუთხედად მოკეცავდა.

— ჩემო ძვირფასებო, თქვენს წერილებს ისე შევინახავ, როგორც თილისმას! — ჩაილაპარაკებდა იგი ცრემლნარევი, აკანკალებული ხმით. — თქვენ ხომ გაინტერესებთ როგორ არიან მამა, დედა, ნათესავები... ჩვენ რა უნდა მოგვივიდეს, სახლში ვართ. თქვენ როგორა ხართ? თუნდ ერთი სიტყვა მოგვწერეთ — ცოცხალი ვართ, და ჩვენ მეტი არაფერი გვჭირდება...

დედა კიდევ დიდხანს უყურებდა სამკუთხედად მოკეცილ

წერილს, შემდეგ ტყავის პატარა ტოპრაკში დებდა, სადაც სხვა წერილებსაც ინახავდა და სკივრში კეტავდა.

თუ ამ დროს ჯამილა სახლში იყო, წერილს მასაც აძლევდნენ წასაკითხად. ყოველთვის, როცა იგი ხელში აიღებდა სამკუთხა ბარათს, მე ვხედავდი როგორ აენთებოდა ხოლმე სახე. კითხულობდა ჩუმად, ხარბად, სწრაფად ჩაათვალიერებდა სტრიქონებს. მაგრამ შემდეგ მის სახეს თანდათან ჩრდილი ეფინებოდა და მხრები მოუდუნდებოდა. მოქუფრავდა თავის ხშირ, ჯიუტ წარბებს და ბოლო სტრიქონებს აღარც კითხულობდა, ისე უბრუნებდა წერილს დედას. ამ დროს მის გამოხედვაში იმდენი სიცივე და გულგრილობა იყო, თითქოს იმას აბრუნებდა, რაც ცოტა ხნის წინ ვალად აიღო.

დედას, ჩანს, თავისებურად ესმოდა ჯამილას განწყობა და ცდილობდა გაემხნევებინა რძალი.

რა მოხდა, რად მოიწყინე? — ამბობდა იგი და თან სკივრს კეტავდა.—იმის მაგიერ, რომ გაგიხარდეს, ცხვირი ჩაძოგიშვია. მარტო შენი ქმარი ხომ არ არის ჯარში. მარტო შენ ხომ არ ხარ ამ დღეში, ყველა ასეა და უნდა მოითმინო. როგორ ფიქრობ, არიან ისეთები, ქმარი რომ არ ენატრებოდეთ, მასზე არ დარდობდნენ... იდარდე, მაგრამ არავინ შეგამჩნიოს, შენთვის იდარდე.

ჯამილა დუმდა. მაგრამ მისი ჯიუტი, სევდიანი გამოხედვა მგონი ამბობდა: „არაფერიც არ გესმით, დედა!“

სადიკის წერილი ამჯერადაც სარატოვიდან მოვიდა. იგი ჰოსპიტალში იწვა. იწერებოდა, ღვთის ნებით, იქნებ შემოდგომაზე შინ დავბრუნდეო, ამას ადრეც იწერებოდა და ჩვენ ყველას გვიხაროდა, რომ ჩქარა ვნახავდით სადიკს.

იმ დღეს სახლში მაინც ვერ დავრჩი. კალოზე წავედი. ჩვეულებრივ ღამეს იქ ვათევდით. ფეხებდაბორკილი ცხენები საბალახოდ გავუშვი. თავმჯდომარე ნებას არ გვაძლევდა, რომ იონჯაში შეგვეშვა ცხენები, მაგრამ ამჯერად მისი განკარგულებაც დავარღვიე. ვიცოდი ერთი ადგილი, სადაც ღამით ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა, მაგრამ, როცა ცხენები გამოვხსენი და წინ გავუძეხი, გამოირკვა, რომ ვიღაცას უკვე მოესწრო და ოთხი ცხენი გაეშვა საბალახოდ. ამან აღმაშფოთა. მე

ხომ ორთვალას ბატონ-პატრონი ვიყავი და ეს მაძლევდა უფლებას აღვშფოთებულიყავი. არც დავფიქრებულვარ, გადავწყვიტე გამერეკა ცხენები, რომ ჭკუა მესწავლებინა თავხედისათვის, რომელმაც ჩემს სამფლობელოში შემოჭრა გაბედა. მაგრამ უცებ ვიცანი დანიარის ორი ცხენი. იმ დანიარისა, რომელზეც ბრიგადირი ლაპარაკობდა ამ დილით. მომაგონდა, რომ ხვალიდან დანიართან ერთად მომიწევდა ხორბლის ზიდვა სადგურში, მის ცხენებს თავი მივანებე და კალოზე დავბრუნდი.

დანიარი აქ იყო. მას დაემთავრებინა ორთვალისათვის ბორბლების დაზეთვა და ახლა ღერძზე ქანჩებს უჭერდა.

— დანიკე, ეს შენი ცხენებია ჭალაში? — შევეკითხე მე.

დანიარმა დინჯად მოაბრუნა თავი.

— ორი ჩემია.

— დანარჩენი ორი?

— დანარჩენი ორი, რა ჰქვია ჯამილა? მისი ცხენებია, რა არის შენი ჯამილა, ჯენე?

— ჯენე.

— თვითონ ბრიგადირმა დამიტოვა, მიბრძანა ყურადღება მიაქციეთო...

— კიდევ კარგი, რომ არ გავრეკე!

ღამე ჩამოწვა. საღამოს მშფოთვარე ნიავი, რომელიც მთებიდან უბერავდა, ჩადგა. კალოზეც სიჩუმემ დაისადგურა. დანიარი ჩემს გვერდით მოეწყო, თივის ზვინის მახლობლად, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და მდინარისაკენ გასწია. იგი ხრამის პირას გაჩერდა და ასევე დარჩა ზურგზე ხელებდაწყობილი, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, ჩემგან ზურგშექცევით იდგა. მისი გრძელი, მოუხეშავი, თითქოს ნაჯახით გამოთლილი ფიგურა საოცრად გამოირჩეოდა მთვარის მკრთალ სინათლეზე. მეჩვენებოდა, რომ ყურს უგდებდა მდინარის ხმაურს. რომელიც ღამით თანდათან უფრო ძლიერდებოდა. შეიძლება იგი ყურს უგდებდა რაღაც შორეულ ხმებს, რასაც ჩემი სმენა ვერ აღიქვამდა. „ისევ მდინარის პირას აპირებს ღამის გათევას, აი მართლაც ახირებული კაცი!“ — ჩავიცინე მე.

დანიარი დიდი ხანი არ იყო, რაც ჩვენს აულში გამოჩნდა. ერთხელ სათიბზე პატარა ბიჭმა მოირბინა და გვითხრა სოფელ-

ში დაჭრილი ჯარისკაცი მოვიდაო. ვინ იყო მან არ იცოდა. რა ამბავი ატყდა! აულში საკმარისი იყო ფრონტიდან დაბრუნებული გამოჩენილიყო ვინმე, რომ დიდიან-პატარიანა წაისვეტებოდა ყველა, ვინ ხელს ართმევდა, ვინ თავისიანების ამბავს ეკითხებოდა. ერთის სიტყვით, დიდი ამბავი ატყდა: ყვირილი. ღრიანცელი. ყველა ფიქრობდა შეიძლება ჩემი ძმა დაბრუნდა. ძმა თუ არა, იქნებ ნათლიმამა მაინცო. მთიბავები გავარდნენ ამბის გასაგებად.

დანიარი ჩვენს აულში დაბადებული, ჩვენი მკვიდრი, თვისტომი, თანამემამულე იყო. ყვებოდნენ, რომ ბავშვობისას ობლად დარჩენილმა სამ წელიწადს იხეტიალა კარიდან-კარად, შემდეგ ყაზახებთან წავიდა ჩაკმაკის ტრამალზე. ყაზახები დედის მხრიდან ნათესავებად მოხვდებოდნენ დანიარს. ასლო ნათესავები, ბიჭუნა უკან რომ დაებრუნებინათ, მას არ ჰყავდა. ასე დაივიწყეს იგი. როცა ეკითხებოდნენ, თუ როგორ ცხოვრობდა აულიდან წასვლის შემდეგ, იგი სიტყვას ბანზე აგდებდა. მაგრამ შაინც შეიძლებოდა გაგება, რომ ბედმა ბლომად შეასვა ობლობის სიმწარის სამსალი, ბევრი მწარე შეახვედრა. ცხოვრებამ ათრია იგი სხვადასხვა მხარეში. დიდხანს აძოვებდა ცხვარს ჩაკმაკის მლაშობებში, როცა წამოიზარდა, უდაბნოში არხები გაჰყავდა. მუშაობდა მებამბეობის ახლადდაარსებულ საბჭოთა მეურნეობებში, ანგრენის შახტებში — ტაშკენტთან და იქიდან კი არმიაში წავიდა.

დანიარის მშობლიურ აულში დაბრუნებას ხალხი ქმაყოფილებით შეხვდა. „რამდენი არ ატარა ბედმა სხვა მხარეებში, მაინც დაბრუნდა. დაბრუნდა, რადგან, ალბათ, ეწერა გული მშობელი ქვეყნის წყლით გაეგრილებინა. მას ხომ არც ენა დავიწყნია მშობლიური, ოდნავ უქცევს მხოლოდ ყაზახურად.

„ტულპარი[1] ცხრა მთის გადაღმაც კი იპოვნის თავის რემასვის არ უყვარს მშობელი მხარე, თავისი ხალხი. ყოჩაღ, რომ დაბრუნდა, ჩვენც ქმაყოფილნი ვართ და წინაპართა სულებიც. ღვთის შემწეობით დავამარცხებთ გერმანიას, მშვიდობიან ცხოვრებას დავიწყებთ და შენც, როგორც სხვები, შეჰქმნი

---

[1] ტულპარი — ზღაპრული რაში.

ოჯახს, შენი კერიიდანაც ავარდება ალი, გაღვივდება ღადარი!“ — ეუბნებოდნენ ძველი აკსაკალები.

მათ გაიხსენეს დანიარის წინაპრები და ზუსტად დაადგინეს რომელი გვარიდან იყო იგი. ასე გაჩნდა ჩვენს აულში „ახალი ნათესავი“ — დანიარი.

და აი ბრიგადირმა ოროზმატმა ჩვენთან სათიბზე მოიყვანა მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი ჯარისკაცი, იგი მარცხენა ფეხით კოჭლობდა. ფარაჯა მხარზე გადაეგდო და აჩქარებული მოაბიჯებდა, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ჭაკ ცხენს, რომელიც ოროზმატს თოხარიკით მოყავდა, თვითონ ბრიგადირი, მაღალი დანიარის გვერდით, პატარა ტანითა და სიმკვირცხლით რაღაცით მოგაგონებდა მოუსვენარ მდინარის ტალღას. ამის შემხედვარეს, გაგვეცინა კიდეც.

დანიარს ნაჭრილობევი ჯერ არ შეხორცებოდა, ფეხის მოხრა უჭირდა და ამიტომ მთიბავად არ გამოდგებოდა, იგი ჩვენთან დანიშნეს სათიბ მანქანაზე. გულახდილად ვიტყვი, ჩვენ იგი არცთუ ისე ძალიან მოგვეწონა. ვერაფრით ვერ შეეგუეთ მის გულჩახვეულობას. დანიარი ცოტას ლაპარაკობდა, როცა ლაპარაკობდა, გრძნობდი, რომ ამ დროს იგი სხვა რაღაცაზე ფიქრობდა, რაღაცა აწუხებდა და ვერც გაიგებდი გამჩნევდა თუ არა, თუმცა ამ დროს მისი ჩაფიქრებული — მეოცნებე თვალები სახეში შემოგჩერებოდნენ.

— საცოდავი ბიჭი, ეტყობა, ჯერ კიდეე ვერ მოსულა გონს ფრონტის შემდეგ! — ამბობდნენ მასზე.

საოცარი ის იყო, რომ მუდამ ფიქრიანი დანიარი სწრაფად და ზუსტად მუშაობდა. გარეშე დამკვირვებელი იფიქრებდა, რომ იგი გულღია, გულგახსნილი კაცი იყო. შეიძლება ობლობაში გატარებულმა ბავშვობამ ასწავლა მას თავისი გრძნობებისა და ფიქრების დაფარვა, გახადა ის ასე თავშეკავებული? შეიძლება.

დანიარის თხელი ტუჩები, კუთხეებში მკაცრი ნაოჭებით, ყოველთვის მაგრად იყო მოკუმული, თვალები ნაღვლიანად და მშვიდად გიყურებდნენ, მხოლოდ მოქნილი, მოძრავი წარბები აძლევდნენ სიცოცხლის იერს, მის გამხდარ, ყოველთვის მოღლილ სახეს. ხანდახან იგი მთლად დაიძაბებოდა ხოლმე,

თითქოს სხვისთვის შიუწვდომელი რამ გაიგონაო, მაშინ მისი წარბები მაღლა აიწევდა და თვალებში გაურკვეველი აღტაცების ალი აუკიაფდებოდა. ჩვენ ყველაფერი ეს უცნაურად გვეჩვენებოდა. არა მარტო ეს, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა მას უცნაური. საღამოთი, როცა ჩვენ ცხენებს გამოვხსნიდით, ფარდულთან შევგროვდებოდით და ვუცდიდით, როდის მოამზადებდა სადილს მზარეული ქალი, დანიარი საყარაულო ბორცვზე[1] ადიოდა და იქ იჯდა შებინდებამდე.

— რას აკეთებს, მზირად ხომ არ დააყენა ვინმემ? — ვიკითხავდით ჩვენ.

ერთხელ მე ცნობისმოყვარეობამ წამძლია და დანიარს ჩუმად ავყევი ბორცვზე. აქ არაფერი არ იყო არაჩვეულებრივი. ირგვლივ ფართოდ გადაშლილიყო მთისძირა ტრამალი, რომელიც იასამნისფერ წყვდიადში ჩაძირულიყო. ჩაბნელებული ოდნავ შესამჩნევი ველები სიჩუმეში გაუჩინარებულიყვნენ.

დანიარს ჩემი მისვლა არც კი შეუმჩნევია. იგი იჯდა, მუხლზე ხელშემოჭდობილი და სივრცეს გასცქეროდა ჩაფიქრებული, მაგრამ ნათელი თვალებით. და კვლავ მომეჩვენა, რომ იგი დაძაბულად უგდებდა ყურს, ჩემი სმენისათვის მიუწვდომელ რაღაც ხმებს. ხანდახან მთლად დაიძაბებოდა, გაინაბებოდა ხოლმე, ამ დროს ფართოდ ჰქონდა გახელილი თვალები. რაღაცა აწუხებდა და ასე მეჩვენებოდა, რომ იგი ადგებოდა, გულს გადაუხსნიდა, რა თქმა უნდა, მე არა — იგი ხომ მე ვერც კი მამჩნევდა, ვიღაცას დიდს, თვალმიუწვდენელს, ჩემთვის შეუცნობს. შემდეგ როცა ისევ შევხედე მას, ველარ ვიცანი. იჯდა თავჩაქინდრული და მოშვებული, თითქოს ისვენებდა შრომით დაღლილი.

ჩვენი კოლმეურნეობის სათიბები მდინარე კურკურეუს ჭალის სავარგულებზე იყო გაფანტული. ჩვენს აულთან ახლოს მდინარე კურკურეუ თავს აღწევდა ვიწრო ხეობას და ვრცელ ველზე მოედინებოდა დაუოკებელ, მშფოთვარე ნაკადად.

---

[1] საყარაულო ბორცვი — შემაღლებული ადგილი, საიდანაც კარგად მოჩანს მთელი არე-მიდამო. ეს სახელწოდება ყირგიზებს შემორჩათ ძველი დროიდან, როცა მომთაბარეთა შემოსევებს იგერიებდნენ.

თიბვის დრო ხომ მთის მდინარეების მოდიდების პერიოდს ემთხვევა. საღამოდანვე მატულობდა წყალი, ამღვრეული, აქაფებული. შუაღამეზე მე მდინარის მძლავრი გუგუნი მაღვიძებდა ხოლმე. მოწმენდილი ღამის ცა, ვარსკვლავებით მოჭედილი დასცქეროდა ფარდულს, დროდადრო ცივი ქარი გადაურბენდა ხოლმე მიდამოს, მიწას ეძინა, მხოლოდ აბობოქრებული მდინარე თითქოს მუქარით მოიწევდა ჩვენსკენ. მართალია, ჩვენ მდინარის ნაპირთან არცთუ ისე ახლო ვიყავით, მაგრამ ღამე წყალს სულ ახლო ვგრძნობდით და გულში მაინც უნებლიეთ გვეპარებოდა შიში, ვაითუ წაიღოს, მოიტაცოს ჩვენი ფარდული-თქო. ამხანაგებს ეძინათ მთიბავთა ჯანსაღი ძილით, მე კი ვეღარ ვიძინებდი და გარეთ გამოვდიოდი.

ლამაზი და შემაზრზენია ღამე კურკურეუს ჭალებზე. ხან აქ, ხან იქ მუქად მოჩანან ცვრიანი ბალახით გამაძღარი დაბორკილი ცხენები. ფხიზლად თვლემენ, ხანდახან თუ წაიფრუტუნებენ ხოლმე. იქვე გადმოხრილა სველი ტირიფი, ნაპირებს აწყდება და გრუხუნით მოაგორებს ქვებს მდინარე კურკურეუ. მძვინვარე, მრისხანე ხმაურით ავსებს ღამეს თავშეუკავებელი მდინარე. კანკალი აგიტანს.

ასეთ ღამეებში მე ყოველთვის ვიგონებდი დანიარს. იგი ჩვეულებისამებრ ღამეს მდინარის პირას დადგმულ ზვინებთან ათევდა. ნუთუ არ ეშინოდა? ან არ აყრუებდა მდინარის ხმაური? ეძინა თუ არა? რატომ რჩება მარტო მდინარესთან? რა სიამოვნებას პოულობს ამაში? უცნაური ადამიანია, არაამქვეყნიური. სად არის ნეტავი ახლა? ვაკვირდებოდი მიდამოს და ვერავის ვხედავდი. დამრეცი ფერდობებით იკარგებოდა ღამის სიბნელეში შორეული მთების გრეხილი. ცა კი წყნარი იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი.

დრო იყო, რომ დანიარს აულში მეგობრები ჰყოლოდა. მაგრამ იგი წინანდებურად მარტოხელი იყო, თითქოს მისთვის უცხო იყო მეგობრობისა და მტრობის, სიმპათიისა და შურის ცნებები. აულში ხომ ის ჯიგიტები იქცევენ ყურადღებას, რომელთაც შეუძლიათ თავის თავისა და სხვისი გატანა, რომელთაც სიკეთის გაკეთებაც შეუძლიათ და ხანდახან ავისაც,

რომელთაც აკსაკალების მსგავსად უნარი აქვთ ითავკაცონ ლხინსა და ჭირში, ასეთები ქალებსაც მოსწონთ.

ხოლო თუ კაცი, დანიარის მსგავსად, არაფერში არ ერევა, თავისთვის ცოდვილობს, მას ან ვერ ამჩნევენ, ანდა მოწყალებით ამბობენ:

— არც წყალია, არც ღვინოო. ცხოვრობს თავისთვის, თავს ირჩენს რორორლაც, ასეც უნდა იყოს...

ასეთი ადამიანი ჩვეულებრივ სიბრალულისა და დაცინვის ობიექტია. ჩვენ, მოზარდები, რომელთაც გვსურდა ჩვენს ასაკზე დიდი ვჩვენებოდით ხალხს, ნამდვილ ჯიგიტებად რომ გვეგრძნო თავი, თუ პირდაპირ არა, ერთმანეთთან საუბარში ყოველთვის დავცინოდით დანიარს. ჩვენ ვიცინოდით იმაზეც კი, თუ როგორ რეცხავდა იგი მდინარეზე თავის გიმნასტურას, გარეცხავდა და ჩაიცვამდა ჯერ ისევ სველს. მას ხომ მხოლოდ ერთი ხალათი ჰქონდა.

მაგრამ უცნაური ის იყო — ხომ ასეთი წყნარი და მშვიდი ჩანდა დანიარი, მაგრამ ვერცერთი ჩვენგანი ვერ ბედავდა მას ძმაბიჭურად მოქცეოდა, იმიტომ კი არა, რომ იგი ჩვენზე უფროსი იყო, რა დიდი საქმეა სამი-ოთხი წელი, ასეთებს ჩვენ არც ვერიდებოდით და შენობით მივმართავდით ხოლმე, არც იმიტომ, რომ ის მკაცრი იყო ან თავს იჭერდა, რაც ხანდახან მოჩვენებითი პატივისცემის მსგავს რაღაცას ჰქმნის, — არა. რაღაც მიუკარებელი იმალებოდა მის მდუმარე, დაღვრემილ გამოხედვაში, ეს გვაკავებდა ჩვენ, ჩვენ, ვინც მუდამ მზად ვიყავით დაგვეცინა ვისთვისაც გნებავთ.

შეიძლება ამის მიზეზი იყო ერთი შემთხვევა. მე ძალიან ცნობისმოყვარე ვიყავი და თავს ვაბეზრებდი ხალხს ათასგვარი შეკითხვებით. ხოლო ფრონტელებთან საუბარი, მათთვის შეკითხვების მიცემა ხომ დაუსრულებლივ შემეძლო. როცა დანიარი ჩვენთან, სათიბზე, გამოჩნდა, მე სულ მოხერხებულ შემთხვევას ვეძებდი გამეგო რამე ფრონტიდან ახლადდაბრუნებული კაცისაგან.

ერთხელ საღამოთი კოცონს ვუსხედით, ვივახშმეთ და ვისვენებდით.

— დანიკე, გვიამბე რამე ომზე, ვიდრე დავწოლილვართ,— ვთხოვე მე.

მან პირველად არაფერი მიპასუხა, თითქოს ეწყინაო, დიდხანს უყურებდა ცეცხლს, შემდეგ თავი ასწია და შემოგვხედა.

— ომზე მეუბნები? — შემეკითხა იგი და თითქოს საკუთარ ფიქრებს პასუხობსო, ყრუდ დაუმატა: — არა, სჯობს თქვენ არაფერი იცოდეთ ომზე.

შემდეგ იგი შებრუნდა, ხელში ხმელი შამბნარის კონა აიღო. კოცონში ჩაუმატა და ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა. იგი არავის უყურებდა.

დანიარს მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ მოკლე ფრაზიდანაც, რომელიც მან წარმოთქვა, ჩვენთვის გასაგები გახდა, რომ ომზე ასე უბრალოდ ლაპარაკი არ შეიძლებოდა და იგი ვერ მოახერხებდა ძილისწინ ზღაპარივით მოგვყოლოდა რამეს. ომმა სისხლიანი ნაჭდევი დააჩინა ადამიანის გულს და მასზე ლაპარაკი არ იყო ადვილი. მე ჩემი თავისავე მრცხვენოდა.

ამის შემდეგ არასოდეს არაფერი მიკითხავს დანიარისათვის ომზე.

დანიარს მხოლოდ ამით არ დაუმსახურებია ჩვენი პატივისცემა. ის საღამო ყველას მალე დაგვავიწყდა, ასევე სწრაფად დაკარგა აულმა ინტერესი დანიარისადმი. მისი მიუკარებლობა და კარჩაკეტილობა ხალხში გულგრილობის, ანდა უბრალოდ სიბრალულის გრძნობას იწვევდა.

— უსახლკარო, საცოდავი ყმაწვილი, — ამბობდნენ მასზე, — კიდევ კარგი, რომ კოლმეურნეობა არჩენს, თორემ დროა ჩანთა ეჭიროს ხელში და კარდაკარ დადიოდეს. ცხვარივით წყნარი და უწყინარია!

ხალხი თანდათან შეეჩვია დანიარის ხასიათს და მას ველარც ამჩნევდნენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. როცა კაცი არაფრით გამოიჩენს თავს, მას თანდათან ივიწყებენ.

მეორე დღეს, დილით ადრე, მე და დანიარმა ცხენები კალოზე მივიყვანეთ, ამ დროისათვის ჯამილაც მოვიდა. მან შორიდანვე დამიძახა:

— ეი, კიჩინე ბალა, აბა ჩემი ცხენები აქეთ წამოიყვანე! მარტუღლები რა უყავი? — თითქოს მთელი თავისი სიცოცხ-

ლე ორთვალაზე იჯდაო, ისეთი საქმიანი სახით შეუდგა მის დათვალიერებას, ფეხით სინჯავდა კარგად იყო თუ არა ბორბლები მომჯდარი ღერძზე.

როცა ჩვენ ახლო მივედით, ჯამილას რატომღაც სასაცილონი ვეჩვენეთ. ცხენზე გადამჯდარი დანიარის გრძელი გამხდარი ფეხები ჰაერში ქანაობდნენ, თითქოს ეს არის ფართოყელიანი ქირზის ჩექმებიდან ამოხტებიანო. მე კი ცხენს ფერდებზე ვურტყამდი შიშველ ფეხებს, გამაგრებული, შავი ფეხისგულებით.

უკვე დროა! — ჯამილამ მხიარულად ასწია თავი და სწრაფად დაიწყო განკარგულებების გაცემა: ცოცხლად, მანამ დაცხებოდეს, ტრამალი უნდა გავიაროთ.

მან ცხენებს ლაგამში ჩაავლო ხელი და ორთვალაში დაიწყო შებმა. მხოლოდ ერთხელ მთხოვა მეჩვენებინა, როგორ უნდა გაეწყო აღვირი. დანიარს არ ამჩნევდა, თითქოს იგი არც კი იყო ჩვენს გვერდით.

ჯამილას სიმტკიცემ და გამომწვევმა თვითდაჯერებულობამ დანიარი გააკვირვა. ტუჩებმოკუმული, მტრული, მაგრამ ამავე დროს შეფარული აღტაცებით აკვირდებოდა. როცა მან სასწორიდან ხორბლით სავსე ტომარა აიღო და ორთვალასთან მიიტანა, ჯამილა აყვირდა:

— ეს რას ჰგავს! როგორ, ყველა თავისთვის გააკეთებს რაც მოეხასიათება? ასე არაფერი გამოვა, აბა, მომეცი ხელი! ეი, კიჩინე ბალა, რას უყურებ, ახტი ორთვალაზე და ტომრები დააწყვე!

ჯამილამ თვითონ მოჰკიდა ხელი დანიარს და როცა მათ ხელიხელჩაჭიდებულებმა პირველი ტომარა მოიტანეს, საცოდავი დანიარი სირცხვილისაგან სულმთლად გაწითლდა. შემდეგ ყოველთვის, როდესაც ტომრები მოჰქონდათ, მათი თავები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს და მე ვხედავდი როგორ იტანჯებოდა დანიარი, როგორ იკვნეტდა იგი ტუჩებს და ცდილობდა ჯამილას არ შეეხედა. ჯამილა კი ვითომ არაფერიაო, არც კი ამჩნევდა თავის თანამეწყვილეს, მწონავებს ეხუმრებოდა. შემდეგ, როცა ორთვალები დავტვირთეთ, ჯამილამ ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და სიცილით თქვა:

— ეი შენ, დანიარი ხარ თუ ვიღაცა, შესახედავად მამაკაცს ჰგავხარ, მოდი და პირველმა გაკვალე გზა.

დანიარმა ხმაამოუღებლივ დაძრა ადგილიდან ორთვალა. „ეჰ, შე უბედურო, სხვა სიკეთესთან ერთად, თურმე მორცხვიც ყოფილხარ!“ — გავიფიქრე მე.

წინ გრძელი გზა გვედო. ოცი კილომეტრი უნდა გაგვეელო სადგურამდე ჯერ ტრამალზე, შემდეგ კი ხეობით. ერთი რამ მამშვიდებდა, გზა მშვენიერი იყო, მთისძირს მიუყვებოდა ბოლომდე, ამიტომ ცხენებს დიდი ჯაფა არ დაადგებოდათ.

ჩვენი აული კურკურეუ მდინარის პირასაა გაშლილი მთის ფერდობზე და შავ მთებამდე აღწევს. სანამ ხეობაში არ შეხვალ, აული, მისი ხეების ჩამუქებული ქუდებით, ხელისგულივით მოჩანს.

დღეში ერთი რეისის მეტს ვერ ვასწრებდით. დილას გავდიოდით და სადგურში ნაშუადღევს ვიყავით ხოლმე.

მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, სადგური კი გაჭედილი იყო, ადვილად ვერ გააღწევდი: იქაურობა სავსე იყო ორთვალებითა და ურმებით. უზარმაზარი დაბლობის ყველა კუთხიდან მოსულიყვნენ ტომრებით დატვირთულნი, მთის შორეული კოლმეურნეობებიდან ტვირთი საპალნემოკიდებულ ვირებსა და ხარებს ჩამოეთრიათ. ბიჭებსა და ჯარისკაცთა ცოლებს ჩამოერეკათ ისინი. იდგნენ მზეზე გარუჯულნი, გახუნებულ ტანსაცმელში, ქვებზე დაჩეჩქვილი ფეხებით, მზისა და ქარისაგან დახეთქილი ტუჩებით.

„ზაგოტზერნოს“ კარებზე ეკიდა პლაკატი — „პურის თვითეული თავთავი ფრონტს!“ ეზოში ჩოჩქოლი და ხმაური იდგა. გვერდით, პატარა ყორის მიღმა სამანევრო ორთქლმავალი მიმოდიოდა და ცხელი ორთქლის ბოლქვებით ავსებდა იქაურობას. გამაყრუებელი ხმაურით გაიქროლებდნენ მატარებლები. თავგამოდებით ბღაოდნენ გაბოროტებული აქლემები, ნებივრად წამოწოლილებს ფეხზე წამოდგომა არ უნდოდათ.

მიმღებ პუნქტში, გახურებული თუნუქის სახურავის ქვეშ, ხორბლის მთები იდგა. ტომრები ფიცრის ტრაპით მაღლა უნდა აგეტანა. პურის სქელი მტვერი სუნთქვას აძნელებდა.

— ეი, ბიჭო, გესმის თუ არა! — ღრიალებდა მიმღები,

რომელსაც უძილობისაგან თვალები დაწითლებოდა — ზევით აათრიე, სულ ზევით, შენ გეუბნები — იგი მუშტს იქნევდა და გინებით იჭაჭებოდა.

რას იგინები? ისედაც კარგად ვიცით, სადაც უნდა ავიტანოთ და ავიტანთ კოდეც. ეს პური ხომ ჩვენ მოვზიდეთ საკუთარი მხრებით ჩვენი მინდვრებიდან, სადაც მარცვალ-მარცვალ ვზრდიდით, თან ვყვებოდით, იგი ხომ ბავშვებმა, ქალებმა და მოხუცებმა მოიყვანეს და მოიწიეს, იქ ახლაც, ამ ცხარე და ცხელ დღეებში კომბაინერი შესჭიდებია მრავალტანჯულ კომბაინს, რომელმაც კარგა ხანია მოსჭამა თავისი დღე, გახურებულ ცელებზე წახრილან ქალები და პატარა ბავშვები სათუთად აგროვებენ ყოველ გაბნეულ მარცვალს.

ახლაც კარგად მახსოვს, თუ რა მძიმე იყო ტომრები, რომლებიც მე გადამქონდა. ასეთი სამუშაოს შესრულება მხოლოდ ღონიერ მამაკაცებს შეუძლიათ. მე მივდიოდი ზევით, წონასწორობას ვიცავდი ტრაპის მოჭრიალე ფიცრებზე, რომლებიც ფეხქვეშ იღუნებოდნენ, კბილებით ჩავფრენოდი ტომრის კიდეს, რომ როგორმე დამეჭირა, არ გადამვარდნოდა, მტვერი ყელში მეჩხირებოდა, სიმძიმისაგან წეკნები მეღუნებოდა და თვალწინ ცეცხლოვანი წრეები მიტრიალებდნენ. რამდენჯერ ყოფილა შუაგზაზე მისულს, არაქათგამოცლილს შემიმჩნევია, რა მოღალატურად მოცურავს ზურგიდან ტომარა, ერთი სურვილი აღმძვრია მაშინ, დამეგდო და მეც დავგორებულიყავი მასთან ერთად. მაგრამ უკან ხალხი მოდიოდა, ტომრებქვეშ მოხრილი, მოდიოდნენ ჩემი ტოლები, ჯარისკაცთა ცოლები, რომელთაც ჩემნაირი შვილები ჰყავდათ. რომ ომი არა, ვინ მისცემდა მათ უფლებას ეთრიათ ასეთი ტვირთი! არა, მე არ მქონდა უფლება შევჩერებულიყავი, როდესაც ისეთსავე სამუშაოს, როგორსაც მე, ასრულებდნენ ქალები.

აი წინ მიდის ჯამილა, კაბის კალთები მუხლებს ზემოთ ამოუკეცავს და მე ვხედავ როგორ ~~ანიხ~~ დაჭიმული მესი ყოველი კუნთი, ვხედავ რა ძალდატანების ფასად მოძრაობს მისი მოქნილი ტანი, ზამბარასავით რომ დაძაბულა მძიმე ტვირთის ქვეშ. მხოლოდ ხანდახან შეჩერდება ჯამილა, შეჩერდება, როდესაც გრძნობს, რომ მე ძალამ მიმტყუნა.

— გამაგრდი, კიჩინე ბალა, ცოტაღა დარჩა!

მისი ხმა აღარ რეკავს ზარივით, რაღაც მოგუდულად ისმის.

როცა უკან ვბრუნდებოდით, ჩვენს შესახვედრად დანიარი მოდიოდა ხოლმე. იგი მოდიოდა ოდნავი კოჭლობით, თანაბარი, მოზომილი ნაბიჯით, როგორც ყოველთვის მდუმარე და მარტოხელი. გაგვისწორდებოდა, ჯამილას პირქუშ, მწველ თვალებს შეაფეთებდა, და ჯამილაც ნაჯაფავ წელს გამართავდა, დაჭმუჭნულ კაბას გაისწორებდა ხოლმე. იგი ისე ათვალიერებდა ხოლმე ჯამილას, თითქოს პირველად ხედავსო, ჯამილა კი ვითომც კვლავ ვერ ამჩნევდა მას.

ასე დამკვიდრდა: ჯამილა ან დასცინოდა, ან არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დანიარს. ეს დამოკიდებული იყო ჯამილას განწყობაზე. მივდივართ გზაზე, უცებ მოეხასიათება და დამიყვირებს: „გავრეკეთ“, თავს ზემოთ მათრახს დაატრიალებს და მიერეკება ცხენებს. ჩვენ გადავუსწრებდით დანიარს და ვტოვებდით მას მტვრის ღრუბლებში, რომელიც დიდხანს იდგა გზაზე. მართალია ამას ხუმრობით ვაკეთებდით, მაგრამ ყველა არ მოითმენდა, დანიარს კი ვგონებ არ წყინდა. როდესაც ჩვენ გვერდზე გავუქროლებდით, იგი პირქუში აღტაცებით შესჩერებოდა ორთვალაზე წამომდგარ მოხარხარე ჯამილას. მე უკან ვიხედებოდი. დანიარი სქელი მტვრის ბოლქვების მიღმაც ჯამილას დანახვას ცდილობდა. მისი კეთილი გამოხედვა, იფიქრებდი, ყველაფერს გაპატიებსო, მაგრამ ამავე გამოხედვაში მე ვგრძნობდი სიჯიუტეს, შეფარულ ნაღველს.

არც დაცინვას, არც ჯამილას სრულ გულგრილობას დანიარი წონასწორობიდან არ გამოჰყავდა. მან თითქოს ფიცი დადო — აეტანა ყველაფერი. თავდაპირველად მეცოდებოდა და რამდენჯერმე ვუთხარი ჯამილას:

— რატომ დასცინი დანიარს, ჯენე, ხომ ხედავ როგორი უწყინარია!

— ნეტავი მაგის პატრონს! — იცინოდა ჯამილა და ხელს ჩაიქნევდა ხოლმე, — მე ხომ ვხუმრობ, მაგ უკარებას კი ხუმრობა არაფერს უზამს.

შემდეგ კი, შემდეგ მეც დავცინოდი ხოლმე, ჯამილაზე არანაკლებად. მაწუხებდა მისი უცნაური, ჯიუტი გამოხედვა, როგორ უყურებდა იგი ჯამილას, როცა უკანასკნელი ტომარას მოიგდებდა მხარზე! და მართლაც გუგუნსა და ჩოჩქოლში ამ ბაზარივით ახმაურებულ-აფუსფუსებულ ეზოში, დაფეთებულ, ხმაჩახლეჩილ ხალხში ჯამილა უცებ გეცემოდა თვალში დაჯერებული, მსუბუქი სიარულით, თითქოს იგი სადღაც გაშლილ, სწორ სივრცეზე მიაბიჯებდა.

მართლაც, არ შეიძლებოდა თვალი მოგეწყვიტა მისთვის. ორთვალიდან რომ ტომარა ჩამოეღო, ჯამილა თითისწვერებზე დგებოდა, შემდეგ მოიხრებოდა, მხარს შეუშვერდა ტომარას, თავს ისე ასწევდა, რომ ყველას შეეძლო დაენახა მისი ლამაზი ყელი, მზისგან გაწაბლისფერებული მძიმე ნაწნავები თითქმის სწვდებოდა მიწას, დანიარი კი შეჩერდებოდა და თვალს გააყოლებდა ხოლმე, ვიდრე იგი კარს იქით არ მიიმალებოდა, ალბათ ფიქრობდა, რომ ამას სხვისთვის შეუმჩნევლად აკეთებდა, მაგრამ მე ვამჩნევდი და არ მომწონდა. თითქოს ყველაფერი ეს შეურაცხყოფდა კიდეც ჩემს გრძნობებს: მე ხომ დანიარი არაფრით არ მიმაჩნდა ჯამილას ღირსად, მის ტოლად.

„ერთი უყურე, ისიც კი თვალს არ აშორებს, მაშინ რაღა უნდა ქნან სხვებმა!“ — ვბრაზობდი გულში. ბავშვური ეგოიზმი, რომელიც მაშინ ჩემში ბობოქრობდა, მწვავე ეჭვებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ეს ხომ ასეა, ბავშვებს სხვაზე მეტად შეუძლიათ იეჭვიანონ და სიბრალულის მაგიერ მაშინ ჩემში ისეთი მტრული გრძნობა ღვივოდა დანიარის მიმართ, რომ მიხაროდა კიდეც, როცა მას დასცინოდნენ.

მაგრამ ჩემი და ჯამილას ოინები ერთხელ მეტად სამწუხარო შედეგით დასრულდა. იმ ტომრებს შორის, რომლითაც ხორბალი გადაგვქონდა, იყო ერთი დიდი, უხეში შალისაგან შეკერილი შვიდფუთიანი ტომარა. ჩვენ საერთოდ ის ორ-ორს გადაგვქონდა ხოლმე, ერთი მას ვერ მოერეოდა. ერთხელ კალოზე გადავწყვიტეთ ოინი გვეყო დანიარისათვის. ხორბლით სავსე დიდი ტომარა დანიარის ორთვალაში ჩავაგდეთ და ზე-

მოდან სხვები დავაწყეთ, გზაზე ჩვენ რუსულ სოფელში შევირბინეთ, ვაშლები დავკრიფეთ და სადგურში მისვლამდე ვხარხარებდით. ჯამილა დანიარს ვაშლებს ესროდა, შემდეგ კი, როგორც ეს წესად გვქონდა, გადავუსწარით და მტვრის ღრუბლებში უკან მოვიტოვეთ. იგი ხეობის გადაღმა დაგვეწია, რკინიგზის გადასასვლელთან გზა დაკეტილი იყო. აქედან უკვე ერთად მივდიოდით და ასევე ერთად მივედით სადგურში. ჩვენ დაგვავიწყდა კიდეც შვიდფუთიანი ტომარა და მხოლოდ მაშინ მოგვაგონდა, როდესაც გადმოტვირთვას ვამთავრებდით. ჯამილამ ეშმაკურად გამკრა მხარი და დანიარისაკენ გამახედა. იგი ორთვალაზე იდგა და შეწუხებული დასცქეროდა ტომარას, ალბათ ფიქრობდა რა ეღონა. შემდეგ მიიხედ-მოიხედა და როდესაც ჯამილას სახეზე შეკავებული სიცილი შენიშნა, გაწითლდა: მიხვდა რაშიც იყო საქმე.

— ქამარი მაგრად შემოიჭირე, გზაზე შარვალი არ ჩაგვარდეს! — დაუძახა ჯამილამ.

დანიარმა გაბოროტებული მზერა გვესროლა და გამორკვევაც ვერ მოვასწარით, რომ ტომარა გამოაჩოჩა, ძარის ძგიდეზე შეაყენა, ჩამოხტა, ცალი ხელით ტომარას იჭერდა, შემდეგ ზურგზე შეიგდო და წავიდა. პირველად თავი ისე დავიჭირეთ, თითქოს არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. სხვებმა ხომ, მითუმეტეს, ვერაფერი შეამჩნიეს. — მიდის ადამიანი, ზურგზე ტომარა მოუგდია. ამას ხომ ყველა აკეთებს. მაგრამ, როცა დანიარი ტრაპს უახლოვდებოდა, ჯამილა წამოეწია.

— დააგდე, გესმის? მე ვიხუმრე!

— მომეცალე! — გამოკვეთილად თქვა დანიარმა და ტრაპზე შედგა ფეხი.

— ხედავ, მიაქვს! — თითქოს თავს იმართლებსო წაილაპარაკა ჯამილამ.

იგი ჯერ კიდევ იცინოდა, იცინოდა ხმადაბლა, მაგრამ სიცილი თანდათან არაბუნებრივი, ნაძალადევი უხდებოდა.

ჩვენ შევამჩნიეთ, რომ დანიარმა ჩვეულებრივზე უფრო ძლიერ დაიწყო კოჭლობა. რატომ არ ვიფიქრეთ ამაზე ადრე? აქამდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის ეს სულელური ხუმრობა, ეს ხომ მე მოვიფიქრე, მე სულელმა!

— დაბრუნდი! — დაუყვირა ჯამილამ, იგი ისევ იცინოდა, მაგრამ ეს უკვე სიცილი არ იყო.

დანიარს კი უკვე აღარ შეეძლო დაბრუნება: უკან ხალხი მოდიოდა. კარგად არ მახსოვს რა მოხდა შემდეგ. ვხედავდი დანიარს, უზარმაზარი ტომრის ქვეშ წელში მოღუნულს, მის დაბლა დახრილ თავს და მტკიცედ მოკუმულ ტუჩებს. მიდიოდა დინჯად, ფრთხილად ადგამდა ნაჭრილობევ ფეხს. ყოველი ახალი ნაბიჯი ჩანდა მას იმდენ ტკივილს აყენებდა, რომ თავს იქნევდა და წამით შეყოვნდებოდა ხოლმე. რაც უფრო მაღლა ადიოდა, მით უფრო უჭირდა. შიშისა და სირცხვილისაგან ხახა გამიშრა. საშინელებამ გამაშეშა. თითქოს მე ვგრძნობდი ტვირთის სიმძიმესა და აუტანელ ტკივილს დაჭრილ ფეხში. აი იგი ერთხელ კიდევ შექანდა, თავი გადააქნია და ჩემს თვალწინ ყველაფერი შეირყა, ჩამობნელდა, მიწა გამომეცალა ფერხთ.

გამოვერკვიე მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიღაცამ ძლიერად, ისე რომ ძვლები ატკაცუნდნენ, მომიჭირა ხელზე. უცებ ვერც კი ვიცანი ჯამილა. გადაფითრებული, ფართოდ გახელილი თვალებით, ტუჩები ისე უთრთოდა, თითქოს ისევ იცინისო. ახლა უკვე მარტო ჩვენ კი არა, ყველამ, მიმღებმაც მიირბინა ტრაპის ძირთან. დანიარმა კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა, უნდოდა ტომრის შესწორება ზურგზე და ნელა დაიწყო მუხლზე დაშვება. ჯამილამ სახეზე აიფარა ხელები.

— დააგდე! ტომარა დააგდე! — დაიყვირა მან.

მაგრამ დანიარი რატომღაც ხელს არ უშვებდა. თუმცა უკვე შეიძლებოდა მისი გვერდზე გადაგდება, ისე რომ უკან მომავალნი არ წაექცია. ჯამილას ხმაზე წამოიწია, მუხლი გამართა, ნაბიჯი გადადგა და ისევ დაბარბაცდა.

— გადააგდე! გესმის, გადააგდე, ძაღლისშვილო! — აღრიალდა მიმღები.

— გადააგდე! — აყვირდა ხალხი.

— დანიარმა ამჯერადაც შეიმაგრა თავი.

— არა, არ დააგდებს! — დარწმუნებით წაიჩურჩულა ვიღაცამ.

და ყველამ, ტრაპზე მიმავალმა თუ დაბლა მდგომმა, ირწმუნა, რომ იგი ტომარას არ დააგდებს, თუ მასთან ერთად არ

ჩამოვარდა დაბლა. სიჩუმე ჩამოწვა. კედლის გადაღმა გამყივანად დაიკივლა ორთქლმავალმა.

დანიარი კი, გაბრუებულივით მობარბაცე მიიწევდა მაღლა. მიიწევდა გავარვარებული სახურავისაკენ, მის ფეხქვეშ იღუნებოდა ტრაპის ფიცრები. ყოველი ორი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ჩერდებოდა, ძალას იკრეფდა და გზას აგრძელებდა. უკან მიმავალნიც ჩერდებოდნენ, რომ მისთვის დასვენების საშუალება მიეცათ. ეს ღლიდა ხალხს, ძალას აცლიდა მათ, მაგრამ არავინ ხმას არ იღებდა, არავის არ უთქვამს მასზე ძვირი. თითქოს უხილავი ძაფით გადაბმულნი მიდიოდნენ ადამიანები ტვირთით სახიფათო, მოლიპულ გზაზე, სადაც ერთი კაცის სიცოცხლეზე დამოკიდებულია ყველას სიცოცხლე. მათ შეთანხმებულ მდუმარებაში და ერთფეროვან რხევაში იყო რაღაც მძიმე რიტმი. ნაბიჯი, კიდევ ნაბიჯი, ისევ ნაბიჯი. როგორი ვედრებით, განცდით შესცქეროდა მას ჯარისკაცის ცოლი. რომელიც უკან მიყვებოდა. ქალს თვითონაც ებლანდებოდა ფეხები, მაგრამ მე მჯერა, რომ იგი დანიარზე ევედრებოდა ღმერთს.

ცოტა დარჩა და ტრაპის დახრილი ნაწილიც დამთავრდება. მაგრამ დანიარი ისევ დაბარბაცდა, დაჭრილი ფეხი უკვე აღარ დაემორჩილა. სადაცაა მოწყდება, თუ ტომარა არ გადააგდო.

— გაიქეცი, ჩქარა, შეეშველე! — მიყვირა ჯამილამ და დაბნეულმა ხელები გაშალა, თითქოს ამით შეეძლო დანიარს დახმარებოდა.

მაღლა ავვარდი. გავძვერი ტომრებწამოკიდებულ ადამიანებს შორის და მივირბინე დანიარამდე. მან იდაყვს ქვემოდან გამომხედა. ჩამოშავებულ, ოფლიან შუბლზე ძარღვები დაბერვოდა, მისმა ჩასისხლიანებულმა თვალებმა რისხვა შემომაფრქვიეს. მე მინდოდა შევშველებოდი.

— წადი! — რისხვით წაიხრიალა დანიარმა და დაიძრა.

როცა აქოშინებული დანიარი კოჭლობით ჩამოვიდა ძირს, ხელები აღარ ემორჩილებოდნენ. ყველამ უჩუმრად დაუთმო გზა, მხოლოდ მიმღებმა ვერ შეიკავა თავი და აყვირდა:

— შენ რა, გაგიჟდი? თუ შენ გგონია მე კაცი არა ვარ? ვინ

დაგიშლიდა ძირს დაგეყარა ხორბალი? რატომ მიათრევდი მაღლა ამ სიმძიმე ტომარას?

— ჩემი საქმეა, — ხმადაბლა უპასუხა დანიარმა.

მთელი ღამე უჩუმრად ვიარეთ. დანიარისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამიტომ ჩვენ ვერ გავიგეთ განაწყენებული იყო, თუ უკვე დაივიწყა ყველაფერი. ცუდ ხასიათზე ვიყავით, სინდისი გვაწუხებდა.

დილით, როდესაც კალოზე ორთვალებს ვტვირთავდით, ჯამილამ აიღო ის ცოდვიანი ტომარა, კიდეზე ფეხი დაადგა და დახია.

— აჰა შენი ჩვარი! — ესროლა მან გაკვირვებულ მწოლავს. — ბრიგადირს უთხარი, რომ მეორედ ამნაირი არ შემოგვაჩეჩოს.

— რა მოხდა? რა დაგემართა?

— არაფერი.

მეორე დღეს დანიარს არაფრით არ გამოუმჟღავნებია თავისი წყენა, ხმას არ იღებდა ისე დადიოდა, ოღონდ ჩვეულებრივზე მეტად კოჭლობდა, განსაკუთრებით როდესაც ტომრები გადაჰქონდა. ალბათ, მაგრად ატკივდა გუშინ ნაჭრილობევი. ეს ყოველ წუთს მოგვაგონებდა ჩვენს გუშინდელ დანაშაულს მის წინაშე. კარგი იქნებოდა, რომ გაეცინა, ან გაგვხუმრებოდა, გულზე მოგვეშვებოდა, უკეთესად ვიგრძნობდით თავს — ამით ჩვენი წყენაც გაივლიდა.

ჯამილაც ცდილობდა ისე დაეჭირა თავი, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს, იგი თუმცა იცინოდა კიდეც, სიამაყე არ აძლევდა უფლებას გრძნობა გაემჟღავნებინა, მაგრამ მე ვამჩნევდი, რომ მთელი დღე ხასიათზე არ იყო.

სადგურიდან გვიან ვბრუნდებოდით. დანიარი წინ მიდიოდა. შესანიშნავი ღამე დგებოდა. ვის არ უნახავს აგვისტოს ღამე თავისი მაღალი ცით, შორიდან მოკიაფე ვარსკვლავებით, რომლებიც ხანდახან გგონია მეტად ახლოს არიანო. ყოველ მათგანს გარკვევით ხედავ. აი ერთიც, თითქოს დათრთვილული კიდეებით, ცივი, ყიხულივით ცივი სინათლით გაცისკროვნებული, ჩამუქებული ციდან რაღაც გულუბრყვილო გაკვირ-

ვებით დასცქერის დედამიწას. ჩვენ ხეობაში მივდიოდით და მე დიდხანს შევცქეროდი ცაში მოკიაფე ვარსკვლავს. ცხენებს თითქოს სახლისაკენ მიეჩქარებოდათ, ბორბლებს ქვეშ ხრეში ღრჭიალებდა. ქარს ტრამალებიდან მოჰქონდა აყვავებული აბზინდის მომწვანო მტვერი, გადამწიფებული ხორბლეულის ოდნავ საგრძნობი სურნელი, ყველაფერი ეს ირეოდა კუპრისა და ცხენის გაოფლილი მოსართავების სუნში და თავბრუს გახვევდა.

ერთი მხრიდან წამომართულიყვნენ ასკილით დაფარული კლდეები, მეორე მხარეს კი, შორს დაბლა ტირიფისა და გარეული ჭადრების იქით შფოთავდა მოუსვენარი კურკურეუ. ხანდახან სადღაც უკან ხიდზე გრუხუნით მიქროდნენ მატარებლები და განშორებულთ თან მიჰყვებოდათ ბორბლების ხმაურის გამოძახილი.

კარგი იყო მგზავრობა ღამით სიგრილეში, წინ მონავარდე ცხენების ცქერა, აგვისტოს საამო ღამის დამათრობელი სურნელის შეგრძნება და ამ უჩვეულო ღამის მოსმენა. ჯამილა ჩემს წინ მიდიოდა. აღვირისალვის ხელი შეეშვა, აქეთ-იქით იყურებოდა და თავისთვის რაღაცას ღიღინებდა. მე მესმოდა, რომ მას აწუხებდა ჩვენი დუმილი. ასეთ ღამეს ძნელი იყო სიჩუმის ატანა, გული სიმღერას ითხოვდა.

და იგი ამღერდა. ამღერდა იქნებ იმიტომაც, რომ უნდოდა დაებრუნებინა ის უშუალობა, რაც აქამდე დანიარისა და ჩვენს ურთიერთობას ახასიათებდა, უნდოდა განთავისუფლებულიყო დანიარის წინაშე დანაშაულის გრძნობისაგან. მისი ზარივით ხმა ლაღად ყღერდა. იგი ჩვეულებრივ სიმღერას მღეროდა, ჩვენს აულში რომ მღეროდნენ ხოლმე, იმის მსგავსს: „განშორებისას მე დაგიქნევ ცხვირსახოცს ცისფერს“, ანდა „შორეულ გზაზე, ჩემო ძვირფასო“... მან ბევრი სიმღერა იცოდა და უბრალოდ, გულწრფელად მღერრდა, მოსმენა გესიამოვნებოდა. უცებ შესწყვიტა სიმღერა და დანიარს გასძახა:

— ეი, დანიარ, რა იქნებოდა გემღერა რამე! ბოლოს და ბოლოს ხარ თუ არა ჯიგიტი?

— იმღერე, ჯამილა, იმღერე! — შეცბუნებული გამოეპასუხა დანიარი და ცხენები შეაჩერა. — სიამოვნებით გისმენ.

— შენ როგორ ფიქრობ, ჩვენ ყურები არ გვაქვს! დიდი საქმე, თუ არ გინდა, ნუ იმღერებ! — და ჯამილა ისევ ამღერდა.

ვინ იცის, რატომ შესთხოვდა იგი დანიარს ემღერა რამე! იქნებ, ისე უბრალოდ, ანდა იქნებ სურდა ლაპარაკში გამოეწვია? უფრო კი მასთან ლაპარაკი უნდოდა, იმიტომ რომ ცოტახნის შემდეგ ისევ გასძახა:

— დანიარ, გუვარებია ოდესმე ვინმე? — შეეკითხა და გაიცინა.

დანიარმა არ უპასუხა. ჯამილაც დადუმდა.

„ნახა რა მომღერალი!“ — გამეცინა მეც.

პატარა მდინარესთან, რომელიც გზას ჰკვეთავდა, ცხენებმა სვლა შეანელეს, მათი ფლოქვები სველ ქვებზე აკაკუნდა. როცა ფონი გავიარეთ, დანიარმა ცხენებს მათრახი გადაჰკრა და მოულოდნელად წამოიწყო სიმღერა. მღეროდა გაუბედავად, ხმა უთრთოდა:

„სამშობლოს მთებო, ბინდგადაკრულნო,
მამებისა და პაპების მიწავ!

უცებ ხმა ჩაუწყდა, ხველება აუვარდა, მაგრამ შემდეგი ორი სტრიქონი ოდნავ ხრინწიანი, სამაგიეროდ ღრმა, გულისმიერი ხმით წამოიმღერა:

„სამშობლოს მთებო, ბინდგადაკრულნო,
აკვანო ჩემო....

აქ ისევ ხმა ჩაუწყდა, თითქოს რაღაცის შეეშინდაო და გაჩუმდა.

მე კარგად წარმოვიდგინე როგორ გაწითლდა იგი. მაგრამ ამ მოკრძალებულ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმღერაშიც იყო რაღაც არაჩვეულებრივი, ამაღელვებელი, ხმაც კარგი უნდა ჰქონოდა. არც კი მჯეროდა, რომ ეს დანიარი იყო.

—უყურე შენ! — ვერ შევიკავე თავი.

ჯამილამ კი გაკვირვებით წამოიყვირა:

— სად იყავი აქამდე? იმღერე კიდევ, იმღერე ისე როგორც საჭიროა.

წინ მკრთალი სინათლის ზოლი გამოჩნდა. ხეობა მთავრდებოდა. ტრამალზე გავდიოდით. ნიავმა წამოუბერა. დანიარი ისევ ამღერდა. მან კვლავ გაუბედავად წამოიწყო, მაგრამ ხმას ძალა თანდათან ემატებოდა, სიმღერამ აავსო ხეობა და გამოძახილად გადადიოდა კლდიდან კლდეზე.

ყველაზე უფრო მე გამაოცა იმ განცდამ, გრძნობამ, რომელიც მელოდიაში ჟღერდა. არ ვიცოდი, არც ახლა ვიცი რა მეწოდებინა მისთვის, არ ვიცი ეს ხმა იყო, თუ რაღაც სხვა, რაც პირდაპირ ადამიანის გულიდან მოდის და, რასაც შეუძლია ააღელვოს სხვა, გააცოცხლოს, აახმოვანოს მასში ყველაზე დაფარული გულისნადები.

ეჰ, ნეტავ შემეძლოს როგორმე აღვადგინო დანიარის სიმღერა! სიმღერას თითქმის არ ჰქონდა სიტყვები, იგი თვითონ იყო გრძნობა და დიდ ადამიანურ განცდებს გადმოგვცემდა. არც მანამდე, არც მის შემდეგ მე ასეთი სიმღერა არ მომისმენია. იგი არც ყაზახური იყო და არც ყირგიზული, მაგრამ თითქოს ერთიც იყო და მეორეც. დანიარის მელოდიაში ერთ განუმეორებელ სიმღერად იყო შერწყმული ამ ორი ხალხის ყველაზე საუკეთესო მელოდიები. ეს იყო მთებისა და ტრამალების სიმღერა, რომელიც ხან მაღლა-მაღლა მიიწევდა ყირგიზეთის მთებივით, ხან კი სივრცეს ეფინებოდა ყაზახეთის უკიდეგანო ველებივით.

ეუსმენდი და მიკვირდა: „აი თურმე როგორი ყოფილა დანიარი! ვინ იფიქრებდა?“

ჩვენ უკვე ტრამალზე მივდიოდით, რბილ, გაკვალულ გზაზე, დანიარის სიმღერა ახლა გაშლილ ველს ეფინებოდა, მელოდიები საოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ნუთუ ასეთ სიმდიდრეს მალავს გულში? რა დაემართა? თითქოს იგი თავის დღეს, საათს უცდიდა.

და ჩემთვის უეცრად გასაგები გახდა მისი უცნაური თვისებები, ხალხის გაოცებასა და დაცინვას რომ იწვევდა, ახლა მივხვდი რატომ უყვარდა მარტოობა, მეოცნებე და მუდამ მდუ-

მარე დანიარს. მივხვდი, რატომ იჯდა საღამოობით მარტო საგუშაგო ბორცვზე, რატომ რჩებოდა მარტო მდინარესთან და რატომ უსმენდა სხვისთვის მიუწვდომელ ბგერებს, რატომ აენთებოდნენ ხოლმე ხანდახან მისი თვალები და რატომ აიზიდებოდნენ მაღლა მისი, ისედაც აზიდული წარბები. ეს იყო ღრმად შეყვარებული ადამიანი და შეყვარებული არა ვინმე მეორეზე. ეს უფრო დიდი სიყვარული იყო, სიყვარული სიცოცხლისა, მიწისა. იგი ამ სიყვარულს გულით ატარებდა, ეს სიყვარული იყო მის მუსიკაში. თვითონ დანიარიც ამ სიყვარულით ცოცხლობდა. გულგრილ ადამიანს არ შეეძლო ასე ემღერა, როგორი ხმაც არ უნდა ჰქონოდა.

როცა გეგონა სიმღერის უკანასკნელი ბგერა ჩაქრაო, ახალი მთრთოლვარე მოძახილი აახმიანებდა ხოლმე გარინდებულ ტრამალს და იგიც ნაალერსები მშობლიური მოტივებით, თითქოს მხარს უბამდა სიმღერას. ირხეოდა, ნამგლის მომლოდინე, თავთავებდამძიმებული პურის ყანა და დილის მომასწავებელი ათინათები ვერცხლის ზოლებად თამაშობდნენ მის თავზე. წისქვილის პირას ბებერი ტირიფები ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს თავიანთ სათქმელს, მდინარის გაღმა იღველფებოდა კოცონი კოლმეურნეთა სადგომებთან, ვიღაც ლანდივით გაჰკროდა მიმქროლავ ცხენს, რომელიც ხან დაიკარგებოდა მდინარის პირა ბაღებში, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ქარს ბაღებიდან ვაშლის, ახლადაყვავებული სიმინდისა და წივის თბილი სურნელი მოჰქონდა.

დიდხანს, თავდავიწყებით მღეროდა დანიარი. სულგანაბული უსმენდა მას მოხიბლული აგვისტოს ღამე. ცხენები დინჯი ნაბიჯით მიდიოდნენ, თითქოს ამ დიდებულ სიმღერის მსმენელთათვის ხელის შეშლა არ უნდათო.

და უცებ ყველაზე მაღალ, ზარივით მოწკრიალე ნოტაზე დანიარმა სიმღერა შეწყვიტა, ცხენებს შეეხმიანა და ორთვალა გააქანა. ეფიქრობდი, რომ ჯამილაც მას აედევნებოდა და მოვემზადე, მაგრამ იგი არც განძრეულა, დარჩა ისევ, როგორც იყო, თავი გვერდზე დაეხარა, თითქოს კიდევ უგდებდა ყურს სადღაც ჰაერში მოფარფატე ბგერებს. დანიარი წავიდა, ჩვენ კი აულამდე სიტყვაც არ წამოგვცდენია. ანდა რა საჭირო იყო ლა-

პარაკი, განა სიტყვებით ყოველთვის მოახერხებ იმის თქმას რაც გაღელვებს...

ამ დღიდან ჩვენს ცხოვრებაში თითქოს რაღაც შეიცვალა. მე ერთთავად რაღაც კარგის, სასურველის მოლოდინში ვიყავი. დილიდან კალოზე ვტვირთავდით ორთვალებს, სადგურში მივდიოდით და ერთი სული გვქონდა, რაც შეიძლება ჩქარა დავბრუნებულიყავით, რომ გზაზე უკან დაბრუნებისას დანიარის სიმღერისათვის გვესმინა. მისმა ხმამ თითქოს ჩემს გულში დაიბუდა, სულ თან დამსდევდა: ეს ხმა მესმოდა, როცა დილით ცხენების ასახსნელად მივრბოდი ცვარდაკრულ ველზე და მზე სიცილით, თითქოს მე მხვდებაო, ამოიწვერებოდა ცის კიდეზე, მესმოდა ეს ხმა მოხუცების მიერ გასანიავებლად აქნეულ ოქროსფერი ხორბლის შრიალა წვიმაში, ტრამალის თავზე დაკიდებულ ძერის ამაყ ფრენაში, — ყველგან და ყველაფერში მესმოდა და მელანდებოდა დანიარის მუსიკა.

საღამოჟამს, როდესაც ჩვენ ხეობით უკან ვბრუნდებოდით, ძეჩვენებოდა, რომ სხვა სამყაროში ვსახლდებოდით. თვალდახუჭული ვუსმენდი დანიარს და ჩემს წინ ცოცხლდებოდა ბავშვობიდანვე საოცრად ნაცნობი, მშობლიური სურათები: ჩემს წინ სულ მაღლა, ზევით, წეროების სამფლობელოში, იურტების თავზე წამოყუდებულნი მიცურავდნენ გაზაფხულის ნაზი, მოხეტიალე, მონაცრისფრო—მტრედისფერი ღრუბლები, ხან საზაფხულო საძოვრებისაკენ ხმაურითა და ფრუტუნით გაიქროლებდა ცხენის რემა, კვიცები, მოკლედ შეკრეჭილი ფაფარით, თვალებში ჩამდგარი ველური ცეცხლით, ამაყად ყელდაღერილნი კუნტრუშით უსწრებდნენ წინ დედებს: ან დინჯ ნაკადად იშლებოდა ბორცვებზე ცხვრის ფარა; ანდა კლდიდან გიჟივით ეშვებოდა ჩანჩქერი და თეთრი შხეფებით აბობოქრებული თვალს გვრიდა თავისი ბრწყინვალებით, ხანდახან მდინარის გაღმა, ვაციწვერებით დაფარულ ტრამალზე მსუბუქად ეშვებოდა მზის სხივი და მარტოხელა შორეული მხედარი ცეცხლოვან ჰორიზონტზე თითქოს მას მისდევდა, იფიქრებდი დაეწევა, საცაა მისწვდებაო და შემდეგ ისიც მწუხრში იძირებოდა.

ფართოდ გადაშლილ ყაზახეთის ტრამალს ერთმანეთისაგან

დაეშორებინა ჩვენი მთები და თვითონ კი გაწოლილიყო მკაცრი და უკაცრიელი.

მაგრამ იმ ზაფხულს, როცა ომმა დაიქუხა, ტრამალზე კოცონები აინთო, ცხენთა რემებმა მტვრის ღრუბლით დაპფარეს ტრამალი, ყველა მხარეს სერავდნენ მას მაცნეები, რომელთაც ამბავი მიჰქონდათ შორეულ კუთხეებში, ახლაც მახსოვს როგორ ყვიროდა ცხენზე ამხედრებული ყაზახი ყელისმიერი ძლიერი ხმით მდინარის მეორე ნაპირიდან.

— ცხენებზე, ყირგიზებო, მტერი დაგვესხა! — და მიჰქროდა უფრო შორს, მტვრის ღრუბლებში მოჩვენებასავით ქრებოდა.

ყველანი ფეხზე დააყენა ტრამალმა, მკაცრი-საზეიმო გუგუნით დაიძრნენ მთებიდან ველებისაკენ ჩვენი პირველი ცხენოსანი პოლკები. წკრიალებდა ათასობით მოსართავი, ტრამალს გასცქეროდა ათასობით ჯიგიტი, წინ წითელი დროშები ფრიალებდნენ, უკან კი ცხენების ფლოქვთა ხმაურში იკარგებოდა დედებისა და ცოლების მოთქმა: „გფარვიდეთ ტრამალი, გფარვიდეთ ჩვენი გმირის მანასეს სული!“.

იქ, სადაც ომში მიმავალმა ადამიანებმა გაიარეს, მწარე, სევდის მომგვრელი ბილიკები გაიკვალა.

მიწიერი სილამაზისა და წუხილის ამ სამყაროს გადაშლიდა ხოლმე თავისი სიმღერით ჩემს წინაშე დანიარი. სად ისწავლა, ან ვისგან გაიგო მან ყველაფერი ეს? მე მესმოდა, რომ ასე მხოლოდ იმას შეეძლო ჰყვარებოდა თავისი მიწა-წყალი, ვისაც წლების მანძილზე აწუხებდა სევდა მშობელი მიწისაგან განშორებისა, ვინც სათუთად ინახავდა ამ განცდას. როცა დანიარი მღეროდა, მე ვხედავდი თვითონ მას, პატარა ბიჭუნას, ბედის საძიებლად ტრამალზე მოხეტიალეს. შეიძლება ეს სიმღერები მაშინ დაიბადა? ანდა იქნებ მაშინ, როდესაც ომის გზებზე სისხლიან, ცეცხლით განათებულ კილომეტრებს ითვლიდა.

ვუსმენდი და მინდოდა დავმხობილიყავი მიწაზე, მაგრად ჩავხვევოდი, ჩავკონებოდი მას, მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანს შეუძლია ასე ძლიერად უყვარდეს მშობელი მიწა. პირველად მაშინ ვიგრძენი, რომ ჩემს გულში გაჩნდა რაღაც ახალი გრძნობა, რომლის სახელიც მე არ ვიცოდი. ეს იყო რაღაც დიდი, დაუძლეველი სურვილი გამომესახა ჩემი თავი, სწორედაც

გამომესახა, არა მარტო თვითონ დამენახა და შემეგრძნო სამყარო, არამედ სხვებისთვისაც გამეგებინებინა ჩემგან დანახული, განცდილი, მომეთხრო ადამიანებისათვის ჩვენი მიწის მშვენიერებაზე, ისევე შთაგონებულად, როგორც ეს დანიარს შეეძლო. მე გულს მიკუმშავდა გამოურკვეველი შიში და სიხარული, რაღაც გამოუცნობის წინაშე. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ამის გადმოსაცემად ხელში ფუნჯი უნდა ამეღო.

ბავშვობიდანვე მიყვარდა ხატვა. სახელმძღვანელოებიდან სურათებს ვიხატავდი და ამხანაგები ამბობდნენ: ზუსტად ჰგავსო. სკოლაში მასწავლებლები მაქებდნენ, როდესაც კედლის გაზეთისთვის ნახატები მიმქონდა. შემდეგ კი ომი დაიწყო, ძმები არმიაში წავიდნენ, მე სკოლას თავი დავანებე და ჩემი ტოლების მსგავსად კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა, დამავიწყდა საღებავებიცა და ფუნჯიც, არც ვფიქრობდი, რომ ოდესმე გავიხსენებდი. დანიარის სიმღერებმა სული ამიფორიაქა. სიზმარეულივით დავდიოდი და ქვეყანას გაკვირვებული თვალებით ვუცქერდი, თითქოს პირველად ვხედავდი.

გამოიცვალა ჯამილაც! თითქოს არასოდეს ყოფილიყოს ყოჩაღი, ენამწარე და დამცინავი. გაზაფხულის ნაზი სევდა გადაეკრა მის მიმქრალ თვალებს. გზაზე იგი გამუდმებით ფიქრობდა რაღაცაზე, ბუნდოვანი, მეოცნებე ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე, გამოუთქმელად ახარებდა რაღაც კარგი, რის შესახებაც მხოლოდ მან იცოდა. ხშირად, შეიგდებდა ტომარას მხარზე და იდგა რაღაც გაურკვეველი მოკრძალებით გარინდებული. თითქოს მის წინ დიდი ნაკადი მოაგელვებს ტალღებს და არ იცის გადადგას ნაბიჯი თუ არა. დანიარს იგი ერიდებოდა, თვალს ვერ უსწორებდა.

ერთხელ კალოზე უთხრა უძლური, განაწამები წყენით:

— გაგეხადა ეგ შენი გიმნასტურა, გაგირეცხავდი!

შემდეგ, როცა ხალათი მდინარეში გარეცხა და გასაშრობად მიწაზე გააფინა, თვითონაც იქვე ჩამოჯდა და დიდხანს მონდომებით ასწორებდა ხელისგულებით, მზეზე აკვირდებოდა გაცვეთილ მხრებს, თავს იქნევდა და ისევ ასწორებდა წყნარად და სევდიანად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვნახე, რომ ჯამილა იცინოდა გულიანად, გადამდებად, მას თვალებიც უცინოდნენ. კალოზე მხიარული ხმაურით შემოუხვიეს ქალებმა, გოგონებმა და ჯიგიტებმა, ყოფილმა ფრონტელებმა, რომლებიც თივის დაზვინვაზე მუშაობდნენ.

— ეი, ბატონებო, მარტო თქვენ გეჭმევათ ხორბლის პური? გაგვიმასპინძლდით, თორემ მდინარეში გადაგყრით! — და ჯიგიტებმა ხუმრობით ფიწლები შემართეს.

— ვის აშინებთ! მე ჩემს მეგობრებზე ვიზრუნებ, თქვენი გამასპინძლება კი რა ჩემი საფიქრებელია?! — სიცილით გამოეპასუხა ჯამილა.

— თუ ასეა, მოგიწევთ წყალში ბანაობა!

ატყდა ხარხარი, აურზაური, ხელის კვრა.

— სტაცე ხელი და გადაუძახე წყალში! — ყველაზე ხმამაღლა ჯამილა იცინოდა, თან სწრაფად და მოხერხებულად იცავდა თავს. ყველა ცდილობდა ჯამილასათვის ჩაევლო ხელი და მისკენ იქაჩებოდნენ. სამმა ჭაბუკმა ერთად დაატანა ხელი და მდინარისაკენ წაიყვანა.

— გვაკოცე, თორემ მოგიწევს ბანაობა!

— აბა, ბიჭებო, ერთი... ორი... და...

ჯამილა ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, ხარხარებდა კისერგადაგდებული, მეგობარ გოგონებს უხმობდა საშველად. მაგრამ მათ არ ეცალათ, ნაპირ-ნაპირ მისდევდნენ წყალს და მდინარეში ჩავარდნილ თავსაფრებს იჭერდნენ, საერთო ხარხარში ჯამილამ წყალში მოადინა ტყაპანი და ამოვიდა იქიდან გაწეწილი, დასველებული თმებით, უფრო ლამაზი და მიმზიდველი, ვიდრე ადრე. სველი ჩითის კაბა შემოტმასნოდა მრგვალ, ძლიერ თეძოებს, ლამაზ ქალურ მკერდს, ის კი ვერაფერს ამჩნევდა და იცინოდა, წამოწითლებულ სახეზე მხიარული წყლის წვეთები ჩამორბოდნენ.

— გვაკოცე! — აჯინდებოდნენ ჯიგიტები.

ჯამილა კოცნიდა მათ და ისევ და ისევ წყალში ადენდა ტყაპანს, ამოსული კი თავის გადაქნევით უკან აგდებდა სველ, დამძიმებულ კულულებს.

ახალგაზრდების ხუმრობამ კალოზე მყოფნი გაამხიარულა,

მოხუცმა გამნიავებლებმა ნიჩბები მიატოვეს და სიცილისაგან თვალზე მომდგარ ცრემლებს იწმენდნენ. ნაოჭები სიხარულისაგან გაბრწყინებოდათ და ასე იფიქრებდით თითქოს წამით ახალგაზრდული იერი დაუბრუნდათო. მეც გულით ვიცინოდი. ყველაფერი დამავიწყდა, ჩემი მოვალეობაც კი — დამეცვა ჯამილა ჯიგიტებისაგან.

მხოლოდ დანიარი არ იცინოდა. მე ეს შემთხვევით შევნიშნე და დავდუმდი. იგი განმარტოებით იდგა კალოს განაპირას, ფეხები ფართოდ გაეშალა და მომეჩვენა, რომ იგი მივარდება ჯიგიტებთან, გამოსტაცებს მათ ჯამილას, ისე თვალმოუშორებლივ უყურებდა, სევდიანი, აღფრთოვანებული გამოხედვით, რომელშიც სიხარულიც იყო და ტკივილიც; როცა ჯიგიტები ჯამილას აიძულებდნენ ეკოცნა მათთვის, იგი თავს დაბლა ჰხრიდა, წასასკლელად იწევდა, მაგრამ ვერ მიდიოდა.

ამასობაში ჯამილამაც შეამჩნია იგი. სწრაფად შეწყვიტა სიცილი და თვალები დახარა.

— ვილაზღანდარეთ და გვეყოფა! — უცებ მიუჩინა მან ადგილი თავგასულ ჯიგიტებს.

ვიღაც კიდევ შეეცადა მოხვეოდა მას.

— შემეშვი! — და ჯამილამ ხელისკვრით მოიშორა ახალგაზრდა, ამაყად ასწია თავი, სწრაფად დამნაშავესავით გაიხედა დანიარისაკენ და კაბის გასაწურავად გაიქცა.

მაშინ ჩემთვის ჯერ კიდევ არ იყო ნათელი ყველაფერი, რაც მათ ურთიერთობას შეეხებოდა. მართალი გითხრათ, მეშინოდა კიდეც მეფიქრა ამაზე. თავს ცუდად ვგრძნობდი, როცა ვატყობდი, რომ ჯამილას თანდათან ეძალება სევდა იმის გამო, რომ დანიარს გაურბის. უკეთესი იყო, რომ მას წინანდებურად ემხიარულა, გულკეთილად დაეცინა მისთვის. მაგრამ ამავე დროს მიპყრობდა რაღაც უცნაური სიხარული, როდესაც ღამით აულში ვბრუნდებოდით და დანიარის სიმღერებს ვისმენდით.

ხეობაში ჯამილა მუდამ ორთვალაზე იჯდა ხოლმე, ხოლო როცა ტრამალზე გამოვდიოდით, ფეხით მოდიოდა. მეც ფეხით მოვდევდი, ასე უკეთ შემეძლო მესმინა. პირველად თვითეული ჩვენგანი თავის ორთვალას მოჰყვებოდა, შემდეგ კი ნაბიჯ-ნა-

ბიჯ, ვერც კი ვამჩნევდით, ისე ვუახლოვდებოდით დანიარს. რაღაც გამოუცნობი ძალა გვეწეოდა მისკენ, სიბნელეში გვინდოდა დაგვენახა მისი თვალები, გაგვერკვია მისი სახის გამომეტყველება, ნუთუ მართლა ის მღერის — მიუკარებელი, მოღუშული დანიარი!

და ყოველთვის ვამჩნევდი, რომ აღელვებული და გრძნობამორეული ჯამილა ნელ-ნელა უწვდენდა ხელს დანიარს, მაგრამ იგი ამას ვერ ხედავდა, ზემოთ იყურებოდა, კეფაზე ხელებშემოწყობილი და ირხეოდა სიმღერის ტაქტზე, ჯამილას ხელი კი უღონოდ ეშვებოდა ორთვალის კიდეზე. იგი უცებ შეკრთებოდა ხოლმე, გამოწევდა ხელს და შეჩერდებოდა. იდგა შუაგზაზე თავჩაქინდრული, გაოგნებული და დიდხანს, დიდხანს შესცქეროდა წინ მიმავალ დანიარს, შემდეგ ისევ აგრძელებდა გზას.

ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მე და ჯამილა შეშფოთებულნი ვართ რაღაც საერთო, ერთნაირად გაურკვეველი გრძნობით. შეიძლება ეს გრძნობა დიდხანს იყო დაფარული ჩვენს სულში და ახლა მისი გამჟღავნების დღეც დადგა.

მუშაობისას ჯამილა კიდევ ახერხებდა ყველაფერი ამის დაფარვას, მაგრამ დასვენების იმ იშვიათ წუთებში, როდესაც კალოზე გვიწევდა გაჩერება, იგი ადგილს ვერ პოულობდა. გამნიავებლების გვერდით დაწრიალებდა, უნდოდა მათ დახმარებოდა, ხელს ჰკიდებდა ნიჩაბს, ჰაერში რამდენიმეჯერ აისროდა ხორბალს, შემდეგ ნიჩაბს მიაგდებდა და თივის ზვინებისაკენ მიდიოდა. ჩრდილში დაჯდებოდა და თითქოს მარტოობისა ეშინიაო, დამიძახებდა.

— კიჩინე ბალა, მოდი აქ დაჯექი!

მე ყოველთვის ველოდი, რომ იგი მეტყოდა რაღაც მნიშვნელოვანს, ამიხსნიდა რა აშფოთებდა. მაგრამ ჯამილა არაფერს ამბობდა. უჩუმრად მადებინებდა თავს მუხლებზე, იყურებოდა სივრცეში, მიჩეჩავდა ზღარბივით თმებს და ნაზად მიალერსებდა მხურვალე, ალანკალებული თითებით. ვუყურებდი შეფარული შეშფოთებისა და სევდის გამომხატველ მის სახეს და თითქოს ჩემს თავს ვხედავდი. მასაც რაღაცა აწუხებდა, მის სულშიც რაღაც ბობოქრობდა და გამოსავალს ეძებდა. ჯამილას ამისი ეშინოდა. მას საშინლად უნდოდა და ამავე დროს არც უნდოდა

გამოტყდომოდა თავს, რომ შეყვარებულია, ისევე როგორც მე მსურდა და არც მსურდა, რომ მას დანიარი ყვარებოდა. ბოლოსდაბოლოს ის ხომ ჩვენი რძალი, ჩემი ძმის ცოლი იყო.

ასეთი აზრი მე მხოლოდ წამით მომდიოდა და მაშინვე ვიშორებდი თავიდან. ჩემთვის ნამდვილი სიამოვნება იყო მეცქირნა მისი ბავშვურად გაღებული, მგრძნობიარე ტუჩებისათვის, დამენახა მისი ცრემლით დაბინდული თვალები. რა კარგი, რა მომხიბლავი იყო იგი, როგორი ნათელი შთაგონება და გრძნობა იყო გამოხატული მის სახეზე. მაშინ მხოლოდ ვხედავდი ამას და ბევრი რამ არ მესმოდა. ახლაც ხშირად ვეკითხები ხოლმე თავს: შეიძლება სიყვარული ისეთივე აღმაფრენაა, როგორც პოეტისა და მხატვრის აღმაფრენა? ჯამილას შემხედვარეს მიჩნდებოდა სურვილი გავქცეულიყავ ტრამალზე, მეყვირა, შევკითხვოდი ცასა და მიწას, რა მექნა, როგორ დამეძლია ეს გაურკვეველი შეშფოთება, გაურკვეველი სიხარული და ერთხელ, ვგონებ, პასუხიც ვიპოვნე.

ჩვეულებრივ სადგურიდან ვბრუნდებოდით. ღამე წვებოდა. ცაზე ვარსკვლავები ირეოდნენ, ტრამალს ძილი მოსძალებოდა, მხოლოდ დანიარის სიმღერა არღვევდა სიჩუმეს და იკარგებოდა შორს, სიბნელეში. მე და ჯამილა მის უკან მივდიოდით.

არ ვიცი რა აწუხებდა ამ დღეს დანიარს — მის სიმღერაში იმდენი გულში ჩამწვდომი, ნაზი სევდა და სიმარტოვე იყო, რომ ყელზე მომდგარი ცრემლი მახრჩობდა, მისდამი თანაგრძნობითა და სიბრალულით გამსჭვალულს.

ჯამილა გვერდით მიყვებოდა მის ორთვალას, ხელი ჩაეჭიდა ძგიდისათვის. როდესაც დანიარის ხმა ისევ მაღლა და მაღლა ავიდა, ჯამილამ თავი ასწია, ორთვალაზე შეხტა და დანიარს გვერდით მიუჯდა. იგი იჯდა გაქვავებული, გულზე ხელებდაკრეფილი. მე ორთვალას გვერდით მივყვებოდი, ხან წინ გადავუსწრებდი და მათ შევცქეროდი. დანიარი მღეროდა, თითქოს ვერც ამჩნევდა მის გვერდით მჯდომ ჯამილას. მე დავინახე როგორ მოთენთილად დაეშვნენ ჯამილას ხელები, როგორ მიეკრა იგი დანიარს და როგორ მსუბუქად მიაყრდნო თავი მხარზე. მხოლოდ ერთხელ შეთრთოლდა მისი ხმა, თითქოს დაოთხილმა

ცხენმა წამით ქროლვა შეაჩერაო, და ისევ ახალი ძალით აყღერდა. იგი სიყვარულზე მღეროდა.

უცნაური გრძნობა დამეუფლა. მიდამო თითქოს აყვავილდა, შეირხა, სიბნელე გადაიყარა და ვრცელ ტრამალზე მე დავინახე ორი შეყვარებული ადამიანი. ისინი ვერც კი მამჩნევდნენ. თითქოს არც ვარსებობდი ამ ქვეყნად. მივდიოდი და ვხედავდი როგორ ერთად ირხეოდნენ სიმღერის ტაქტზე, ქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდათ. მე მათ ვერ ვცნობდი. ეს დანიარი იყო. თავის გაცვეთილ, ჯარისკაცურ გიმნასტურაში, მაგრამ თვალები იყო სხვა, თვალები სიბნელეში ცეცხლს კვესავდნენ. ეს იყო ჩემი ჯამილა, წყნარი და მორცხვი, წამწამებზე აბრწყინვებული ცრემლით. მაგრამ ესენი მაინც სულ სხვა ადამიანები იყვნენ. უბედნიერესი ადამიანები. თავის მთელ სიყვარულს მშობელი მიწისადმი, რომელიც მის მუსიკას ასაზრდოებდა, დანიარი ჯამილას აძლევდა მთლიანად, უკანასკნელ წვეთამდე, იგი მისთვის მღეროდა, მას უმღეროდა.

ისევ დამეუფლა გაურკვეველი მღელვარება, რომელსაც დანიარის სიმღერა იწვევდა ჩემში. და უცებ მივხვდი თუ რა მინდოდა, რა მაწუხებდა. მე უნდა დამესატა ისინი.

ჩემივე აზრების შემეშინდა. მაგრამ სურვილი შიშზე ძლიერი იყო. მე მათ დავხატავ ისეთსავე ბედნიერებს, როგორნიც ახლა არიან! შევძლებ კი? სუნთქვა მეკვროდა შიშისა და სიხარულისაგან. რაღაც ტკბილ ბურანში გავეხვიე. მეც ბედნიერი ვიყავი, რადგანაც არ ვიცოდი რამდენი სირთულის წინაშე დამაყენებდა მომავალში ეს ჩემი თავხედური სურვილი. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: მიწას ისევე უნდა გრძნობდე, როგორც გრძნობს დანიარი. მე საღებავებით გადმოვცემ დანიარის სიმღერას, ჩემს სურათშიც იქნება მთები, ტრამალი, ადამიანები. ბალახი, ღრუბლები და მდინარეები. მაშინ გავიფიქრე კიდეც: „სად ვიშოვნი საღებავებს? სკოლაში არ მომცემენ — მათ ხომ თვითონ სჭირდებათ!“ თითქოს მთელი სირთულე მხოლოდ ეს იყო.

დანიარის სიმღერა მოულოდნელად შეწყდა. ჯამილამ შეაწყვეტინა. უცებ მოეხვია, მაგრამ უცებვე გონს მოეგო, წამით გაშეშდა, გაშორდა და ორთვალიდან გადმოხტა. დანიარმა

გაუბედავად მოსწია სადავეს. ცხენები გაჩერდნენ. ჯამილა გზაზე იდგა, მისკენ ზურგშებრუნებული, შემდეგ თავი ასწია, ნახევრად მოაბრუნა, ძლივს შეიკავა თვალზე მომდგარი ცრემლები და ჩაილაპარაკა:

— რას მიყურებ? — ცოტა ხნით დადუმდა და მკაცრად დაუმატა: — ნუ მიყურებ, წადი! — შენ რაღას მომაშტერდი? — ახლა მე მეცა. — ჩქარა აღვირს მოჰკიდე ხელი! — ეჰ, რა მეშველება თქვენს გადამკიდეს.

„ნეტავი რამ წამოუარა?" — ვერ გამეგო მე და თან ცხენებს ვაჩქარებდი. მიხვედრა კი არ იყო ძნელი: მას ხომ ქმარი ჰყავდა ცოცხალი, იგი სადღაც სარატოვის ჰოსპიტალში იწვა. მაგრამ მე არაფერზე ფიქრი არ მინდოდა. ვბრაზობდი საკუთარ თავზე, ვბრაზობდი ჯამილაზეც და იქნებ იგი სამარადჟამოდ შემძულებოდა კიდეც, რომ მცოდნოდა დანიარი არასოდეს აღარ იმღერებდა და მე კვლავ არასოდეს მომეცემოდა საშუალება მესმინა მისი სიმღერისათვის.

დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი, ჩქარა მინდოდა მივსულიყავით ადგილზე, დავგდებულიყავ თივაზე და აღარაფერზე მეფიქრა. ცხენები სიბნელეში მიიკვლევდნენ გზას, აუტანლად ჯაჟაჟებდა ორთვალა და აღვირი ხელიდან მივარდებოდა.

კალოზე, როგორც იქნა, ცხენებს მარტუღლები მოვხსენი, ორთვალის ქვეშ შევაგდე, ძლივს მივაღწიე თივამდე და პირდაპირ დავენარცხე ზედ. ამჯერად დანიარმა გარეკა ცხენები საბალახოდ.

ღილას რაღაც სიხარულის გრძნობამ გამომაღვიძა. მე დავხატავ ჯამილას და დანიარს. დავხუჭე თვალები და წარმოვიდგინე ჯამილა და დანიარი ისეთნი, როგორსაც დავხატავდი. თითქოს მხოლოდ ფუნჯის აღებაღა იყო ხელში საჭირო.

მდინარისაკენ გავიქეცი, პირი დავიბანე და ცხენებისაკენ გავვარდი. სველი, ცივი იონჯა ტიტველ ფეხქვეშ მედებოდა, დახეთქილ ფეხის გულებს მიჩხვლეტდა, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი. მივრბოდი და ვიმახსოვრებდი ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა. მზე ამოდიოდა მთების გადაღმიდან, არხის პირას შემთხვევით ამოსული მზესუმზირა მზისკენ მიიწევდა.

მას მზეს უფარავდნენ ირგვლივ ჯგროდ შემოხვეული თეთრთავა ველური ყვავილები, მაგრამ იგი არ ნებდებოდა, იჭერდა, ეპოტინებოდა მზის სხივს და უშვერდა გადაყვითლებულ გულს. მე მივრბოდი მშობლიურ მიწაზე და ჩემს ზევით მერცხლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეჰ, ნეტავი საღებავები მქონოდა, რომ დამეხატა დილის მზე, თეთრი-მოლურჯო მთები, ცვარმორეული იონჯა და არხის პირას ობლად ამოსული მზესუმზირა.

კალოზე დაბრუნებულს ხასიათი უცებ შემეცვალა. დავინახე მოღუშული, გაცრეცილი ჯამილა. მას ალბათ ღამით არ ეძინა, შავი ჩრდილები ჩადგომოდნენ თვალებში. არც გაუღიმია ჩემთვის, არც დამლაპარაკებია. როდესაც ბრიგადირი ოროზმატი დაინახა, მასთან მივიდა და არ მისალმებია ისე უთხრა:

— წაიყვანე შენი ორთვალა! სადაც გინდა გამიშვი, სადგურში აღარ წავალ!

— რას ამბობ, ჯამილტაი, რა ბზიკმა გიკბინა?—გულკეთილად გაიკვირვა ოროზმატმა.

— ბზიკმა შენ გიკბინა ენაზე! მე კი ნუ მეკითხები! გითხარი არ მინდა და მოვათავე!

ოროზმატს სახეზე ღიმილი ჩაუქრა.

— გინდა თუ არ გინდა, ხორბლის ზიდვა მაინც მოგიწევს! — მან ყავარჯენი მიწაზე დაარტყა. — მითხარი თუ ვინმემ გაწყენინა და თავზე გადავამტვრევ ამ ყავარჯენს. შენ კი თავნებობას შეეშვი. ჯარისკაცებისთვის გადაგაქვს პური, თვითონაც ქმარი ფრონტზე გყავს! — სწრაფად შემობრუნდა და ყავარჯენზე ხტუნაობით უკან მოუხედავად გაშორდა იქაურობას.

ჯამილა დაიბნა, წამოწითლდა, დანიარისკენ გაიხედა და ჩუმად ამოიოხრა. დანიარი ოდნავ მოშორებით იდგა, მისკენ ზურგშექცეული. იგი ცალუღლის თასმებს ამაგრებდა და საუბრიდან სიტყვაც არ გამოპარვია. ჯამილა კიდევ ცოტა ხანს იყო გაჩერებული, მათრახს ატრიალებდა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და თავის ორთვალისაკენ წავიდა.

ამ დღეს ჩვენ ჩვეულებრივზე ადრე დავბრუნდით. დანიარი მთელი გზა თავგამეტებით მოერეკებოდა ცხენებს. ჯამილა დაღვრემილი იყო და ხმას არ იღებდა. ჩემს წინ გადამწვარი, გაშა-

ებული ტრამალი გადაშლილიყო. ჯერ კიდევ გუშინ ის სხვანაირად მეჩვენებოდა. თითქოს ყველაფერი ეს ზღაპრიდან მახსოვდა და თავიდან ვერ ვიცილებდი ბედნიერების სურათს, რომელმაც ჩემს გონებას ცხოვრების სულ ახალი გზები დაანახა. თითქოს ცხოვრების ყველაზე ნათელ მონაკვეთს მივაგენი. მე იგი წარმოდგენილი მქონდა თავისი ყოველგვარი წვრილმანით და მხოლოდ ეს მაღელვებდა. მანამდე ვერ დავმშვიდდი, ვიდრე მწონავ ქალს თეთრი ქაღალდის სქელი ფურცელი არ მოვპარე. თივის ზვინის უკან დავწექი, ქაღალდი გაპრიალებული ნიჩბის პირზე დავდე და გულის კანკალით ალაპს დახმარება შევთხოვე. შევთხოვე ისევე, როგორც მამაჩემი შესთხოვდა, როდესაც პირველად შემსვა ცხენზე, და ქაღალდზე პირველი ხაზები გავავლე. ეს იყო პირველი გაუბედავი შტრიხები, მაგრამ როდესაც ქაღალდზე დანიარის ნაკვთები გამოისახა, ყველაფერი დამავიწყდა. უკვე მეჩვენებოდა, ქაღალდზე გაწვა აგვისტოს ის შესანიშნავი ღამე, ვხედავდი წყნარ და საოცარ ლამაზ ტრამალს, მესმოდა დანიარის სიმღერა. ვხედავდი დანიარს მკერდგარუჯულს, თავი რომ უკან გადაეგდო, და მის მხარეზე მიკრულ ჯამილას. ეს ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნახატი იყო: აი ორთვალა, თვითონ ისინიც, კოფოზე მიგდებული სადავე, ცხენთა ზურგები ირხევიან სიბნელეში, წინ კი ტრამალია და შორეული ვარსკვლავები.

ისეთი გატაცებით ვხატავდი, რომ ვერაფერს ვამჩნევდი. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც ზედ ჩემს თავზე ვიღაცის ხმა გაისმა:

— რა დაგემართა, დაყრუვდი?

ჯამილა იყო, დავიბენი და სურათის დამალვა ვერ მოვასწარი.

— ორთვალები კარგა ხანია რაც დავტვირთეთ, მთელი საათია გიყვირით და ვერ გაგაგონეთ, აქ რას აკეთებ? ეს რაღაა?— შემეკითხა და სურათი ხელში აიღო. — ჰმ! — მან გაჯავრებულმა შეათამაშა მხრები.

მერჩივნა მიწა გამსკდომოდა. ჯამილა დიდხანს, დიდხანს ათვალიერებდა სურათს, შემდეგ სევდიანი, ცრემლმორეული თვალები მომაპყრო და წყნარად მთხოვა:

— მომეცი, კიჩინე ბალა... სახსოვრად შევინახავ... — ფურცელი ორად გაჰკეცა და უბეში ჩაიდო.

ჩვენ უკვე გზაზე ვიყავით გასულები, მე კი ჯერ გონება ვერ მომეკრიბა. თითქოს სიზმარში მოხდა ყოველივე ეს. არ მჯეროდა, ოდნავ მაინც თუ მივამსგავსე ნანახს და განცდილს, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში გულუბრყვილოდ ვზეიმობდი, იქვე ისახებოდნენ სიამაყე და ოცნებებიც — ერთიმეორეზე უფრო გაბედული, ერთიმეორეზე უფრო მომხიბლავი და თავბრუს მახვევდნენ. ახლავე მსურდა უამრავი რამ დამეხატა, ოღონდ არა ფანქრით, არამედ საღებავებით. არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი იმას, რომ ძალზე სწრაფად მივდიოდით. დანიარი მიერეკებოდა ცხენებს, არც ჯამილას უნდოდა ჩამორჩენილიყო. იგი აქეთ-იქით იხედებოდა და ხანდახან რაღაცას უღიმოდა გულუბრყვილოდ, დამნაშავესავით. მეც ვიღიმებოდი: მაშ, იგი უკვე აღარ გვიბრაზდება მე და დანიარს, და თუკი სთხოვს, დანიარი დღეს კვლავ იმღერებს...

სადგურზე ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე ძიეედით. ცხენებს ხვითქი გადასდიოდათ. დანიარმა შეუჩერებლივ დაიწყო ტომრების გადმოცლა. სად ეჩქარებოდა, რა ფიქრი უტრიალებდა ძნელი გასაგები იყო. როდესაც მატარებელი ჩაგვივლიდა, იგი შეჩერდებოდა და ხანგრძლივ, ჩაფიქრებულ მზერას გააყოლებდა, ჯამილაც იქით იხედებოდა, საითაც ის, თითქოს ცდილობდა გაეგო რას ფიქრობდა დანიარი.

— მოდი ერთი წუთით, ნალი მოძრობაზეა, დამეხმარე სულ მოვაცილოთ, — დაუძახა ჯამილამ დანიარს.

როდესაც დანიარმა ცხენს ნალი ააძრო და წელში გაიმართა, ჯამილამ მას თვალებში ჩახედა და ჩუმად ალაპარაკდა:

— შენ რა, არაფერი გესმის? თუ ამ ქვეყანაზე მარტო მე ვარ?

დანიარმა უსიტყვოდ მოარიდა თვალები.

— ფიქრობ ჩემთვის იოლია? — ამოიოხრა ჯამილამ.

დანიარს წარბები შეუტოკდა, მან ჯამილას შეხედა სევდიანად, სიყვარულით და რაღაც უთხრა წყნარად, ძალიან წყნარად, შემდეგ სწრაფად წავიდა თავისი ორთვალისაკენ, რაღაცით კმაყოფილი. მე ვუცქერდი და ვერ მომეფიქრებინა: რო-

გორ უნდა დაემშვიდებინა იგი ჯამილას სიტყვებს? რა ნუგეშია, როცა ადამიანი გეუბნება: „ფიქრობ ჩემთვის ადვილია?“ და თან მძიმედ ოხრავს.

დატვირთვა უკვე დამთავრებული გვქონდა და წასასვლელად ვემზადებოდით, როდესაც ეზოში დაჭრილი ჯარისკაცი შემოვიდა. მას ძველი, გაქექილი ფარაჯა ჰქონდა წამოსხმული, მხარზე ზურგჩანთა მოეგდო. რამდენიმე წუთით უფრო ადრე სადგურში მატარებელი ჩამოდგა. ჯარისკაცმა მიიხედ-მოიხედა და დაიძახა:

— ვინ არის აქ კურკურეუდან?

— მე ვარ კურკურეუდან! — გამოვეპასუხე და თან ვფიქრობდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო.

— ვისი ხარ, ძამიკო? — შემეკითხა და ჩემსკენ წამოვიდა, შემდეგ ჯამილა დაინახა და სახეზე გაკვირვება და ღიმილი ფუთამაშდა.

— ქერიმ, საიდან? — წამოიძახა ჯამილამ.

— ჯამილა, დაიკო! — ჯარისკაცი მას მივარდა და ორივე ხელით ჩაბღუჯა მისი ხელი.

ქერიმი ჯამილას თანასოფლელი გამოდგა.

— რა კარგი ვქენი, რომ აქეთ შემოვუხვიე! სწორედ რომ გულმა მიგრძნო! — აღგზნებული ლაპარაკობდა იგი. — მე და სადიკი ხომ ერთად ვიწექით ჰოსპიტალში — ისიც მალე დაბრუნდება. როცა მოვდიოდი ვუთხარი: დაწერე წერილი, შენ ცოლს წავუღებ-მეთქი, აჰა ჩამიბარებია. — ქერიმმა ჯამილას სამკუთხედად მოკეცილი ბარათი გადასცა.

ჯამილამ წერილი ჩაბღუჯა, წამოენთო, შემდეგ გადაფითრდა და ფრთხილად გააპარა მზერა დანიარისაკენ. იგი ორთვალასთან იდგა მარტოდმარტო, როგორც მაშინ კალოზე, ფართოდ გაეშალა ფეხები და უყურებდა ჯამილას, მის თვალებში სასოწარკვეთა იყო.

ჯარისკაცის ირგვლივ უცებ მოიყარა ხალხმა თავი. გამოჩნდნენ მისი ნაცნობები, ახლობლები, შეკითხვები დააყარეს. ჯამილამ მადლობის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ მის გვერდით ჩაიქროლა დანიარის ორთვალამ, ეზოდან გავარდა, ოღროჩოღროებზე ხტუნვა დაიწყო და გზაზე ბუღი დააყენა.

— ხომ არ გაგიჟდა ნეტავ! — გაჰყვა მას გაბრაზებული შეძახილი.

ჯარისკაცი სადღაც წაიყვანეს. მე და ჯამილა ისევ შუა ეზოში ვიდექით და ვუყურებდით გზაზე წამოვარდნილ მტვრის ღრუბლებს, რომელიც თანდათან გვშორდებოდა.

— წავიდეთ, ჯენე! — ვუთხარი მე.

— წადი, მარტო დამტოვე! — ნაღვლიანად მითხრა მან.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად მივდიოდით ცალ-ცალკე. სიცხე ტუჩებს, გამომშრალ ტუჩებს მწვავდა. გამომშრალი, დახეთქილი მიწა, მთელი დღის სიცხისაგან გავარვარებული, თითქოს ახლა გრილდებოდა და მარილს იდებდა გულზე ჭაღარად. ასევე თითქოს მარილმოკიდებულ, უფორმო მირაჟს ჰგავდა მზე, რომელიც მოჩვენებასავით ჰქრებოდა ჰორიზონტზე. იქვე თავს იყრიდნენ მონარინჯისფერო-წითელი, ქარიშხლის მომასწავებელი ღრუბლები. ჟამიდან-ჟამად წამოუბერავდა მშრალი ქარი, რომელიც თეთრ ნალექებად რჩებოდა ცხენების დრუნჩზე, უწეწავდა მათ ფაფარს, გზას აგრძელებდა და მთისძირებში წამოზრდილ აბზინდებისაკენ იწევდა საომრად.

„ალბათ გაწვიმდება“, — ვფიქრობდი ჩემთვის.

როგორ მიუსაფარად ვგრძნობდი თავს, როგორი სევდა შემომწოლოდა გულზე! ცხენებს გამეტებით ვურტყამდი მათრახს და არ ვაძლევდი საშუალებას ნელა ევლოთ. შეშფოთებით გარბოდნენ ხეობისაკენ გრძელფეხა, გამხდარი გარეული ინდაურები. ქარი გზაზე ათამაშებდა ოროვანდის ფერდაკარგულ ფოთლებს, ასეთებს პირველად ვხედავდი, იგი ალბათ ყაზახეთის მხრიდან მოიტანა ქარმა. მზე ჩავიდა. ირგვლივ არავინ იყო. დუმდა მთელი დღის განმავლობაში განაწამები ტრამალი.

როცა კალოზე მივედი, ბნელოდა. სიჩუმე იყო, არც ქარი უბერავდა. დანიარს დავუძახე.

— არ არის, მდინარისაკენ წავიდა, — შემეხმიანა დარაჯი.— ჩამოიხუთა ჰაერი და ხალხიც გაიფანტა სახლებში. ქარი თუ არ არის, რა უნდა აკეთოს კაცმა კალოზე!

ცხენები საბალახოდ გავრეკე და გადავწყვიტე მდინარისაკენ გამეხვია. ვიცოდი სადაც უნდა ყოფილიყო დანიარი.

იგი იჯდა ხრამის პირას, მოკუზული, მუხლებში თავჩარგული. მომინდა მივსულიყავი, მოვხვეოდი და რაღაც კარგი მეთქვა მისთვის. მაგრამ რა უნდა მეთქვა? ასე ვიდექი ერთ ხანს, შემდეგ მოვბრუნდი. მერე დიდხანს ვიწექი თივაზე, შევცქეროდი ღრუბლებით ჩამუქებულ ცას და ვფიქრობდი: „რატომ არის ცხოვრება ასე რთული და გაურკვეველი?"

ჯამილა არ ბრუნდებოდა. სად წავიდა, სად დაიკარგა? ვერ ვიძინებდი, თუმცა საშინლად ვიყავი დაღლილი. მთების იქით, სადღაც იციალებდა რაღაც და გააპობდა ხოლმე ჩამუქებულ ღრუბლებს.

მე ჯერ კიდევ არ მეძინა, როდესაც დანიარი დაბრუნდა. იგი უმიზნოდ დაბორიალობდა კალოზე და თვალი გზისკენ ეჭირა. შემდეგ კი ჩემს ახლოს დაემხო თივაზე. ალბათ, წავა სადმე, აღარ დარჩება აულში? ან კი სად უნდა წავიდეს? ვის სჭირდება მარტოხელი და უსახლკარო? და უკვე ძილმორეულმა გავიგონე მოახლოებული ორთვალის ხმაური. ალბათ ჯამილა იყო...

არ მახსოვს რამდენ ხანს მეძინა... უცებ ზედ ჩემს ყურთან, თივაზე ვიღაცის ნაბიჯები აშრიალდა. თითქოს სველი ფრთა შემეხო მხარზე. თვალი გავახილე. ჯამილა იყო. იგი მდინარიდან მოდიოდა, სველი, გაწურული ტანსაცმლით. ჯამილა შეჩერდა, შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ და დანიარის გვერდით დაჯდა:

— დანიარ, მოვედი, მე თვითონ მოვედი, — წყნარად თქვა მან. სიჩუმეს დაესადგურებინა ირგვლივ. სადღაც დაბლა ელვამ დაპკვესა.

— გეწყინა? ძალიან გეწყინა, არა?

ისევ სიჩუმე, მხოლოდ მსუბუქი ხმაურით ჩავარდა მდინარეში ხრამის კიდეს მოწყვეტილი კოლბოხი.

— განა მე ვარ დამნაშავე? არც შენ ხარ დამნაშავე...

მთები გრუხუნმა შეაზანზარა, ჯამილას პროფილი ელვამ გაანათა. მან ისევ მიიხედ-მოიხედა და დანიარს ჩაეკრა. დანიარის მკლავებში მოქცეულ ჯამილას მხრები უთრთოდა. შემდეგ გასწორდა და გვერდით მიუწვა.

მსუსხავმა ქარმა გადაურბინა ტრამალს, ჰაერში აიტაცა თივა და უმოწყალოდ დაეძგერა კალოს განაპირას მდგომ, წაფერდე-

ბულ იურტას, შემდეგ გზაზე გავარდა და ბზრიალასავით დატრიალდა. ისევ ათამაშდა ღრუბლებში ელვის ნაპერწკლები და ზედ ჩვენს თავზე გავარდა მეხი. შიში და სიხარული შეენაცვლა ერთმანეთს, ეს იყო ზაფხულის უკანასკნელი ჭექა-ქუხილი.

— რამ გაფიქრებინა, რომ სადიკში გაგცვლიდი? — მხურვალედ ეჩურჩულებოდა დანიარს ჯამილა. — არა, არა! მე მას არასდროს არ ვყვარებივარ. ჩემს მოკითხვასაც კი წერილის ბოლოში აწერდა. არ მინდა მე იგი თავისი დაგვიანებული სიყვარულით, რაც უნდათ ის ილაპარაკონ! ჩემო ძვირფასო, შენ თავს არავის დავუთმობ! მე დიდიხანია მიყვარხარ, მიყვარდი მაშინაც, როდესაც არ გიცნობდი, თითქოს შენ გელოდი და მოხვედი კიდეც!

ელვის ცისფერი სხივები ერთიმეორის მიყოლებით იკლაკნებოდნენ და მდინარეში ტყდებოდნენ. თივაზე წვიმის წვეთები აშრიალდნენ.

— ჯამილამ, საყვარელო, ძვირფასო ჯამილტაი! — ეჩურჩულებოდა დანიარი. იგი ჯამილას უძახდა ყველაზე ნაზ ყაზახურ და ყირგიზულ სახელებს. — მეც ხომ დიდიხანია მიყვარხარ, შენზე ვოცნებობდი სანგრებში, მე ვიცოდი, რომ ჩემი სიყვარული სამშობლოში მელოდა და ეს შენ იყავი, ჩემო ჯამილა!

— მობრუნდი, თვალებში ჩაგხედო!

წვიმამ დაუშვა.

თითქოს დაჭრილი ჩიტიაო, ფრთების ფართხუნით დაბლა დაეშვა იურტიდან მოგლეჯილი ქეჩა. მძვინვარებდა წვიმა, თითქოს მიწას კოცნისო, ხან კოკისპირულად დაუშვებდა, ხანაც ქარი ამოუბერავდა და წვიმის ნაკადი ირიბდებოდა. ცაზე მძლავრად გადაიქუხებდა ხოლმე მეხი. თითქოს გაზაფხულზე ტიტები ელვარებენო, მთების თავზე იელვებდნენ ნაპერწკლები. ღმუოდა, ბობოქრობდა ქარი.

წვიმდა, მე კი ვიწექი თივაში თავჩარგული და ვგრძნობდი რა ძლიერად მიცემდა გული. ბედნიერი ვიყავი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პირველად შევხედე მზეს. კარავში წვიმა ჩამოდიოდა, კვესავდა ელვის ნაპერწკლები, მაგრამ მაინც კარგად ვგრძნობდი თავს,

ვთვლემდი, ღიმილი არ მშორდებოდა და ვერ გამეგო ეს ჯამილა და დანიარი ჩურჩულებდნენ, თუ წვიმის წვეთები შრიალებდნენ თივაზე.

ახლა კი გადაუღებლად იწვიმებდა, შემოდგომისპირი იყო. ჰაერში იგრძნობოდა ნესტით გაჟღენთილი აბზინდისა და სველი თივის სურნელი. რა მოგველოდა შემოდგომაზე? ამაზე რატომღაც არ ვფიქრობდი.

იმ შემოდგომაზე, ორწლიანი შესვენების შემდეგ, მე ისევ წავედი სკოლაში. გაკვეთილების დამთავრებისას ხშირად მივდიოდი მდინარის ნაპირზე, მორევთან, იქ, სადაც ზაფხულში კალო იყო, აქ მე მოწაფის საღებავებით ვხატავდი ჩემს პირველ ეტიუდებს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბევრი რამ არ გამეგებოდა, მაინც ვხვდებოდი ყველაფერი ისე არ გამომდიოდა, როგორც მინდოდა.

„საღებავები არ მივარგა, ნამდვილი რომ მომცა, მაშინ!“ — ვამბობდი ჩემთვის, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი საღებავები.

მხოლოდ ძალიან გვიან მომიწია მენახა ნამდვილი ზეთის საღებავები ტყვიის ტუბებში.

საღებავები საღებავებად, მაგრამ მასწავლებლები მართალნი იყვნენ, როცა ამბობდნენ: სწავლაა საჭიროო. მაგრამ იმ დროს ამაზე ოცნებაც ჭირდა. რა დროს ეს იყო, როცა ძმებისაგან არაფერი ისმოდა და დედა მე, „ორი ოჯახის მარჩენალსა და ჯიგიტს“ არსადაც არ გამიშვებდა, ამაზე ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი. შემოდგომა კი ისეთი ლამაზი იყო, თითქოს გთხოვდა დამხატეო.

გათავთხელდა მდინარე კურკურეუ, ლოდებზე ხავსი გაჩნდა. ნაადრევმა სუსხმა წითლად შეაფერადა ტირიფი, მაგრამ ალვის ხეები კიდევ ინარჩუნებდნენ გაყვითლებულ სქელ ფოთლებს.

მეჯოგეების გაჭვარტლული, წვიმისგან გადარეცხილი იურტები შავად მოჩანდნენ აქვიტებისაგან აწითლებული ჭალის ფონზე, საკვამურებიდან ცისკენ მიიწევდა შავი-მოიისფრო კვამლი. ისმოდა ძარღვმაგარი კვიცების ხმამაღალი ჭიხვინი, თავაწყვეტილი დარბოდნენ ჭაკები, ახლა უკვე გაზაფხულამდე ძნელად თუ მოიძევდა მათ კაცი რემაში. საზაფხულო საძოვ-

რებიდან დაბრუნებული საქონელი ჯგროდ დაეხეტებოდა ნამ-
კალზე. წამოწითლებულ ტრამალს აღმა-დაღმა სერავდნენ სა-
ქონლის ჩლიქებდაჩნეული ბილიკები.

მალე ტრამალიდან ქარმაც წამოუბერა, ცა აიმღვრა, დაიწ-
ყო თოვლის მომასწავებელი ცივი წვიმები. ერთხელ კარგი
ამინდი გამოვიდა, მდინარისაკენ გავწიე. მე იქ დიდიხანია შე-
თვალთვალებული მქონდა მთის ცირცელის ცეცხლისფრად
მოელვარე ბუჩქი. საღამოხანი იყო, ვიჯექი ფონთან, ტირიფ-
ნარში. უცებ შევამჩნიე ორი ადამიანი, რომელნიც ალბათ
ფონზე ფეხით გადავიდნენ. დავაკვირდი: დანიარი და ჯამილა
ეიცანი. თვალი ვერ მოვაშორე მათ მკაცრ, შეშფოთებულ სა-
ხეებს. მხარზე ზურგჩანთა მოგდებული დანიარი სწრაფად
მიაბიჯებდა, გახსნილი ფარაჯის კალთები ქირზის ჩექმებზე
ეფართხუნებოდნენ. ჯამილას თეთრი თავსაფარი წაეკრა, ჩაე-
ცვა თავისი საყვარელი კაბა, რომლითაც ბაზრობის დროს იწო-
ნებდა ხოლმე თავს, ხოლო კაბის ზემოდან დალიანდაგებული
ჟაკეტი მოესხა. ცალ ხელში პატარა ფუთა ეჭირა, მეორე და-
ნიარისათვის ჩაეჭიდებინა. მიდიოდნენ და რაღაცაზე საუბრობ-
დნენ.

მათ ვიწრო ბილიკით გადაიარეს ტირიფებიანი ჭალა, მე კი
კვლავ ვუცქეროდი და არ ვიცოდი რა მექნა. იქნებ დამეძახა?
მაგრამ ენა თითქოს გამიშეშდა.

უკანასკნელად ათამაშდნენ წითელი სხივები ღრუბლებით
ჩამოქუფრულ ცაზე და მთების გადაღმა დაეშვნენ. ჩამობ-
ნელდა. დანიარი და ჯამილა კი მიდიოდნენ უკანმოუხედავად,
მიდიოდნენ რკინიგზის გადასასვლელისაკენ. ერთი-ორჯერ კი-
დევ გამოჩნდა მათი თავები ტირიფნარში და შემდეგ საბო-
ლოოდ მიიმალა.

ჯამილა-ა-ა! — დავიყვირე მთელი ძალით.

ა-ა-ა-ა! — ობლად გამომეხმაურა ექო.

ჯამილა-ა-ა!—ვიყვირე ისევ და გონდაკარგულმა პირდაპირ
გავტოპე მდინარეში.

ყინულივით ცივი შხეფები სახეში მცემდნენ. ტანსაცმე-
ლი დამისველდა, მე კი მივრბოდი, არ დავეძებდი არც გზას,
არც ბილიკს, შემდეგ რაღაცას წამოვედე და მოწყვეტილივით

დავეცი მიწაზე. ვიწექი ასე თავაუღებლად, სახეს ცრემლი მისველებდა, სიბნელე თითქოს მხრებზე დამწოლოდა, ჩემთან ერთად ტიროდნენ ქარისაგან აწრიალებული ტირიფის ტოტები.

— ჯამილა! ჯამილა! — ვსლუკუნებდი და ცრემლი მახრჩობდა. ვეთხოვებოდი ყველაზე -ახლობელ, ყველაზე საყვარელ ადამიანებს. მხოლოდ ახლა, აქ მიწაზე დაგდებული, უცებ მივხვდი, რომ ჯამილა მიყვარდა. ეს იყო ჩემი პირველი, ჩემი ბავშვობის სიყვარული.

დიდხანს ვიყავი ასე ჩამხობილი. ვეთხოვებოდი ჯამილასა და დანიარს, მათთან ერთად მე ჩემს ბავშვობას ვემშვიდობებოდი.

უკვე ბნელოდა, როცა სახლამდის მივაღწიე; ეზოში აურზაური იყო, წკრიალებდა უზანგები, რახტავდნენ ცხენებს, ცხენზე შესკუპებული მთვრალი ოსმონი მთელი ძალით ბღაოდა:

— დიდიხანია უნდა გაგვეგდო აულიდან ეგ უჯიშო, მოხეტიალე ძაღლი! მთელი გვარი შეგვარცხვინა, თავს ლაფი დაგვასხა! ერთი მომაგდებინა ხელში, ადგილზევე ჩავაძაღლებ, გამასამართლონ,—ამაზე დიდი სირცხვილი შეიძლება, მოთრეულმა მაწანწალამ ქალი წაგვართვას! ჯიგიტებო, ცხენებზე! ვერსად გაგვექცევა, სადგურამდე დავეწევით.

შიშისაგან ამბურძგლა, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როცა დავინახე, რომ მდევარმა სულ სხვა მხარეს გააქროლა ცხენები, ჩუმად შევძვერი სახლში, თავიდან ფეხებამდე გავეხვიე მამაჩემის ქურქში, რომ არავის დაენახა ჩემი ცრემლები.

რამდენი ლაპარაკი, რამდენი მითქმა-მოთქმა იყო აულში! ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჯამილაზე ძვირის თქმაში!

— სულელი! როგორი ოჯახი მიატოვა! თავისი ბედნიერება თვითონვე გათელა ფეხქვეშ!

— საკითხავია, რამ მოხიბლა, რას დახარბდა? მას ხომ გაქექილი ფარაჯისა და ძირგავარდნილი ჩექმების მეტი არაფერი გააჩნია.

—საქონელი უმტვრევს თავლის კარებს! რა უნდა ჰქონდეს

უსახლკარო მაწანწალას. რაც აბადია ტანზე აცვია! არაფერია, გონს მოეგება, მაგრამ გვიან იქნება!

— სწორედ, სწორედ, ჭკვიანი ქალი სადიკს როგორ უღალატებდა! ჩვენი აულის პირველ ჯიგიტს!

— დედამთილი? განა ყველას აძლევს ღმერთი ასეთ დედამთილს? წადი და იპოვე მეორე ასეთი ბაიბიჩე! სულელმა, რა ტყუილუბრალოდ დაიღუპა თავი!

შეიძლება მხოლოდ მე არ ვკიცხავდი ჯამილას, ჩემს ყოფილ ჯენეს. რა ვუყოთ, რომ დანიარს გაქექილი ფარაჯისა და ძირგავარდნილი ჩექმების მეტი არაფერი გააჩნდა, მე ხომ ვიცოდი რა მდიდარი სული ჰქონდა მას. მჯეროდა, რომ ჯამილა მასთან ბედნიერი იქნებოდა. დედა მეცოდებოდა მხოლოდ. მეჩვენებოდა, რომ ჯამილას წასვლასთან ერთად, მას ძალ-ღონემაც უღალატა. იგი დანაღვლიანდა, გახდა და როგორც ახლა მგონია, ვერაფრით ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ცხოვრება ასე ამსხვრევდა ძველ ადათ-წესებს. თუ მძლავრ ხეს ქარიშხალი ამოძირკვავს, იგი ვერასოდეს ველარ წამოიმართება. ადრე დედას არავისთვის უთხოვია ნემსში ძაფის გაყრა, სიამაყე არ აძლევდა ნებას. ახლა კი ერთხელ სკოლიდან დაბრუნებულმა შევამჩნიე როგორ უკანკალებდა ხელები დედას, როგორ ვერაფრით ვერ მოახერხა ნემსის ყუნწში ძაფის გაყრა და როგორ ტიროდა ჩუმად.

— გამომართვი, ამიგე! — მთხოვა მან და მძიმედ ამოიოხრა, — დაიღუპება ჯამილა... ეჰ, რა დიასახლისი დადგებოდა კარგ ოჯახში! წავიდა... მიგვატოვა... რატომ მიგვატოვა? ნუთუ ცუდად ვექცეოდით?

მინდოდა მოვხვეოდი, დამემშვიდებინა იგი. მოვყოლოდი თუ როგორი ადამიანია დანიარი, მაგრამ ვერ გავბედე, ვიცოდი რომ სასტიკად შევურაცხყოფდი.

და მაინც ჩემი უნებლიე მონაწილეობა ამ ისტორიაში საიდუმლოდ არ დარჩა.

მალე სადიკი დაბრუნდა. იგი, რა თქმა უნდა, დარდობდა, თუმცა ერთხელ მთვრალმა უთხრა ოსმონს:

— წავიდა — გზაც იქით ჰქონია. ჩაძაღლდება სადღაც. ქალები კი რამდენიც გინდა იმდენია. ულამაზესი ქალიც კი არ ღირს ყველაზე უშნო მამაკაცის ფეხის ფრჩხილად.

— რაც მართალია მართალია! — პასუხობდა ოსმონი. — მარტო ის მწყინს, რომ მაშინ არ ჩამივარდნენ ხელში. ძაღლივით წავაგდებინებდი თავს, ჯამილას კი ცხენის კუდზე გამოვაბამდი. ალბათ სამხრეთით წავიდნენ, ანდა ყაზახებს შეეხიზნენ. მისთვისაც რა, მაწანწალობა ახალი ხელობაა თუ? ოღონდ ვერაფრით ვერ გამიგია, როგორ მოხდა ყველაფერი. ეს ყველაფერი გათახსირებულმა ჯამილამ მოაწყო! მე იმას ვუჩვენებდი!..

ამ სიტყვების მოსმენისას მინდოდა მეთქვა ოსმონისთვის: „ვერაფრით ვერ მოგინელებია სათიბზე რომ შეგახურა, ხომ? მართლაც, რომ ბინძურო ადამიანო!"

და აი ერთხელ სახლში ვიჯექი, სკოლის კედლის გაზეთისათვის ვხატავდი რაღაცას. დედა ღუმელთან საქმიანობდა. უცებ ოთახში სადიკი შემოვარდა. ფერდაკარგული, ბოროტად მოჭუტული თვალებით ჩემსკენ გამოქანდა და ზედ ცხვირზე მომაფარა ქაღალდის ფურცელი.

— შენ დახატე?

გავშეშდი. ეს იყო ჩემი პირველი ნახატი. იმ წუთში, ნახატიდან ცოცხალი დანიარი და ჯამილა მიყურებდნენ.

— მე.

— ეს ვინაა? — დაადო თითი ფურცელს.

— დანიარი!

— გამყიდველო! — მომახალა სადიკმა.

მან ნაკუწ-ნაკუწად აქცია ფურცელი და კარი მიიჯახუნა. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ დედამ მკითხა:

— იცოდი?

— ვიცოდი.

როგორი საყვედურითა და გაკვირვებით მიყურებდა ღუმელზე მიყრდნობილი დედა. და როდესაც ვთქვი: „მე მათ კიდევ დავხატავ!" — მან მწუხარებით, უძლურად გადაიქნია თავი.

მე კი ვუყურებდი იატაკზე დაყრილი ქაღალდის ნაკუწებს და ბოღმა მახრჩობდა. დაე მოღალატედ ჩამთვალონ. ვის ვუღალატე? ოჯახს? ჩვენს გვარს? მაგრამ სიმართლისათვის, ცხოვრების, ამ ორი ადამიანის სიმართლისათვის არ მიღალატნია. არა-

ვინ მყავდა ვისთვისაც შემეძლო ეს მეთქვა. დედაც კი ვერ გამიგებდა ვერაფერს.

ქაღალდის ნაკუწებს ბუნდოვნად ვხედავდი, ისინი ცოცხლებივით წრიალებდნენ და მახსენდებოდა წამი, როდესაც ნახატიდან ცოცხლებივით შემომანათეს დანიარმა და ჯამილამ, მეჩვენებოდა თითქოს მესმის დანიარის სიმღერა, რომელსაც აგვისტოს იმ დიდებულ ღამეს მღეროდა. მაგონდებოდა როგორ მიდიოდნენ ისინი აულიდან და მეც მომინდა გამოვსულიყავი ჩემს საკუთარ გზაზე, გაბედულად და ვაჟკაცურად შევდგომოდი საკუთარი ბედნიერების რთული გზის ძებნას.

— სასწავლებლად წავალ... ვუთხარი მამას. მხატვარი უნდა გავხდე! — მტკიცედ განვუცხადე დედაჩემს.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი დაიწყებდა საყვედურებს, ატირდებოდა, მოაგონდებოდა ფრონტზე დაღუპული ჩემი ძმები, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, არ ატირებულა. მხოლოდ ნაღვლიანად და ჩუმად მითხრა:

— წადი... წამოიჩიტეთ და ფრთებსაც თქვენებურად იქნევთ... ჩვენ საიდან გვეცოდინება რა სიმაღლეზე აფრინდებით? შეიძლება თქვენ მართალიც ხართ. წადი... თუმცა, იქნებ, გადაიფიქრო. რა ხელობაა ხატვა და თხაპნა. ისწავლი და გაიგებ... სახლი, საკუთარი სახლი არ დაივიწყო...

იმ დღიდან მცირე სახლი გამოგვეყო. სულ მალე კი მეც წავედი სასწავლებლად.

აი მთელი ამბავი.

აკადემიაში, სადაც მე სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გამგზავნეს, წარვადგინე ჩემი სადიპლომო ნაშრომი — ეს იყო სურათი, რომელზეც დიდიხანია ვოცნებობდი.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ სურათზე გამოსახულნი იყვნენ დანიარი და ჯამილა. ისინი მიდიან ტრამალზე, შემოდგომის გზაზე. მათ წინ ფართო, ნათელი ტრამალი გაშლილა.

ჩემი ნახატი არ არის სრულყოფილი, აკლია ოსტატობა — მაგრამ ეს ნახატი ჩემთვის უსაზღვროდ ძვირფასია, იგი ხომ ჩემი პირველი შემოქმედებითი წუხილი იყო.

ახლაც მომეცარება ხოლმე ხელი, ახლაც მაქვს წუთები, როდესაც საკუთარი თავის რწმენა მეკარგება და მაშინ გული გამიწევს ჩემი საყვარელი სურათისაკენ, დანიარისა და ჯამილასაკენ. დიდხანს ვუყურებ მათ და მათთან ვსაუბრობ.

„სად ხართ ახლა, რომელ გზებზე მიაბიჯებთ. ჩვენთან ტრამალზე ბევრი ახალი გზაა. გზებითაა დასერილი მთელი ყაზახეთი ალტაიმდე და ციმბირამდე. ბევრი მამაცი ადამიანი იკვლევს ახლა ამ გზებს, შრომობს. იქნებ თქვენც ამ მხარეებში მოხვდით. შენ, ჩემო ჯამილა, წახვედი ფართო ტრამალით, წახვედი ისე, რომ უკან არ მოგიხედავს. იქნებ დაიღალე, შეიძლება საკუთარი თავის რწმენა დაკარგე? მიეყრდენი მაშინ დანიარს. იგი გიმღერებს თავის სიმღერას სიყვარულზე, მიწაზე, სიცოცხლეზე! აფორიაქდება და ათასფერებით ათამაშდება ტრამალი. მაშინ შენ მოგაგონდება აგვისტოს ღამე! იარე, ჯამილა, იარე, ნუ ინაღვლებ, შენ იპოვნე შენი ბედნიერება!“

ვუყურებ მათ და მესმის დანიარის ხმა. მე იგი მიხმობს გზისკენ, მაშასადამე, დროა მოვემზადო. მე წავალ მშობლიურ სოფელში, გავივლი ტრამალზე და უამრავ ახალ ფერს დავინახავ.

დაე, ჩემს ყოველ ნახატში ეღერდეს დანიარის სიმღერა! ჩემს ყოველ ნახატში ძგერდეს ჯამილას გული!

„არ გათელილა ჯერ იქ ბილიკი,
არ გამტვრეულა ფიჩხისა წკირი,
ორმოცი დღეა ცხენს მიაქროლებს,
შეუჩერებლივ ვიღაცა მწირი...“

(ყირგიზული ხალხური თქმულებიდან)

I

წყაროდან ნახევარი ვედრო წყლის ამოღებაც ვერ მოვასწარი და ტრამალი გააყრუა ყვირილმა:

— ე-ე-ე! აკადემიკოსო, ცხვირ-პირს დაგამტვრევ!

გავშეშდი. ყური მივუგდე. სხვათაშორის, მე ქემელი მქვია, მაგრამ აქ აკადემიკოსი შემარქვეს. ნამდვილად ასეა: გაღმა ბოროტად დამუნჯებულა ტრაქტორი. ის, ვინც ცხვირ-პირის დამტვრევას მპირდება, — აბაკირია. ისევ ამიღრიალდება, გამ-

ლანძღავს, იქნებ ცემაც დამიპიროს. წყლის მიტანას ვერ ვასწრებ. ტრაქტორი ორია, მე კი ერთი, მე მათ ჩემი ერთცხენიანი ორთვალათი წყალი, საწვავი, საცხი და, ვინ იცის, რა არ უნდა მივუზიდო. ტრაქტორები კი ყოველდღიურად სულ უფრო შორდებიან ერთადერთ წყაროს მთელს ოლქში, სულ უფრო შორდებიან ჩვენს საველე ბანაკს, რომელიც ერთადერთია ამ ქვეყნად და სადაც ინახება საწვავიანი ცისტერნა. უნდოდათ იგი ახლო გადმოეტანათ, არაფერი გამოვიდა — ისიც წყალსაა მიჯაჭვული. აბაკირს კი არ უნდა გაიგოს. „ცხვირ-პირს დაგიმტვრევ, შენი მიზეზით ვცდები! — ესაა და ეს. — იმიტომ კი არ ვმუშაობ ვირივით, რომ ვიღაც ცხვირმოუხოცელი სტუდენტისათვის დავკარგო დრო!“.

მე კი სულაც არა ვარ სტუდენტი. ინსტიტუტში შესვლაც არ მიცდია, პირდაპირ სკოლის დამთავრებისთანავე მოვედი ანარხაიში. როდესაც გვაცილებდნენ, კრებაზე ამბობდნენ, რომ ჩვენ, მათ შორის მეც: „ყაზირის მამაცი დამპყრობნი, განახლებული მხარის პიონერები ვართ“. აი, ვინ ვიყავი მე თავდაპირველად. ახლა კი?.. მრცხვენია კიდეც: —„აკადემიკოსი“. ასე მომნათლა აბაკირმა. თვითონ ვარ დამნაშავე. არ მეხერხება ჩემი აზრების დაფარვა, ხმამაღლა ვოცნებობ პატარა ბავშვივით, ხალხი კი დამცინის. თუმცა კაცმა რომ თქვას, ისე მე არ ვარ დამნაშავე, როგორც ჩემი ისტორიის მასწავლებელი ალდიაროვი, მხარეთმცოდნე! ამიყოლია და ახლა სამაგიეროს ვზღავ...

ხევიდან გზაზე ისე გამოვედი, რომ ხეირიანად ვერც გავავსე კასრი. თუმცა აქ გზა არც არასოდეს ყოფილა, მე გავტკეპნე ჩემი ორთვალით.

ტრაქტორის კაბინა ძლივს მოჩანს გადაშავებული მინდვრის ბოლოში. კაბინაში კი აბაკირია. იგი ალბათ ისევ მუშტებს იქნევს და ულმერთოდ მლანძღავს.

ცხენს მათრახი გადავუტირე. წყალი ზურგზე მესხმება, მე კი მივაქროლებ, რაც შემიძლია. მომხვდება აბაკირისაგან.

მე თვითონ მოვითხოვე აქეთ წამოსვლა, არავის დაუტანებია ძალა. სხვები ყაზახეთში წავიდნენ, ნამდვილ ყამირზე. რომელზეც გაზეთებში წერენ. ანარხაიში კი მარტო მე წამო-

ვედი. პირველი გაზაფხულია რაც აქ მუშაობენ და ისიც ორი ტრაქტორით. შარშან აგრონომმა სოროკინმა — ის აქ ყველაზე უფროსია — პატარა ფართობზე გამოსცადა ურწყავი ქერი. ამბობენ, კარგად გაიხარაო. თუ ასე გაგრძელდება, საკვების პრობლემა ანარხაის ტრამალზე შეიძლება გადაწყდეს.

ჯერ კი სიფრთხილეა საჭირო. გვალვიანი და მცხუნვარეა ზაფხულობით ანარხაი. ხანდახან ნარეკალი-ტაშ-ტიკენიც ძირიანად ხმება. ის კოლმეურნეობები, რომლებიც შემოდგომით აქეთ ერეკებიან საქონელს, არაფერს თესავენ, სხვებს ელოდებიან, ვნახოთ რა გამოვაო. იმიტომაც ვართ ასე მცირერიცხოვანნი: ორი ტრაქტორისტი, ორი მიმბმელი, მზარეული ქალი, მე — წყლისმზიდავი და აგრონომი სოროკინი. აი ყამირის დამმორჩილებელთა მთელი არმია. ვეჭვობ, ვინმემ რამე იცოდეს ჩვენზე და არც ჩვენ ვიცით ბევრი რამ, რაც ამ ქვეყნად ხდება. სოროკინი თუ მოიტანს ახალ ამბავს. იგი ხანდახან ცხენით მიდის ხოლმე მწყემსებთან, მწყემსებს რადიოსადგური აქვთ, იქიდან ეჩხუბება უფროსებს და ცნობებს აწვდის ხოლმე ანგარიშგებისათვის.

მე კი ვფიქრობდი — ყამირი, მასშტაბები! თუმცა ამის მიზეზი ისევ ჩვენი ისტორიკოსი ალდიაროვია, ის ასე გვიხატავდა მოწაფეებს ანარხაის:

„საუკუნოობით ხელუხლებელი, აბზინდებით აფერადებული ტრამალი, კურდაის ქედებიდან ბალხაშის ლერწმებამდე გადაშლილი! გადმოცემით, წინათ ამ ტრამალში უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ შემთხვევით მოხვედრილი რემები და შემდეგ დიდხანს დაეხეტებოდნენ გაველურებული ცხენები. ანარხაი— წარსული ეპოქების უტყვი მოწმე, გრანდიოზული ბრძოლებისა და მომთაბარე ტომების არენა იყო. ჩვენს დღეებში კი ანარხაი სამომთაბარო მეცხოველეობის უდიდესი ცენტრი უნდა გახდეს“. და ასე დაუსრულებლივ...

კარგი სანახავი იყო მაშინ ანარხაი რუკაზე, იგი ხომ სულ ხელისგულის ოდენაა. ახლა კი? განთიადიდან დავაქროლებ აქეთ-იქით ამ სულელურ წყალსაზიდს. საღამოთი ძლივს გამოვხსნი ხოლმე ცხენს, დავუყრი დაწნეხილ თივას, ჩვენთან რომ მანქანებით მოაქვთ. შემდეგ უგემურად ვჭამ იმას,

რასაც მაძლევს ჩვენი ალდეი, მივეგდები იურტაში და მკვდარივით ვიძინებ.

ის, რომ ანარხაი აბზინდებით აფერადებული ტრამალია — სწორია. შეიძლება საათობით იხეტიალო და დატკბე მისი სილამაზით, მაგრამ ვის აქვს ამის დრო.

ყველაფერ ამას არა უჭირს რა, მაგრამ ერთი ვერ გამიგია, რატომ არ მოვეწონე აბაკირს, რატომ შემიძულა ასე? ნეტავ ვიცოდე რა მელის აქ. მზად ვიყავი ყოველგვარი განსაცდელისათვის, რასაც ბუნება გვიმზადებდა, რადგან სტუმრად კი არა, საცხოვრებლად მივდიოდი, მაგრამ ადამიანებზე, რომლებთანაც მომიწევდა ცხოვრება და მუშაობა, რატომღაც არ მიფიქრია. ადამიანები ყველგან ადამიანები არიან...

მე აქეთ ორი დღე-ღამე მოვდიოდი მანქანით. მანქანას ძარაში წყალსაზიდი ეგდო. რას ვიფიქრებდი, რომ სწორედ ის გამიმწარებდა სიცოცხლეს.

მე ხომ მიმბმელი უნდა ვყოფილიყავი. ვფიქრობდი, ვიმუშავებ ერთ გაზაფხულს, ვისწავლი და მერე თვითონ გავხდები ტრაქტორისტი. ასე მითხრეს რაიონში. ამ ოცნებით გამოვეშურე ანარხაისაკენ. როცა ადგილზე მოვედი, გამოირკვა, საბმურის მიმბმელები უკვე არიან და რომ მე წყლის მზიდავად ვარ გამოგზავნილი. რა თქმა უნდა, იმ წუთში უნდა დავბრუნებულიყავი სახლში. მითუმეტეს, რომ არასოდეს არ მქონია საქმე მარტუღელსა და ხელნებთან. და საერთოდ, არსადაც არ მიმუშავნია, ხანდახან დედას თუ ვეხმარებოდი შაქრის ქარხანაში მოწყობილი შაბათობების დროს. მამა ფრონტზე დამეღუპა. მე იგი არც მახსოვს. და აი გადავწყვიტე დამეწყო დამოუკიდებელი ცხოვრება... თუმცა, სჯობდა მაშინვე დავბრუნებულიყავი უკან. შემრცხვა. იმდენი ხმაური იყო იმ კრებაზე! დედაც არ მიშვებდა, უნდოდა, რომ ექიმი გავმხდარიყავი. მაგრამ მე ავიჩემე, დავარწმუნე — დაგეხმარები-თქო. თვითონ მინდოდა, ერთი სული მქონდა, ვიდრე ჩამოვიდოდი. როგორ შემეხედა ხალხისათვის, უცებ რომ დავბრუნებულიყავი? რა გზა იყო, დავჯექი წყალსაზიდზე. თუმცა ჩემი უბედურება აქედან არ დაწყებულა.

ჯერ კიდევ გზაზე გაფაციცებით ვათვალიერებდი ყველაფერს. აი ისიც, ლეგენდარული ანარხაი! მანქანა მიჰქროდა ძლივს გასარჩევ გზაზე, რომელიც იკარგებოდა ბორცვებიან, ამწვანებულ ტრამალზე, მსუბუქად რომ ჩამოსწოლოდა მოლურჯო ნისლი. მიწა ისევ გამოსცემდა გამდნარი თოვლის სურნელს. ნესტიან ჰაერში კი უცვე იგრძნობოდა სუნთქვა ანარხაული აბზინდისა, რომლის ყლორტებიც გზას იკვლევდნენ მიწის პირისაკენ. ქარს, რომელიც სახეში გვცემდა, თან მიჰქონდა მოგუგუნე ხმაური გაშლილი სივრცისა და გაზაფხულის სიფაქიზე. ჩვენ ჰორიზონტს მივსდევდით, ის კი გაგვირბოდა ფერდობებს მიღმა და შემდეგ ისევ გადაგვიხსნიდა ხოლმე თავის ფართო გულს.

მეჩვენებოდა, თითქოს ვისმენდი გარდასულის ხმას. ირხეოდა და გუგუნებდა მიწა ცხენთა ათასეულების ფლოქვებქვეშ აკანკალებული. აბობოქრებული ოკეანის ტალღასავით, ველური ღრიალითა და შეძახილებით, მოჰქროდნენ შუბებით შეიარაღებული ამხედრებული მომთაბარეები. ჩემს თვალწინ გაიელვებდნენ საშინელი ხოცვა-ჟლეტის სურათები. ჟღარუნებდა ფოლადი, ღრიალებდნენ ადამიანები, ერთმანეთს ერკინებოდნენ ყალყზე შედგარი ცხენები. მეც სადღაც ამ მშფოთვარე ბრძოლის შუაგულში ვიყავი... მაგრამ აი შეწყდა ბრძოლები, გაზაფხულის ანარხაი თეთრმა იურტებმა დაფარა. სადგომების თავზე დადგა დამწვარი წივის კვამლი. ცხვრის ფარები და ცხენის ჯოგები ძოვდნენ ბალახს, ზარების ჟღარუნით მიიკვლევდა გზას აქლემების ქარავანი. ვინ იცის, საიდან მოდიოდა, ან საით ჰქონდა გზა.

ორთქლმავლის გაბმულმა კივილმა გაძომარკვია. იგი ვაგონებს ხვევდა კვამლში, ქარს რომ მთელ სიგრძეზე გაეჭიმა და მოგაგონებდა გაჭენებულ ცხენს, რომელიც ფაფარაყრილი და კუდაპრეხილი შესჭიდებოდა სივრცეს. ასე მეჩვენებოდა შორიდან. მატარებელი კი სულ უფრო პატარავდებოდა და პატარავდებოდა, შემდეგ მუქ შავ წერტილად გადაიქცა და ბოლოს სულ მიეფარა თვალს.

ტრამალში ჩაკარგულ გადასასვლელთან რკინიგზა გადავსერეთ და გზა გავაგრძელეთ.

ჩამოსვლის პირველ დღესვე გავეცი თავი. ჯერ კიდევ გზაში განცდილის შთაბეჭდილებით ვიყავი გარემოსილი. საველე სადგომის მახლობლად იდგა ქვის ქალი. რუხი, უხეშად გამოჯორკილი გრანიტის ლოდი საუკუნეების მანძილზე იდგა აქ, როგორც მზირი, და, მიწაში ღრმად ჩამჯდარს, სივრცისათვის მიეშტერებინა თავისი უსიცოცხლო მზერა. მისი ოდნავ მოელამო მარჯვენა თვალი წვიმისა და ქარისაგან გამოშრეტილი, უსიცოცხლო, თითქოსდა წამწამების სიმძიმისაგან ოდნავ მოხუჭული, შიშის გრძნობას იწვევდა. დიდხანს ვაკვირდებოდი, შემდეგ მივედი სოროკინთან და ვკითხე:

— როგორ ფიქრობთ, ამხანაგო აგრონომო, ვინ დადგა აქ ეს ფიგურა?

სოროკინს სადღაც მიეჩქარებოდა.

— ალბათ ყალმუხებმა, — მითხრა მან, ცხენს მოახტა და წავიდა. რა იქნებოდა დავჯერებოდი ამას. არა! თითქოს ვიღაცა მეწეოდა ენაზე, მოვუბრუნდი ტრაქტორისტებსა და მიმბმელებს, რომელთა ხეირიანად გაცნობა ვერც კი მოვასწარი და ვუთხარი:

— არა, ეს არცთუ ისე ზუსტი პასუხია. ყალმუხები აქ მეჩვიდმეტე საუკუნეში მოვიდნენ. ეს საფლავის ქვა კი მეთორმეტე საუკუნის ძეგლია. იგი, ალბათ, მონღოლებმა დადგეს თავიანთი დიდი შემოსევის დროს დასავლეთისაკენ. მათთან ერთად ენისეიდან ტიან-შანის მხარეებში მოვედით ჩვენც, ყირგიზები. ჩვენამდე აქ ყივჩაღთა ტომები ბინადრობდნენ, მათზე წინ კი წითური და ღია ფერის თვალებიანი ადამიანები.

მე კიდევ უფრო ღრმად შევიჭრებოდი ისტორიაში, მაგრამ შემაწყვეტინა კომბინეზონში გამოწყობილმა კაცმა, რომელიც ტრაქტორთან იდგა.

— ეი,შენ, ჭაბუკო! — მესროლა მან გაბრაზებული მზერა. ძალიან ნასწავლი ჩანხარ. წადი, იურტიდან ტაოტიანი შპრიცი მოიტანე.

მე კი თურმე სოლიდოლიანი შპრიცი მოვიტანე.

— ეხ, აკადემიკოსო! — ზიზღით გამოსცრა მან, თან შემომხედა დაწითლებული, მსუსხავი თვალებით. ჩვენ, გაუნათ-

ლებლებს, ლექციებს გვიკითხავ და ჰაკ ცხენს აქლემისაგან ვერ არჩევ.

აქედან წამოვიდა და გავხდი „აკადემიკოსი“.

აი ახლაც, მე უკვე ვუახლოვდები ჩემი წყალსაზიდით და ის კი არ ცხრება. მსუბუქად ჩამოხტა კაბინიდან და ჩემსკენ წამოვიდა. მორბის და ფეხები ხნულში ეფლობა.

— რა მატლივით მოხოხავ! რამდენი უნდა გელოდოთ! დაგახრჩობ, ძაღლის ლეკვო, ერთი ცხვირმოუხოცელი აკადემიკოსით ნაკლები იქნება!

უხმოდ ვუახლოვდები ტრაქტორს, ან რა ვთქვა? რით ვიმართლო თავი? ჩემი მიზეზით ტრაქტორები ცდებიან, ფაქტია. კიდევ კარგი, რომ მიმბმელი კალიპა მაწევს ხმას:

— კარგი, დამშვიდდი, აბაკირ! ყვირილით საქმეს ვერ უშველი. შეხედე კაცის ფერი არ აღევს. გაიტანჯა საცოდავი.— იგი მართმევს ვედროს, რომელსაც ძლივს ვიმაგრებ აკანკალებულ ხელებში და წყალს ასხამს რადიატორში. — ისედაც გაწვალდა, ხედავ, სულ სველია, გასაწურადაა მოქცეული...

— მერე მე რა! — იღრინება აბაკირი. — მჯდარიყო სახლში და ეკითხა თავისი წიგნები.

— გეყოფა! — ემუდარება კალიპა. — რამდენი სიბოროტე გაქვს. არ ვარგა ასე.

— ასეთებს რომ ყველაფერი შეუნდო და აპატიო, ჩალის ფასად უნდა იმუშაო. გეგმის შესრულებას მე მოსოვენ. შერ კი არა. შენ გგონია, ვინმეს აინტერესებს, ეს განსწავლული სულელი რომ მღუპავს!

რას გადაეკიდა ამ ჩემს სწავლას! რად მინდოდა სწავლა, ანდა რა ჭირად მომეევლინა ისტორიკოსი ალდიაროვი?

ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად გავშორდე აქაურობას. მე ხომ მინდვრის მეორე ბოლოშიც მელიან. იქ ტრაქტორისტი სადაბეკია — ხანში შესული, სერიოზული კაცი, ისიც ბრაზობს, მაგრამ არ ყვირის.

ზურგს უკან მოტორი ათუხთუხდა. აბაკირის ტრაქტორი ადგილიდან დაიძრა. თავისუფლად ამოვისუნთქე. მოვიბუზე სველ სათბურში. რამ გააჩინა ასეთი მავნე და ბოროტი კაცი

ამ ქვეყნად? ჯერ ხომ სულ ახალგაზრდაა, ოცდაათს თუ იქნება გადაცილებული. მართალია ცოტა. მძიმე, დაკუნთული სახე აქვს, მოქნილი, მარწუხისებური ხელები, მაგრამ ისეთი კაცია, შეამჩნევ. ოღონდ თვალები აქვს ცუდი, ბოროტი. ცოტა რაჰ და სისხლით აევსება, თუ ბიჭი ხარ, დაუდექი, მაშინ არაფერს დაგიდევს.

ერთხელ ჩვენთან ასეთი ამბავი მოხდა. საღამოს წვიმა წამოვიდა, მთელი ღამე ცრიდა, აწვიმდა ქეჩას, თითქოს მონოტონურ, ნაღვლიან სიმღერას ჩურჩულებსო. დილითაც არ გადაიღო. იურტაში ვიჯექით უსაქმოდ. აგრონომი სოროკინი წავიდა — მას წვიმიან ამინდშიც ბევრი საქმე ჰქონდა. ის ხომ მეცხოველეობაზეც აგებდა პასუხს. გადაწყვიტა პირველად ანარხაის პირობებში ჩაეტარებინა ადრეული დოლი და წუთი მოსვენება არ ჰქონდა; ღღ'ღაღამ ცხენზე იჯდა.

როცა წვიმამ ოდნავ გადაიღო, მიმბმელმა ესირკეპმა, სადაბეკის უმცროსმა ძმამ, ჩემი ცხენი შეკაზმა და მწყემსებთან წავიდა. ალდეიმ და კალიპამ კი ვედროებს წამოავლეს ხელი და წყაროსაკენ გასწიეს. იურტაში სამნი დავრჩით — აბაკირი, სადაბეკი და მე.

პირქუშად ვდუმდით, ყველა თავის საქმით იყო გართული. აბაკირი წამოწოლილიყო და პაპიროსს ეწეოდა. სადაბეკი ცეცხლთან მიმჯდარიყო და ჩექმას აკერებდა. მე კუთხეში ჩემთვის ვკითხულობდი.

სინოტივესა და მოწყენილობას დაესადგურებინა იურტაში. დასველებული ქეჩა ცხვრის ოდნავ საგრძნობ სუნს გამოსცემდა. ხანდახან ზემოდან მსხვილი, ჩაის წყალივით ყვითელი წვეთები ეცემოდა მიწას. გარეთ კი წვიმა ისევ ბუტბუტებდა და ჩიფჩიფებდა რაღაცას.

აბაკირმა მოწყენით დაამთქნარა, გააზმორა, მოიღუშა და არც გაუხედია ისე ისროლა პაპიროსის ნამწვი, რომელიც ქეჩის კიდეზე დაეცა. უცებ აბოლდა შეტრუსული მატყლი. სადაბეკმა ნამწვი აიღო და ნაცარში ჩააგდო.

— ცოტა ფრთხილად, — ჩაილაპარაკა მან და ძლივს გამოაძრო ტყავში გაჩხერილი მახათი. — გაგიჭირდა ფეხზე ადგომა?

— რა მოხდა? — გამომწვევად ასწია თავი აბაკირმა.

— ქეჩას წაეკიდა.

— დიდი საქმე, ეგეც სიმდიდრეა? — აგდებულად გაიცინა აბაკირმა. — აკერებ მაგ ძირგავარდნილ ჩექმას და დააკერე, შენ მეტი არაფერი გეკითხება!

— საქმე სიმდიდრეში არაა. შენ აქ მარტო არა ხარ და არც საკუთარ სახლში.

— ვიცი, რომ არა ვარ! ჩემთან სახლში შენ არც დაგელაპარაკებოდი, ტყავის შარვლიანო საფრთხობელავ! ალბათ, ღმერთმა დამსაჯა აქ ამ დაწყეველილ ანარხაიში რომ ვზივარ, სადაც მხოლოდ კატორღელები და შენი და შენი ცოლის მსგავსი სულელები უნდა იყვნენ.

სადაბეკმა მთელი ძალით გამოგლიჯა მახათი. სადგისი ხელიდან გაუვარდა და სადღაც ზურგს უკან გაგორდა. იგი დიდხანს უყურებდა აბაკირს ზიზღჩამდგარი თვალებით, შემდეგ მრისხანედ წამოიწია, ცალხელში ჩექმა ჩაებღუჯა, მეორეში კი სიმივით დაჭიმული გასანთლული ძაფი.

— დავუშვათ მე სულელი ვარ, ჩემი ცოლიც სულელია, ჩემთან ერთად, რომ წამოვიდა აქ და ყველას რომ გვომზადებს საქმელს! — ამოთქვა როგორც იქნა სადაბეკმა, იგი მძიმედ ქშინავდა. — დანარჩენი ანარხაელებიც შენი აზრით კატორღელები არიან? ის მწყემსებიც ზამთარ-ზაფხულ რომ ცხვრის ფარებს დაჰკანკალებენ სუსხიან ტრამალში! ისინია კატორღელები? რა, შენ მორეკე აქ? ხმა ამოიღე, ძაღლისშვილო! — დაიყვირა სადაბეკმა და ადგილიდან წამოხტა, დაჭედილ ჩექმას ყელში წაავლო მარჯვენა ხელი.

აბაკირი ქანჩის გასაღებს ეცა, რომელიც იქვე გვერდით იდო, თავი მხრებში ჩარგო და დარტყმისათვის მოემზადა.

შემეშინდა. მართლაც რომ საშინელი სანახავი იყო ყველაფერი ეს. მათ შეეძლოთ ერთმანეთი დაეხოცათ.

— რას შვები, აბაკირ! — ვეცი მათ. — არ დაარტყა! სადაბეკ, არ გინდა, არ ღირს თავის გაყადრება! — ვეეედრებოდი მე და თან ფეხებში ვებლანდებოდი.

სადაბეკმა გვერდზე მიმაგდო და ისინი იურტაში დატრიალდნენ, როგორც აფთრები ბრძოლის წინ, ერთმანეთზე თვალებმიშტერებულნი. შემდეგ შეხტნენ და ქანჩის გასაღებმა ჰაერში

გაიქროლა ზედ სადაბეკის თავთან. მან უკანასკნელ წამში მოახერხა დარტყმა აეცდინა და ორივე ხელით ეცა გასაღებს. მაგრამ აბაკირი უფრო ღონიერი იყო, მოწინააღმდეგე ქვეშ მოიქცია და ისინი იატაკზე დაგორდნენ ხრიალითა და გინებით. მე მათ ვეცი, მთელი ტანით გადავეფარე გასაღებს, როგორც იყო, ხელთ ვიგდე და გარეთ გამოვვარდი.

— ალდეი! კალიპა! — ავღრიალდი მე. — ჩქარა, ჩხუბობენ, ერთმანეთს დასიცავენ.

ქალებმა ვედროებს თავი მიანებეს და ჩემსკენ გამოიქცნენ. როცა ჩვენ იურტაში შევვარდით, ისინი ისევ იატაკზე გორავდნენ. ძლივს დავაშორეთ ერთმანეთს დასისხლიანებულნი, ნაცემ-ნაგვემნი. ალდეიმ ქმარი გასასვლელისაკენ წაიყვანა. მაგრამ აბაკირი კალიპას დაუსხლტა:

— დამაცადე, შე კოჭლო ძაღლო! კიდევ შემთხოვ პატიებას, მე გაგაგებინებ ვინ არის აბაკირი!

ტანმორჩილი გამხდარი ალდეი მივიდა მასთან და უთხრა:

— აბა გაბედე და ხელი ახლე! თვალებს ამოგჩიჩქნი! ისე რომ თავი ვეღარ იცნო!

სადაბეკმა დინჯად მოჰკიდა ცოლს ხელი:

— არ გინდა, ალდეი. ეგ მაგადაც არ ღირს...

ამასობაში გარეთ გამოვედი, მოვნახე ჩემს მიერ სადღაც მიგდებული გასაღები და იურტისგან მოშორებით მიწაში ჩავფალი. თვითონ კი ქვის ქალის მახლობლად ჩამოვჯექი და ავტირდი. ქვითინი მახრჩობდა, ვცახცახებდი. ვერავინ მხედავდა, ვერ გამეგო რა მემართებოდა. მხოლოდ ქვის ქალი, თითქოს ყურს მიგდებსო, ბოროტად მითვალთვალებდა თავისი ჩაშავებული, სინათლეგამოშრეტილი თვალით. გადაშლილიყო სველი, დანისლული ტრამალი, წყნარი და დაღლილი. არაფერი აღღვევდა მის მარადიულ ღრმა მყუდროებას, მხოლოდ მე ვსლუკუნებდი და ვიწმენდდი ცრემლებს. დიდხანს ვიჯექი აქ, დიდხანს, ვიდრე არ ჩამობნელდა.

აი ასე ვცხოვრობ ამ აბზინდებით აფერადებულ ტრამალში. ვცდილობ ყოველნაირად და არაფერი გამომდის. ახლაც მომხვდა აბაკირისაგან. როგორ მოვიქცე, ვერ გამიგია. მაგრამ

სულმდაბლობაც არ შეიძლება. უნდა იდგე იქ, სადაც დაგაყენეს, ვიდრე არ წაიქცევი.

— აბა, წამოდექი! ცოცხლად! ჩვენ დარდის დრო არ გვაქვს: საქმე არ ითმენს...

II

გ'ანთიადს ავასწარი, ჩვეულებრივზე ადრე ავდექი. ჯერ კიდევ წუხელის გადავწყვიტე, რაც არ უნდა მომივიდეს, მოვიქცევი ისე, რომ ვერავინ გამიბედოს არათუ ლანძღვა, უბრალო საყვედურიც კი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დავამტკიცო, რომ სხვაზე ნაკლები არა ვარ.

ჯერ საწვავი მოვიტანე და თვითონვე ჩავასხი ბაკში. შემდეგ ჩემი ორთვალით წყاროსაკენ წავხრიგინდი, რომ მუშაობის დაწყებამდი რადიატორები წყლით ამევსო. მერე საუზმე უნდა მომესწრო და ისევ წყალზე წავსულიყავი. წუთი არ უნდა დამეკარგა. ჯერ ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ვივარაუდე.

ამ დროისათვის ჰორიზონტზე მზეც ამოცურდა. იგი დიდხანს არ ამოდიოდა, იგვიანებდა, თითქოს ეშინოდა ანარხაის ტრამალისათვის მოევლო თვალი. შემდეგ მორცხვად გადახედა მიდამოს. რა შეიძლება იყოს ცისკრის ჟამს ტრამალზე უფრო ლამაზი. გეგონება გადმოიღვარაო ლაჟვარდისფერი ზღვა და გაშეშდაო თავისი დიდი ცისფერი ტალღებით, რომლებიც სადღაც შორს მუქმწვანე ფერსა და სიყვითლეში გადადიან.

ო, ანარხაი, დიდებულო ტრამალო! რატომ დადუმებულხარ, რაზედ ფიქრობ? რას მალავ შენს წიაღში და რა გელის მომავალში?

სულაც არაა უბედურება, რომ მხოლოდ წყლისმზიდავი ვარ. მე კიდევ ვიბატონებ ამ მიწაზე, მანქანებზე. ჩვენი ორი ტრაქტორი და ის რასაც ვაკეთებთ, საქმის მხოლოდ დასაწყისია. სადღაც ამოვიკითხე, თითქოს გეოლოგებმა ანარხაიში აღმოაჩინეს დიდი წყალქვეშა მდინარეები. შეიძლება ეს ჯერ მხოლოდ ჰიპოთეზაა? მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მე მჯერა რომ ადამიანები დაარწყულებენ ანარხაის გულდაღარულ მიწას, აქ ქარი ქოჩორს შეურხევს თვალუწვდენელ ბაღებში

გადაჭიმულ ხეხილს, წყალი არაკრაკებდა ცივ არხებში და ნიავი გადაზომავს ოქროსფრად გაშლილ პურის ყანებს. აშენდება ქალაქები, სოფლები და ჩვენი მემკვიდრეები ამ ტრამალს დალოცვილ მხარედ მონათლავენ. მრავალი, მრავალი წლის შემდეგ, როდესაც აქ ჩემნაირი ვინმე მოვა, მას არ მოუწევს წყალსაზიდით წყლის თრევა და ვიღაც საკუთარ თავზე შეყვარებული რეგვენისაგან ლანძღვა-გინების მოსმენა.

და მაინც არ მშურს მისი, იმიტომ რომ პირველად მე მოვედი აქ.

გავაჩერე წყალსაზიდი და დილის ტრამალს გადავხედე. მე იმ წუთას ყველაზე ბედნიერი, ყველაზე ძლიერი და, წარმოიდგინეთ, ყველაზე ლამაზი ადამიანიც კი ვიყავი ქვეყნად.

მზე, როგორც იქნა, მთლიანად ამოგორდა ჰორიზონტიდან, დიდი და მომღიმარე.

დღე კარგად დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, მოტორი არ ქრებოდა, წყლის მიზიდვას ვასწრებდი. საღამომდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო.

როცა კიდევ მოვბრუნდი წყაროსთან, პატარა ფარა დამხვდა ბატკნებით. ფარა ვიღაც ქალიშვილს მოერეკა. ნაკადულიდან ასმევდა წყალს ცხვარს, ოღონდ წყაროსთან არ უშვებდა. საიდან გაჩნდა ნეტავი აქ? ალბათ, იმ ორთავიანი ბორცვის გადაღმა მხრიდან, ჩვენგან მოშორებით რომ მოჩანდა. იქ ხომ მეცხვარეებს ედოთ ბინა. გოგონას სახე მეცნო. რომელიღაც ჟურნალში ვნახე ერთხელ ჩინელი ქალიშვილის სურათი, მასაც ისევე ჰქონდა თმები შუბლზე ჩამოყრილი, როგორც ჩემს ახალ ნაცნობს. ალბათ, ამიტომაც მომეჩვენა, რომ სადღაც მენახა.

მდუმარედ შევცქეროდით ერთმანეთს. ჩემი გამოჩენა მისთვის ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ჩემთვის მისი აქ ყოფნა. მაგრამ, ვითომც აქ არაფერიაო, ისე ჩამოვხტი ორთვალიდან და საქმიანად დავიწყე წყლის ამოღება და კასრში ჩასხმა.

ამასობაში ცხვარმა წყურვილი მოიკლა და გოგონამ ფარა გარეკა. გვერდით რომ ჩაიარა, მკითხა:

— რა ჰქვია ამ წყაროს?

დავფიქრდი, ვუყურებდი წყალსაცავს, სადაც მუქად ბრწყინავდა ჩემს მიერ ამღვრეული წყალი. მართლაც, ხომ რაღაც უნდა რქმეოდა ამ ერთადერთ წყაროს. ვიდრე ვფიქრობდი, წყალი დაიწმინდა, ზედაპირი გაკრიალდა, ფსკერი კი ჩამუქდა.

— აქლემის თვალი! — ვთქვი მე. და ქალიშვილისაკენ მოვბრუნდი.

— აქლემის თვლის წყარო? — მან ჩამოშლილი თმები შეარხია და გაიღიმა.

— ლამაზი სახელია! იგი მართლაც მოგაგონებს აქლემის თვალს, გეგონება ჩაფიქრებულიაო...

გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. იგი ჩვენი მხარიდან გამოდგა. ჩემს მასწავლებელ ალდიაროვსაც კი იცნობდა. ო, რა კარგი იყო საყვარელი მასწავლებლის სახელის გაგონება, ამ ტრამალში, უცნობი ქალიშვილისაგან, რომელიც ალბათ მისი წყალობით მოხვდა აქ — ანარხაიში. მას შარშან დაემთავრებინა საშუალო სკოლა და აქ მწყემსის თანაშემწედ უნდა ემუშავნა დოლის დროს.

— ჩვენს ფარეხთან ჭის წყალი მლაშეა, — ამბობდა იგი,— მე მითხრეს რომ აქ სადღაც წყარო იყო, თვითონაც დამაინტერესა და გადავწყვიტე ბატკნებსაც დავარწყულებ-მეთქი, დაე მათაც იცოდნენ ნამდვილი წყლის გემო. გამოვზრდი ბატკნებს, ჩავაბარებ და შემოდგომისათვის უნივერსიტეტში შევალ...

— მეც ვფიქრობ სწავლის გაგრძელებას,—ვუთხარი მე,— ოღონდ მექანიზატორობა მინდა. მე ხომ ტრაქტორზე სამუშაოდ გამომგზავნეს, ეს კი ისე... — მივუთითე კასრზე, — დროებით ვეხმარები. სხვა წყლისმზიდავი უნდა გამოგზავნონ.

ეს კი დავახეთქე! თვითონაც ვერ შევამჩნიე, როგორ დამცდა ენის წვერიდან. სირცხვილისაგან დამცხა, შემდეგ შემციოდა.

— ეი-ი-ი, აკადემიკოსო, ცხვირ-პირს დაგამტვრევ! — მოაღწია შორიდან აბაკირის საძულველმა ხმამ.

— დამაგვიანდა, ლაპარაკს შევრჩი! — ავწრიალდი მე.

— რა მოხდა? — ვერ გაერკვა გოგონა.

— არაფერი, — წავიბურტყუნე გაწითლებულმა, — წყლის მიტანა დავაგვიანე.

გოგონამ ფარა გარეკა, თავისი გზით წავიდა. აბაკირი კი სადღაც მინდვრის ბოლოში იდგა და მთელი ხმით ღრიალებდა, მუშტებს იქნევდა.

— მოვდივარ! დაწყნარდი! არ შეიძლება ყვირილი უცხოების თანდასწრებით! — წავიჩურჩულე განწირულივით და ცხენი გავაქროლე.

კასრში წყალი ბუყბუყებდა, იღვრებოდა და ხანდახან თავიდან ფეხებამდე მასველებდა. თუნდაც სულ დაიღვაროს, წვეთიც ნუ დარჩება! აღარ შემიძლია მოვითმინო ასე აბუჩად აგდება.

აბაკირი კაბინიდან ჩამოხტა და ისევ მომვარდა. მე ცხენი შევაჩერე:

— თუ ასე იყვირებ, სამუშაოს მივატოვებ და წავალ!

იგი მოულოდნელობისაგან დაიბნა, შემდეგ დაუსტვინა და დედა შემომიკურთხა.

— უშენოდაც, ცხვირმოუხოცელი აკადემიკოსის გარეშეც იყო აქ ანარხაი და არც ახლა მოუვა არაფერი ამ დასაწვავს! წადი, შეაყოლე სახლისაკენ! ამანაც ყალყზე შედგომა მომინდომა, გუდამშიერმა სტუდენტმა.

ორთვალიდან ჩამოვხტი, მათრახი გადავაგდე და წავედი.

— შეჩერდი, ქემელ! არ შეიძლება! შეჩერდი! — მომაძახა კალიპამ.

ამან უფრო გამაღიზიანა და ნაბიჯს ავუჩქარე.

ნუ აჩერებ, წაეთრეს! — მომესმა აბაკირის ხმა, — უმისოდაც იოლად გავალთ.

კაცი კი არა, მხეცი ხარ, რა ჩაიდინე! — არცხვენდა კალიპა. კიდევ დიდხანს მესმოდა როგორ ჩხუბობდნენ ისინი.

ნაბიჯს არ ვუნელებდი, მივდიოდი შეუჩერებლივ, სულერთი იყო საით, ოღონდ გავცლოდი იქაურობას, ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, გზა კი ყოველმხრივ ვრცელი და თვალშეუდგამი იყო. გავიარე წყარო, საველე ბანაკი, ბორცვი, სადაც ქვის ქალი იდგა. ბოროტად მომღიმარე დედაბერი მაცილებდა თავის გამოშრეტილი მძიმე მზერით, საუკუნეთა მანძილზე მდუმარედ მდგარი.

მივდიოდი და არაფერზე არ ვფიქრობდი. მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებდა, გავცლოდი აქაურობას, რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება შორს. დაე, ეს დაწყევლილ ანარხაი დატკბეს ჩემი კეფის ცქერით.

უგულოდ, უგრძნობლად გადაშლილიყო ტრამალი ჩემს წინ; ბორცვები, გორაკები, ხევები გულისამრევად ჰგავდნენ ერთმანეთს. ვინ შეჭქმნა ეს მომაკვდინებელი ერთფეროვნება? რატომ უნდა ვზომავდე მე, შეურაცხყოფილი და დამცირებული, მწარე აბზინდით დაფარულ, გაუთავებელ სივრცეს? რა უნდა ბოლოსდაბოლოს აქ ადამიანს? ცოტაა ადგილი დედამიწაზე? ჩემი დილანდელი ოცნება სისულელემდე უაზროდ მეჩვენებოდა.

„აი ესეც შენი აბზინდებით აფერადებული ტრამალი, აი შენი ანარხაი!“ — დავცინოდი თავს და მთელი არსებით ვგრძნობდი საკუთარ უძლურებასა და მიუსაფრობას.

დამცქეროდა მაღალი ცა, გადაშლილიყო უკიდეგანო სივრცე და ჩემი თავი მეჩვენებოდა პატარა უმწეო კაცუნად, დალიანდაგებულ სათბურსა და ქირზის ჩექმებში, თავზე ჩამოფხატული მრავალჭირნახული, გახუნებული კეპით.

ასე მივაბიჯებდი. არ ვეძებდი არც ზილიკს, არც გზას. უბრალოდ მივდიოდი. „სადღაც რკინიგზაზე გავალ, აბა რა იქნება, — ვფიქრობდი, — გავყევები შპალებს და შემდეგ სადმე შევახტები საბარგო მატარებელს. წავალ ადამიანებთან“...

როცა ჩემს უკან ცხენის ფლოქვების ხმა და ფრუტუნი მოისმა, არც მომიხედია. სოროკინი იქნება სხვა არავინ. დამიწყებს შერცხვენას, თხოვნას; ეშმაკსაც წაუღია, არ დავბრუნდები, არც გავიფიქრებ.

— მომიცადე! — წუნარად დამიძახა მან.

გავჩერდი. სოროკინი მომიახლოვდა, ცხენი ოფლში ცურავდა. ჩუმად შემომხედა ცისფერი, დაკვირვებული თვალებით, გამოხუნებულ წარბებს ქვეშიდან; საველე ჩანთაში ჩაყო ხელი და ამოიღო წითელი ფურცელი — ჩემი კომკავშირული საგზური, რომელიც ასე ამაყად გადავეცი მას ჩამოსვლის დღეს.

— გამომართვი, ამის დატოვება არ შეიძლება, — მშვიდად გამომიწოდა საგზური.

მის გამოხედვაში არ იყო არც ყვედრება და არც ზიზღი. იგი არც მკიცხავდა და არც ვეცოდებოდი. ეს იყო საქმეებით დამძიმებული, სერიოზული კაცის შემოხედვა, რომელიც დიდიხანია შეეჩვია ყოველგვარ მოულოდნელობას. მან ხელისგულით მოიწმინდა მოღლილი, წითური წვერით დაფარული სახე.

— თუ რკინიგზაზე გინდა — მარჯვნივ წადი, ხევს გაუყევი, — მიჩვენა და ნელა მოაბრუნა ცხენი, დინჯად გაუყვა გზას.

თავგზააბნეული მივშტერებოდი. რატომ არ გამლანძღა, რატომ თხოვნა არ დამიწყო? რატომ არის ასე დაღლილი? ცოლ-შვილი, ოჯახი სადღაც შორს მიუტოვებია და თვითონ კი წლობით დატრიალებს ტრამალს. რა ადამიანია, რა აჩერებს ამ უდაბნოში?

თვითონ არ ვიცი, როგორ გამოვყევი უკან.

საღამოს ყველამ იურტაში შევიყარეთ თავი. ვდუმდით. სიჩუმე იდგა, მხოლოდ შეშა ტკაცუნებდა ცეცხლში. ყველაფრის მიზეზი მე ვიყავი. ლაპარაკი ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ სოროკინის დაჭიმული სახის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, იგი რაღაცის თქმას აპირებდა.

— როგორ მოვიქცეთ? — წარმოთქვა მან ბოლოს ისე, რომ არავისთვის მიუმართავს.

— რა, ანარხაის წარღვნა ხომ არ ემუქრება? — ღვარძლიანად გამოეპასუხა აბაკირი.

ამ სიტყვებზე სადაბეკი უჩუმრად ადგა და იურტიდან გავიდა. იმ ჩხუბის შემდეგ იგი აბაკირს არ ელაპარაკებოდა და ეტყობა არც ახლა უნდოდა ლაპარაკში ჩარევა. სადაბეკის ძმა, ესირკეპიც აპირებდა ადგომას, მაგრამ გადაიფიქრა და დარჩა.

არც ის და აბაკირი იყვნენ ერთმანეთთან კარგ განწყობილებაში, ერთხელ თხოვნით რომ თავი მოვაბეზრე, ესირკეპმა გუთანზე დამტოვა სადაბეკის ტრაქტორთან, თვითონ კი ჩემს წყალსაზიდზე დაჯდა. რა თქმა უნდა, წყლის მოტანა შეაგვიანდა და აბაკირის რისხვა დაატყდა, მაგრამ ესირკეპმა თავი არ

დააჩაგვრინა, მას შეეძლო სამაგიერო ეზღო კაცისთვის, ის ხომ ჩემზე სამი წლით უფროსი იყო.

აბაკირს არავინ უპასუხა.

— რაა საფიქრელი, — დაუმატა მან. — ვინც სამუშაო ჩაშალა, პასუხიც იმან აგოს.

— არავის აინტერესებს ვინ არის დამნაშავე და ვინ არა!— თქვა სოროკინმა, ისე რომ მისთვის არც შეუხედავს. — აქ ახალგაზრდა ადამიანის ბედი წყდება, როგორ უნდა მოიქცეს იგი ახლა?

— ბედი და რა ბედი! — დამგესლა აბაკირმა. — ასეთი აკადემიკოსების ბედი დიდიხანია გადაწყვეტილია, უმაქნისი, არაფრის გამკეთებელი ხალხია!—დაუდევრად ჩაიქნია ხელი. — თვითონ განსაჯე, სოროკინ, სანამ ჩვენ ჯაფით პური მოგვყავდა, ეგენი სწავლობდნენ, ზოგი ათ წელიწადს, ზოგი მეტსაც. ჩვენ ვაჭმევდით და ვაცმევდით, მერედა რა გამოვიდა, ისწავლეს რამე? მანქანა არ იცის, ცხენს მარტუღელს ვერ დაადგამს, მოსართავს ვერ მოუჭერს... რატომ უნდა ვაგო პასუხი მაგის მაგიერ! რა ჯანდაბად მინდა მაგის განსწავლულობა, გამომივიდა ქვის კერპების მცოდნე. საქმის თავი კი არა აქვს. რაკი ასეა, წავიდეს, სხვებს ნუ უშლის ხელს! შენ კი, სოროკინ, მე შემეშვი, ვირივით ვმუშაობ, შემცვლელის გარეშე, არც სხვას მოვასვენებ. თუ არ გჭირდებით — ხვალიდან ჩემი ფეხი არ იქნება აქ. მაგრამ რასაც ვამბობდი, ყოველთვის გავიმეორებ: სიამოვნებით მოვუვლიდი ყველა აკადემიკოსს...

— გეყოფა! — მკაცრად შეაწყვეტინა აბაკირს სოროკინმა და ისევ არ შეუხედავს მისთვის. — უშენოდაც ვიცით ყველაფერი. თქვი, ქემელ, შენ რას ფიქრობ?

უცებ არ მიპასუხნია. როცა აბაკირს ვუსმენდი, მომეჩვენა, რომ მის სიტყვებში სადღაც სიმართლის ნიშან-წყალი იყო. მაგრამ როგორ ლაპარაკობდა იგი, ბოროტად, მტრულად! რატომ? განა ასეთი უსაქმური და გამოთაყვანებული ვარ, რომ ვერასოდეს ვერ მივაღწევ იმას, რასაც მან მიაღწია? ნუთუ განათლება შემიშლის ხელს? ვერაფერი გამეგო. მაინც შეეეცადე რაც შეიძლება მშვიდად მეპასუხა სოროკინისათვის.

— მე აქ მოვედი, რომ საბმურის მიმბმელად მემუშავნა.

ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია. მარტუღელსა და მოსართავებში მე უკვე ვერკვევი, ეს ყველამ იცის და აბაკირმაც მათ შორის. შეიძლებოდა ასე მუშაობაც. მაგრამ არ მინდა, წყლისმზიდავად აღარ ვიმუშავებ. პრინციპულად არ მინდა.

— სხვა სამუშაო ჩვენ არ გვაქვს, — თქვა სოროკინმა

— მაშასადამე, უნდა წავიდე! — დავასკვენი მე.

კალიპამ შემომხედა და ნაღვლიანად ამოიოხრა:

— ქემელ, სიამოვნებით დაგითმობდი ჩემს ადგილს, გადავჯდებოდი წყლისსაზიდზე, მაგრამ შენ თვითონ არ დათანხმდები...

ეს მოულოდნელი იყო. თავისი სიკეთისა, თუ იმის გამო, რომ მას მუდამ რცხვენოდა აბაკირის მაგიერ, როდესაც იგი მლანძღავდა, კალიპა ყოველთვის ცდილობდა შეემსუბუქებინა ჩემი ხვედრი, შეერბილებინა აბაკირის უხეშობა. იქნებ ამიტომაც თქვა ასე. მე კი დაუფიქრებლად წამოვიძახე:

— რატომაც არ დავთანხმდები!

იურტაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ შეშა ატკაცუნდა და აშიშინდა. ყველა გაკვირვებით მომჩერებოდა. შეიძლება ელოდნენ, რომ გამოვერკვევი, უარს ვიტყვი? გამოდიოდა, რომ თვითონ ვუვარდებოდი კლანჭებში კაცს, რომელსაც ვძულდი და რომელიც ჩემთვის კარგს არ გაიმეტებდა. მაგრამ მე ვდუმდი. რადგან ვთქვი — გათავდა. სოროკინმა ერთხელ კიდევ გამომცდელად შემომხედა.

— გადაწყვეტილია? — მოკლედ მკითხა მან.

— ნამდვილად.

— ჩემთვის სულერთია! — ცეცხლში გადააპურჭყა აბაკირმა, — მაგრამ გაფრთხილებ, ცოტა რამ და მოგხვდება გვერდებში! მისი თვალები ჩამობნელებულ იურტაში ცივად, დამცინავად და გამომწვევად აელვარდნენ.

— რა ცოტა რამ? წინასწარ რატომ ემუქრები! — ველარ მოითმინა აქამდე გაჩუმებულმა ესირკეპმა. — დიახაც რომ მოახერხებს, დიდი ფილოსოფიაა თუ? მას ჩემს გუთანზე უმუშავნია.

— შენ არავინ გეკითხება. სხვის საქმეში ნუ ყოფ ცხვირს. თვითონ შევატყობ. ტრაქტორზე და საქმეზე პასუხს მე ვაგებ.

იმ ღამეს თითქმის არ მეძინა. როგორ შევეწყობი აბაკირს? აქამდე ხომ მასთან ჟამიდან ჟამად მიწევდა შეხვედრა, ხვალიდან კი გამუდმებით ერთად უნდა ვიყოთ. მიმბმელის მოვალეობისა მე არ მეშინოდა, თუმცა ამტანობა და მოთმინება სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, შეჩვევა იყო საჭირო, უნდა შეგეწყალა მინდორი, რომ დროულად ამოგეწია და ჩაგეშვა სახნისი, წუთით არ დაგებრკოლებინა ტრაქტორის მოძრაობა. გარდა ამისა, მე ყველაფერში უნდა დავხმარებოდი ტრაქტორისტს. გაბედე და მიაწოდე აბაკირს შეცდომით სხვა გასაღები, ან სხვა ქანჩი და ჭანჭიკი, განა ცოტა საქმეა მუშაობისას?

არ ეძინა თურმე ალდეისაც. იგი სიბნელეში მოვიდა ჩემთან, გვერდით მომიჯდა და თავზე ხელი გადამისვა.

— კარგად გეფიქრა, ქემელ. არ იქნება თქვენი ერთად მუშაობა. შენ უწყინარი ბიჭი ხარ. შეგეჭამს, ვერაფრით ვერ მოიგებ მის ვულს...

— არც ვფიქრობ მისი გულის მოგებას, ხოლო შეჭმისა რა მოგახსენოთ, ჩემთვის ეგ ახალი ამბავი არაა.

— დაუკვირდი, შენ იცი შენი საქმისა, — წყნარად ჩაილაპარაკა მან, ამოიოხრა და თავისი ადგილისაკენ წავიდა.

III

ჩემი და აბაკირის ორთაბრძოლა პირველი დღიდანვე დაიწყო.

— თუ ჩაგეძინა, გადმოვარდები და სახნისებს ქვეშ მოხვდები, მე პასუხს არ ვაგებ! — მესროლა მან ერთადერთი ფრაზა ხვნის დაწყების წინ.

რა თქმა უნდა, ძილისთვის არ მეცალა. მთლად დაძაბული ვიყავი, მინდოდა ზუსტად და უნაკლოდ მემუშავა. თუ იმაზე ვიფიქრებდი, რომ სახნისებს ქვეშ მოვხვდები, მაშინ ამ თავითვე უარი უნდა მეთქვა ყველაფერზე.

დიახ, ჩემი ფეხების ქვეშ, კრონშტეინებზე ფოლადის სახნისები იყო დამაგრებული. ისინი გვერდიგვერდ, ოდნავ დამრეცად, ერთიმეორის მიყოლებით გულს უხსნიდნენ და აბრუნებდნენ ყამირის აქამდე ხელუხლებელ ბელტებს. ტრაქ-

ტორი შეუჩერებლივ მოძრაობდა, გუგუნებდა, ახრჭიალებდა მუხლუხებს და მიწაში ტკეპნიდა გზად მოხვედრილ აბზინდებს.

აბაკირს ერთხელაც არ მოუხედავს უკან, არ დაინტერესებულა რას ვაკეთებდი. ვხედავდი მხოლოდ მის ჯიუტ, ჩამჯდარ კისერს და ამითაც კი ვხვდებოდი, რომ აბაკირი მანამდე გამაწამებდა, სანამ ხელს არ ავიღებდი საქმეზე, ანდა თვითონ არ დარწმუნდებოდა, რომ საქმის კეთების ძალა შემწევს. და იქნებ იმიტომაც მიაქანებდა შეუსვენებლივ ტრაქტორს, რომ დავექანცე და იძულებული გავეხადე უარი მეთქვა. ვის ვის და მას კარგად უნდა ცოდნოდა, თუ რა ძნელია, როდესაც ზიხარ ფოლადის საჯდომზე, რომელსაც არავითარი ამორტიზაცია არ გააჩნია, სახეში კი გირტყამს მტვერი და ტრაქტორის მექანიზმიდან გამოყოფილი მხრჩოლავი გაზი. მაგრამ მე თავის დანებებას არ ვფიქრობდი. უკიდურესობამდე დაძაბული ნერვები, ხედვა, სმენა, გუთნის საპეს ჩაჭიდებული ხელები — აი რას წარმოვადგენდი მაშინ მე. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიტყვა არ დამცდენია, ხმა არ ამომიღია მაშინაც, როცა მას განსაკუთრებული გაბოროტებით მიჰყავდა ტრაქტორი ქვიანნიადაგზე, გუთანი კვალიდან ვარდებოდა, სახნისები ქვებზე ღრჭიალებდა, ნაპერწკლებს ჰკვესავდა, მე კი ძლივს ვიმაგრებდი თავს. საღამოს აბაკირმა ტრაქტორი გააჩერა, ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დავღლილვარ ასე. ცხვირ-პირი, ყურები, თვალები — მტვრითა და ქვიშით მჭონდა ამოვსებული. მინდოდა მიწაზე დავგდებულიყავ და დამეძინა. მაგრამ ადგილიდანაც არ დავძრულვარ, აბაკირის ბრძანებას ვუცდიდი.

— ამოსწი სახნისები, — დამიყვირა მან და კაბინიდან გადმომხედა, შემდეგ ტრაქტორი ხნულიდან გადმოიყვანა, მოტორი გამორთო და გუთანთან მივიდა. სახნისებთან დაიხარა, ხელით გასინჯა ისინი.

— დაჩლუნგებულა, გამოსაცვლელია. დილისთვის მზად იყოს! — მითხრა მან.

— გასაგებია, — ვუპასუხე მე, — ოღონდ სათადარიგო დანები დამიტოვე და ტრაქტორი გუთანს მოაშორე.

მან შეასრულა ჩემი თხოვნა და უჩუმრად წავიდა საველე ბანაკისაკენ. თვალი გავაყოლე და უცებ ვიგრძენი, რომ მე

არა მარტო არ ვბრაზობ, არამედ მშურს კიდეც მისი. მიდის თავისთვის, მხრების ქნევით, თითქოს არც დაღლილა. მე მართალია სიქა გამაცალა, მაგრამ თვითონაც ხომ არ დაუსვენია არც ერთი წუთით, არამზადას!

ამოვიოხრე და ძეძვის შეგროვება დავიწყე, კონებად ვალაგებდი გუთნის მახლობლად. მინდოდა კოცონი გამეჩაღებინა, რომ ღამითვე მომესწრო დანების გამოცვლა, ფიჩხი შევაგროვე და სავახშმოდ წავედი.

ძვირფასო, კეთილო ალდეი! როგორი სევდითა და მზრუნველობით მიყურებდი, რა სიამოვნებით და სწრაფად ვჭამდი შენს მიერ ჩემთვის გადანახულ ბეშბარმაკს. მე ხომ დაჯდომის დროც არ მქონდა. მე ვითხოვე ფარანი, რომელიც მუდამ კარავში გვქონდა, ყოველი შემთხვევისათვის.

— რად გიხდა? — მკითხა მან და მომაწოდა.

— მჭირდება, სახნისები უნდა გამოვცვალო.

— სად გაგონილა ასეთი რამ, უფლებას არ მოგცემ, მასხარად აიგდო ქემელი! — აუყვირდა იგი აბაკირს.

— რა მენაღვლება, ნუ მომცემ, — შეუღრინა აბაკირმა და დასაძინებლად მოეწყო.

— ნუ ერევი! — დაუძახა ცოლს სადაბეკმა, — ქემელმა უსეთ იცის თავისი საქმე.

— არაფერია, ჩვენ მოგეხმარებით, ქემელ! წამოდი, ესირკეპ! — კალიპა წამოდგა და წამოსასვლელად მოემზადა.

— არაა საჭირო, — ვთქვი მე. — ნუ შეწუხდებით. თვითონაც გავართმევ თავს. ამ სიტყვებით გამოვედი იურტიდან, გზას ფარნით ვინათებდი.

ღამე იდგა, მუნჯი და უნაპირო. წამით გადავუხვიე წყაროსაკენ, მწყუროდა. ძლივს მოწანწკარე წყარო, სიმშვიდესა და სიგრილეს ასადგურებდა ირგვლივ. იგი მკრთალად მოჩანდა უძირო სიბნელეში. მართლაც რომ აქლემის თვალს ჰგავდა. მომაგონდა მწყემსი გოგონა. მაშინ ვერ მოვახერხე მისთვის სახელი მეკითხა. ნეტავ სად იყო იგი ახლა, თავისი ჩამოშლილი თმებით?

გუთანთან მივედი და საქმეს შევუდექი. რამდენადაც მოვახერხე სახნისები მაღლა ავწიე, ცეცხლი გავაჩაღე. ხანდახან

ფიჩხის შემატება მიხდებოდა. მხოლოდ. ფარანიც, რა თქმა უნდა, გამომადგა. ვხსნიდი ქანჩებს, იმ წუთშივე ვამაგრებდი მათ ჭანჭიკებზე და ვაწყობდი კეპში, რომ არ დამფანტოდა. მთელი ღამე გუთანს ვუტრიალებდი. ქანჩების მოჭერა ძნელი და მოუხერხებელი საქმე გამოდგა. მიჭირდა ძნელად მისაწვდომ ღარებში მათი დატრიალება. კოცონი ხანდახან ქრებოდა და იძულებული ვხდებოდი გუთნის ქვეშიდან გამოვმძვრალიყავი, ფიჩხი შემემატებინა და ისევ გამეჩაღებინა ცეცხლი. არ ვიცი რამდენი დრო გავიდა, მაგრამ არ დავმშვიდებულვარ, სანამ დანები არ გამოვცვალე. შემდეგ თითქოს ბურანში, ძლივს მივაღწიე ტრაქტორამდე და კაბინაში გავიშხლართე. ძილში მტეხდა და მეწვოდა გადაღლეტილი ხელები.

დილით ადრე კალიპამ გამაღვიძა. წყალი მოეტანა.

— რადიატორი უკვე ავავსე, მოდი პირს დაგაბანინებ, ქემელ, წყალს დაგისხამ, — მითხრა მან.

მას ჩემთვის არაფერი უკითხავს და მეც მადლობელი დავრჩი. არ არის სასიამოვნო, როდესაც ადამიანები გიცოდებენ. პირისბანას რომ მოვრჩი, საუზმელი და ბოთლით ბურახი მომიტანა. რა სასიამოვნო იყო მოხალული პურისაგან დამზადებული მომყავო სითხე. რა თქმა უნდა, ალდეიმ იზრუნა ჩემზე.

აბაკირი მოვიდა. არაფერი უთქვამს. ვერც ვერაფერზე გამომედავებოდა. უთქმელად მოაყენა ტრაქტორი გუთანთან, მე გადავაბი და ისევ დავიძარით.

ამ დღეს უფრო მტკიცედ და დაჯერებულად ვმუშაობდი. ვირწმუნე ჩემი თავისა. რადგან პირველი განსაცდელი გადავიტანე, ბოლომდე გავძლებ!

კაბინის ფანჯრიდან თვალში მხვდებოდა ისევ ის ჯიუტი, მხრებში ჩამჯდარი კისერი. ისევ შეუსვენებლივ, ღრჭიალითა და ღრიალით მიდიოდა ტრაქტორი, ისევ გაუნძრეველად ვიჯექი საკეს ჩაჭიდებული.

ნაშუადღევს აბაკირმა მოულოდნელად ტრაქტორი გააჩერა.

— ჩამოდი, — მითხრა მან. — შევისვენოთ.

ჩვენ მდუმარედ ვისხედით მიწაზე, ტრაქტორის ჩრდილში. აბაკირი ეწეოდა და ნერვიულად ღეჭავდა პაპიროსს. შემდეგ გაიხადა კომბინეზონი, ხალათი და ზურგი მზეს მიუშვირა.

ფართო მხრები ჰქონდა, კუნთებით დაბურცული. მეც მომინდა მზეზე ნებივრობა, გავიხადე ხალათი და მიწაზე გაფენა მოვინდომე, ამ დროს აბაკირმა თავი ასწია და მოთენთილი, დაბღვერილი სახით შემომხედა.

— მომფხანე ზურგი! — მიბრძანა მან, დარწმუნებულმა თითქოს იმ წუთში უნდა წამოვმხტარიყავი და მისი სურვილი შემესრულებინა.

ხმა არ ამომიღია.

— გესმის! — მან მრისხანედ შეათამაშა მხრები ისე, რომ თავიც არ აუწევია მაღლა.

— არ მესმის!

— მე კი გეუბნები, რომ გესმის! — იგი ნახტომით წამოიწია მკლავებზე და სილა გამაწნა. — დიდხანს გელოდო კიდევ?

ოდნავ უკან დავიხიე. ალბათ გაბოროტებამ გამხადა ასეთი მშვიდი.

— შენ ყოველთვის გულში მჯიღს ირტყამ და ამბობ: მე მუშა ვარ! ყველას გარჩენთო! მუშა ხარ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობ! სული კი ეშმაკმა იცის რისი გაქვს. შენ ბაი უნდა ყოფილიყავი!

— ვიქნებოდი კიდეც! შენ კიდევ სულში ნუ მიძვრები! — და მოულოდნელად ცხვირში წკიპურტი წამკრა.

მუშტებშემართული წამოვვარდი და ვეცი. აბაკირიც თითქოს ამას ელოდაო. მთელი თავისი ბოლმა და სიძულვილი ჩააქსოვა მან იმ დარტყმაში, რომელმაც მიწას დამანარცხა. ძლივს წამოვდექი. ბრაზით დაბრმავებული ისევ ვეცი. თითქმის ყოველი დარტყმის შემდეგ მიწაზე ვვარდებოდი.

— მე შენ გიჩვენებ სეირს. ლაწირაკო. გიჩვენებ ჩემს სულს! — იმეორებდა იგი და მძიმე მუშტები თუჯივით მატყდებოდა თავზე.

მაგრამ მე ისევ და ისევ ვდგებოდი და უხმოდ, თავდავიწყებით განვაგრძობდი ჩხუბს, ვუმიზნებდი სახეში, მხოლოდ მხეცურ სახეში, ის კი ზუსტად და გამოზომილად მირტყავდა მუცელში, ნეკნებში, მკერდში.

აი მე ისევ წამოვდექი და ნელა დავიძარი მისკენ. მან ხელი ასწია და ზევიდან პირდაპირ კისერში დამიშვა ურისავი-

მუშტი. ვეგდე მიწაზე ტუჩებმოკუმული, რომ კვნესა არ დამცდენოდა.

— იწექი, აკადემიკოსო! დაყნოსე, იქნებ გაიგო როგორი სუნი ასდის მიწას! — იგი მძიმედ სუნთქავდა და აფურთხებდა ტუჩებიდან გადმონადენ სისხლს. — ეს ლექციების კითხვა არ გეგონოს ქვის კერპებზე. ისტორია ამ საქმეში ვერაფერს გიშველის.

იგი წავიდა ტანსაცმელისაკენ, რომელიც ჩვენი ფეხებით იყო გათელილი, გაფერთხა და ჩაცმა დაიწყო. ამ დროს მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი ტვირთი მოიცილა მხრებიდან. მაგრამ მე მაინც ვიცოდი, რომ ეს ბრძოლა მოვიგე. დიახ, მე არ ვიყავი დამარცხებული, მიუხედავად იმისა, რომ მიწაზე ვეგდე. მივხვდი, რომ სიმართლისათვის მუშტებითაც შეიძლება ბრძოლა და ეს არც ისე საშიშია. გავიგე, რომ შეიძლება და აუცილებელიცაა დაარტყა იმას, ვინც გირტყამს. ჩემთვის ეს გამარჯვება იყო.

სანამ აბაკირი იცვამდა, კომბინეზონში ძვრებოდა, გონს მოვეგე, ამოვისუნთქე. მოტორი რომ აამუშავა, ავდექი, სწრაფად ჩავიცვი და ჩემი ადგილი დავიკავე გუთანზე. ტრაქტორი აღრიალდა და დაიძრა. ისევ ჯიუტი, მხრებში ჩამჯდარი კისერი მოჩანდა კაბინიდან, მე ისევ ის მიმბმელი ვიყავი, გუთნის საჭეს ჩაჭიდებული.

IV

ჩვენს ცხოვრებაში ზოგი რამ შეიცვალა. ორცხენიანი საზიდარი გამოგვიგზავნეს თავისი ცხენებით თესლის გადასატანად. კიდევ ერთი კაცი ჩამოვიდა — მესაზიდრე. წყალმზიდავსაც გაუიოლდა საქმე. სადაბეკი და ესირკეპი ახლა თესავდნენ. მე და აბაკირი კი ისევ ვხნავდით.

მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც.

რამოდენიმე დღის წინ, სადილის შემდეგ მინდვრისაკენ მივდიოდით საზიდრით, წყაროსთან ბატკნების მომვლელი გოგონა დავინახე. მე გადმოვხტი. მესაზიდრეს ცხენების შეჩერება უნდოდა. მაგრამ აბაკირმა არ მისცა უფლება.

— ნუ მაგვიანებ! — უკმაყოფილოდ უბრძანა მან.

გოგონასაკენ გავიქეცი, მან ცხვრები მიატოვა და ჩემს შესახვედრად წამოვიდა. მე ბოლომდე აღარ მიმირბენია, საზიდარს უნდა დავწეოდი, სამუშაოს დაწყებისათვის რომ მიმესწრო. გავჩერდი:

— გამარჯობა! — დავუყვირე შორიდან.

— გაგიმარჯოს! — მიპასუხა და ისიც გაჩერდა.

ძალიან გამიხარდა რომ დავინახე, მაგრამ არ ვიცოდი რა მეთქვა.

— რატომ არ ჩანხართ თქვენი წყალსაზიდით, სადა ხართ ახლა?

— ახლა ტრაქტორზე! — ამაყად ვუპასუხე მე. ჩვენ აგეე-ე იმ ნაკვეთზე ვმუშაობთ! მაპატიეთ, ძალიან მეჩქარება.

— გაიქეცით, გაიქეცით! — ხელი დამიქნია მან.

საზიდარს გამოვედევნე. მხოლოდ ერთხელ მოვიხედე უკან. გოგონა ისევ იმ ადგილას იდგა და მომჩერებოდა. საზიდარი სვლას არ უნელებდა. მაგრამ მე სირბილი არ მიჭირდა, მივრბოდი ლაღად, თავისუფლად. ბედნიერი ვიყავი მან რომ ხელი დამიქნია, რომ მივრბოდი მკერდგაწლილ გაზაფხულის ტრამალზე.

მეორე დღეს იგი ჩვენს ნაკვეთზე გამოჩნდა. იდგა ბორცვზე, შორიახლოს და თავის ფარას უთვალთვალებდა. მომინდა მივსულიყავი მასთან, თუნდაც წამით, მაგრამ განა აბაკირი ნებას მომცემდა? განა შეეძლო მას ასეთი კარგი საქმის გაკეთება? ხომ შეიძლებოდა დამეყენებინა სახნისები გარკვეულ სიღრმეზე და წავსულიყავი ერთი-ორი საათით. ჩვენ ხომ სწორად გაგვქონდა კვალი და ტრამალიც სწორი, მოკრიალებული იყო. მაგრამ არაფერი მითხოვია.

მეორედ, როცა გოგონა გამოჩნდა, ჩვენ მოგუგუნე ტრაქტორთან ვიდექით, მოტორში ვამოწმებდით რაღაცას.

— რატომ მოუხშირა აქეთ სიარულს? — იკითხა აბაკირმა.

— არ ვიცი.

— რა ჰქვია?

— არც ეგ ვიცი.

— ეჰ, აკადემიკოსო, — დამცინავად გადააპურჭყა მან და

გოგონასაკენ გაიხედა. — გემრიელი გოგო ჩანს, — ჩაილაპარაკა და დადუმდა, თითქოს გულში რაღაც ცუდი ჩაიხვიაო.

ბოროტად შეეხედე.

— დაჯექი შენს ადგილზე! — მიყვირა და მუშაობა გავაგრძელეთ.

გოგონამ ამ დროისათვის ცხვარი ბორცვიდან გაშლილ ადგილზე გადმორეკა, ჩვენი ნაკვეთიდან აბი ნაბიჯის მოშორებით. რა კარგი იყო გავქცეულიყავი, დავმჯდარიყავი მის გვერდით, მელაპარაკა, უბრალოდ დავმტკბარიყავი მის შუბლზე ლამაზად ჩამოშლილი თმების ცქერით.

უცებ ტრაქტორი გაჩერდა, აბაკირმა თავი გამოყო კაბინიდან: — დაამაგრე ბერკეტი! მოდი აქ!

გუთნიდან ჩამოვედი, გაკვირვებული გავემართე აბაკირისაკენ, იგი მუშაობის დროს კაბინას ახლოსაც არ მაკარებდა.

— დაჯექი, — დამითმო თავისი ადგილი, — ისწავლე მართვა!

პირდაღებული დავრჩი. ამას კი აღარ მოველოდი. რა დაემართა აბაკირს, ნუთუ გული მოუბრუნდა ჩემზე? დიდხანს აღარ მიფიქრია, მოვემზადე სამუშაოდ.

— დააწექი პედალს. ჩართე გამომრთველი ქურო. ასე, გაბედულად. ახლა ფრთხილად აუშვი პედალს. ფრაქციონების ბერკეტს მოჰკიდე ხელი.

ტრაქტორი აგრუხუნდა, ადგილიდან დაიძრა. სუნთქვა შემეკრა სიხარულისაგან. არაფერზე ვფიქრობდი, სხვა აღარაფერი მაინტერესებდა ამ ქვეყნად. ერთი სურვილი მამოძრავებდა: დავეუფლებოდი ტრაქტორს, გავრკვეულიყავი მის მექანიზმში. მე ხომ დიდი ხანია ვოცნებობდი ამაზე. და აი მძლავრი მანქანა დამჯერედ ემორჩილებოდა ჩემს ხელებს, მუხლუხების ღრჭიალით მიიკვლევდა გზას და მეც თითქოს იმ მექანიზმად გადავიქეცი, რომლის ერთადერთი ამოცანაა — ზუსტად შეასრულოს საჭირო მოძრაობა.

ნაკვეთის ბოლოს კარგად მოვუხვიე. მართალია, მიმბმელის გარეშე მოსახვევში დიდი ხარვეზი დარჩა, მაგრამ ეს არცთუ ისე დიდი უბედურება იყო: ცოტა მიწა ხომ არაა ანარხაიში! სამაგიეროდ მე ტრაქტორის მართვას ვისწავლი.

ასე გავავლეთ რამდენიმე კვალი. გული უცვე ისე აღარ მიცემდა. უფრო დაჯერებულად ვგრძნობდი თავს.

— გაბედულად, აკადემიკოსო! — ყურში ჩამძახა აბაკირმა. — მე ცოტა ხნით წავალ. თუ რამე იყოს, გააჩერე.

იგი გადახტა მიმავალი ტრაქტორიდან, მტვერი ჩამოიბერტყა, ტანსაცმელი შეისწორა და გოგონასაკენ გაემართა მხოლოდ ახლა მივხვდი რა ჩაიფიქრა მან. თურმე ჩემი სიყვარული არ ამოძრავებდა, როცა საქე დამითმო.

აბაკირი გოგონას გვერდით იდგა და რაღაცაზე უდარდელად ლაპარაკობდა. ჰქონდა კია საზრუნავი?.. სამუშაო მიიწევს, ტრაქტორიც აქვეა, თუ რამე მოხდა, ყოველთვის შეუძლია მოირბინოს.

არ მომეწონა აბაკირის ოინი. ამავე დროს ბედნიერიც ვიყავი. მე ხომ ტრაქტორს ვმართავდი. ერთი სული მქონდა კაბინიდან ხელი დამექნია გოგონასათვის, დამეძახა რამე კარგი. ეჰ, აბაკირი რომ არ ყოფილიყო აქ! რას ეუბნება ნეტავ, ან გოგონა რას პასუხობს? აჯობებს ცოტა სიფრთხილე და მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს...

საათნახევარი ვმართავდი ტრაქტორს, სანამ ქალიშვილმა უკან არ გარეკა ცხვარი. აბაკირის სახეზე ვერ შევნიშნე ისეთი რამ, რაც მის წარმატებაზე მეტყველებდა. არაფერი, გარდა ჩვეულებრივი ბრიყეული თვითკმაყოფილებისა.

— გადაბრძანდი, აკადემიკოსო, შენს ადგილზე! — მხარზე ხელი დამარტყა და თაღლითურად ჩაიცინა.

არაფერი მითქვამს, ისე გადმოვხტი ტრაქტორიდან.

გოგონა მეორე დღესაც მოვიდა. აბაკირმა ისევ დამტოვა კაბინაში, თვითონ კი მასთან წავიდა. სჯობდა რომ სულაც არ მოსულიყო გოგონა. ტრაქტორის მიტოვება არ შემეძლო, არადა ასეც ვერ ვჩერდებოდი ადგილზე.

როგორ გავაფრთხილო, — ვფიქრობდი და შეშფოთებული ვიხედებოდი მათ მხარეს. მაგრამ შემეძლო ადამიანებისათვის ერთმანეთთან ლაპარაკი ამეკრძალა? ეს ხომ უნამუსობა იქნებოდა. ადამიანი თვითონ უნდა მიხვდეს ვისთან აქვს საქმე...

ამჯერად გოგონა მალე წავიდა და ძალიან გამიხარდა. სულ უფრო სწრაფად მიეოეკებოდა იგი თავის ცხვარს, გარ-

ბოდა შორს ტრამალში, უკანმოუხედავად. „მაპატიე, ძვირფასო, — გუნებაში ვებოდიშებოდი მე. — კარგია რომ მალე წახვედი. ჩვენ კიდევ შეეხვდებით ერთმანეთს, მეორედ აღარ დავრჩები ტრაქტორზე, შენსკენ გამოვიქცევი. ახლა კი წადი, ნუ შეჩერდები, კარგო გოგონავ, შუბლზე ლამაზად ჩამოშლილ თმებით... მე ხომ შენი სახელიც არ ვიცი...“

ტყუილად მქონდა იმედი მისი ნახვისა. ქალიშვილი აღარ გამოჩენილა. სამი დღე ველოდით ორივენი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს არაფერს ვეუბნებოდით. აბაკირი ჩვეულებრივზე ბრაზიანი და უხეში იყო. იგი ისევ ძველებურად შეუფარავი სიძულვილით შემომცქეროდა. მე მივხვდი. რომ მან რაღაცით შეურაცხყო გოგონა. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი მის წინაშე, თითქოს ვერ მოვახერხე რაღაც უკეთურისაგან დამეცვა იგი. ფიცი დავდე პირველივე შესაძლებლობისთანავე მომეძებნა და გულახდილად მეთქვა ყველაფერი. ვოცნებობდი ამ შეხვედრაზე, იმედი მქონდა და ველოდი.

სწორედ იმ დღეებში მინდორში მოგვისწრო წვიმამ. დაუშვა მოულოდნელად და ძლიერად. ეს იყო ტრამალის ბობოქარი ღვართქაფი, სეტყვით. ჰაერი ახმაურდა, მიწა მოთუხთუხე გუბეებით დაიფარა. აბაკირს ტრაქტორი არ გაუჩერებია, პირიქით აუჩქარა კიდეც, და ჩემსკენ არც ერთხელ არ გამოუხედია, მე ხომ წვიმა და სეტყვა მატყდებოდა თავზე.

დამბალი მიწა ამძიმებდა სახნისს, ტალახი ეკვროდა ყველაფერს, ძვრებოდა გუთნის ღარებში, ჩარჩოზე, ტალახში ვიდექი მეც. ალბათ, აბაკირი არც გაჩერდებოდა, მუხლუხებში აზელილი თიხა რომ არ გაჩხერილიყო. მან მოტორი გამორთო, პაპიროსს მოუკიდა და კაბინაში წამოგორდა, ალბათ, ფიქრობდა, რომ ვთხოვდი, მეც შემიფარე-თქო. მაგრამ ჩემთვის ახლა სულერთი იყო, უკვე ძვლებამდე ვიყავი დასველებული. ერთადერთი რასაც წყალს ვარიდებდი ეს იყო ბლოკნოტი, რაღაც ჩანაწერებით, წაკითხული წიგნებიდან ამოწერილი საინტერესო თქმებით. მე იგი ჩექმაში ჩავიდე, ფეხსახვევის ქვეშ.

წვიმამ უცებ გადაიღო, თითქოს არც ყოფილაო. იმ წუთში ცამ პირი გადიხსნა და გამოჩნდა უძირო, მოკამკამე, გამქვირ-

ვალე ლაჟვარდი. იგი თითქოს იმ სისუფთავისა და სილამაზის გაგრძელება იყო, რითაც ბრწყინავდა გაზაფხულის ღვართქაფისაგან გადარეცხლი უაივრცო ტრამალი. ანარხაის უკიდეგანო სივრცეები კიდევ უფრო გაიშალნენ მხრებში, კიდევ უფრო უსაზღვრონი გახდნენ. მთელ ცის კაბადონს გადაეკრა მთრთოლავი ცისარტყელა. იგი გადაიშალა კიდიდან კიდემდე, თითქოს თან აიტაცაო ამ ქვეყნად მოვლენილი ყველა ლამაზი ფერი. აღტაცებული ვიყურებოდი აქეთ-იქით. ლურჯი, უსაზღვროდ ლურჯი, ჰაეროვნად მსუბუქი ზეცა, ცისარტყელაში აცახცახებული უამრავი ფერი და მჭრალ-მოწითალო იერგადაკრული აბზინდებით დაფარული ტრამალი. მიწა სწრაფად შრებოდა, მის თავზე კი სულ ზევით-ზევით დანავარდობდა არწივი ფართოდ გაშლილი ფრთებით. თითქოს ფრთებმა კი არა, მიწის ძლიერმა სუნთქვამ, აღმავალმა ნაკადმა აიტაცა იგი ამ სიმაღლეზე.

და ისევ ვიგრძენი ძალა, ისევ იფეთქა სულში სიხარულმა, ფრთა გაშალა ოცნებამ ანარხაის ზღაპრულ მხარეზე. დიახ, ახლა მე მყარად ვიდექი მიწაზე და უკვე არავის შეეძლო დაეჩრდილა ჩემი ოცნება, წაერთმია ანარხაის დიდებული მომავლისადმი რწმენა. მე პოეტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ სკოლის კედლის გაზეთში ხანდახან ჩემს პატარა ლექსებსაც აქვეყნებდნენ ხოლმე. და აი ახლაც ჩექმიდან ბლოკნოტი ამოვიღე და დავწერე პირველივე სიტყვები, რომლებიც თვითონ მთხოვდნენ ქაღალდზე გადატანას:

კურდაის გადაღმა გაწოლილ ტრამალს
ზამთრობით ქარბუქი გლეჯს,
ზაფხულში სიცხე წვავს ბალახს,
ხვატი დასწოლია ველს,
ანარხაის ველს...
მაგრამ მე მჯერა, რომ მალე,
მიწა მკერდს გადიხსნის ღაღი,
აბზინდებს დაიბნევს გულზე
ტრამალი — ზღაპრული ბაღი!

არ ვწუხდი, რომ ლექსი არ ვარგოდა, არ ვწუხდი გაუმართავ სტრიქონებზე. მადარდებდა მხოლოდ ის, რომ ეს სტრი-

ჭონები იმის მეასედსაც ვერ გამოხატავდნენ. რაც ჩემს გულში ბობოქრობდა. თავს ვიმტვრევდი, ვცდილობდი მეპოვნა სწორედ ის სიტყვები, რომლებიც ზუსტად გადმოსცემდნენ ჩემს განცდებს. ამ დროს ვიღაცამ ბლოკნოტი ხელიდან გამომგლიჯა. მოვიხედე.

სასიყვარულო წერილს ჯღაბნი! — ბოროტად გაიცინა აბაკირმა, — გინდა ლექსებით მოაწონო თავი?

— მომეცი! — მივვარდი აღშფოთებული. — ვინ მოგცა სხვისი ნაწერის წაკითხვის უფლება!

— შენ ნუ მასწავლი, რისი უფლება მაქვს, ჩემს უფლებებზე მე თვითონ ვიფიქრებ! მომშორდი!

— არ მაძლევ?! — ვიყვირე გაბრაზებულმა, ტრაქტორთან მივირბინე და რკინის ღოჯს წამოვავლე ხელი.

— გეყოფა, რას შვრები! — შეკრთა აბაკირი. — წაიღე, რად მინდა ეს სისულელე და ბლოკნოტი უკან დამიბრუნა, ერთი წუთის შემდეგ კი ახარხარდა, მისმა ჰიხვინმა ტრამალი გაიყრუა: — ზღაპრული ბაღი! ხა-ხა-ხა, ნამდვილად სულელი ხარ. აკადემიკოსო! სწორედ შენნაირები უნდა მორეკო აქ, ბუზებივით რომ იუუეზოდეთ, თქვენი გიჟური ოცნებებით. ზღაპრული ბაღი! ხა-ხა-ხა, მოიცა ცოტაც და თვითონ მიხვდები რა ზღაპრულ ბაღშიცა ხარ! დარჩი აქ ზამთარში — სხვანაირად ამღერდები...

შენი საქმე არ არის დავრჩები თუ არა! უმჯობესია საკუთარ თავზე იფიქრო!

— მე რა მაქვს საფიქრალი, — პირქუშად ჩაიცინა აბაკირმა და ჩემსკენ წამოიწია. ჩემი ფიქრი მუდამ ჩემთანაა, თან დამყვება. ყველგან გავიტან თავს. განმერიდა, მაგრამ რაღაცა ჭოაგონდა, ახლოს მოვიდა და დაბალი ხმით მითხრა: — შენ კი, აკადემიკოსო, ის გოგო თავიდან ამოიგდე, იმედი ნუ გექნება... წაგაკლავ!

— ამას კიდევ ვნახავთ!

— მე შენ გეუბნები, რომ ნურც იფიქრებ!

უცებ შემეცოდა ეს გათავხედებული ადამიანი, გაშმაგე-

ბული, გაბოროტებული ყველაფერზე და ყველაზე და მშვიდად ვუთხარი:

— შენ ჩემზე უფროსი ხარ. ხანდახან ჭკვიანურადაც ლაპარაკობ. მაგრამ, ალბათ. ეს დაუკვირვებლობით მოგდის. ერთი რამ დაიმახსოვრე: არავის შეუძლია ადამიანს აუკრძალოს ფიქრი და ოცნება. ადამიანები ცხოველებისაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ მათ აზროვნების უნარი აქვთ.

არ ვიცი იმოქმედეს თუ არა ჩემმა სიტყვებმა. მაგრამ ხმა არ ამოუღია. მხოლოდ პირქუშად მივიდა ტრაქტორთან და გახელებით დაატრიალა სახელური. ტრაქტორი აგუგუნდა. მუშაობის დაწყების დრო იყო.

ამ წუთიდან მოვიპოვე უფლება მეოცნება და ჩემს ოცნებებს აღარ გავშორებივარ. მე დავიბრუნე ისინი და მათ არასოდეს დავუტოვებივარ. ჩემთან იყვნენ ყოველთვის.

საღამოთი, როცა ყველა დასაძინებლად ემზადებოდა, მე იურტიდან გამოვედი და წყაროსკენ წავედი. რატომღაც გული იქით მეწეოდა. მინდოდა მარტო ვყოფილიყავი.

ვარსკვლავები ცაზე ვერ დატეულიყვნენ და ცის დასალერს, ჰორიზონტთან მიწაზე ჩამოსახლებულიყვნენ. ბევრი მათგანი, თავზე რომ მადგა, ჩაძირულიყო წყაროში, პატარა მომრგვალებულ წყალსაცავში, რომელიც მე ახლა უძიროდ მეჩვენებოდა. ისინი ირეკლებოდნენ და კიაფობდნენ წყალზე, თითქოს შეგეძლო ნაწილ-ნაწილ ამოგეხაპა და ნაპირზე გადმოგეყარა აბრიალებული ნაკვერჩხლებივით. ცოტა ქვევით კი ნაკადულს მიყვებოდნენ. მასთან ერთად ნამსხვრევებად იფანტებოდნენ ქვიან ნაპირზე. მაგრამ იქ სადაც წყალი უძრავად იდგა, ისინი ისეთივე სხივოსანნი იყვნენ. როგორც ცაზე და მე გავიფიქრე, როგორ ჰგავს-მეთქი ეს წყარო ადამიანის სულს, ისიც ხომ მასავით სავსეა ნათელი ოცნებებით. ისიც ხომ შეიძლება იყოს ისეთივე. ღრმა და უძირო, რომ მთელი სამყარო დაიტიოს.

ვიჯექი წყაროსთან. ვუცქერდი და ვუსმენდი, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი და განვიცდიდი ღამის გაყუჩებულ ტრამალს, იგი ჩემს ოცნებებში ოდნავ სხვანაირი იყო, თუმცა ისეთივე ლამაზი როგორც სინამდვილეში. ვისთვის მომეთხრო

ამაზე, ვისთვის შემეძლო გამეზიარებინა ეს განცდა? ძნელი ასახსნელია. მაგრამ სწორედ ის ქალიშვილი, შუბლზე ჩამოშლილი თმებით, მეჩვენებოდა ისეთ ადამიანად, რომელიც გამიგებდა, მიმიხვდებოდა და ჩემი ოცნებებისა და მღელვარების მოზიარე გახდებოდა. შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვენ აქ. წყაროსთან შევხვდით ერთმანეთს და აქლემის თვალი დავარქვით მას.

სად არის ნეტავ ახლა, იცის რომ მასზე ვფიქრობ? ჩქარა მოვათავებ ხვნას და მაშინ წავალ, მოვძებნი, მოვიყვან წყაროსთან და მოვუყვები ზღაპრულ ქვეყანაზე, რომელსაც ანარხაი ჰქვია. მოვუყვები უბრალოდ, ლექსების გარეშე. ისე რომ არ დამცინოს, დავუხატავ ამ ტრამალის მომავალს.

წასვლის წინ ერთხელ კიდევ მოვაღლე თვალი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. მახარებდა ყველაფერი, რასაც თვალი წვდებოდა. წარმოვიდგინე როგორ დგას ბორცვთან ახლა ქვის ქალი, ყველაფრისადმი გულგრილი და თავისი უსიცოცხლო, ბოროტად მოჭუტული თვალი სივრცისთვის მიუშტერებია.

მთვარე ამოვიდა და ნახნავის იქითა მხარეს მე გავარჩიე ორი ფრთხილად მიმავალი ლანდი. საით მიდიოდნენ ჯეირნები? ალბათ წყლის დასალევად. ჯეირნები მინდვრის კიდეზე გამოვიდნენ და შეჩერდნენ, ვერ გაბედეს ფეხი დაედგათ ნახნავ მიწაზე. რომელსაც ნავთისა და რკინის სუნი ასდიოდა. დიდხანს იდგნენ ასე, გაუნძრევლად, მთვარის შუქით ოდნავ შეეერცხლილები. ძუ დატოტვილი რქებით, ხვადი კი დაბალი ქედითა და ღამეში მოციმციმე, დიდი თვალებით. ხვადი ძუს მიჰკვროდა. ძუ ფრთხილად ყნოსავდა ჰაერს. ასე იდგნენ რაღაც უცნაურად გაქვავებულები. მათი სახე გაოცებას გამოხატავდა: „რა დაემართა ტრამალს? სად გაქრა ძველი ბილიკი? რა ძალამ გაუხსნა მიწას გული?“

ჯეირნებმა მაინც ვერ გაბედეს გადმოესერათ ნახნავი და უხმაუროდ გაბრუნდნენ უკან, მათ მოქნილ ზურგებზე კი თითქოს მოკალათებულიყო მთვარის მოვერცხლისფრო ანარეკლი.

კიდევ ცოტა ხანს ვიჯექი, ჯეირნები რომ არ შემეშინებინა. იურტაში შევედი, ხელის ფათურით მოვძებნე ჩემი ლოგინი და დიდხანს ვიწექი გახელილი თვალებით.

სწორედ ამ დროს გავიგონე ჩურჩული. აბაკირი და კალიპა ერთად იწვნენ. შეიძლება ადრეც ასე იყო, მაგრამ მე არაფერი შემინიშნავს. კალიპა სლუკუნებდა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე.

— კარგი, გეყოფა, — წაილაპარაკა ძილმორეულმა აბაკირმა. — ქალაქში წავალთ და ყველაფერს მოვაგვარებთ. ერთორ დღეს მოგიწევს დაწოლა. ტყუილად რატომ იკლავ თავს.

კალიპამ ნაღვლიანად უპასუხა:

— ამიტომ კი არა, ჩემი თავი მეზიზღება. რამ შემაყვარა შენნაირი ადამიანი? რა ვნახე შენში, ვერ გამიგია... ოდესმე გაგიკეთებია კარგი ადამიანებისათვის? მე კი ძაღლივით აგეტმასნე...

— არც ინანებ, მოვრჩებით მუშაობას და წაგიყვან.

— სწორედაც რომ ვინანებ, მთელი ჩემი ცხოვრება უნდა ვიდარდო და მაინც წამოგყვები. მარტო დარჩენა არ მინდა.

— ჩუმად, გეყოფა! ახლოს მოიწიე. ასე არ სჯობს, თორემ რას ჰგავს, ბალიში მთლად დაასველე.

საბანში ჩავრგე თავი, მინდოდა მალე დამეძინა, მათი საუბარი რომ აღარ მომესმინა.

V

მზეს დღითიდღე ემატებოდა მცხუნვარება. სოროკინი უფრო ხშირად იყო ჩვენთან. ვადები იწურებოდა. უნდა გვეჩქარა, სანამ მიწა სულ გამოშრებოდა. კიდევ ხუთი დღის სახნავი გვქონდა დარჩენილი, ამდენივე სამუშაო ჰქონდათ მთესავებსაც.

სოროკინი ამბობდა, რომ შემოდგომაზე მზრალად მოვხნათ, ხოლო გაისად აქ უკვე ბევრი ტრაქტორი იქნება და რტს-ს ააშენებენო. მას ყველაფერი გამოთვლილი ჰქონდა. სულ ტრამალზე ტრიალებდა, იცოდა მისი ყოველი მიჯნა და ხევი, ქვიშის უკანასკნელ მარცვლამდე ჰქონდა შესწავლილი ყველაფერი.

უკვე დრო იყო შეწყვეტილიყო საკვების შემოზიდვა მანქანებითა და თვითმფრინავებით, როგორც ეს ხდებოდა ანარხაიში დიდი ზამთრობის დროს. სოროკინმა იცოდა როგორ მიეღწია ამისათვის.

ახლა მე და აბაკირი გვიან ღამემდე ვხნავდით. მინდორში ვიძინებდით და განთიადიდანვე ვიწყებდით მუშაობას. სამუშაო იმდენად მძიმე იყო, რომ აბაკირმა თავი დამანება. თითქოს ვერ მაჭმნეედა, ზედაც არ მიყურებდა. მაგრამ ჩემდამი ჩუმი, ფარული სიძულვილი ხანდახან მაინც იელვებდა ხოლმე მის თვალებში.

როცა სოროკინმა ხელფასი მოგვიტანა, აბაკირი დიდხანს ითვლიდა ფულს, უნდობლად იბღვირებოდა და ძლივს მოაწერა ხელი უწყისში. ეს რა მთელი ნამუშევრისა, უწყლობისა და სიშორისთვისაც?

— ყველაფერი აქაა, წაიკითხე, — თქვა სოროკინმა.

აბაკირი ქაღალდზე დაიხარა, ერთხელ კიდევ შეამოწმა უწყისი. შემდეგ მე მომიბრუნდა.

— შემორჩი მაინც არა!? ლექსებსაც სწერ ანარხაიზე. სწორი ხარ, საცა ფულია, სამოთხეც იქაა.

არაფერი მიპასუხნია. დე ილაყბოს. ამისგან არც მცივა და არც მცხელა. მე ვაკეთებდი ჩემს საქმეს და ვცხოვრობდი ჩემი ოცნებებით. ველოდი იმ დღეს, როდესაც წავიდოდი მწყემსებთან, გადავივლიდი ბორცვებს და მოვძებნიდი გოგონას, რომელსაც ისე უხდებოდა შუბლზე ჩამოშლილი თმები.

იმ დღეებში ახალ დიდ ნაკვეთს ვხნავდით. კარგია ახლის დაწყება, როდესაც აკეთებ სასურველ საქმეს, რომელსაც შენთვის კმაყოფილება მოაქვს. ჯერ კიდევ სკოლაში მიყვარდა წერილის დაწყება ახალი სტრიქონიდან, ახალი სუფთა გვერდიდან. მიყვარდა სირბილი ქათქათა, გაუკვალავ თოვლზე, სადაც პირველი ვტოვებდი ნაკვალევს. გაზაფხულობით დავეხეტებოდი მთისძირას და ვკრეფდი პირველ, ახლადშემოსულ ტიტებს. ამაში თავისებური გატაცებაა. სიახლითა და სიფაქიზით რომ გხიბლავს. აქ ანარხაიში უსაზღვრო ტრამალზე გავლებული ახალი კვალი ჩემთვის პირველი სტრიქონი, პირველი თოვლი, ხელუხლებელი ტიტა იყო.

ვიჯექი გუთანზე და ვტკბებოდი იმით, როგორ ავლებდა სახნისი პირველ კვალს. იგი იკრებოდა მიწის სიღრმეში და მსუბუქად ატრიალებდა ბელტებს.

უცებ კიდურა სახნისზე რაღაც აელვარდა, თითქოს თევზი აფართხალდაო ტალღაზე, ცეცხლივით აენთო სახნისის სარკესავით ლაპლაპა ზედაპირი და მიწაში ჩაიძირა. ერთი ხელის დაკვრით გადავეცლე გუთანს, მიწიდან მძიმე, წაგრძელებული ფორმის ლითონის ნატეხი ამოვიღე. ისეთი ლამაზი იყო, ისე ვიყავი აღფრთოვანებული, რომ სიხარულისაგან ხელები გავშალე და ვიყვირე:

— ოქრო!

აბაკირმა ჩემს ყვირილზე მოიხედა, ტრაქტორი გააჩერა და უცებ ჩამოხტა.

— რა იყო, რა იპოვნე?

— ოქრო! ნახე, აბაკირ, ოქრო!

იგი ჩემსკენ წამოვიდა, ჯერ დინჯად, მერე ნაბიჯს აუჩქარა. მე გავუწოდე ლამაზი ოქროსფერი ნივთი.

— აბა მაჩვენე?! — ურწმუნოდ აიღო ხელში ნაპოვნი—რა უნდა აქ ოქროს? — ჩაილაპარაკა მან დახშული ხმით და თანდათან ფერი დაკარგა, თითქოს რაღაცის შეეშინდაო. — შეუძლებელია, — თავს ძალა დაატანა გაეცინა. ფრჩხილებით მოაცილა მიწა ნივთს და თვალებში ვეღარ შემომხედა ისე უკმაყოფილოდ დამიბრუნა ლითონის ნამტვრევი.

— რატომაც არა! — გულფიცხად შევეპასუხე მე. — ნახე რა მძიმეა, რვაასი გრამი იქნება. მეთორმეტე საუკუნეში აქ მონღოლები ცხოვრობდნენ, აქ მოსვლამდე მათ ჩინეთი დაიპყრეს და ბევრი ოქრო გამოზიდეს იქიდან. აი ასე შეიძლებოდა მოხვედრილიყო აქ ოქრო! — ამას იმიტომ ვამბობდი, რომ ძალიან მინდოდა ჩემი ნაპოვნი ნივთი ოქრო გამომდგარიყო. ამ სურვილით გატაცებული ვაგრძელებდი ფანტაზიორობას და ამით სიმართლეში ვარწმუნებდი ჩემს თავსაც და პირდაღებულ, გაშტერებულ აბაკირსაც. შენ იცი რამდენი საუკუნე დევს იგი მიწაში? სხვა ლითონს აქამდე ჟანგი შეჭამდა. ეს კი შეინახა, იმიტომ რომ სუფთა ოქროა. ანარხაიში ოდესღაც ერთმანეთს ეომებოდნენ მომთაბარე ტომები. იცი რა სისხლი იღვრებოდა აქ! ხანების ხმლები ოქროთი იყო მოჭედილი. იმ დროისათვის ოქროს მარტო სამკაულად კი არ იყენებდნენ, არამედ ხმლებისათვისაც: მეტი სიმძიმე რომ მიეცათ, კაცისა-

თვის რომ ადვილად წაეთალათ თავი. ეს ნამსხვრევი ხანის ხმლის ვადაა. ნახე. რა კარგად მიჭირავს.

აბაკირმა ნატეხი აიღო, ცოტა ხანს ეჭირა, ხელში აწონა.

— თუმც ოქრო არ არის, მაგრამ მაინც ვანახოთ მცოდნე ხალხს, უბრალოდ საინტერესოა. ნამტვრევი ჯიბეში ჩაიდო. — შენ გუთნიდან გადმოგივარდება; ჩემთან იყოს.

აბაკირი ტრაქტორისკენ წავიდა, თან დამძიმებულ ჯიბეზე ისვამდა ხელს.

მუშაობა გავაგრძელეთ. ვფიქრობდი როგორ წავუღებდი ნაპოვნს ჩემს მასწავლებელ ალდიაროვს. მას ხომ ბევრი ამნაირი ნივთი აქვს. იგი ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მომიყვებოდა საინტერესო რამეს. მერე დავიღალე და ოქრო სულ გადამავიწყდა. მაწამებდა ტრაქტორის არათანაბარი მოძრაობა. აბაკირს რაღაც უცნაურად დაჰყავდა მანქანა. ხან გაუბედავად შეუნელებდა სვლას, ხან კი ადგილიდან მოწყვეტდა და მოტორის ღრიალით მაყრუებდა. შავი ბოლქვები ამოვარდებოდა ხოლმე მილიდან და მღვრიე, მყრალ ღრუბლად აწვებოდა ნახნავს, ძვრებოდა გუთნის, სახნისების ქვეშ.

ასე ვიმუშავეთ დღის ბოლომდე. მზე გადაიხარა, მაგრამ ჯერ კიდევ სინათლე იყო. აბაკირმა რამდენჯერმე გადმომხედა მხარს ზემოდან და რაღაც გაურკვეველი მზერა მესროლა. ბოლოს ტრაქტორი გააჩერა.

— მოდი აქ! — დამიქნია ხელი.

კაბინაში ავძვერი. აბაკირს ფერი დაკარგვოდა, თვალები აქეთ-იქით გაურბოდნენ. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მოტორის ღრიალში მითხრა..

— ვერ გაგაგონე, ყვირილის თავი არ მქონდა. წადი, ბერკეტები დაამაგრე, მერე დაბრუნდი, დაჯექი და თვითონ მართე ტრაქტორი, რაღაც ცუდად ვარ, ჰაერზე გავიელი, შეიძლება გადამიაროს...

— წადი. ნუ ინაღვლებ, მე მოვუვლი! — დავამშვიდე იგი.

სანამ გუთანთან მივირბინე და დავბრუნდი, აბაკირი კაბინიდან ჩამოსულიყო. იგი რაღაც უცებ დაპატარავდა, ჩაქრა, თითქოს გამოხუნდაო. ჩუმად წავიდა, წელში მოხრილი.

„მართლაც რომ ავად გამხდარა, ალბათ, მუცელი ატკივდა“, — გავიფიქრე, მანქანა ავამუშავე და ადგილიდან დავძარი.

ტრაქტორი თანაბრად, მოზომილად მოძრაობდა. იგი ისევ ჩემს ნებას ემორჩილებოდა. ამჯერადაც ვღელავდი, ვცდილობდი ზუსტად მემართა მანქანა. ნაკვეთის ბოლოში ტრაქტორი მოვატრიალე. მიწაზე უკვე ჩამოწოლილიყო ბინდი, აგრილდა. კიდევ ორი წრე და სინათლის ჩართვა მომიწევს-მეთქი, გავიფიქრე და წინ გავიხედე. შორს ფერდობის გასწვრივ ვიღაცა ჩქარი ნაბიჯით მიიკვლევდა გზას. უნაგირას მიაღწია, სწრაფად ჩაირბინა ქვევით და მიიმალა. მე მხოლოდ მისი ზურგი დავინახე. აბაკირი იყო. რა დაემართა? საით გაიქცა? ვინმე დაინახა, ალბათ. ნაკვეთის შუაგულს რომ მივაღწიე, კაბინიდან გადმოვყავი თავი, წამოვდექი, აბაკირი ველარ დავინახე. სად დაიკარგა? ის ხომ ავად იყო. უცნაურია. ტრაქტორი გავაჩერე, მოტორი მცირე ბრუნვებზე გადავიყვანე.

— აბაკი-ირ! — დავიძახე. — აბაკი-ირ!

ხმა არავის გაუცია. სულ გამოვრთე მოტორი, რომ რამე გამეგონა.

— აბაკირ! სადა ხარ? ხმა გამე! — ვყვიროდი მე.

მაგრამ ბორცვები, რომელთაც საღამოს ჩრდილი დასდგომოდათ თავზე, დუმდნენ.

იქნებ ცუდად გახდა? წარმოვიდგინე, რომ მოკრუნჩხული მიწაზე აგდია და წამოდგომას ველარ ახერხებს. ტრაქტორიდან ჩამოვხტი და რაც ძალი და ღონე მქონდა გავიქეცი. გადვირბინე უნაგირა. მიმოვიხედე. არავინ ჩანდა. ავვარდი მაღალ ბორცვზე და აქედან დავინახე, იგი მიდიოდა, მიდიოდა უკან მოუხედავად, უკვე ძალზე შორს იყო.

— აბაკი-ირ! სად მიდიხარ? — ვყვიროდი მე, მაგრამ ის აღარ იხედებოდა და ბოლოს სულ გაქრა, თითქოს მიწამ ჩაიტანაო.

ცოტა ხანს კიდევ ვიდექი, შემდეგ შემოვბრუნდი. ცაზე მქრქალ ლაქებად ქრებოდა სინათლის უკანასკნელი სხივები. პირქუში სიბნელე წვებოდა ბორცვებსა და ვაკეზე.

მივდიოდი შეშფოთებული და დაბნეული. უცნაურად და უჩვეულოდ მეჩვენა ეს სევდიანი, განაბული მყუდროება. თით-

ქოს ტრამალი უგდებსო ყურს ჩემს ნაბიჯებს, ჩემს ფიქრებს. მივდიოდი თავჩაქინდრული და ვფიქრობდი: „ნუთუ ოქროს ნატეხისათვის დაკარგა გონება? არა, ასეთები გონებას არ კარგავენ. იგი დიდიხანია მზად იყო გასაქცევად. მიხვდა, რომ ახლა სხვაა ხალხი, სხვაა ცხოვრებაც, რომ ახლა უტიფრობითა და თავხედებით თავს ვერ გაიტან. აღარც ორსული კალიპა და მისი სიყვარული სჭირდებოდა. აქ კიდევ ოქრო ჩაუვარდა ხელთ და...

ფიქრები კალიპას ხმამ შემაწყვეტინა:

— აბაკი-ირ! ქემელ! სადა ხართ?

მან წყალი მოგვიტანა რადიატორში ჩასასხმელად.

— სად დაიკარგეთ? — შეშფოთებით შემეგება იგი.—შემეშინდა, ვიცდი, ვიცდი, ტრაქტორი დგას და თქვენ კი არ ჩანხართ!

რა უნდა მეპასუხა. სიმართლე ვუთხარი:

— აბაკირი წავიდა. სამუშაო მიატოვა.

— როგორ? სულ წავიდა?

— სულ.

— კი მაგრამ... რატომ?.. ენის ბორძიკით იკითხა მან.

— არ ვიცი.

არაფერი ვუთხარი ოქრობზე, მრცხვენოდა აბაკირის მაგივრად.

— მაშასადამე, წავიდა? — ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ საზიდრიდან წყლიანი ბიტონი ჩამოიღო და ძლივს დადო მიწაზე. — რიღასთვის მომაქვს ეს წყალი? — დაბნეულად ჩაილაპარაკა, არავისთვის არ მიუმართავს ისე.

ბიტონი რადიატორთან მივიტანე, კალიპა სახით მიეყრდნო კაბინას და მწარედ ატირდა.

ადგილს ვეღარ ვპოულობდი. არ ვიცოდი რითი დამემშვიდებინა.

— შეიძლება კიდევ შეხვდეთ ერთმანეთს, — გაუბედავად დავიწყე და კალიპასაკენ შევბრუნდი.

— მაგისთვის არ ვტირი, — ამოისლუკუნა მან და სწრაფად მოატრიალა ჩემსკენ ცრემლით დანამული სახე. — მწამდა, ვოცნებობდი! რა მწამდა? რაზე ვოცნებობდი? — წამოიყვირა

მან ისეთი გაწამებული ხმით, რომ ტრამალი გამოეხმაურა მწუხარე ექოდ. — ვფიქრობდი, შრომისმოყვარე ბიჭია, გაუელის ბოროტება. სიკეთითა და სიყვარულით მინდოდა გამეთბო მისი გული. ის კი? ღირს კია ლაპარაკი... ცხენიც მუშაობს, ადამიანი კი, ადამიანს პირველ რიგში სული უნდა ჰქონდეს ადამიანური... მაშინაა შრომა ბედნიერება, მაშინ აქვს საქმეს აზრი... მან კი ვერაფერი გაიგო. როგორიც იყო, ისეთივე წავიდა. მწყინს, ნეტავ ვინმემ იცოდეს როგორ მწყინს.

კალიპამ ეს სიტყვები წამოიყვირა და ღამეში ჩაკარგულმა ტრამალმა გაიმეორა: „მწყინს... ოხ, როგორ მწყინს!"..

ვდუმდი დამწუხრებული და გულდამძიმებული. კალიპა მეცოდებოდა, მის მაგივრად მტკიოდა გული. ვერ გამეგო, როგორ შეიძლებოდა ასეთი კაცის შეყვარება... მაგრამ აბაკირს რომ სცოდნოდა, რომ ჰქონოდა გაგების უნარი, თუ რა დიდი, ნამდვილი ბედნიერება დაკარგა კალიპა რომ მიატოვა, კალიპა კი არ იტირებდა, თვითონ ის აყმუვლდებოდა ხროვიდან გაგდებული, ცივ ზამთარში მარტოდ მოხეტიალე მგელივით.

კალიპა ხმისამოუღებლად ჩაჯდა საზიდარში და წავიდა.

მშვიდად ეძინა ანარხაის ტრამალს. სადღაც შორიდან აბზინდებს თავზე გადაურბინა, ქოჩრები შეურხია და ისე მოაღწია ორთქლმავლის სუსტმა კივილმა. შეიძლება აბაკირი მიდიოდა საბარგო ვაგონზე ჩამომჯდარი. წაეთრიე, გარეწარო, ეშმაკისკენაც გქონია გზა. არ დაიღუპება ანარხაი, გავძლებთ უშენოდაც.

მე ის აღარ მომგონებია. საქმე იყო გასაკეთებელი. დიდხანს ვწვალობდი, ვიდრე ტრაქტორი არ ავამუშავე და ღამის მყუდროება არ დავარღვიე, კაბინაში ჩავჯექი და ფარები ჩავრთე.

ახლა ყველაფერზე მე ვაგებდი პასუხს. ძალიან მომინდა, რომ ჩემს გვერდით ყოფილიყო საყვარელი გოგონა, შუბლზე ლამაზად ჩამოშლილი თმებით და ერწმუნა ჩემი, დაეჯერებინა, რომ აქ, ველური აბზინდებით აფერადებულ ტრამალზე გადაიჭიმება ზღაპრული ქვეყანა — ანარხაი.



ფართოდ ვაღებ ფანჯარას. ოთახი დილის გრილი ჰაერით ივსება. მოციმციმე აისის ბინდბუნდში ვათვალიერებ დაწყებული სურათის ეტიუდებსა და ჩანახატებს. ბევრი დამიგროვდა, უკვე მერამდენიმეჯერ დავიწყე ყველაფერი თავიდან. ჯერ ძნელია იმის თქმა, თუ როგორი გამოვა სურათი. ჯერ კიდევ არ მიპოვნია მთავარი, ის რაც თავისით მოდის და რაღაც არაჩვეულებრივი სინათლით და სიცხადით დაგიყენებს თვალწინ საძიებელს, მოვა გულში ჩაღვრილ გამოუთქმელ ბგერებად, ზაფხულის ადრიანი განთიადივით. დავდივარ და ვფიქრობ, ირგვლივ სიწყნარეა და მე ისევ. ვფიქრობ. ასეა ყოველთვის. მე ისევ და ისევ ვრწმუნდები, რომ ჩემი სურათი ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრია და მეტი არაფერი.

არა ვარ იმის მომხრე, რომ თვით ახლო მეგობრებსაც კი წი-

ნასწარ ველაპარაკო და გავაცნო ჩემი ჯერ დაუმთავრებელი სურათები. იმიტომ კი არა, რომ მე ეჭვის თვალით ვუყურებ ჩემს სამუშაოს, არა; მე მგონია, ძნელია წინასწარ იმის თქმა, როგორი გაიზრდება ბავშვი, რომელიც ჯერ აკვანშია. ასევე ძნელია მსჯელობა დაუმთავრებელ, ჯერ დაუწერელ ნაწარმოებზე. ამჯერად ვღალატობ ჩემს თავს — მინდა საჯაროდ განვაცხადო, უფრო სწორად, ადამიანებს გავუზიარო ჩემი აზრები დაუმთავრებელ ნაწარმოებზე.

ეს ჭირვეულობა არაა. სხვანაირად არ შემიძლია მოვიქცე. რადგან ვგრძნობ მარტოს გამიჭირდება ასეთი ტვირთის ზიდვა. ამბავი, რომელმაც გული ამიფორიაქა, ამბავი, რომელმაც მაიძულა ხელში ამეღო ფუნჯი, ისე მნიშვნელოვნად მეჩვენა, რომ ვფიქრობ მარტო მე ვერ დავიტევ მას. მეშინია რომ ბოლომდე ვერ მივიტანო, მეშინია გზაზე უსარგებლოდ არ დავღვარო სავსე ფიალა. მინდა ადამიანები დამეხმარონ რჩევით, მიკარნახონ, როგორ განვახორციელო ჩანაფიქრი, თუნდაც წამით, ფიქრში მაინც, ჩემთან ერთად დადგნენ მოლბერტთან, ჩემთან ერთად აღელდნენ, განიცადონ.

ნუ დაიშურებთ გულის სითბოს, ნუ დაინანებთ ყურადღებას, მოდექით ახლო, მე ვალდებული ვარ მოგითხროთ ეს ამბავი.

ჩვენი აული კურკურეუ ქედებთან ფართო პლატოზე მდებარეობს. აქ თავს იყრის ხეობებიდან მოხეთქილი შფოთიანი მთის მდინარეები. აულს ქვევით გადაშლილია ყვითელი ველი, უზარმაზარი ტრამალი ყაზახეთისა, შემოჯარული ჩამუქებული მთებითა და შემორკალული რკინიგზით, რომელიც დასავლეთით ჰორიზონტისაკენ იკარგება.

აულს თავზე წამოდგომია ბორცვზე აშოლტილი ორი დიდი ალვის ხე. ისინი ასე დგანან რაც თავი მახსოვს. რომელი მხრიდანაც არ უნდა უახლოვდებოდე აულს, პირველად ამ ორ ალვის ხეს დაინახავ. არ ვიცი რით ავხსნა — იქნებ იმით, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებები განსაკუთრებით ძვირფასია ადამიანისათვის—ან იმით, რომ ეს დაკავშირებულია ჩემს პროფე-

სიასთან, მაგრამ ყოველთვის, როცა მატარებლიდან ჩამოვდივარ და ტრამალით აულისაკენ მივდივარ, უპირველეს ყოვლისა თვალები თავისით ეძებენ ჩემთვის მშობლიურ ალვის ხეებს; როგორი მაღლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ასეთი მანძილიდან მათი დანახვა ძნელია, მაგრამ მე მუდამ ვგრძნობ, მუდამ ვხედავ მათ.

რამდენჯერ დავბრუნებულვარ შორეული მხარეებიდან კურკურეუში, ყოველთვის სევდამორეულს მიფიქრია: „როდის შევავლებ თვალს ცაში ტყუპად აჭრილ ალვის ხეებს? ნეტავ მალე ჩავიდე აულში, ავიდე ბორცვზე ალვებთან, რომ შემდეგ დიდხანს ვიდგე მათ ძირში და ვუსმინო ფოთლების შრიალს“.

ჩვენ სოფელში რამდენიც გინდა იმდენი ხეა, მაგრამ ეს ალვები ყველასგან გამოირჩევა — მათ თავისი განსაკუთრებული ენა აქვთ, და იქნებ თავისებურად ამღერებული სულიც. როდესაც არ უნდა მოხვიდე აქ, დღისით, თუ ღამით, ისინი ირწევიან, ქარი ეთამაშება მათ ტოტებს და ფოთლები სხვადასხვა ხმაზე შრიალით ამბობენ თავის გულისსათქმელს.

უფრო გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ, მე გავიგე ორი ალვის ხის საიდუმლო. ისინი დგანან ამაღლებულ ადგილას, რომელიც მუდამ ღიაა ქარისათვის და ჰაერის უმნიშვნელო მოძრაობასაც განიცდიან, მათი ფოთლები გრძნობენ და იჭერენ ნიავის ყოველგვარ შეთამაშებას.

ამ უბრალო ჭეშმარიტების ამოხსნამ, მე სულაც არ ამიცრუა გული და არ გამიქარწყლა პირველი ბავშვური შთაბეჭდილებები, რასაც სათუთად ინახავს ჩემი გონება. და დღესაც ბორცვზე წამომდგარი ორი ალვის ხე მე ისევ არაჩვეულებრივი, ცოცხალი არსება მგონია. იქ, მათ მახლობლად დარჩა ჩემი ბავშვობა, როგორც ნამსხვრევი ზღაპრული ფერადოვანი შუშისა.

სწავლის უკანასკნელ დღეს, საზაფხულო არდადეგების დაწყების წინ, ბავშვები კისრისტეხით მოვრბოდით ხოლმე აქეთ ჩიტის ბუდეების ასაოხრებლად. ყოველთვის, როცა არ უნდა ამოგვერბინა აქ, ამ ბორცვზე, გოლიათი ალვის ხეები

ისე ირწეოდნენ, თითქოს „გვესალმებიანო თავიანთი საამო ჩრდილებითა და ფოთლების მოალერსე შრიალით.

ჩვენ კი ფეხშიშველი, თავზეხელაღებული ბიჭები ერთმანეთის ზურგზე შემდგარნი ვებღოტიალებოდით მის ტოტებს და ვაშფოთებდით ფრინველთა სამეფოს. ფრინველთა გუნდი ჟივილ-ხივილით დაგვტრიალებდა თავს. მაგრამ ჩვენ არაფერს დაგიდევდით — ცა ქუდად მიგვაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მივიწევდით სულ მაღლა (რა თქმა უნდა, ვინც უფრო ყოჩაღი და მარჯვე იყო), და დიდი სიმაღლიდან, სადაც ჩიტთა სამკვიდრებელია, ჩვენს თვალწინ იშლებოდა სინათლისა და უსაზღვროების ზღაპრული სამყარო. ჩვენ გვაოცებდა მიწის სიდიადე. სულგანაბულნი და სუნთქვაშეკრულნი ვიჯექით ჩვენ-ჩვენ ტოტზე და გვავიწყდებოდა ჩიტებიც და მათი ბუდეებიც. კოლმეურნეობის საჯინიბო, რომელიც დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი შენობა გვეგონა, აქედან ჩვეულებრივ ხუხულას ჰგავდა. აულს იქით, სადღაც უსაზღვროდ შორს, მოწითალო ჰორიზონტზე იკარგებოდა მკერდგადაშლილი ტრამალი. ჩვენ ვაკვირდებოდით მის მოლურჯო-მოიისფრო სივრცეებს, სანამ თვალი მიგვიწვდებოდა და ვარჩევდით სულ ახალ, ჩვენთვის აქამდე უცნობ მიწებს, რომელთა არსებობაზეც არაფერი ვიცოდით. ვერცხლისფერი ძაფივით ბრწყინავდნენ ჰორიზონტზე მდინარეები. ჩვენ კი, ტოტებში გაყუჩებულნი, ვფიქრობდით: ეს არის ქვეყნის დასალიერი, თუ ამას იქეთ კიდევ არის ასეთივე ზეცა, ასეთივე ღრუბლები, ტრამალები და მდინარეები? ტოტებში გატრუნულებს, ჩვენ გვესმოდა არაამქვეყნიური შრიალი ნიავისა და ფოთლები საპასუხოდ ერთხმად გვეჩურჩულებოდნენ, საოცნებო, უცნაურობით სავსე მხარეებზე, მოლურჯო-მოიისფრო ჰორიზონტს იქით რომ იყო მიმალული.

მესმოდა ხმაური ალვის ხეთა და გული მიცემდა სიხარულისა და შიშისაგან, ამ გამუდმებული შრიალის აკომპანემენტში ვცდილობდი წარმომედგინა თუ როგორი იყვნენ ეს უცნობი სივრცეები. მხოლოდ ერთზე არ მიფიქრია თურმე მაშინ, ვინ დარგო აქ ეს ხეები? რაზე ოცნებობდა, რას ამბობდა ეს უცნობი ადამიანი, როდესაც მიწაში რგავდა ამ ხეთა ფესვებს, რა იმედით ზრდიდა იგი მათ ამ ბორცვზე?

ბორცვს, სადაც ალვის ხეები იდგა, რატომღაც „დიუიშენის სკოლას“ უწოდებდნენ. მახსოვს, როგორ კითხულობდა დაკარგული ცხენის პატრონი:

„ჩემი წაბლა ხომ არ დაგინახავთ?“ — ყველაზე უფრო ხშირად იგი ასეთ პასუხს იღებდა: „აი იქ, ზევით, დიუიშენის სკოლასთან მოვკარი ღამით თვალი, შეიძლება შენი იყო?!“ უფროსების მიბაძვით, ჩვენც ხშირად გვითქვამს: „წავიდეთ, ბიჭებო, დიუიშენის სკოლისაკენ, ალვის ხეებზე ბეღურებს ბდღვირი გავადინოთ“.

ამბობდნენ, რომ ოდესღაც ამ ბორცვზე სკოლა იყო. ჩვენ ჩვენის ნანგრევებსაც ვერ შევესწარით. ბავშვობაში მე დიდხანს ეძებდი მის ნაშთებს, ვეძებდი, დავეხეტებოდი, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიე. შემდეგ კი უცნაურად მეჩვენა, თუ რატომ უწოდებდნენ ამ მოტიტვლებულ ბორცვს „დიუიშენის სკოლას“, ერთხელ როგორღაც ვკითხე მოხუცებს, ვინ არის-მეთქი ეს დიუიშენი? ერთმა მათგანმა აგდებულად მიპასუხა:

„ვინ არის? ახლაც ცოცხალია. კოჭლი ცხვრის მოდგმიდანაა. დიდი ხნის ამბავია, დიუიშენი მაშინ კომკავშირელი იყო. ამ ბორცვზე კი მიგდებული ფარდული იდგა. სწორედ აქ გახსნა დიუიშენმა სკოლა, ბავშვებს ასწავლიდა. რა სკოლა იყო, სახელი ჰქონდა მხოლოდ, ძალზე საინტერესო დრო იყო! ვინც კი ცხენისთვის ფაფარში ხელის ჩავლება და უზანგში ფეხის გაყრა მოახერხა — უფროსიც ის იყო. ასე მოიქცა დიუიშენიც. მოუვიდა აზრი და გააკეთა კიდეც. ახლა ქვასაც ველარ ნახავ იმ ფარდულიდან — მხოლოდ სახელწოდება დარჩა“.

დიუიშენს ცუდად ვიცნობდი. მახსოვს მხოლოდ, ეს იყო ხანში შესული, მაღალი, მოუხეშავი კაცი, არწივისებურად წინ წამოწეული წარბებით. იგი მდინარის გაღმა ცხოვრობდა, კოლმეურნეობაში მუშაობდა და ძნელად სანახავი იყო. ხანდახან ჩვენს ქუჩაზე ჩამოივლიდა ხოლმე ცხენით, თოხი უნაგირზე ჰქონდა გადებული, ცხენიც თითქოს პატრონს მოჰგავდა. შემდეგ დიუშენი დაბერდა, ამბობდნენ, ფოსტალიონობა დაიწყოო. ეს სიტყვამ მოიტანა. ჩემს მაშინდელ წარმოდგენაში კომკავშირელი — ეს იყო გულფიცხელი შრომასა თუ სიტყვაში, აულში ყველაზე მებრძოლი ადამიანი, რომელიც კრებაზე

სიტყვით გამოვა, გაზეთში ლოთებსა და მფლანგველებზე დაწერს. მე ვერაფრით ვერ წარმომედგინა, რომ ეს წვერმოშვებული წყნარი კაცი ოდესმე შეიძლებოდა კომკავშირელი ყოფილიყო და ყველაზე მეტად მიკვირდა, რომ, თვითონ თითქმის უწიგნური, ბავშვებს ასწავლიდა. არა, ამის დაჯერება არ შემეძლო! გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ერთი იმ მრავალრიცხოვან ზღაპართაგანი მეგონა, რომლებსაც ჩვენს აულში ჰყვებოდნენ. მაგრამ სინამდვილეში თურმე ყველაფერი სხვანაირად იყო...

შარშან შემოდგომაზე აულიდან დეპეშა მივიღე. თანამემამულეები ახალი სკოლის საზეიმო გახსნაზე მეპატიჟებოდნენ. სკოლა კოლმეურნეობამ ააშენა თავისი სახსრებით. გადავწყვიტე ჩავსულიყავი, აულში ასეთი სასიხარულო რამ ხდებოდა და მე სახლში რა გამაჩერებდა. ის კი არა, რამდენიმე დღით ადრე წავედი. ვფიქრობდი, გავივლ-გამოვივლი, ახალ ჩანახატებს გავაკეთებ-მეთქი. მოწვეულთა შორის თურმე აკადემიკოსი სულაიმანოვაც იყო. მითხრეს, რომ იგი ორ-სამ დღეს დარჩებოდა და აქედან წავიდოდა მოსკოვს.

მე ვიცოდი, რომ ეს სახელგანთქმული ქალი ბავშვობისას წასულიყო ჩვენი აულიდან ქალაქად. გავიცანი, როცა მეც ქალაქის მცხოვრები გავხდი, მაშინ უკვე საკმაოდ იყო ხანშიშესული, ჩასუქებულს თმებში ბლომად გამორეოდა ჭაღარა. ჩვენი ცნობილი თანამემამულე უნივერსიტეტში კათედრას განაგებდა, კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიაში, მუშაობდა აკადემიაში და ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ. მას ერთის წუთით არ ჰქონდა მოცლა და ვერ მოვახერხე ახლოს გავცნობოდი, მაგრამ როცა არ უნდა შევხვედროდი, იგი აუცილებლად გამომკითხავდა ჩვენი აულის ამბავს, გამიზიარებდა თავის აზრს ჩემი ნამუშევრების შესახებ. ერთხელ გავბედე და ვუთხარი:

— ალტინაი სულაიმანოვნა, კარგი იქნებოდა წასულიყავით აულში, მოგენახულებინათ თანასოფლელები. თქვენ ყველა გიცნობთ, ამაყობენ თქვენით, მაგრამ რაც იციან, მხოლოდ გაგონილით, ხანდახან ამბობენ კიდეც, ჩვენი ცნობილი მეცნიერი, ალბათ, არ გვკადრულობს, სულ რომ დაივიწყა ჩვენი სოფლის გზაო.

— უნდა ჩავიდე, რა თქმა უნდა, — ხაღვლიანად გაილიმა ალტინაი სულაიმანოვნამ.—მეც დიდი ხანია ვოცნებობ მოვინახულო კურკურეუ, თითქმის მთელი საუკუნეა იქ არ ვყოფილვარ. მართალია აულში ნათესავები არა მყავს, მაგრამ ეს ხომ არ არის გადამწყვეტი, აუცილებლად უნდა მოვინახულო, მომენატრა მშობელი კუთხე.

აკადემიკოსი სულაიმანოვა სკოლაში მაშინ მოვიდა, როდესაც საზეიმო სხდომა ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო. კოლმეურნეებმა ფანჯრიდან დაინახეს მისი მანქანა და წამის უმალ ეამოცვივდნენ გარეთ. ნაცნობს თუ უცნობს, დიდსა და პატარას — ყველას უნდოდა ხელი ჩამოერთმია მისთვის. ალტინაი სულაიმანოვნა, ალბათ, არ მოელოდა ასეთ შეხვედრას და მომეჩვენა, რომ დაიბნა კიდეც, მკერდზე ხელები გადაიჭდო და თავმოდრეკით ესალმებოდა ხალხს. თან ძლივს მიიკვლევდა გზას პრეზიდიუმისაკენ.

ალბათ, ალტინაი სულაიმანოვნა არაერთხელ ყოფილა საზეიმო სხდომებზე და ყოველთვის სიხარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ, მაგრამ აქ, უბრალო სოფლის სკოლაში, თანამემამულეთა გულმხურვალე შეხვედრამ იგი ააღელვა, გული აუჩუყა, ყოველნაირად შეეცადა დაემალა თვალებზე მომდგარი ცრემლები.

საზეიმო ნაწილის შემდეგ პიონერებმა ძვირფას სტუმარს წითელი ყელსახვევი გაუკეთეს, ყვავილები მიართვეს და მისი სახელი პირველი ჩაწერეს ახალი სკოლის საპატიო წიგნში. შემდეგ სასკოლო თვითმოქმედების კონცერტი გაიმართა საინტერესო და მხიარული, რის შემდეგაც სკოლის დირექტორმა ჩვენ — სტუმრები, მასწავლებლები, კოლმეურნეობის აქტივისტები — თავისთან მიგვიწვია სტუმრად.

აქაც ათასნაირად გამოხატავდნენ ალტინაი სულაიმანოვნას სტუმრობით გამოწვეულ სიხარულს. ყველაზე საპატიო ადგილი მიუჩინეს — ნოხებით მორთული და ყოველნაირად ცდილობდნენ ხაზი გაესვათ თუ რაოდენ დიდ პატივს სცემდნენ მას. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ირგვლივ ხმაური იდგა, სტუმრები ლაპარაკობდნენ, წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოებს. ოთახში ბიჭუნა შემოვიდა და სახლის პატრონს

დეპეშების შეკვრა მიაწოდა. დეპეშები ხელიდან ხელში გადადიოდა: ყოფილი მოსწავლეები ულოცავდნენ თანასოფლელებს ახალი სკოლის გახსნას.

— დეპეშები მოხუცმა დიუიშენმა მოიტანა? — იკითხა სკოლის დირექტორმა.

— დიახ, — უპასუხა ბიჭუნამ. — მთელი გზა მოვერეკებოდი ცხენს, რომ კრებისათვის მომესწრო, ხალხის თანდასწრებით წაგეკითხათო. ცოტა დააგვიანდა ჩვენს აკსაკალს, გულდაწყვეტილი მოვიდა.

— რას უდგას გარეთ, უთხარი ჩამოხტეს ცხენიდან, შემოიპატიჟე.

ბიჭუნა გარეთ გავიდა დიუიშენის შემოსაპატიჟებლად. ალტინაი სულაიმანოვნა, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, რატომღაც აწრიალდა და უცნაურად, თითქოს უცებ მოაგონდა რაღაც, მე შემეკითხა, რომელ დიუიშენზეა ლაპარაკი?

— კოლმეურნეობის ფოსტალიონზე, ალტინაი სულაიმანოვნა. იქნებ იცნობთ კიდეც მოხუც დიუიშენს?

მან გაურკვევლად დამიქნია თავი, შემდეგ შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ამ დროს ცხენის ფლოქვები ახმაურდა, ყმაწვილი შემობრუნდა.

— ვთხოვე, აგაი, მაგრამ არ დაიცადა, წერილები მაქვს დასარიგებელიო.

— თუ ასეა, დაარიგოს, რატომ შევუშალოთ ხელი. შემდეგ მოხუცებთან დაჯდება, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ო-ო, თქვენ არ იცნობთ ჩვენ დიუიშენს! იგი კანონის კაცია. სანამ საქმეს არ მოითავებს, არსად არ გადაუხვევს.

— სწორია, უცნაური კაცია. ომის შემდეგ ჰოსპიტალიდან რომ გამოვიდა, უკრაინაში ცხოვრობდა. ხუთი წელია, რაც დაბრუნდა. ჩემს მშობელ მიწაში მინდა დავიმარხოო. მთელი თავისი სიცოცხლე ასე ეულად ცხოვრობს.

— მაინც კარგი იქნებოდა, რომ შემოსულიყო... თუმცა...— და სახლის უფროსმა ხელი ჩაიქნია.

— ამხანაგებო, ოდესღაც ჩვენ, ვისაც ახსოვს, დიუიშენის სკოლაში ვსწავლობდით. — სოფლის ერთ-ერთმა ყველაზე პატივსაცემმა ადამიანმა ჭიქა ასწია. — თვითონ მან ალბათ, ანბანის ყველა ასო არც კი იცოდა. მოლაპარაკემ თვალები დახუჭა და თავი გადაიქნია. მისი სახე გაკვირვებას და დაცინვას გამოხატავდა.

—მართალია, სწორედ რომ ასე იყო, — გამოეხმაურა რამოდენიმე.

ყველას გაეცინა.

— რა სალაპარაკოა! რას არ იგონებდა მაშინ დიუიშენი, ჩვენ კი მას სერიოზულად ვთვლიდით მასწავლებლად.

როცა სიცილი მიწყნარდა, სოფლის პატივსაცემმა კაცმა განაგრძო:

— ახლა კი ხალხი ჩვენს თვალწინ გაიზარდა. აკადემიკოს ალტინაის მთელი ქვეყანა იცნობს. თითქმის ყოველ ჩვენთაგანს აქვს საშუალო განათლება, ბევრს — უმაღლესიც. დღეს აულში ახალი სკოლა გავხსენით, მარტო ეს ფაქტიც მეტყველებს, თუ როგორ შეიცვალა ცხოვრება. მოდით, სახლიკაცებო, შევსვათ სადღეგრძელო იმისა, რომ კურკურეული ქალიშვილები და ვაჟიშვილები ყოველთვის მოწინავენი ყოფილიყვნენ.

ახმაურდნენ, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი სადღეგრძელოს, მხოლოდ ალტინაი სულაიმანოვნა გაწითლდა, რაღაცით ძლიერ დარცხვენილმა ოდნავ მოსვა ჭიქა. მაგრამ მოზეიმე, ლაპარაკით გართულ ადამიანებს, ეს არც შეუმჩნევიათ.

ალტინაი სულაიმანოვნამ რამდენჯერმე დახედა საათს. შემდეგ კი, როცა სტუმრები გარეთ გამოვიდნენ, მე შევამჩნიე, რომ არხთან მდგარი დაჟინებით მისჩერებოდა ბორცვს, სადაც შემოდგომისაგან წითელფერმიძალებული ორი ალვის ხე იდგა. მზე ჩადიოდა, იგი მწუხრჩამოწოლილი ტრამალის მოიისფრო ჰორიზონტიდან გვიგზავნიდა გამოსათხოვარ სალამს. მისი მიმქრალი სხივები მწუხარე მოწითალო გვირგვინს ადგამდნენ თავზე მოშრიალე ალვებს.

ალტინაი სულაიმანოვნასთან მივედი.

— ახლა მათი ფოთლები მიწაზე აფენია, თქვენ ეს ხეები გაზაფხულზე უნდა ნახოთ, ყვავილობის ჟამს.

— მეც ამაზე ვფიქრობ, — ამოიოხრა ალტინაი სულაიმანოვნამ, მერე კი ცოტა ხნის დუმილის შემდეგ წყნარად, თითქოს თავისთვის დაუმატა: — დიახ, ყოველ ცოცხალ არსებას თავისი გაზაფხული და შემოდგომა აქვს.

მის მიმქრალ თვალებსა და ნაოჭებით დაფარულ სახეზე სევდიანმა ჩრდილმა გაიელვა. იგი უცქერდა ალვებს, რაღაც ძალიან ქალურად, სევდიანად და უცებ დავინახე, რომ ჩემს წინ აკადემიკოსი სულაიმანოვა კი არა, ჩვეულებრივი ყირგიზი ქალი დგას, უეშმაკო თავის სიხარულსა და მწუხარებაშიც. ამ სწავლულ ქალს, ალბათ, ახლა თვალწინ დაუდგა თავისი ბავშვობა, ისეთი ჩვენს სიმღერებში რომ უმღერიან — უკან ვერაფრით დაიბრუნებო. მას რაღაცის თქმა უნდოდა ალვის ხეთა მაცქერალს, შემდეგ, ალბათ, გადაიფიქრა, სწრაფად გაიკეთა სათვალეები, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა.

— მოსკოვის მატარებელი აქ ვგონებ თერთმეტ საათზე ჩამოივლის, არა?

— დიახ, ღამის თერთმეტზე.

— მაშასადამე, უნდა მოვემზადო.

— რატომ ასე ჩქარა? ალტინაი სულაიმანოვნა, თქვენ ხომ რამდენიმე დღეს უნდა დარჩენილიყავით. ხალხი არ გაგიშვებთ.

— არა, სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა წავიდე.

ვერაფრით ვერ დაითანხმეს დარჩენილიყო, როგორ არ ეევედრებოდნენ, ალტინაი სულაიმანოვნამ თავისი გაიტანა..

ამასობაში დაბნელდა კიდეც. დანაღვლიანებულმა თანასოფლელებმა მანქანაში ჩასვეს და პირობა ჩამოართვეს, რომ სხვა დროს ერთი კვირით, იქნებ მეტითაც ესტუმრებოდა მშობლიურ აულს. მე ალტინაი სულაიმანოვნა სადგურამდე გავაცილე.

რატომ აჩქარდა იგი? თანასოფლელთა განაწყენება, ისიც ასეთ დღეს, მე არცთუ ისე გონივრულად მიმაჩნდა. გზაზე რამდენჯერმე მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე. იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა უტაქტობა არ გამომეჩინა — უბრალოდ მივხვდი არაფერს მეტყოდა. მთელი გზა დუმდა, რაღაცაზე ჩაფიქრებული.

სადგურზე მაინც შევეკითხე:

— ალტინაი სულაიმანოვნა, თქვენ რაღაც უგუნებოდ ხართ, ჩვენ ხომ არ გაგანაწყენეთ?

— რას ამბობ! როგორ მოგივიდა ასეთი აზრი. ვის უნდა ეწყენინებინა. შემეძლო მხოლოდ საკუთარ თავზე გავნაწყენებულიყავი, საკუთარ თავზე კი შეიძლება.

ასე წავიდა იგი. ქალაქში დავბრუნდი და რამოდენიმე დღის შემდეგ მოულოდნელად მისგან წერილი მივიღე. მატყობინებდა, რომ მოსკოვში უფრო დიდხანს შეყოვნდებოდა, ვიდრე ფიქრობდა, ალტინაი სულაიმანოვნა მწერდა:

„თუმცა ბევრი მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმე მაქვს, მაგრამ გადავწყვიტე ყველაფერი განზე გადამედო და თქვენთვის ეს ბარათი მომეწერა. თუ თქვენ საინტერესოდ მოგეჩვენებათ, რასაც აქ ვწერ, გთხოვთ მოიფიქროთ როგორ შეიძლება გააცნოთ იგი ადამიანებს. ვფიქრობ, რომ ეს სჭირდებათ არა მარტო ჩემს თანასოფლელებს, არამედ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. ასეთ დასკვნამდე მივედი დიდი ხნის ფიქრის შემდეგ. ესაა ჩემი აღსარება. მე ჩემი ვალი უნდა მოვიხადო. რაც მეტი ადამიანი გაიგებს ამის შესახებ, უფრო ნაკლებად შემაწუხებს სინდისის ქენჯნა. ნუ მოგერიდებათ ჩემი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. ნურაფერს დამალავთ...“

რამოდენიმე დღე დავდიოდი ამ წერილის შთაბეჭდილებებით დამძიმებული და ვერაფერი უკეთესი ვერ მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ მომეთხრო ამაზე ალტინაი სულაიმანოვნას სახელით.

ეს იყო 1924 წელს. დიახ, 1924 წელს.

იქ, სადაც ახლა ჩვენი კოლმეურნეობაა, ღარიბი პატარა აული იყო. მე მაშინ თოთხმეტი წლისა ვიყავი და განსვენებული მამაჩემის ბიძაშვილთან ვცხოვრობდი. დედაც აღარ მყავდა.

შემოდგომით, როცა შედარებით მდიდრებმა გამოსაზამთრებელ ადგილებს მიაშურეს, ჩვენთან აულში უცნობი ახალგაზრდა ჩამოვიდა, მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა. დამამახსოვრდა მისი ფარაჯა, იგი რატომღაც შავი მაუდისაგან იყო შეკერილი. ფარაჯიანი კაცის გამოჩენა ჩვენს აულში, რომელიც გზე-

ბისაგან მოშორებით, სადღაც მთებშია მიყუჟული, ნამდვილი მოვლენა იყო.

ჯერ ამბობდნენ, რომ იგი არმიაში ვეთაური იყო და აულშიც ალბათ უფროსად მოვიდაო, შემდეგ გამოირკვა: არსადაც არ ყოფილა მეთაურად, უბრალოდ იმ ტაშტანბეკის შვილი იყო, რომელიც ჯერ კიდევ შიმშილობის დროს, მრავალი წლის წინათ წავიდა ჩვენი აულიდან რკინიგზაზე სამუშაოდ, წავიდა და დაიკარგა. მისი შვილი დიუიშენი ჩვენს აულში მასწავლებლად გამოგზავნეს.

იმ ხანებში სიტყვები: „სკოლა", „სწავლება" ახალი ხილი იყო და მისი მნიშვნელობა ხეირიანად არც კი ესმოდათ. ვიღაცას სჯეროდა ხმებისა, სხვებს მიაჩნდათ, რომ ყველაფერი ეს ჭორია და სკოლა იქნებ დავიწყებოდათ კიდეც, რომ ერთ დღეს ხალხი კრებაზე არ შეეკრიბათ. ბიძაჩემი დიდხანს ბუზღუნებდა: — „რა კრება გამოიგონეს, აუცილებლად საქმეს უნდა მოგწყვიტონ კაცი", მაგრამ შემდეგ მაინც შეკაზმა ცხენი და კრებაზე ამხედრებული წავიდა, ისე როგორც შეჰფერის მამაკაცს, რომელიც თავს პატივს ცემს. მის კვალდაკვალ, მეზობლის ბავშვებთან ერთად გავსწიე მეც.

როცა აქლოშინებულებმა ავირბინეთ ბორცვზე, სადაც ჩვეულებრივ კრებები ტარდებოდა, იქ შეჯგუფულ ხალხს რაღაცაზე ელაპარაკებოდა შავფარაჯიანი ფერმკრთალი ყმაწვილი. ჩვენ მისი სიტყვები არ გვესმოდა და უფრო ახლოს მისვლა გვინდოდა, მაგრამ ამ დროს ერთმა დაქექილქურქიანმა მოხუცმა, თითქოს გამოერკვაო, სიტყვა შეაწყვეტინა.

— ყური მიგდე, შვილო, — დაიწყო მან, თან სიჩქარისაგან ენა ებმოდა, — ადრე ბავშვებს მოლები ასწავლიდნენ. მამაშენს კი ჩვენ კარგად ვიცნობთ, იგი ისეთივე მშიერტიტველი იყო, როგორც ჩვენ. ერთი ხეირიანად ამიხსენი, როდის მოასწარი მოლა გამხდარიყავი.

— მე მოლა არა ვარ, აკსაკალო, მე კომკავშირელი ვარ, — სწრაფად გამოეპასუხა დიუიშენი, — ახლა ბავშვებს მოლები კი არა, მასწავლებლები ასწავლიან. მე არმიაში ვისწავლე. მანამდეც ცოტა რამ ვიცოდი. აი როგორი მოლა ვარ!

— ეს სხვა საქმეა...

— ყოჩაღ! — გაისმა მოწონების შეძახილები.

— კომკავშირმა გამომგზავნა, რომ თქვენს ბავშვებს ვასწავლო. ამისათვის გვჭირდება შენობა. მე ვფიქრობ, რომ სკოლა, რა თქმა უნდა, თქვენის დახმარებით მოვაწყო, აი იმ საჯინიბოში, ბორცვზე რომ დგას. თქვენ რას იტყვით, სახლიკაცებო?

ხალხი შეშფოთდა. ყველას უნდოდა მიხვედრილიყო საით უმიზნებდა დიუიშენი. სიჩუმე დაარღვია სატიმკულმა, რომელსაც მეტსახელად მოდავეს უწოდებდნენ. ივი, უნაგირის ტახტას დაყრდნობილი, უსმენდა საუბარს და ყამიდანჟამად იპურჭყებოდა.

— მოიცა, მოიცა, ყმაწვილო, — წაილაპარაკა მან, თან თვალები მოჭუტა, თითქო მიზანში იღებსო მოსაუბრეს. — შენ აკეთებს ის გვითხრა, რაში გვჭირდება სკოლა?

— როგორ თუ რაში? — დაიბნა დიუიშენი.

— სწორს ამბობს! — მხარი დაუჭირა ვიღაცამ.

და ყველა ერთად ახმაურდა, ამოძრავდა.

—ჩვენი დღე და მოსწრება შრომით ვირჩენთ თავს. თოხი გვაქმევს პურს. ჩვენი შვილებიც ასევე იცხოვრებენ, რაში ჭირდებათ მათ სწავლა. განათლება უფროსებისთვისაა საჭირო, ჩვენ კი უბრალო ხალხი ვართ. შეგვეშვი, თავგზას ნუ აგვირევ.

ხალხი გაყუჩდა.

— როგორ, თქვენ წინააღმდეგი ხართ, რომ თქვენმა ბავშვებმა ისწავლონ? — იკითხა გაშტერებულმა დიუიშენმა, თან დაჟინებით დააცქერდა მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა სახეებს.

— წინააღმდეგი რომ ვიყოთ ძალას დაგვატან? ის დრო წავიდა. ახლა ჩვენ თავისუფლები ვართ. როგორც გვინდა ისე ვიცხოვრებთ.

დიუიშენმა ფერი დაკარგა. აკანკალებული ხელით ფარაჯის საკინძეები დაიგლიჯა, გიმნასტურის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო, სწრაფად გაშალა და თავს ზევით ააფრიალა:

— მაშ, თქვენ წინააღმდეგნი ხართ ამ ქაღალდისა, სადაც ნათქვამია, რომ ბავშვებმა უნდა ისწავლონ და რომელზეც საბჭოთა მთავრობის ბეჭედია დასმული? ვინ მოგცათ მიწა,

წყალი, თავისუფლება? ვინ არის საბჭოთა კანონების წინააღმ-
დეგი, ვინ? ხმა ამოიღეთ!

„ხმა ამოიღეთ!“ ისეთი რისხვით იყო ნათქვამი ეს სიტყვები, რომ მან ტყვიასავით გაიხმაურა შემოდგომის სიწყნარეში და მოკლე ექოდ დაეჯახა კლდეებს. არავის სიტყვა არ უთქვამს. იდგნენ თავჩაქინდრულნი და დუმდნენ.

— ჩვენ ღატაკები ვართ, — უკვე წყნარად წაილაპარაკა დიუიშენმა, — მთელი ცხოვრება ფეხქვეშ გვთელავდნენ და გვამცირებდნენ. სიბნელეში ვცხოვრობდით. ახლა საბჭოთა ხელისუფლებას სურს სინათლე დაგვანახოს, წერა-კითხვა გვასწავლოს. ამისათვის კი ჩვენმა ბავშვებმა უნდა ისწავლონ...

დიუიშენი გაჩუმდა. და მაშინ ისევ იმ დაქექილქურქიანმა, რომელსაც აინტერესებდა როდის მოასწრო დიუიშენმა მოლად გახდომა, შემარიგებელი ტონით წაილაპარაკა:

— კარგი, ასწავლე, თუკი გსურს, ჩვენ რა...

— მავრამ მე გთხოვთ დამეხმაროთ. ბაის საჯინიბო გორაკზე შესაკეთებელია, მდინარეზე ხიდია გასადები, შეშაც მოსამარაგებელია.

— მოიცა, ჯიგიტო, რაღაც ბევრი მოინდომე ერთბაშად! — შეაწყვეტინა დიუშენს გაჯიუტებულმა სატიმკულმა.

მან გადააპურჭყა, ისევ მოჭუტა თვალები, თითქოს უმიზნებსო, და დაიწყო:

— მთელი აულის გასაგონად გაიძახი: სკოლას გავხსნიო! მაგრამ ერთი შენს თავზე დაიხედე — ქურქი შენ არ გაცვია, ცხენზე ვერ დამჯდარხარ, არ გყავს და როგორ დაჯდები, ხელისგულის ოდენა სახნავი მიწა არ გაბადია, საქონლის ჭაჭანება არაა შენს ეზო-მიდამოში. ერთი მითხარი, რითი აპირებ ცხოვრებას, ძვირფასო ადამიანო? იქნებ ფიქრობ სხვის ჯოგებს დაეპატრონო?

— თავს გავიტან როგორმე. ხელფასს მივიღებ.

— ა-ა, დროზე გეთქვა! — და სატიმკული თავისი თავიო კმაყოფილი უნაგირზე შესწორდა. — ახლა ყველაფერი გასაგებია. ჯიგიტო, შენ შენი საქმე გააკეთე, ბავშვებს ასწავლე. ხაზინაში ფულები საკმაოდაა. ჩვენ კი შეგვეშვი, ღვთის წყალობით, საქმე თავსაყრელი გვაქვს.

ამ სიტყვებით სატიმკულმა ცხენი მოაბრუნა და შინისაკენ გასწია. მას სხვებიც გაჰყვნენ. დიუიშენი კი დარჩა ისე, როგორც იდგა, ხელში გაშლილი ქაღალდით. საბრალომ არ იცოდა რა ექნა.

დიუიშენი შემეცოდა. თვალმოუშორებლივ შევცქეროდი, ვიდრე ბიძაჩემმა არ მომაძახა:

— ეი, შენ გაბურძგნულო, რა პირდაღებული დგახარ, აბა გასწი სახლში! — მე ბავშვებს გავეკიდე. — ერთი უყურე, ამათაც ისწავლეს კრებებზე სიარული!

მეორე დღეს, როცა გოგოები წყალზე წავედით, მდინარის პირას დიუიშენს შევხვდით. იგი ფონით გადადიოდა მდინარის მეორე ნაპირზე, თან გადაჰქონდა ნიჩაბი, თოხი და ძველისძველი ვედრო.

ამ დღიდან მოყოლებული ყოველდღე ვხედავდით როგორ ადიოდა ბორცვზე დიუიშენი და მიემართებოდა მიტოვებული საჯინიბოსაკენ. იგი მხოლოდ გვიან საღამოს ბრუნდებოდა უკან აულში. ხშირად ვხედავდით როგორ მიდიოდა ზურგზე მოკიდებული ფიჩხის ან თივის დიდი კონით. ხშირად მინახავს უზანგებზე წამოწეული მხედარი თვალზე ხელს მოიჩრდილებდა და გაკვირვებული ამბობდა:

— ეს ხომ მასწავლებელი დიუიშენია ფიჩხს რომ ეზიდება?

— ნამდვილად ისაა.

— ეხ, საცოდავი. გამოდის, რომ მასწავლებლობა ადვილი საქმე არ ყოფილა.

— შენ როგორ გეგონა, ხედავ რამდენს მიათრევს, ბაის მოსამსახურეზე ნაკლებს კი არა.

—მას რომ ყური უგდო...

— ეს იმიტომ, რომ ბეჭდიანი ქაღალდი აქვს, მთელი ძალა იმაშია.

ერთხელ ტომრებით მოგვქონდა წივა, რომელსაც აულის განაპირას ვაგროვებდით, უკან ვბრუნდებოდით და სკოლისაკენ შევუხვიეთ. გვაინტერესებდა გვენახა რას აკეთებდა მასწავლებელი. ძველი თიხის ფარდული ადრე ბაის საჯინიბო იყო. ზამთრობით აქ მას ფაშატები ჰყავდა, რომლებმაც უამინდობის

დროს მოიგეს კვიცები. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემ-
დეგ ბაი სადღაც გაჰქრა, საჯინიბო კი ადგილზე დარჩა. ალარა-
ვინ ამოდიოდა და აქაურობა ბირკითა და ეკალ-ბარდებით დაი-
ფარა. ახლა ყველა სარეველა ძირფესვიანად ამოძირკული
ჯვერდზე გროვად ეყარა, ეზო მთლიანად გაწმენდილი იყო.
წვიმისაგან ჩამონგრეული და ჩამორეცხილი კედლები თიხით
იყო შელესილი, ხოლო მუდამ მოჭრიალე, ცალ ანჯამაზე ჩა-
მოკიდებული კარი — შეკეთებული და მორგებული.

როცა ტომრები მიწაზე დავდეთ, რომ შეგვესვენა, კარებში
დიუიშენი გამოჩნდა, იგი მთლად თიხით იყო მოსვრილი. ჩვენ
რომ დაგვინახა, ჯერ გაუკვირდა, შემდეგ ალერსიანად გაგვიღიმა
და სახიდან ოფლი ჩამოიწმინდა.

— სად ყოფილხართ, გოგონებო?

ჩვენ მიწაზე ვიჯექით ტომრების გვერდით და შემცბარნი
შევყურებდით ერთმანეთს. დიუიშენი მიხვდა, რომ ვმორცხ-
ვობდით და გამამხნევებლად ჩაგვიკრა თვალი:

— ტომრები თქვენზე უფრო დიდია. კარგი ქენით, რომ შე-
მოიხედეთ, აქ ხომ თქვენ უნდა ისწავლოთ. კაცმა რომ თქვას,
სკოლა უკვე მზადაა. ეს-ესაა დავამთავრე ერთ კუთხეში ღუმე-
ლის ამოშენება, ხედავთ მილებს სახურავზე? ახლა შეშა უნდა
მოვიმარაგოთ ზამთრისათვის. არც ესაა ძნელი საქმე. ირგვლივ
ქვეყნის წივაა. შემდეგ იატაკზე თივის დაგება და სწავლის დაწ-
ყებაც შეიძლება. თქვით, გინდათ თუ არა სწავლა, იცლით
სკოლაში?

მე ყველაზე უფროსი ვიყავი მეგობარ გოგონებში და გავ-
ბედე პასუხი:

— თუკი ბიცოლა გამომიშვებს, ვიცლი.

— რატომაც არ გამოგიშვებს, გამოგიშვებს, რა თქმა უნ-
და. რა გქვია?

— ალტინაი, — ვუპასუხე და ხელი დავაფარე მუხლზე გა-
დახეულ კაბას.

— ალტინაი — კარგი სახელია. ალბათ, შენც კარგი ხარ,
არა? მან ისე კეთილად გამიღიმა, რომ გული გამითბა. — მაშ
ასე, ალტინაი, სხვებიც წამოიყვანე სკოლაში. გასაგებია?

— გასაგებია, ძია.

— მასწავლებელი დამიძახე. არ გინდათ სკოლის ნახვა? შემოდით ნუ გერიდებათ.

— არა, წავალთ, სახლში გვაგვიანდება, — დავიმორცხვეთ ჩვენ.

— თუ ასეა, გაიქეცით. მერე ნახავთ, როცა სასწავლებლად მოხვალთ. მე კი დაბნელებამდე კიდევ მოვასწრებ ერთი ტომარა წივის მოტანას.

მან თოკი და ნამგალი აიღო და მინდვრისაკენ გასწია. ჩვენც ავდექით, ტომრები ზურგზე მოვიკიდეთ და აულისაკენ გაეუდექით გზას. უცებ თავში მოულოდნელი აზრი მომივიდა.

— მოიცათ, გოგონებო! — დავუძახე მეგობრებს. — მოდი დავტოვოთ ეს წივა აქ, ზამთარში მეტი სათბობი გვექნება.

— სახლში ხელცარიელნი დავბრუნდეთ? რა ჭკვიანი ხარ!

— ჩვენ კიდევ მოვასწრებთ შეგროვებას.

— უკვე გვიანია, სახლშიც გაგვიწყრებიან.

და გოგონებს ჩემთვის აღარ მოუცდიათ, ფეხს აუჩქარეს.

აქამდე ვერ გამიგია, რამ გადამაწყვეტინა მაშინ ასეთი საქმის ჩადენა. შეიძლება მეგობრებზე გავნაწყენდი, რომ არ დამიჯერეს და გადავწყვიტე უკან აღარ დამეხია, ანდა იქნებ იმიტომ, რომ იმ თავითვე ჩემი ნებისყოფა, ჩემი სურვილები უხეში ადამიანების მუჯლუგუნების ცემით იყო დასამარებული, ძალიან მომინდა რითიმე სამაგიერო მიმეზღო ფაქტიურად უცნობი კაცისათვის, იმ კეთილი ღიმილის გამო, რამაც გული გამითბო, პატარა ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადა, რამდენიმე კეთილი სიტყვისათვის. კარგად ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრება მთელი სიხარულითა და ტანჯვით დაიწყო სწორედ იმ დღეს ერთი ტომარა წივიდან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პირველად ჩემს ცხოვრებაში არ შევუშინდი სასჯელს და გავაკეთე ის, რაც საჭიროდ მივიჩნიე. როცა მეგობრებმა მიმატოვეს, სირბილით მივბრუნდი დიუშენის სკოლისაკენ, კარის წინ დავცალე ტომარა და რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე ხევებსა და ღელეებში წივის შესაგროვებლად.

მივრბოდი არც ვფიქრობდი საით, ძალა მომჭარბდებოდა, გული ისე მიცემდა, თითქოს უდიდესი გმირობა ჩავიდინე. მე-

გონა მზემაც იცოდა ჩემი სიხარულის ამბავი. ყოველ შემთხვევაში, მე კარგად ვიცოდი რატომ მივრბოდი ასე მსუბუქად და ლაღად. იმიტომ რომ გავაკეთე მცირე, მაგრამ მაინც კეთილი საქმე.

მზე ბორცვებისკენ იხრებოდა, იმალებოდა, მეჩვენებოდა, რომ იგი არ ჩქარობდა, უნდოდა ჩემი ცქერით დამტკბარიყო. იგი ალამაზებდა ჩემს გზას. შემოდგომის დამაზრალი მიწა წითელ, ვარდისფერ და მოლურჯო ხალიჩად მეგებოდა ფეხქვეშ. მოციმციმე სხივები ხტოდნენ გამხმარ ვაციწვერებზე. მზე ცეცხლივით ენთო ჩემი ათასგზის დაკერებული კაბის მოვერცხლილ ღილებზე. მე კი მივრბოდი, გულში ვზეიმობდი, შევძახოდი მიწას, ცას, ქარს: „შემომხედეთ! შემომხედეთ რა ამაყი ვარ! ვისწავლი, ვივლი სკოლაში და თან გავიყოლებ სხვებსაც!“

არ ვიცი რამდენ ხანს მივრბოდი, უცებ გამოვერკვიე: წივა უნდა შემეგროვებინა. და აი უცნაურობა: მთელი ზაფხული ბალახობდა აქ საქონელი და წივა თავზე საყრელად იყო, ახლა კი თითქოს მიწამ უყო პირიო. შეიძლება არც კი ვეძებდი? გადავდიოდი ერთი ადგილიდან მეორეზე და რაც უფრო შორს მივდიოდი, მით უფრო იშვიათად ვპოულობდი. მაშინ გავიფიქრე დაბნელებამდე ვერ მოვასწრებ ტომრის გავსებასთქო და შემეშინდა, ავწრიალდი ბუჩქებს შუა, ავჩქარდი. როგორც იქნა სანახევროდ გავავსე ტომარა. ამასობაში მზე ჩავიდა და ხევებს სიბნელე წამოეპარა.

არასოდეს დავრჩენილვარ მინდვრად მარტო ასე გვიან. დადუმებულ ბორცვებს ღამემ თავისი შავი ფრთა გადააფარა. შიშისაგან არ მახსოვს როგორ მოვიგდე ტომარა ზურგზე და მოვკურცხლე აულისაკენ. ძალიან მეშინოდა. იქნებ მეყვირა, ავტირებულიყავი კიდეც, მაგრამ მაჩერებდა იმის აზრი, რას იტყოდა მასწავლებელი დიუიშენი ასე უმწეო რომ დავენახე. თავს ვიმაგრებდი, უკან არ ვიხედებოდი, თითქოს მასწავლებელი მართლაც მითვალთვალებდა სადღაც შორიდან.

აქლოშინებულმა, გაოფლილმა და დამტვერიანებულმა მივირბინე სახლში, ძლივს ვსუნთქავდი, ზღურბლზე რომ გადავა-

ბიჯე, ცეცხლთან მჯდარი ბიცოლაჩემი მრისხანედ წამოიმართა ჩემს შესახვედრად. იგი ბოროტი და უხეში ქალი იყო.

— სად ეგდე ამდენ ხანს? — მომიახლოვდა და სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი, ისე გამომგლიჯა ტომარა ხელიდან და გვერდზე მიაგდო — ეს არის შენი შეკროვილი წიკა?

ჩემმა მეგობარმა გოგონებმა თურმე უკვე მოასწრეს ჩემი გაჭორვა — უჰ! შე გამურულო! რა მიგათრევდა სკოლაში? რატომ აქ არ ამოგძვრა სული! — ყურში ხელი ჩამავლო და რამდენჯერმე ჩამცხო თავში. — ძაღლის ნაშიერო! მგელი მგლობას არ მოიშლის. სხვის ბავშვებს სახლში შემოაქვთ, შენ კი სახლიდან გაგაქვს. მე გიჩვენებ სკოლას, გაბედე ახლოს მისვლა, ფეხებს მოგამტვრევ. აღარასოდეს დაგავიწყდება...

ვდუმდი, ვცდილობდი არ მეყვირა, შემდეგ, ცეცხლის პირას მიმჯდარი, დიდხანს ვტიროდი უხმოდ, ჩუმად, თან ნაცრისფერ კატას ვეალერსებოდი, თითქოს გულის ნაღებს ვუზიარებო. სხვათაშორის, კატამ ყოველთვის იცოდა, როდის ვტიროდი და ჩემს მუხლებზე მოიკალათებდა ხოლმე. ვტიროდი იმიტომ კი არა, რომ ბიცოლამ მცემა — ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო, არამედ იმიტომ, რომ მივხვდი: იგი არაფრით არ გამიშვებდა სკოლაში.

ორი დღის შემდეგ აული ძაღლების ყეფამ გააყრუა, მოისმა ხმამაღალი გადაძახილი. თურმე დიუიშენი დადიოდა ეზო-ეზო და ბავშვებს აგროვებდა სკოლისათვის. მაშინ ჩვენს აულში ქუჩები არ იყო, ნახევრად ბნელი, მოთხუპნული ქოხები აქა-იქ იყო გაბნეული, ყველა იქ სახლდებოდა, სადაც მოისურვებდა. დიუიშენი და ბავშვები ჯგროდ გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე.

ჩვენი ეზო განაპირას იდგა. მე და ბიცოლაჩემი ფეტეს ვფქვავდით ქვასანაყში, ბიძაჩემი კი ფარდულის მახლობლად ამოთხრილი ორმოდან ხორბალს იღებდა. ბაზარზე უნდა წაეღო გასასყიდად. ჩვენ მჭედლებივით რიგრიგობით ვურტყაძდით მძიმე ფილთაქვებს, თან ფარულად უკან ვიხედებოდი, ახლოსაა თუ არა მასწავლებელი-თქო. მეშინოდა, რომ ჩვენ ეზომდე ვერ მოაღწევდა. ვიცოდი ბიცოლა არ გამიშვებდა სკოლაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინდოდა დიუიშენი მოსულიყო,

ენახა მაინც სად ვცხოვრობ. გულში ვეევედრებოდი არ გაბრუ-ნებულიყო უკან.

— გამარჯობა, დიასახლისო, შეგეწიოთ ღმერთი! ღმერთი არ შეგეწევათ, ჩვენ დაგეხმარებით, ნახეთ რამდენი ვართ! — გაიხუმრა დიუიშენმა, ბიცოლაჩემს მიესალმა და თან თავისი მომავალი მოსწავლეები შემოიყოლია.

ბიცოლამ რაღაც წაიბურდღუნა საპასუხოდ, ბიძაჩემს ორ-მოდან არც კი ამოუხედავს.

დიუიშენი ამას არ შეუშინებია. იგი საქმიანად ჩამოჯდა მორზე, რომელიც ეზოს შუაგულში ეგდო, ფანქარი და ქაღალ-დი მოიმარჯვა.

— დღეს სკოლაში სწავლას ვიწყებთ, რამდენი წლისაა თქვენი ქალიშვილი?

ბიცოლას არაფერი უპასუხია, — გაბრაზებული ურტყამდა ფილთაქვას, მას საერთოდ არ სურდა ლაპარაკი. გული შემე-კუმშა: რა მოხდება? დიუიშენმა შემომხედა და გამიღიმა. გუ-ლი გამითბა.

— ალტინაი, რამდენი წლისა ხარ? — შემეკითხა.

ვერ გავბედე პასუხის გაცემა.

— რა შენი საქმეა, გამომივიდა შემმოწმებელი! — გა-ცხარდა ბიცოლაჩემი. — შეეშვი, სასწავლებლად არ ცალია. ასეთი უჯიშოები კი არა, დედ-მამა ადგათ თავზე და ისინი არ სწავლობენ. შეგიყრია მთელი ხროვა და გარეკე სკოლაში, აქ კი არაფერი გესაქმება.

დიუიშენი წამოხტა.

— დაუფიქრდით რას ლაპარაკობთ! განა იგი დამნაშავეა რომ ობოლია? ანდა არის კანონი ობლებმა არ ისწავლონო?

— შენი კანონები არ მაინტერესებს. მე ჩემი კანონები მაქვს, შენი რჩევა-დარიგება არ მჭირდება!

— ჩვენ საერთო კანონები გვაქვს. თუ ეს გოგონა თქვენ არ გჭირდებათ, ჩვენ გვჭირდება, საბჭოთა ხელისუფლებას ჭირდება. წინააღმდეგი წახვალთ და გიჩვენებთ როგორ მო-იქცეთ.

— საიდან გამომიტყვერი ასეთი უფროსი! — ბიცოლამ გამომწვევად დოინჯი გაიკეთა. — ვის აქვს, შენი აზრით, უფ-

ლება მასზე. მე ვაჭმევ და ვასმევ თუ შენ, მაწანწალის შვილო, და თვითონაც მაწანწალავ?!

ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რომ ამ დროს ორმოდან წელს ზემოთ გატიტვლებული ბიძაჩემი არ გამოჩენილიყო. იგი ვერ იტანდა, როცა ცოლი ერეოდა იმაში, რაც მისი საქმე არ იყო და ივიწყებდა, რომ ოჯახში არის უფროსი, ქმარი. იგი შეუბრალებლად ცემდა ხოლმე ცოლს ამისთვის. ამჯერადაც, ალბათ, გაბრაზდა.

— ეი, დედაკაცო! — დაიღრიალა მან და ორმოდან ამოვიდა. — როდის მერე გახდი ოჯახის უფროსი და განმკარგულებელი? ნაკლები ილაყბე და მეტი საქმე აკეთე. შენ კი, ტამტანბეკის შვილო, წაიყვანე გოგო და გინდა ასწავლე და გინდა წყალში გადააგდე. აბა, გაეთრიე აქედან!

— როგორ, ეგ სკოლაში ეთრიოს, სახლში საქმეს ვინ მიხედავს, მარტო მე? — ხმას აუწია ბიცოლაჩემმა, მაგრამ ქმარმა შეუყვირა: — ვთქვი და გათავდა!

ზოგი ჭირი მარგებელიაო. ასე წავედი პირველად სკოლაში.

ამ დღიდან მოყოლებული დიუიშენი ყოველ დილით ეზოეზო გვიყრიდა ხოლმე თავს.

როდესაც პირველად მივედით სკოლაში, იატაკზე გაფენილ თივაზე დაგვსვა, თვითეულს რვეული, ფანქარი და პატარა ლაფა ჩამოგვირიგა.

— დაფა მუხლებზე დაიდეთ, მოხერხებულად რომ წეროთ, — აგვიხსნა დიუიშენმა.

შემდეგ რუსი ადამიანის სურათი გვიჩვენა, კედელზე რომ ჰქონდა გაკრული.

— ეს ლენინია! — თქვა მან.

სამუდამოდ დამამახსოვრდა ეს პორტრეტი. შემდეგში მსგავსი არსად შემხვედრია, მე მას დიუიშენისეული პორტრეტი შევარქვი. იმ სურათში ლენინი განიერ სამხედრო ფრენჩში იყო, გამხდარი, წვერმოშვებული. დაჭრილი ხელი კისერზე ჩამოკიდებულ სახვევზე ედო, კეპის ქვეშიდან ყურადღებით იცქირებოდა მშვიდი თვალებით. მისი ნათელი, თბილი გამოხედვა თითქოს გვეუბნებოდა: „რომ იცოდეთ, ბავშვებო,

რა მშვენიერი მომავალი გელით თქვენ!“ იმ წუთში მეჩვენებოდა, რომ იგი მართლა ჩემს მომავალზე ფიქრობდა.

დიუიშენი, ეტყობოდა, დიდი ხანია ატარებდა უბრალო ქაღალდზე დაბეჭდილ ამ სურათს — იგი გადასაკეცებში გაქექილი იყო, კიდეები გაცვეთოდა. გარდა ამ პორტრეტისა, ჩვენი სკოლის ოთხ კედელში არაფერი არ იყო.

— ბავშვებო, მე თქვენ გასწავლით კითხვასა და თვლას, გიჩვენებთ როგორ იწერება ასოები და ციფრები, — ამბობდა დიუიშენი. — გასწავლით ყველაფერს რაც მე ვიცი...

მართლაც, გვასწავლიდა ყველაფერს, რაც თვითონ იცოდა და ამავე დროს იყო საოცრად მომთმენი. თვითეულ ჩვენგანს უჩვენებდა როგორ უნდა სჭერიდა ფანქარი და შემდეგ გატაცებით გვიხსნიდა გაუგებარ სიტყვებს.

ახლა ვფიქრობ ამაზე და მიკვირს: როგორ გაბედა ამ მცირემცოდნე ჭაბუკმა, რომელიც თვითონ ძლივს კითხულობდა მარცვალ-მარცვალ, რომელსაც ხელთ არ ჰქონდა არავითარი სახელმძღვანელო, ჩვეულებრივი ანბანიც კი, ხელი მოეკიდა ასეთი ნამდვილად დიდი საქმისათვის. ხუმრობა ხომ არ იყო გესწავლებინა ბავშვებისათვის, რომელთა მამა-პაპათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ სწავლა-განათლებაზე. რა თქმა უნდა, არც თვითონ ჰქონდა წარმოდგენა პროგრამაზე, სწავლების მეთოდიკაზე. უფრო სწორად, არც კი ეგონა, ასეთი რამ ქვეყნად თუ არსებობდა.

დიუიშენი გვასწავლიდა როგორც ახერხებდა, როგორც შეეძლო, როგორც მიაჩნდა საჭიროდ, იგი თვითონ იკვლევდა გზას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მის წრფელ ენთუზიაზმს, რომლითაც იგი საქმეს ეკიდებოდა, ამაოდ არ ჩაუვლია.

მან თვითონაც არ იცოდა, ისე ჩაიდინა გმირობა. დიახ, ეს იყო გმირობა, იმიტომ რომ იმ დღეებში, ჩვენ, ყირგიზ ბავშვებს, რომლებიც არასოდეს გავცილებივართ თჩვენს აულს, შვებს, რომლებიც არასოდეს გავცილებივართ ჩვენს აულს, პირდაღებული კედლებიდანაც მოჩანდა მარადთოვლიან მთათა მწვერვალები, უცებ თვალწინ გადაგვეშალა ახალი, ჯერ არსმენილი და წინათ უხილავი სამყარო.

სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ მოსკოვი, სადაც ლენინი

ცხოვრობს, ბევრჯერ უფრო დიდია, ვიდრე აულიეტა და თვით ტაშკენტიც კი, რომ ქვეყნად არის ისეთი დიდი-დიდი ზღვები, როგორც თალასის ველია და რომ ამ ზღვებზე დასცურავენ მთასავით უზარმაზარი გემები. ისიც გავიგეთ, რომ ნავთს, რომელიც ბაზრიდან მოაქვთ, მიწიდან იღებენ. ჩვენ უკვე მაშინ გვწამდა, რომ როცა ხალხი უკეთესად იცხოვრებს, ჩვენი სკოლის შენობა იქნება დიდი, ნათელი და თეთრი, ფართო ფანჯრებით და რომ ამ შენობაში მოსწავლეები მაგიდებს შემოუსხდებიან.

ძლივძლივობით ვისწავლეთ პირველი ასოები, ჯერ არც კი ვიცოდით როგორ დაგვეწერა „დედა", „მამა" და უკვე გამოგვყავდა ქაღალდზე პირველი სიტყვა „ლენინი". ჩვენი პოლიტიკური ლექსიკონი შედგებოდა ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა „ბაი", „მოჯამაგირე", „საბჭოები", ხოლო ერთი წლის შემდეგ დიუიშენი გვპირდებოდა, რომ „რევოლუციის" დაწერასაც შეეძლებდით.

ვუსმენდით დიუიშენს და ჩვენ გონებაში მასთან ერთად ვიბრძოდით ფრონტზე თეთრების წინააღმდეგ. ლენინზე იგი ისეთი მღელვარებით გვიამბობდა, თითქოს საკუთარი თვალით ენახოსო. ბევრი რამ, ამას მე ახლა ვხედავ, რასაც გვიამბობდა, იყო ხალხის მიერ შეთხზული თქმულებები დიდ ბელადზე, მაგრამ ჩვენთვის, დიუიშენის მოსწავლეთათვის, ეს იყო ისეთივე ჭეშმარიტება, როგორც რძის სითეთრე.

ერთხელ ჩვენ ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე ვკითხეთ:

— მასწავლებელო, თქვენ ლენინისთვის ხელი ჩამოგირთმევიათ? და მაშინ ჩვენმა მასწავლებელმა მწუხარედ გადაქნია თავი:

— არა, ბავშვებო, მე არასოდეს არ მინახავს ლენინი.

მან დამნაშავესავით ამოიოხრა — ჩვენი რცხვენოდა.

ყოველი თვის დამლევს დიუიშენი თავისი საქმეებისათვის თემში მიემგზავრებოდა. იგი ფეხით მიდიოდა და ორი-სამი დღის შემდეგ ბრუნდებოდა.

ჩვენ მოუთმენლად ველოდით ხოლმე მის დაბრუნებას, ალბათ, ღვიძლი ძმა რომ მყოლოდა, იმას არ დაველოდებოდი ისე, როგორც დიუიშენს ველოდი. ფარულად, ბიცოლას რომ არ

შეემჩნია, გამოვდიოდი გარეთ და გავყურებდი გზას, რომელიც ტრამალში იკარგებოდა. როდის გამოჩნდებოდა მასწავლებელი ზურგზე მოკიდებული თავისი შულდაკით, როდის დავინახავდით მის ღიმილს, გულს რომ მითბობდა, როდის გავიგონებდი სიტყვებს, ცოდნას რომ გვძენდა?

დიუიშენის მოწაფეებში მე ყველაზე უფროსი ვიყავი. შეიძლება ამიტომაც ვსწავლობდი სხვებზე უკეთესად, თუმცა ვფიქრობ მხოლოდ ამიტომ არა. მასწავლებლის ყოველი სიტყვა, ანბანის ყოველი ასო, რომელსაც იგი დაფაზე გვიწერდა, ჩემთვის წმიდათაწმიდა იყო. ჩემთვის არ იყო იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე გავრკვეულიყავი იმაში, რასაც დიუიშენი გვასწავლიდა. მე ვუფრთხილდებოდი რვეულს, რომელიც მან მაჩუქა, ამიტომ მიწაზე საგულდაგულოდ გამომყავდა ხოლმე ასოები, ვწერდი ნახშირით ყორეებზე, ჯოხით თოვლზე. ჩემთვის ქვეყნად არ იყო დიუიშენზე ჭკვიანი და განსწავლული ადამიანი.

ზამთრის პირი იყო.

მანამ მიწას პირველი თოვლი დაფარავდა, კიდევ შეიძლებოდა მდინარეზე ფონით გადასვლა. შემდეგ კი ეს შეუძლებელი გახდა. ყინულივით ცივი წყალი ფეხებს გვწვავდა, განსაკუთრებით პატარები იტანჯებოდნენ, რამდენჯერ მინახავს ცრემლი მათ თვალებზე. მაშინ დიუიშენმა გადაწყვიტა თვითონ გადაეყვანა ისინი მდინარეზე. ერთს ზურგზე შეისვამდა ხოლმე, მეორეს ხელში აიყვანდა და ასე რიგრიგობით გადაჰყავდა ხოლმე ყოველი მათგანი.

ახლა როცა ამას ვიგონებ, არც კი მჯერა, რომ ეს ასე იყო. მაშინ უვიცობისა თუ სხვა მიზეზის გამო დიუიშენს ბევრი დასცინოდა. განსაკუთრებით მდიდრები, რომლებიც ზამთარს მთაში ატარებდნენ და მხოლოდ წისქვილისათვის ჩამოდიოდნენ ხოლმე ბარად. რამდენჯერ გამოუვლიათ მათ მდინარის პირას ცხენზე ამხედრებულთ, თავზე მელის ბეწვის ქუდით, ცხვრის ძვირფასი ქურქით შემოსილთ. როგორ დამცინავად გადმოხედავდნენ ხოლმე ჩვენს მასწავლებელს, თვალმოჭუტულნი, სიცილით რომ იგუდებოდნენ და თან უთითებდნენ:

— შეხედე, შეხედე, ერთი ზურგზე წამოუკიდებია, მეორე იღლიაში ამოუჩრია!

მაშინ მეორე ცხენს მათრახს შემოჰკრავდა და ხმამაღლა იტყოდა:

— ეჰ, ჭკუა რომ მქონოდა, ადრე უნდა მომეფიქრებინა. აი ვისი მოყვანა ღირდა მეორე ცოლად.

ცხენის ფლოქვებით აშხეფებული წყალი და ტალახი გვასველებდა, ისინი კი ხარხარით გვშორდებოდნენ.

როგორ მინდოდა წამოვწეოდი ამ გონებაჩლუნგ ადამიანებს, ჩამომეთრია ისინი ცხენიდან და მიმეხალა ამ პირუტყვთათვის: „როგორ ბედავთ ასეთი რამის თქმას ჩვენს მასწავლებელზე, თქვე უგუნურო, ბოროტო ადამიანებო!“

მაგრამ ვინ მიუგდებდა ყურს ჩემს ხმას. და მე ისღა დამრჩენოდა, რომ ბოღმისაგან მომდგარი ცრემლები ჩამეყლაპა, დიუიშენი კი თითქოს არაფერს ამჩნევდა, არაფერი ესმოდა. რაღაცას მოიგონებდა, გაგვეხუმრებოდა ხოლმე და ჩვენ ყველაფერი გვავიწყდებოდა, გულიანად ვიცინოდით.

რამდენს არ წვალობდა, რომ ხე-ტყე ეშოვნა მდინარეზე ხიდის გასადებად, ვერაფერს გახდა. ერთხელ სკოლიდან უკან დაბრუნებულნი, როცა დიუიშენმა პატარები წყალზე გადაიყვანა, მე და დიუშენი მდინარის პირას დავრჩით. გადავწყვიტეთ წყალში დიდი ქვები ჩაგვეწყო, რომ მდინარეზე გადასვლისას ფეხი არავის დასველებოდა.

ჩვენი აულის მცხოვრებლებს რომ მოენდომებინათ სულაც არ გაუჭირდებოდათ მდინარეზე ორი-სამი ცალი ფიცრის გადება და ხიდიც მზად იქნებოდა. მაგრამ მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა, ხალხი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა სწავლას, დიუიშენი კი მიაჩნდათ უბრალოდ ახირებულ კაცად, რომელიც უსაქმობის გამო თავს ირთობდა. გეხალისება — ასწავლე, არადა როგორც გინდა. თვითონ ცხენით დადიოდნენ და ხიდიც არ სჭირდებოდათ. კი უნდა დაფიქრებულიყვნენ: რისთვის ითმენს ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც არც არავისზე უჭკუო და ცუდი არ არის, ამდენ გაჭირვებასა და დაცინვას, ამდენ სიძნელესა და შეურაცხყოფას და ასწავლის მათ ბავ-

შვებს, ასწავლის ასეთი თავგამოდებით, ასეთი არაადამიანური მოთმინებით.

იმ დღეს, როცა ჩვენ მდინარეში ქვებს ვაწყობდით, მიწა თოვლს დაეფარა, ყინულივით ცივი წყალი სუნთქვას გვიკრავდა. ახლაც მიჭირს წარმოდგენა, როგორ მუშაობდა დიუიშენი, იგი ხომ ფეხშიშველი იყო და წუთით არ შეუსვენია. მე ძლივს ვაბიჯებდი ფეხს, ხმას ვერ ვიღებდი, თითქოს მდინარის ფსკერი ნაკვერჩხლებით მოუფარავთო, უცებ კრუნჩხვამ ფეხები შემიკრა და ის იყო წყალში უნდა ჩავვარდნილიყავი, დიუიშენმა ქვა ხელიდან გააგდო, ამიყვანა და ნაპირზე თავის ფარაჯაზე დამსვა. იგი ხან გალურჯებულ ფეხებს მიზელდა, ხან გაყინულ ხელებს მითბობდა თავისი ხელისგულებით.

— ალტინაი, იჯექი, არ ადგე, გათბი, უშენოდაც გავწვდები.

როცა გადასასვლელი უკვე მზად იყო, დიუიშენმა ჩექმები ჩაიცვა, გაყინულ-გათოშილს შემომხედა და გამიცინა.

— გათბი, ჩემო თანაშემწევ? მოიხურე ფარაჯა, აი ასე! — ცოტა ხანს გაჩუმდა და მკითხა: — ალტინაი, შენ დატოვე მაშინ წივა სკოლის ეზოში?

— მე, — გავეცი პასუხი.

მან ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „მეც ასე ვფიქრობდი“.

მახსოვს როგორ წამომენთო სახე: მაშასადამე, მასწავლებელმა ყველაფერი იცოდა და ახსოვდა. არ ივიწყებდა ამ უბრალო ამბავს. ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზე ვიყავი. დიუიშენმა გაიგო ჩემი სიხარული.

— ჩემო თვალისჩინო, — ალერსით მითხრა მან, — რა ნიჭიერი ხარ რომ იცოდე... ეჰ, რომ შემეძლოს შენი გაგზავნა დიდ ქალაქში, როგორი ადამიანი დადგებოდი!

იგი სწრაფი ნაბიჯით წავიდა მდინარისაკენ.

ახლაც თვალწინ მიდგას, მდინარის პირას მდგომი დიუიშენი, კეფაზე ხელები შემოუწყვია, გაბრწყინებული თვალებით შესცქერის თეთრ ღრუბლებს, ქარი რომ მთებისაკენ მიერეკება.

რაზე ფიქრობდა მაშინ? იქნებ ოცნებით მართლა მაგზავნი-

და სასწავლებლად დიდ ქალაქში? მე კი მის ფარაჯაში გახვეული ვფიქრობდი: „რა კარგი იქნებოდა მასწავლებელი ჩემი ძმა რომ იყოს, მაშინ მე მას კისერზე ჩამოვეკიდებოდი, მოვეხვეოდი და ვეტყოდი ყველაზე კარგ, ყველაზე საალერსო სიტყვებს. ღმერთო, აქციე იგი ჩემ ძმად!“

ალბათ, მაშინ ყველას გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი მისი ადამიანობისათვის, კეთილი აზრებისათვის და იმისათვის, რომ იგი ჩვენს მომავალზე ოცნებობდა. თუმცა ბავშვები ვიყავით, მაგრამ უკვე მაშინ ვხვდებოდით ამას. განა რა გვაიძულებდა გვევლო ამ სიშორეზე, სასტიკ ქარში, აგვეარა თოვლით დაფარული ციცაბო აღმართი, ძალით ხომ არავინ გვერეკებოდა სკოლაში? ჩვენ თვითონ მივდიოდით. ვერავინ გვაიძულებდა ვმჯდარიყავით ცივ ფარდულში, სადაც ჩვენი ამონასუნთქი ჰაერი თეთრ ჭირხლად გვეფინებოდა სახესა და ტანსაცმელზე. ჩვენ ხომ რიგრიგობით ვთბებოდით ღუმელთან, ხოლო დანარჩენები ამ დროს ადგილებიდან უსმენდნენ დიუიშენს.

ერთ ასეთ სუსხიან დღეს, ახლა მე ვიცი — ეს იყო იანვრის მიწურულს, დიუიშენმა შემოიარა ყველა ეზო, შეგვკრიბა და სკოლაში წამოგვიყვანა. ამ დღეს იგი იყო მდუმარე და მკაცრი, მიმინოს ფრთებივით მოეწურა წარბები, სახე თითქოს შავი, გახურებული რკინისაგან გამოედნოთ, მოდიოდა ხმის ამოუღებლივ. ასეთი არასოდეს გვინახავს ჩვენი მასწავლებელი. ჩვენც ვდუმდით, მივხვდით, რომ მოხდა რაღაც ცუდი.

ჩვეულებრივ, როცა ნამქერები გვხვდებოდა ხოლმე, დიუიშენი თვითონ გვიკვალავდა გზას, შემდეგ მე მივდიოდი, დანარჩენები უკან მომყვებოდნენ. ამჯერადაც ფერდობის ძირში ქარს ბლომად მოეხვეტა თოვლი. დიუიშენი წინ მიდიოდა, გზას მიიკვლევდა. თუმცა ზურგიდან ვხედავდი, მაინც ვამჩნევდი, დიდ წუხილს სანთელივით ჩამოედნო იგი, წელში მოეხარა, მიდიოდა თავჩაქინდრული, ძლივს მიათრევდა ფეხებს. ახლაც მელანდება, როგორ ირეოდა ჩემს თვალებში შავი და თეთრი: შავფარაჯიანი მასწავლებელი, თოვლით გადათეთრებული მიდამო, ფერდობებზე აქლემის კუზივით აბურცული ნამქერები, ქარს რომ მოეხვეტა და სულ ზევით — ამღვრეულ ცაზე ობლად გაწოლილი შავი ღრუბელი.

დიუიშენს ამჯერად ღუმელი არ დაუნთია.

— ფეხზე წამოდექით! — გვიბრძანა მან.

ავდექით.

— ქუდები მოიხადეთ!

თვითონაც მოიხადა. ჩვენ არ გვესმოდა რა ხდებოდა. მაშინ დიუიშენმა დაიწყო, ხმა უწყდებოდა:

— გარდაიცვალა ლენინი! მთელს დედამიწაზე დგანან ახლა დამწუხრებული ადამიანები, პატივს სცემენ მის ხსოვნას. კარგად დააკვირდით ამ სურათს, დაიმახსოვრეთ ეს დღე.

ჩვენს სკოლაში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ზვავმა შთანთქაო იგი. მხოლოდ ქარი ხმაურობდა ჭუჭრუტანებში და ისმოდა როგორ ეცემოდა თოვლის ფანტელი თივის სახურავს.

იმ წუთებში, როცა დადუმდნენ მუდამ ახმაურებული ქალაქები, დაწყნარდნენ აგუგუნებული ქარხნები, ლიანდაგებზე გაინაბენ ხმაურიანი მატარებლები, როდესაც მთელი სამყარო საყოველთაო გლოვამ მოიცვა, — იმ მწუხარე საათს, ჩვენც — ხალხის ერთი პატარა ნაწილი — სუნთქვაშეკრულნი სამგლოვიარო ყარაულში ვიდექით ჩვენს მასწავლებელთან ერთად, ერთ გაყინულ ფარდულში, რომლის არსებობაზეც არავინ არაფერი იცოდა და რომელსაც ჩვენ სკოლას ვუწოდებდით. ვეთხოვებოდით ლენინს და მიგვაჩნდა, რომ ჩვენ მისი ყველაზე ახლობელი ადამიანები ვიყავით, რომ ყველაზე მეტად განვიცდიდით მის სიკვდილს. ლენინი კი, სამხედრო ფრენჩში გამოწყობილი, შემოგვცქეროდა კედლიდან. თითქოს გვეუბნებოდა თავისი ნათელი თვალებით: „რომ იცოდეთ, ბავშვებო, რა მომავალი გელით თქვენ". მეჩვენებოდა, რომ იგი მართლა ჩემს მომავალზე ფიქრობდა.

შემდეგ დიუიშენმა სახელოთი მოიწმინდა ცრემლები და გვითხრა.

— დღეს მე თემში მივდივარ. პარტიაში უნდა შევიდე, სამი დღის შემდეგ დავბრუნდები...

ეს დღეები ჩემთვის დარჩა ყველაზე მკაცრ, სუსხიან, მძიმე დღეებად, როგორიც კი როდისმე გადამიტანია. თითქოს რაღაც ზებუნებრივ ძალებს სურდათ დაეკავებინათ ცხოვრები-

დან წასული დიდი ადამიანის ადგილი: გუგუნებდა, არ ცხრებოდა მძვინვარე ქარი, ჰაერში ატრიალებდა თოვლს, ყინვა მოძალებულიყო... სტიქია ერკინებოდა დედამიწას, ბობოქრობდა, ტირილით ეხეთქებოდა კლდე-ღრეს.

მიყუჩდა მთების ძირას განაბული, შავღრუბლებმოხვეული ჩვენი აული. მილებიდან ცად წვრილ ნაკადად მიიწევდა კვამლი, ადამიანები გარეთ აღარ გამოდიოდნენ. გახელდნენ დაბეშეული მგლები, გათავხედდნენ, დღისით გზაზე ჩამოდიოდნენ, საღამოთი აულის ახლომახლო დაძრწოდნენ და განთიადამდე გულის ამაზრზენი ყმუილით აყრუებდნენ მიდამოს.

მაფიქრებდა ჩვენი მასწავლებლის ბედი. მას ხომ ქურქი არ ჰქონდა, გაუძლებდა განა ფარაჯაში ასეთ სიცივეს? იმ დღეკი, როცა უნდა დაბრუნებულიყო, სულ თავგზა ამებნა. გულალბათ, რაღაც ცუდს მიგრძნობდა. გამოვვარდებოდი გარეთ და გავცქეროდი გადათეთრებულ, უკაცრიელ ტრამალს: ხომ არ მოჩანს-მეთქი სადმე? კაცის ჭაჭანება არ იყო.

„სადა ხარ, ძვირფასო მასწავლებელო? რატომ იგვიანებ? დაბრუნდი მალე, ჩვენ გელოდებით, შენი მოსწავლეები!"

ტრამალი არ პასუხობდა ჩემს უსიტყვო ძახილს და მეცრემლად ვიღვრებოდი.

ბიცოლას თავი მოვაბეზრე.

დაეხსნები თუ არა კარებს? დაეგდე ადგილზე და სართავს მოჰკიდე ხელი. ბავშვები გამიყინე: გაბედე ერთი კიდევ! — დამემუქრა იგი. ღამდებოდა, არ ვიცოდი დაბრუნდა თუ არა მასწავლებელი და ადგილს ვეღარ ვპოულობდი. ხან იმით ვინუგეშებდი თავს, რომ დიუიშენი უკვე დაბრუნდა, მას ხომ ჯერ არასოდეს უღალატნია თავისი სიტყვისათვის, ხანაც მეჩვენებოდა, რომ იგი ავად გახდა და ამიტომაც უჭირს სიარული, ამოვარდება ქარბუქი და ტრამალში ღამით გზის დაკარგვას რა უნდა? ვერ ვმუშაობდი, ხელები არ მემორჩილებოდა. ნართი წამდაუწუმ მიწყდებოდა, ეს კი ბიცოლაჩემს აცოფებდა:

— რა მოგდის დღეს? რამ გაგიხევა ხელები? — სულ უფრო და უფრო ბობოქრობდა იგი. შემდეგ მოთმინების ძაფი

გაუწყდა: მიწა გაგისკდესო! — მომაწყევლა და მითხრა: — ეს ტომარა მაინც წაიღე მოხუც საიკალს.

სიხარულისგან კინაღამ შევხტი. დიუიშენი ხომ მოხუც საიკალთან ცხოვრობდა. საიკალი და კარტანბაი შორეულ ნათესავებად მომხვდებოდნენ დედის მხრიდან. ადრე ხშირად ვყოფილვარ მათთან, ხანდახან ღამის გასათევადაც დავრჩენილვარ. არ ვიცი თვითონ მოაგონდა თუ განგება მეხმარებოდა, ბიცოლამ ტომარა შემომაჩეჩა და მითხრა:

— დღეს თავი ისე მომაბეზრე. როგორც ქუმელმა შიმშილობის დროს, წადი და თუკი მოხუცები ნებას დაგრთავენ იქ დარჩი, რომ ჩემმა თვალებმა აღარ გნახონ...

გარეთ გამოვვარდი. ქარი მძვინვარებდა ბოროტი სულივით: შეისვენებდა წამით და შემდეგ ისევ განრისხებით დაეძგერებოდა მიწას, თოვლს ატრიალებდა ჰაერში. ტომარა იღლიაში ამოვიჩარე და სირბილით გავწიე აულის მეორე ბოლოსაკენ, ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: „დაბრუნდა თუ არა მასწავლებელი?“

მივირბინე. არ დამიხვდა. საიკალი შეშფოთდა, როცა აქლოშინებული ზღურბლთან გაშეშებული დამინახა.

— რა დაგემართა? რაიმე უბედურება ხომ არაა შენს თავს?

— არაფერი, ისე, ტომარა მოგიტანეთ. შეიძლება თქვენთან დავრჩე?

— დარჩი, ჩემო კარგო! რა გული გამიხეთქე, ეშმაკის ფეხო! რა არი შემოდგომის აქეთ რომ აღარ გამოიარე. ცეცხლთან მოიწი.

— რა ბევრს ლაპარაკობ, ხორცი გადმოიღე, ბავშვს გაუმასპინძლდი, ამასობაში დიუიშენიც მოვა, — გამოგვეხმაურა ფანჯარასთან მჯდარი კარტანბაი, იგი ძველი თექის ჩექმებს აკერებდა. — აქამდეც უნდა მოსულიყო, თუმცა მოვა, დაღამებამდე ჯერ კიდევ დროა.

შეუმჩნევლად მოეპარა ფანჯრებს ღამე. გული თითქოს გუშაგიაო, ყოველგვარ ხმაურს აღიქვამდა, ჩერდებოდა, როცა ძაღლის ყეფა ან ადამიანის ხმა შემოესმებოდა. დიუიშენი

კი არ ჩანდა. კიდევ კარგი, საიკალის ლაპარაკში გადიოდა დრო.

ასე ველოდით ყოველ წუთს, ყოველ საათს, შუაღამისას კარტანბაი დაიღალა:

— გაშალე ლოგინი, დედაკაცო, ალბათ, ამაღამ აღარ მოვა. გვიანაა. ასე ადვილია უფროსებიდან თავის დაღწევა? ალბათ, გააჩერეს, თორემ აქამდე დიდი ხნის მოსული იქნებოდა.

მოხუცი დასაძინებლად მოეწყო.

ღუმელის მახლობლად დამიგეს. ვერ ვიძინებდი. კარტანბაი ახველებდა, შფოთავდა, წრიალებდა, ჩურჩულებდა ლოცვებს, შემდეგ მოუსვენრად წაილაპარაკა:

— ნეტავ ცხენს ხომ არ გაუჭირდა რამე? ახლა გულითაც რომ გინდოდეს, ვერც თივას, ვერც ქერს ვერ იშოვნი.

კარტანბაის ჩაეძინა, მაგრამ ახლა ქარი აღარ მასვენებდა. დაძრწოდა სახურავზე, ეჯახებოდა ფანჯრებს, მიწანარევ თოვლს აყრიდა კედლებს.

არ მინდოდა დამეჯერებინა მოხუცისათვის; ვფიქრობდი დიუიშენი მაინც მოვიდოდა, მეჩვენებოდა, რომ იგი გზაშია, თოვლით დაფარულ უდაბნოში. არ ვიცი დიდხანს მეძინა თუ არა, უცებ რაღაცა ძალამ ამაწევინა თავი ბალიშიდან. საშინელმა ყმუილმა გააყრუა მიდამო. მგელი! და ერთი კი არა — მთელი ხროვა. ყოველის მხრიდან ისმოდა მათი ხმა, ეს ხმა ახლოვდებოდა, თანდათან ერთიანდებოდა და უკვე ერთიან გაბმულ ყმუილად ისმოდა, იგი ისმოდა ტრამალის ხან ერთ, ხან მეორე ადგილას, ქარს ხან შორს მიჰქონდა, ხან აახლოვებდა მას. ხანდახან იფიქრებდი, რომ იგი აქვე, აულის ბოლოდან ისმის.

— ქარბუქს უხმობენ! — წაიჩურჩულა საიკალმა.

კარტანბაი ჩუმად იყო, ხმაურს ყური მიუგდო და შემდეგ წამოხტა ლოგინიდან:

— არა, დედაკაცო, ტყუილად არ ყმუიან, ვიღაცას მისდევენ. ადამიანს თუ ცხენს არ ვიცი. ღმერთმა დაგვიფაროს, დიუიშენი არ იყოს. ხომ იცი რა უცნაურია, არაფრის არ ეშინია, — კარტანბაი აწრიალდა, სიბნელეში ქურქს დაუწ-

ყო ძებნა. სინათლე აანთე, დედაკაცო! ჩქარა, თუ ღმერთი გწამს!

შიშისაგან აკანკალებულნი წამოვხტით, მაგრამ სანამ საიკალმა ლამპა მოძებნა და აანთო, მგლების ყმუილიც მიწყდა.

— წამოეწივნენ, წყეულები! — წამოიძახა კარტანბაიმ, — კაკვს წამოავლო ხელი და კარებისაკენ გაექანა, ამ დროს ძაღლები აყეფდნენ და ვიღაცამ გაირბინა ფანჯრებთან. ლანჩები აჭრიალდნენ თოვლზე და კარზე ძლიერად, მოუთმენლად დააკაკუნეს.

ოთახში ყინულის ორთქლი შემოვარდა. როცა იგი გაიფანტა, ჩვენ დავინახეთ დიუიშენი. ფერდაკარგულმა, აქლოშინებულმა, ბარბაცით გადმოაბიჯა ზღურბლზე და კედელს მიეყრდნო.

— თოფი! — ამოიხრიალა მან.

ჩვენ ვერაფერი გავიგეთ. თვალთ დამიბნელდა, მესმოდა მხოლოდ როგორ ბუტბუტებდნენ მოხუცები:

— შავ ცხვარს შემოგწირავთ, თეთრ ცხვარს მოგართმევთ მსხვერპლად! გფარვიდეს წმინდა ბაუბედინი! ნამდვილად შენ ხარ?

— თოფი, თოფი მომეცით! — გაიმეორა დიუიშენმა.

— არა გვაქვს, რა დაგემართა, სად მიხვალ?!

მოხუცები მხრებზე ჩამოეკიდნენ დიუიშენს.

— ჯოხი მომეცით!

ისევ გაისმა მოხუცებულთა ვედრება.

— არსადაც არ გაგიშვებთ ცოცხალი თავით! აქვე დაკვხოცე.

მე უცნაური სისუსტე ვიგრძენი და უჩუმრად ჩავწექი ლოგინში.

— ვერ მოვასწარი, ზედ სახლთან წამომეწიენ. — დიუიშენმა ამოიოხრა და მათრახი კუთხეში მიაგდო. ცხენი ჯერ კიდევ გზაზე დამივარდა, ძლივს მოაღწია აულამდე და დაეცა, მგლებისაგან შეშინებული. ახლა ისინი თავიანთი ნადავლით იყორავენ მუცელს.

— ცხენს ვინ დაეძებს, მთავარია შენ გადარჩი. ცხენი რომ არ დაგვარდნოდა, ვერც შენ დააღწევდი თავს! ბაუბედინს

მადლობა შევწიროთ, მან გიხსნა განსაცდელისაგან. გაიხადე, ცეცხლს მიუჯექი, მოდი ჩექმებს გაგხდი, — ფუსფუსებდა კარტანბაი, — მოგვეცი, დედაკაცო, თუ რამე გაქვს საჭმელი.

ცეცხლს მიუჯდნენ, კარტანბაიმ თავისუფლად ამოისუნთქა.

— რაც მოსახდენია, იმას ვერსად გაექცევი. მაინც რატომ დაგაგვიანდა?

— თემკომის სხდომა გაგრძელდა, კარაკე. პარტიაში შევედი.

— კარგი გიქნია. ხვალ წამოვიდოდი, ვინ მოგსდეკდა.

— ბავშვებს დავპირდი, რომ საღამოთი აქ ვიქნებოდ-. ხვალ დილით მეცადინეობა გვაქვს.

—ეჰ, სულელო! წამოხტა გაბრაზებული კარტანბაი, — გესმის, დედაკაცო, ცხვირმოუხოცელ ბავშვებს დაპპირდა! რომ დაღუპულიყავი? გესმის, რას ლაპარაკობ?

— ეს ჩემი ვალია, ჩემი სამსახური, კარაკე. თქვენ სხვა რამე თქვით, აქამდე ფეხით დავდიოდი, ახლა რა ეშმაკი შემიჩნდა, რამ წამაყვანინა ცხენი...

— მაგაზე ვინ რას ამბობს. ის ჯაგლაგი მაინც მგლის კერძი იყო, თავზეც შემოგვლებია! — ბრაზობდა კარტანბაი. — ჩემი დღე და მოსწრება უცხენოდ ვიყავი, არც ახლა მომიყია არაფერი, საბჭოთა ხელისუფლება არაფერს გამიჭირვებს.

ისინი გაჩუმდნენ. წუთიერი დუმილის შემდეგ კარტანბაიმ წაილაპარაკა:

— გიყურებ და თითქოს უჭკუო არ უნდა იყო, პირიქით ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებ. ვერ გამიგია რა საქმე გაქვს სკოლაში, უგუნურ ბავშვებთან? იქნებ სხვა საქმე ვერ გიპოვნია? დაუდექი ვინმეს მწყემსად, თბილადაც იქნები და მაძღრისადაც.

— მესმის, კარაკე, ჩემთვის სიკეთე გინდა. მაგრამ თუ უგუნურები შემდეგში ისეთივენი იქნებიან, როგორიც თქვენ, მაშინ მართლაც არაა საჭირო სკოლა, არც სწავლა, მაგრამ როგორღა იქნება საბჭოთა ხელისუფლების საქმე? განა შენ არ გინდა, რომ იგი უფრო მტკიცედ დადგეს ფეხზე? ამიტომაც მე სკოლა არ მამძიმებს, კარაკე. მე რომ შემეძლოს უკეთესად ვასწავლო ბავშვებს, მეტზე არაფერზე ვიოცნებებდი.

ლენინი ამბობდა...

— სიტყვამ მოიტანა... შეაწყვეტინა კარტანბაიმ დიუიშენს, ცოტა ხანს იყურა და შემდეგ განაგრძო: — აი, შენ თავს იკლავ, დარდობ. ცრემლებით ლენინს ხომ ვერ გააცოცხლებ?! ეხ, რომ იყოს ქვეყნად ასეთი ძალა... შენ როგორ ფიქრობ, სხვები არ დარდობენ? აბა ჩაიხედე ჩემს გულში, არ ვიცი როგორ ეთანხმება ეს შენს პოლიტიკას, თუმცა ლენინი სხვა რწმენის კაცი იყო, მე დღეში ხუთჯერ ვლოცულობ მისთვის. ხანდახან ვფიქრობ, დიუიშენ, ჩვენ ამაოდ ვღვრით ცრემლს. მე ჩემი ჭკუით ასე განვსაჯე, რომ ლენინი ხალხში, მის გულში დარჩა და ასე გადავა იგი თაობიდან თაობაში, მამიდან შვილზე...

— გმადლობთ, კარაკე, დიდად გმადლობთ კეთილი სიტყვებისათვის! სწორად ფიქრობთ. იგი ჩვენგან წავიდა, მაგრამ ჩვენ ვიცხოვრებთ მისი მაგალითისამებრ, ისე როგორც მას სურდა.

მესმოდა მათი საუბარი და სადღაც შორეთიდან თანდათანობით ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს. დიდხანს არ მჯეროდა, რომ დიუიშენი უვნებელი დაბრუნდა. შემდეგ როგორც გაზაფხულის ნიაღვარი ისე შემოიჭრა ჩემს გულში დაუოკებელი სიხარული და ბედნიერების ამ ნაკადმა გაალხვო ის ყინული, რომელიც გულს მიყინავდა, მე ავტირდი. შეიძლება ჯერ არავის არასოდეს განუცდია ისეთი სიხარული, როგორიც მაშინ მე განვიცადე. ჩემთვის ამ წუთში არაფერი არ არსებობდა, არც ეს თიხით შეთხუპნული ქოხი, არც ქარბუქიანი ღამე, არც მგლების ხროვა და მათ დასაჯიჯგნად მიტოვებული კარტანბაის ცხენი. არაფერი! მთელი გულით, გონებით ერთ დიდ სიხარულს, სამყაროსათვის უსაზღვროსა და უსასრულოს, მოვეცვი. ბალიშში ჩავეშვე, რომ არავის გაეგო ჩემი ტირილი, მაგრამ დიუიშენმა იკითხა.

— ვინ ქვითინებს?

— ალტინაია, ძალიან შეეშინდა და ახლა ტირის, — უპასუხა საიკალმა.

— ალტინაი? — აქ საიდან გაჩნდა? — დიუიშენი ადგილიდან წამოხტა, ჩემს სასთუმალთან ჩაიჩოქა და მხარზე დამადო ხელი: — რა დაგემართა, ალტინაი? რატომ ტირი?

კედლისკენ გადავბრუნდი და ტირილს ვუმატე.

— ასე როგორ შეიძლება, ძვირფასო, რამ შეგაშინა? შენ ხომ უკვე დიდი ხარ... აბა შემომხედე...

მაგრად მოვეხვიე დიუიშენს, გახურებული, სველი სახე მხარზე დავადე, ტირილს მაინც ვერ ვიმაგრებდი. სიხარულის ციებ-ცხელება შემყროდა და უძლური ვიყავი მეღონა რამე.

— ნამდვილად გული გადაუქანდა! — აწრიალდა კარტანბაი, — დედაკაცო, მიდი, შეულოცე, ჩქარა.

ყველა აფუსფუსდა, საიკალი რაღაცას ბუტბუტებდა და სახეზე ხან ცივ, ხან თბილ წყალს მასხურებდა და თვითონაც ტიროდა ჩემთან ერთად.

მათ რომ სცოდნოდათ: დიდმა სიხარულმა „გადამიქანა" გული, მე არ შემეძლო ამეწერა, ან როგორმე გამომეხატა ჩემი გრძნობა.

სანამ არ დავმშვიდდი და არ დავიძინე, დიუიშენი ჩემს სასთუმალს არ მოშორებია და გრილი ხელით მიალერსებდა გახურებულ შუბლზე.

ზამთარი უღელტეხილისაკენ იხევდა უკან. შეუსვენებლივ მოერეკებოდა თავის ცისფერ ჯოგებს გაზაფხული. ბარიდან მთად მიიწევდა თბილი ჰაერი, თან მიჰქონდა გაზაფხულის მიწისა და ახლადმოწველილი რძის სურნელი. ლღვებოდნენ ნამქერები, მთაში ყინული დაიძრა, არაკრაკდნენ ნაკადულები, შემდეგ მომძლავრებულნი ერთიან თავშეუკავებელ მდინარეებად დაიძრნენ და ხმაურით აავსეს ხევები.

შეიძლება ეს იყო ჩემი ქალიშვილობის პირველი გაზაფხული. ყოველ შემთხვევაში, იგი სხვაზე უფრო ლამაზად მეჩვენებოდა. ბორცვიდან, სადაც ჩვენი სკოლა იდგა, მოჩანდა მშვენიერი სამყარო, სადაც გაზაფხულს დაედგა ტახტი. მიწას, თითქოს ხელგაშლილი რომ მორბოდა მაღალი მთებიდან, თავი ვერ შეეკავებინა და იკარგებოდა უსასრულო ტრამალის ვერცხლისფერ სივრცეებში. სადღაც, ცხრა მთას იქით ლაჟვარდს ეჯიბრებოდნენ სილურჯეში ყინულისაგან თავდახსნილი ტბები, ცხენთა ჭიხვინი სწვდებოდა ცას, ცხრა მთას იქით მიფრინავდნენ ზეცას თეთრი ღრუბლებივით გაკრული

წეროები. ვინ იცის, საიდან მოფრინავდნენ, ან საით მიუწევდათ გული?

გაზაფხულმა გაამხიარულა ჩვენი უფერული ცხოვრება. ათასგვარ თამაშებს ვიგონებდით, უმიზეზოდ ვიცინოდით, სკოლის შემდეგ სირბილით ვუახლოვდებოდით აულს, მთას და ბარს აყრუებდა ჩვენი ჟივილ-ხივილი. ბიცოლაჩემს არ მოსწონდა ყველაფერი ეს და შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაველანძღე:

— რა კვიცივით დახტიხარ, სულელო? არ გადარდებს გაუთხოვრად რომ ზიხარ? შენი ტოლები რა ხანია ბედს ეწიენ, ოჯახს ნათესავები მოუმრავლეს, შენ კი... იპოვნე გასართობად სკოლა... თუ ქალი ვარ, მოგივლი!

მე არცთუ ისე ახლოს მიმქონდა გულთან ბიცოლაჩემის ლანძღვა-გინება. ჩემთვის აქ ახალი არაფერი იყო. იგი ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ილანძღებოდა. ხოლო იმის თქმა, რომ გაუთხოვრად დავრჩი, უაზრობა იყო. განა რამდენი წლისა ვიყავი მაშინ? მე მხოლოდ ტანი ავიყარე იმ გაზაფხულზე.

— შენ ჯერ გაბურძგნული, თმადაუვარცხნელი გოგონა ხარ, — იცინოდა დიუიშენი, — თანაც ვგონებ წითურიც.

მისი სიტყვები სულაც არ მწყინდა. „რა თქმა უნდა, გაბურძგნული, — ვფიქრობდი მე, — მაგრამ არცთუ მთლად წითური. როცა გავიზრდები და ნამდვილი საპატარძლო გავხდები, მაშინაც ხომ ასეთი არ ვიქნები? ნახოს ერთი მაშინ ბიცოლაჩემმა როგორი ლამაზი გავხდები, დიუიშენი ხომ ამბობს თვალები ვარსკვლავებივით გიბრწყინავს და სახეც ნათელი გაქვსო“.

ერთხელ, როცა სახლში მოვირბინე, ეზოში ცხენები შევნიშნე. უნაგირზე და მოსართავებზე შევატყვე — მათი პატრონები მთებიდან იყვნენ მოსულნი. წინათაც შემოუხვევიათ ჩვენსკენ გზად წისქვილიდან, ან ბაზრიდან უკან დაბრუნებულებს.

ჯერ კიდევ ზღურბლზე ყური მომჭრა ბიცოლაჩემის არაბუნებრივმა სიცილმა.

— ჩემო ძმისწულო, ნუ ძუნწობ, არ გაღარიბდები. სა-

მაგიეროდ, იმ მტრედს როცა ხელში მოიგდებ, კეთილი სიტ-ყვით მომიგონებ.

ვიღაცეები ხარხარებდნენ და კვერს უკრავდნენ. კარი გა-ვაღე, ხმაური უცებ შეწყდა. ქეჩაზე სუფრა გაეშალათ, სუფ-რასთან კუნძივით კაცი იჯდა, სახეწითელი და ძორძოხი, მე-ლის ბეწვის ქუდი ჩამოეფხატა ოფლიან შუბლზე, ჩაახველა და თვალები დახარა.

— ოო, შვილო, დაბრუნდი? შემოდი, გენაცვალე! — მომე-ლაქუცა ბიცოლაჩემი.

ბიძაჩემი ქეჩის კიდეში იჯდა, ვიღაც უცხო კაცთან. ისინი კარტს თამაშობდნენ, არაყს სვამდნენ და ბეშბარმაკს მიირ-თმევდნენ. ორივე მთვრალი იყო და უცნაურად აკანტურებ-დნენ თავებს, როცა კარტს ქეჩაზე ურტყამდნენ.

ჩვენი რუხი კატა ის იყო ქეჩას მიუახლოვდა, მაგრამ წი-თელსახიანმა კაცმა ისე გამეტებით ჩაარტყა თავში, რომ იგი კნავილით გახტა და კუთხეში მიიკუნჭა. როგორ შემეცოდა საბრალო ფისო!

მინდოდა წავსულიყავი, მაგრამ არ ვიცოდი როგორ მომე-ხერხებინა. ბოლოს ბიცოლაჩემმა მიხსნა:

— შვილო, ქვაბში საჭმელია, ჭამე, მანამ არ გაცივებულა.

გამოვედი, მაგრამ არ მომეწონა ბიცოლაჩემის საქციელი. ავფორიაქდი, რაღაცამ დამაეჭვა.

ორი საათის შემდეგ სტუმრები ცხენებზე შესხდნენ და მთებისაკენ გაუყვნენ ეზას. ბიცოლაჩემმა კი ისე გამომ-ლანძღა, რომ გულზე მომეშვა: „ალბათ, მთვრალი იყო და იმიტომ მომიალერსა ასე“, — გავიფიქრე გუნებაში.

ცოტა ხნის შემდეგ საიკალი მოვიდა ჩვენთან, ეზოში ვიყავი, მაგრამ მაინც გავიგონე, ბიცოლას რომ უთხრა:

— ღმერთი არ გწამს? რატომ ღუპავ ბავშვს?

ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, გაცხარებულნი და-ობდნენ რაღაცაზე, შემდეგ მოხუცი განრისხებული გამოვარდა სახლიდან. გაბრაზებული, თანაც სევდიანი მზერა შემომაგება და სიტყვის უთქმელად წავიდა. გული გადამიქანდა: რატომ შემომხედა ასე, განა რა ვაწყენინე?

მეორე დღეს შევნიშნე, რომ დიუიშენი მოღუშული და რაღაცით შეწუხებული იყო, თუმცა ცდილობდა, არავის შეემჩნია ეს. ისიც შევნიშნე, რომ რატომღაც ჩემსკენ იყურებოდა. გაკვეთილების შემდეგ, როდესაც ყველანი ერთად გამოვედით გარეთ, მან დამიძახა:

— ალტინაი, მომიცადე, — მოვიდა, მხარზე ხელი დამადო, თვალებში ჩამხედა და მითხრა: — სახლში ნუ წახვალ. გამიგე რასაც გეუბნები, ალტინაი?

შიშისაგან მკვდრის ფერი დამედო. მხოლოდ ახლა მივხვდი რას მიპირებდა ბიცოლაჩემი.

— მე ვაგებ პასუხს. ჯერჯერობით ჩვენთან იცხოვრებ. მარტო სიარულს ერიდე, შორს ნურსად წახვალ.

ალბათ ადამიანის ფერი აღარ მედო სახეზე. დიუიშენმა ნიკაპი ამიწია, თვალებში ჩამხედა და გამიღიმა, როგორც ყოველთვის:

— ნუ გეშინია, ალტინაი! — გაიცინა მან. — როცა მე ვარ შენთან, ნურაფრის გეშინია. ისწავლე, წინანდებურად იარე სკოლაში და სხვაზე ნურაფერზე იფიქრებ... თორემ მე ხომ ვიცი, როგორი მშიშარა ხარ... ამაზე გამახსენდა, დიდიხანია მინდოდა მომეყოლა შენთვის. — ალბათ რაღაცა საინტერესო მოაგონდა, ისევ გაიცინა. — გახსოვს, იმ დილით კარაკე უთენია ადგა და სადღაც გაქრა. ვხედავ, მოიყვანა — როგორ ფიქრობ, ვინ? — ექიმბაში, მოხუცი ჯაინაკის ცოლი. „რისთვის?“ — ვეკითხები. „შესალოცად, თორემ ალტინაის გული აღარა აქვს ალბათ ადგილზე“. ვეუბნები: „გააგდეთ აქედან, თორემ ერთ ცხვარზე ნაკლებს არ დაგჯერდებათ, ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ. ცხენის ჩუქებაც არ შეგვიძლია: მგლებს დავუტოვეთ უკვე“... შენ ჯერ კიდევ გეძინა. ასე გავისტუმრე. კარაკე მთელი კვირა ხმას არ მცემდა, გაბრაზებული იყო: მაწყენინეო — მეუბნებოდა. ძალიან კარგი ხალხია, არაჩვეულებრივად კეთილი. ახლა კი წავიდეთ.

რანაირად არ ვცდილობდი თავი შემეკავებინა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. უსიამოვნო ფიქრები აღარ მტოვებდნენ. ხომ შეიძლებოდა, ყოველ წუთს გამოჩენილიყო ბიცოლაჩემი

და ძალით წავეყვანე. შემდეგ იგი ისე მოიქცეოდა, როგორც მოისურვებდა, ვინ აუკრძალავდა ამას. მთელი ღამე არ მძინებია უბედურების მომლოდინეს.

დიუიშენს კარგად ესმოდა, რასაც განვიცდიდი. შეიძლება ამიტომაც მან მეორე დღეს ორი პატარა ნერგი მომიტანა. გაკვეთილების შემდეგ ხელი მომკიდა და განზე გამიხმო.

— ალტინაი, ახლა ჩვენ ერთ კარგ საქმეს გავაკეთებთ, — იგი შეთქმულივით იღიმებოდა. — ეს ალვის ხეები შენთვის მოვიტანე. ჩვენ ერთად დავრგავთ. სანამ ისინი გაიზრდებიან, მომაგრდებიან, შენც გაიზრდები, კარგი ადამიანი გახდები. შენ კეთილი გული და მაძიებელი, ცოდნას მოწყურებული გონება გაქვს. რატომღაც მგონია, რომ სწავლული გამოხვალ. მე მჯერა ამის. აი ნახავ, შენ ასეთი ბედი გიწერია. ჯერ ამ ალვებსავით ნორჩი ხარ. მოდი ჩვენი ხელით დავრგოთ ისინი. და შენც სწავლაში ეძიე შენი ბედნიერება, ჩემო ნათელო ვარსკვლავო!

ისინი ჩემი სიმაღლისანი იყვნენ — იისფერი, ქორფა ალვის ხეები. როცა ჩვენ ალვები სკოლის მახლობლად, მიწაში ჩავრგეთ, მთებიდან მონაქროლი ნიავი პირველად შეეთამაშა მათ ფოთლებს. თითქოს სიცოცხლე შთაჰბერაო, ფოთლები ათრთოლდნენ, ალვის ხეები შეარხია, შეატოკა ნიავმა.

— შეხე რა კარგია! — გაიცინა დიუიშენმა და უკან დაიწია. — ახლა იმ წყაროდან არხსაც გამოვიყვანთ. მერე ნახე, როგორ გალამაზდებიან, აიქოჩრებიან, ტანს აიყრიან! ისინი აქ იდგებიან ერთმანეთის გვერდით, როგორც ღვიძლი ძმები, ყველას დასანახად, კეთილი ადამიანების თვალისგასახარად. მაშინ ცხოვრებაც სხვანაირი იქნება, ალტინაი. ყველაფერი კარგი ჯერ კიდევ წინაა.

მე ახლაც არ შემიძლია ვიპოვნო სიტყვები, თუ როგორი გრძნობა გამოიწვია ჩემში დიუიშენის კეთილშობილურმა ქცევამ. მაშინ მე უბრალოდ ვიდექი და შევცქეროდი მას. შევცქეროდი ისე, თითქოს პირველად დამენახოს მისი გაცისკროვნებული სახე, სიკეთით გაბრწყინებული თვალები, თითქოს არასოდეს მენახოს მისი მარჯვე და მოქნილი ხელები, წმიდა

და ნათელი ღიმილი, გულს რომ მითბობდა ხოლმე. მღელვარე ტალღასავით დაიძრა ჩემს გულში, ჯერ კიდევ შეუცნობელი სამყაროდან შემოჭრილი ახალი, უცნობი გრძნობა. გული მიწევდა, მინდოდა მეთქვა: „დიდი მადლობა, ჩემო მასწავლებელო, რომ ასეთი ხართ, მინდა მოგეხვიოთ, გაკოცოთ!“ მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გავბედე, შემრცხვა. შეიძლება საჭირო კი იყო მეთქვა...

მაშინ ჩვენ ვიდექით ბორცვზე, რომელსაც ნათელი გაზაფხულის ცა გადაჰფარებოდა თავზე, ამწვანებული ქედები, საამოდ ესალბუნებოდნენ თვალსა და თვითეული ჩვენგანი თავის ოცნებას ეთამაშებოდა. იმ წუთში სავსებით დამავიწყდა საფრთხე. რომელიც მელოდა. არ მიფიქრია რატომ არ მეძებს ბიცოლაჩემი, მე ხომ ორი დღეა არ გამოვჩენილვარ სახლში. შეიძლება დამივიწყეს კიდეც, თავი დამანებეს? მაგრამ თურმე დიუიშენი ფიქრობდა.

— ნუ იდარდებ, ალტინაი, ვიპოვნით გამოსავალს, — მითხრა მან, როდესაც აულში ვბრუნდებოდით. — ზეგ თემში წავალ. შენზე მოველაპარაკები ხალხს. შეიძლება მოვახერხო, რომ ქალაქში გაგგზავნონ სასწავლებლად. გინდა წასვლა?

— როგორც მეტყვით, ისე მოვიქცევი, მასწავლებელო!

თუმცა მე წარმოდგენაც არ მქონდა როგორი უნდა ყოფილიყო ქალაქი, მაგრამ დიუიშენის სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რომ უკვე მეოცნება ქალაქურ ცხოვრებაზე. ხან მეშინოდა იმ გამოუცნობისა, რაც მომელოდა უცხო მხარეში, ხან კი უკვე ვემზადებოდი სამოგზაუროდ, ერთი სიტყვით, დიუიშენის სიტყვები ღრმად ჩამებეჭდა გონებაში.

მეორე დღეს სკოლისაკენ მიმავალი ისევ იმაზე ვფიქრობდი, როგორ უნდა მეცხოვრა ქალაქში. თუკი ვინმე შემიკედლებს, შეშას დავუჩეხავ, წყალს მოვუტან, სარეცხს გავურეცხავ, გავუკეთებ ყველაფერს, რასაც მიბრძანებს. ვიჯექი გაკვეთილებზე და ვფიქრობდი: ხმაურმა გამომიყვანა ფიქრებიდან. გარედან ცხენის ფლოქვების თქარათქური შემომესმა. ეს ისე მოულოდნელი იყო, ცხენები ისეთი სისწრაფით მოქროდნენ, თითქოს სადაცაა ჩვენ სკოლას გადათელავენო. ყველანი დავიძაბეთ, გავშეშდით.

— ყურადღებას ნუ აქცევთ, თქვენი საქმე აკეთეთ, — სწრაფად თქვა დიუიშენმა.

მაგრამ ამ დროს სკოლის კარები ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ბიცოლაჩემი დავინახე. მას სახეზე ბოროტი, გამომწვევი ღიმილი უთამაშებდა. დიუიშენი კარებთან მივიდა:

— რაზე შეწუხებულხართ?

— ეს შენ არ გეკითხება. გოგო უნდა გავატანო ქმარს. ეი შენ, უსახლკაროვ! — და ბიცოლაჩემი ჩემსკენ წამოვიდა, მაგრამ დიუიშენმა გადაუღობა გზა.

— აქ მხოლოდ მოსწავლეებია და გასათხოვარი ჯერჯეროობით არავინ არის! — მტკიცედ და დინჯად თქვა მან.

— ამას კიდევ ვნახავთ! ეი, კაცებო, გამოათრიეთ ის ძაღლის ლეკვი!

ბიცოლაჩემმა ხელით მოუხმო ერთ-ერთ მხედარს. ეს სწორედ ის წითური იყო მელის ბეწვის ქუდით. მასთან ერთად მძიმე კეტებით შეიარაღებული ორი მამაკაცი ჩამოქვეითდა.

მასწავლებელი ადგილიდან არ დაძრულა.

— შენ, უპატრონო ძაღლო, ვინ მოგცა უფლება სხვის შვილებზე რომ უფროსობ, თითქოს შენი ცოლები იყვნენ? მამეცალე გზიდან.

წითურსახიანი დათვივით წამოვიდა.

— შემოსვლის უფლება არა გაქვთ, აქ სკოლაა! — დიუიშენი კარებში ჩამდგარიყო და ხელები გაეშალა.

— ხომ ვამბობდი! — აწრიპინდა ბიცოლაჩემი. — დიდიხანია უკვე თვითონ დაძვრება მასთან. ძუკნა სატყუარზე მიიტყუა.

— მიმიფურთხებია შენი სკოლისათვის! — აღრიალდა წითურსახიანი და მათრახი მოიქნია.

მაგრამ დიუიშენმა დაასწრო. მთელი ძალით ჩაარტყა წიხლი მუცელში, წითურსახიანმა ერთი ამოიხვნეშა და ადგილზე ჩაიკეცა. იმ წუთში კეტებით შეიარაღებული ორი კაცი ეცა მასწავლებელს. ბავშვები ყვირილით გამოიქცნენ ჩემსკენ, კეტების დარტყმებისაგან კარი ნაფოტებად იქცა. მე მოჩხუბრებისაკენ გავიწიე, თან მივათრევდი პატარებს, რომლებიც კაბაში ჩამფრენოდნენ.

— თავი დაანებეთ მასწავლებელს! ნუ ურტყამთ, არ მოკლათ, მე აქ ვარ, წამიყვანეთ.

დიუიშენი ჩემსკენ მობრუნდა. იგი მთლად სისხლში იყო მოსვრილი, გაბოროტებული, საშინელი შესახედავი იყო.

— ბავშვებო, გაიქეცით, აულში გაიქეცით! გაიქეცი, ალტინაი! — ხმა ჩაუწყდა.

ჯოხებს ურტყამდნენ, ხელები დაამტვრიეს. ახლა უკვე თავდაცვის თავი არ ჰქონდა, მომხვდურნი კვლავ მხეცური გაბოროტებით სცემდნენ.

— დასცხე! არ დაინდო! თავში დასცხე! ისმოდა ღრიალი.

მე ბიცოლაჩემი და წითურსახიანი მომვარდნენ და ეზოში გამათრიეს. მთელი ძალით ვცდილობდი გავსხლტომოდი ხელიდან, წამით დავინახე ბავშვთა შეშინებული სახეები და კედელთან სისხლში მოსვრილი დიუშენი.

— მასწავლებე-ლო-ო-ო!

მას არაფრით შეეძლო ჩემი შველა. თვითონ ძლივს იდგა ფეხზე, მთვრალივით ბარბაცებდა, ურტყამდნენ განუწყვეტლივ, ცდილობდა თავი მაღლა აეწია და ისევ ურტყამდნენ, ურტყამდნენ გამეტებით. მე წამაქციეს და ხელები შემიკრეს. დიუიშენი დაეცა.

— მასწავლე-ბე-ლ-ო-ო!

პირზე ხელი დამაფარეს და უნაგირზე შემაგდეს.

წითურსახიანმა ამიტაცა, ის ორნიც დიუიშენს რომ ურტყამდნენ, ცხენებს მოახტნენ, ბიცოლაჩემი გვერდით მომდევდა, თავში მირტყამდა.

— მოვესწარი, მოვესწარი! როგორც ღირსი ხარ ისე გაცილებ! შენს მასწავლებელსაც გამოუვიდა წირვა.

არა, ეს დასასრული არ იყო; თავგანწირული ყვირილი მომესმა:

— ალტი-ნა-ა-ი!

ძლივს წამოვწიე თავი და გავიხედე. დიუიშენი მოგვდევდა. ცემით დაოსებული, დასისხლიანებული, მორბოდა — დი-

დი ქვა აეღო ხელში, მას ყვირილით მოყვებოდა მთელი ჩვენი კლასი.

— მხეცებოო! გაუშვით! თავი დაანებეთ! ალტინაი! — ყვიროდა და ცდილობდა დაგვწეოდა.

მოძალადეები შეჩერდნენ, ორმა ცხენები დიუიშენის ირგვლივ დაატრიალა. მან კი კბილით დაიკავა სახელო, რომ გადამტვრეულ ხელს არ შეეშალა და ქვა ისროლა. ვერ მოარტყა. მაშინ იმ ორმა კიდევ დაუშინეს კეტები და ტალახში ჩაგდებული დიუიშენი გზაზე დარჩა. თვალთ დამიბნელდა. მხოლოდ იმის დანახვა მოვასწარი, როგორ მიირბინეს ბავშვებმა და შეშინებული გაჩერდნენ მის წინ.

არ მახსოვს როდის და სად მიმიყვანეს. იურტაში მოვედი გონზე. ღია გუმბათიდან ვარსკვლავები დამცქეროდნენ, ისინი თითქოს მშვიდად მიღიმოდნენ, ანდა რა ჰქონდათ სადარდებელი. სადღაც ახლოს მდინარე ხმაურობდა და ისმოდა მწყემსთა გადაძახილი, ღამის დარაჯად რომ უდგნენ ცხვარს. ჩამქრალ კერასთან პირქუში, ხის ქერქივით გამომშრალი, მოხუცი ქალი იჯდა. სახე მიწასავით ჩაშავებოდა. მზერა ავარიდე. ო, რომ შემძლებოდა, ადგილზე გავაქვავებდი თვალებით.

— შავტუხავ, წამოაყენე ფეხზე, — უბრძანა წითელსახიანმა.

შავი ქალი მოვიდა და შემაჯანჯღარა, მაგარი, დაკორძილი ხელი მხარში ჩამავლო.

დააწყნარე შენი შემცვლელი, აუხსენი რაშია საქმე. არადა — სულ ერთია — მე ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს.

იგი იურტიდან გავიდა. შავი ქალი ადგილიდან არ დაძრულა, ხმაც არ ამოუღია. იქნებ მუნჯიც იყო? მისი ჩამქრალი ფერფლივით თვალები არაფერს გამოხატავდნენ. ხომ არიან მივიწყებული ძაღლები, ბოროტი ადამიანები გამუდმებით რომ ურტყამენ მათ, რაც ხელში მოხვდებათ და ისინიც თანდათანობით ეჩვევიან ამას. მათ მზერაში ისეთი უძირო სიცარიელე მოჩანს — გაგაჟრჟოლებს. ვუყურებდი შავი ქალის უსიცოცხლო თვალებს და მეჩვენებოდა, რომ აღარც მე დავდივარ ამ ქვეყნად, რომ მეც სამარეში ვარ. მდინარის ხმაური

რომ არა, მე ვირწმუნებდი ამ ამბავს. წყალი დგაფუნით მიიკვლევდა გზას, იგი თავისუფალი იყო.

ბიცოლა, გულქვავ, ბოროტო ადამიანო, წყეულიმც იყავ უკუნითი უკუნისამდე! ჩემმა ცოდვამ არ გაგახაროს!.. იმ ღამეს, დაბადებიდან თხუთმეტი წლისა, ქალად ვიქეცი. მე მოძალადის შვილებზე უმცროსი ვიყავი...

მესამე ღამეს გადავწყვიტე, გავქცეულიყავი რადაც არ უნდა დამჯდომოდა. დაე, გზა ამებნეს, მდევარი წამომეწიოს, ვიბრძოლებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, როგორც იბრძოდა ჩემი მასწავლებელი დიუიშენი.

უჩუმრად მივიპარე კარებთან, იგი მაგრად იყო დაკეტილი სქელი ქამანდით. თოკები ისე ეშმაკურად გაეკვანძათ, რომ სიბნელეში მისი გახსნა შეუძლებელი იყო. მაშინ მე შევეცადე ზევით ამეწია იურტის კალთა. იქნებ როგორმე გამოვმძვრალიყავი, არაფერი გამოვიდა, იურტა გარედანაც მაგრად იყო მიწაზე ქამანდებით დამაგრებული.

ერთი გამოსავალი იყო, როგორმე უნდა გადამეჭრა კარებზე მიმაგრებული თოკები. ძებნა დავიწყე, ვერაფერი ვიპოვნე სარის მეტი. გამწარებულმა მიწის თხრა დავიწყე იურტის ქვეშ. ეს, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო, მაგრამ მე არაფერს არ ვუწევდი ანგარიშს. თავში ერთი აზრი მიტრიალებდა — გავქცეულიყავი ან მოვმკვდარიყავი, ოღონდ არ მესმინა ამ აუტანელი ადამიანის ხვრინვისათვის, ოღონდ აქ არ დავრჩენილიყავი და მოვმკვდარიყავი თავისუფალი, ბრძოლის დროს, ოღონდ არ დავმორჩილებულიყავი.

ტოკოლი — მეორე ცოლი. როგორ მეზიზღება ეს სიტყვა! ვინ და როდის მოიგონა იგი? რა შეიძლება იყოს მეორე ცოლის მდგომარეობაზე დამამცირებელი, იგი მონაა სულითა და ხორცით. წამოდექით, უბედურებო, წამოდექით საფლავებიდან, დაღუპული, შეგინებული, ადამიანურ უფლებააყრილი ქალების აჩრდილებო! ადექით, წამებულნო, დაე შეძრწუნდეს იმდროინდელი ბნელეთის სამეფო! ამას ვამბობ უკანასკნელი თქვენთაგანი, რომელმაც ვაიზიარა თქვენი ბედი.

იმ ღამეს არც კი ვიცოდი თუკი ამ სიტყვების თქმას მოვახერხებდი ოდესმე. გაშმაგებით ვფხეკდი მიწას, ნიადაგი

ქვიანი გამოდგა, ადვილად არ მნებდებოდა. ვთხრიდი ფრჩხილებით, ხელები დავისისხლიანე. როცა იურტიდან უკვე ხელის გამოყოფა შეიძლებოდა, გათენდა კიდეც. აყეფდნენ ძაღლები, გამოიღვიძა ხალხმა. ფრუტუნით ჩაირბინა ჯოგმა, გაიარა ფარამ. შემდეგ ვიღაც მოვიდა იურტასთან, გარედან ქამანდები შეხსნა და ქეჩის მოხსნა დაიწყო. შავი ქალი იყო.

მაშასადამე, აული სადგომს იცვლიდა. გამახსენდა: გუშინ ყური მოვკარი საუბარს, რომ დილიდან ჯერ უღელტეხილისაკენ უნდა დაძრულიყვნენ, შემდეგ კი საზაფხულოდ მთების სიღრმეში უღელტეხილს გაღმა. გული უფრო დამიმძიმდა, იქედან გამოქცევა ბევრად ძნელი იქნება.

ადგილიდან არ გავნძრეულვარ. დავრჩი ისე. როგორც ვიჯექი, გათხრილ ადგილს ვფარავდი. რისთვის ვმალავდი, რა საჭირო იყო? შავმა ქალმა ყველაფერი შეამჩნია, მაგრამ ხმა არ ამოუღია, უჩუმრად აკეთებდა თავის საქმეს და, საერთოდ, ისე იქცეოდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. მან ქმრის გაღვიძება ვერ გაბედა, ვერ გაბედა ეთხოვნა მისთვის დახმარებოდა ბარგის შეკვრაში. ის კი დათვივით ხროტინებდა საბნებსა და ქურქებში გამოხვეული.

ქეჩები შეხვეული იყო, იურტა გაძარცვულივით გამოიყურებოდა, მე კი ვიჯექი გალიაში და ვხედავდი როგორ კაზმავდნენ ცხენებსა და ჯორებს მდინარის პირას. მერე დავინახე, ამ ადამიანებს სამი მხედარი მიუახლოვდა, რაღაცა ჰკითხეს და ჩვენსკენ გამოსწიეს, ჯერ ვიფიქრე ხალხის შესაგროვებლად მოდიან, რომ გზას გაუდგნენ-თქო, შემდეგ კარგად დავაკვირდი და გავშეშდი. ეს იყო დიუიშენი, ძას თან ორი მილიციელი ახლდა.

ცოცხალმკვდარი ვიჯექი და ყვირილის თავიც არ მქონდა. სიხარულმა თავბრუ დამასხა — ცოცხალია ჩემი მასწავლებელი! ამავე დროს გულში საშინელმა სიცარიელემ დაისადგურა. მე დაღუპული ვარ, შერცხვენილი...

დიუიშენს თავი ჰქონდა შეხვეული, დაბანდული ხელი კისერზე ჩამოეკიდებინა. იგი ცხენიდან ჩამოხტა. კარს ფეხი ჰკრა და იურტაში შემოვარდა, წითურსახიანს საბანი გადაძრო.

— ადექი! — დაიყვირა მან მრისხანედ.

მან თავი ასწია, თვალებზე მოისვა ხელი და ის იყო დიუიშენს უნდა სცემოდა, მილიციელების მიერ მისკენ მიშვერილი ორი ნაგანი შენიშნა და მოეშვა. დიუიშენმა კისერში ჩაავლო ხელი და თავისკენ მოჰქაჩა.

— ძაღლო! — წაიჩურჩულა მან გათეთრებული ტუჩებით. ახლა იქ ამოყოფ თავს, სადაც ჯერ არს! წამოდი!

იგი მორჩილად დაიძრა, მაგრამ დიუიშენმა ისევ მოსწია თავისკენ, თვალებში ჩახედა და წაილაპარაკა:

— შენ ფიქრობ, რომ იგი ბალახივით გათელე, დაღუპე? სტყუი, შენი დრო წავიდა, ახლა მისი დროა, შენი აღსასრულის დღე მოვიდა!

წითურსახიანს საშუალება მისცეს ჩექმები ჩაეცვა, ხელები შეუკრეს და ცხენზე შესვეს. ერთმა მილიციონერმა სადავეს მოჰკიდა ხელი და წინ გაუძღვა, მეორე კი უკან გაჰყვა. მე დიუიშენის ცხენზე დავჯექი, იგი გვერდით მომყვებოდა.

როცა დავიძარით, უკნიდან არაადამიანური, ველური კივილი გაისმა. შავი ქალი მორბოდა ჩვენსკენ. იგი გიჟივით მივარდა თავის ქმარს, ქვა ესროლა და თავიდან მელის ბეწვის ქუდი წააძრო.

— ჩემი გაუბედურებული სიცოცხლისათვის, სულთამხუთავო! — ყვიროდა იგი. — ჩემი შავბნელი დღეებისათვის! ცოცხალს არ გაგიშვებ!

ალბათ, ორმოცი წლის მანძილზე ერთხელაც არ წაპოუწევია თავი. ახლა კი იფეთქა და გადმოაფრქვია ყველაფერი, რაც სტანჯავდა და აწამებდა. მისი გამყივანი ხმა ექოდ გადადიოდა კლდიდან კლდეზე. იგი ხან ერთი მხრიდან, ხან მეორიდან მოსდევდა შიშისაგან წელში მოხრილ ქმარს, ესროდა ქვებს, ნაკელს, თიხის ბელტებს, ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა და თან წყევლა-კრულვას უთვლიდა:

— ბალახმაც არ იხაროს შენს ნატერფალზე! — ყვავ-ყორანთა საჯიჯგნი გახდეს შენი თვალები, მიწამ არ მიიბაროს შენი ძვლები! ღმერთმა ნურასოდეს დამანახოს შენი თავი! სული ამოგძვრეს ჩემს თვალწინ, დამპალო მძორო! — იქოთ-

ქოთა მან და შემდეგ ყვირილით გაიქცა. გეგონებოდათ გაურბისო თავის გაშლილ თმებს, რომელსაც ქარი ათამაშებდა.

მეზობლები გამოედევნენ.

თავბრუ მესხმოდა, თითქოს ყველაფერი რაც განვიცადე საშინელი სიზმარი იყო. დაბეჩავებული, განაწამები ვიჯექ-ცხენზე. დიუიშენი ოდნავ წინ მიდიოდა, ხელში სადავე ეჭირა. დუმდა, დაბანდული თავი დაეხარა.

კარგა დროს გაიარა, ვიდრე ავბედით ხეობას უკან მოვიტოვებდით. მილიციელებმა წინ გაგვისწრეს, დიუიშენმა ცხენი გააჩერა და პირველად შემომხედა განაწამები თვალებით.

— ალტინაი, მაპატიე, ვერ მოგიარე, — მითხრა მან, — შემდეგ ჩემი ხელი აიღო და ლოყასთან მიიტანა. — თუმცა შენ რომ მაპატიო, მე მაინც ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს.

ავტირდი, ცხენის კისერზე დავემხე. დიუიშენი დუმდა, იცდიდა როდის მოვათავებდი ტირილს.

— დამშვიდდი, ალტინაი, წავიდეთ, — მითხრა მან ბოლოს, — ყური მიგდე რა გითხრა: თემში ვიყავი, შენ ქალაქში წახვალ სასწავლებლად. გესმის?

როცა მორაკრაკე, ანკარა მდინარესთან გავჩერდით, დიუიშენმა მითხრა:

— ჩამოდი ცხენიდან, ალტინაი, დაიბანე. — ჯიბიდან საპნის ნაჭერი ამოიღო. — აიღე. ნურაფერზე იდარდებ. თუ გინდა მე ცხენს წავაბალახებ, შენ კი გაიხადე და იბანავე. დაივიწყე ყველაფერი რაც იყო, ნულარ მოიგონებ. იბანავე, დარდი შეგიმსუბუქდება.

თავი დავუქნიე. როცა დიუიშენი წავიდა, გავიხადე და ფრთხილად შევედი წყალში. თეთრი, ლურჯი, მწვანე, წითელი ქვები შემომცქეროდნენ ფსკერიდან. სწრაფი ცისფერი ნაკადი ათუხთუხდა ჩემს ფეხებთან. მუჭით ამოვხაპე წყალი და მკერდზე შევისხი. ცივი შხეფები ჩამოწკანწკარდნენ ტანზე, უნებლიეთ გამეცინა, პირველად ამ დღეების განმავლობაში. რა კარგი იყო სიცილი! მე ერთხელ-კიდევ გადავისხი წყალი და შემდეგ ზვირთებში შევცურე. დინება სწრაფად მიმაქანებდა თავთხელისაკენ, მე კი ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი აქაფებულ ზვირთებს.

წყალო, მომაშორე ჭუჭყი და სიბინძურე ამ დღეებისა! გამხადე ისეთივე სუფთა, როგორიც შენ ხარ! — ვჩურჩულებდი და თან ვიცინოდი, არ ვიცი რატომ.

რატომ არ რჩება სამარადჟამოდ ადამიანთა ნაკვალევი მათთვის ძვირფას ადგილებში. ახლა მე რომ იმ ბილიკის პოვნა შემეძლოს, რომლითაც ჩვენ მთებიდან ვბრუნდებოდით, მიწაზე დავემხობოდი და დავკოცნიდი ჩემი მასწავლებლის ნაფეხურებს. ამ ბილიკმა ხომ ცხოვრების დიდ შარაგზაზე გამიყვანა. დაილოცოს ის დღე, ის ბილიკი, ის გზა. რომლითაც მე დავუბრუნდი ცხოვრებას, ვიპოვნე ჩემი თავის რწმენა, რომლითაც გავიკვლიე გზა ახალი იმედებისა და სინათლისაკენ... მადლობა იმ მზეს, იმ მიწას...

ორი დღის შემდეგ დიუიშენმა სადგურზე გამაცილა.

აულში დარჩენა, ყველაფერი იმის შემდეგ რაც მოხდა, მე არ მინდოდა. ახალი ცხოვრება ახალ ადგილას უნდა დამეწყო. თანასოფლელებმაც სწორად მიიჩნიეს ჩემი გადაწყვეტილება საიკალი და კარაკეც მაცილებდნენ. ისინი ფუსფუსებდნენ, ტიროდნენ ბავშვებივით, ათასგვარ რამეს მაჩეჩებდნენ ხელში საგზაოდ. სხვებიც მოვიდნენ გამოსათხოვებლად, მათ შორის სატიმკულიც იყო.

— ღმერთი გფარვიდეს, შვილო ჩემო, — მითხრა მან, სინათლის შუქი ადგეს შენს გზას. არ შეკრთე, იცხოვრე ისე, როგორც შენმა მასწავლებელმა დიუიშენმა დაგარიგა და არ დაიკარგები. მეტი რა გითხრა, ჩვენც შევიგვენით რაღაც.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები დიდხანს მოსდევდნენ ორთვალას, ხელს მიქნევდნენ, მეთხოვებოდნენ...

მივემგზავრებოდი რამდენიმე ბავშვთან ერთად, რომლებიც ჩემსავით ტაშკენტის ბავშვთა სახლში მიდიოდნენ. სადგურზე ტკაცის ქურთუკში გამოწყობილი რუსის ქალი გველოდა.

რამდენჯერ გამივლია მას შემდეგ მთებში ჩამალული, ჭადრის ხეებით დაჩრდილული სადგური! ასე მგონია ჩემი გულის ნახევარი იქ დავტოვე სამუდამოდ.

გაზაფხულის საღამოს მოიასამნისფრო ბინდბუნდში იყო რაღაც ნაღვლიანი, სევდის მომგვრელი, თითქოს თვითონ მწუხრმაც იცოდა ჩვენი განშორების შესახებ. დიუიშენი

ცდილობდა არაფერი ეგრძნობინებინა, მე ვიცოდი როგორ განიცდიდა იგი, მეც ხომ ასეთსავე დღეში ვიყავი: ცრემლი ყელთან მომბჯენოდა. დიუიშენი თვალებში მომჩერებოდა. მისი ხელები ეალერსებოდნენ ჩემს თმებს, ჩემს სახეს. ჩემი კაბის ღილებსაც კი.

— ალტინაი, მე შენ ერთის წუთითაც არ მოგიშორებდი, — მეუბნებოდა იგი, — მაგრამ უფლება არ მაქვს ხელი შეგიშალო, შენ უნდა ისწავლო. მე კი რა შემიძლია, თვითონაც ძალიან ცოტა რამ ვიცი. გაემგზავრე, ასე აჯობებს. იქნებ შენ ნამდვილი მასწავლებელი გამოხვიდე, მაშინ მოიგონებ ჩვენ სკოლას და გაგეცინება.. დაე ასე იყოს, დაე ასეც მოხდეს...

ხეობაში ექოდ გაიკრა ორთქლმავლის კივილი, მატარებელმა შემოანათა. სადგურზე ხალხი ამოძრავდა.

— აი ახლა შენ წახვალ, — შემკრთალი ხმით მითხრა დიუიშენმა, — ბედნიერი იყავი, ალტინაი. და რაც მთავარია — ისწავლე, ისწავლე...

არაფრის თქმა არ შემეძლო, ცრემლები მახრჩობდა.

— ნუ ტირიხარ, ალტინაი, — დიუიშენმა თვალები მომწმინდა და უცებ მოაგონდა: — ჩვენ რომ ალვის ხეები დავრგეთ, იმას მე მოვუვლი. როცა ნასწავლ ქალად დაგვიბრუნდები, ნახავ როგორი ლამაზები დაგხვდებიან ისინი.

ამ დროს მატარებელიც ჩამოდგა. ღრჭიალითა და ხმაურით დამუხრუჭდნენ ვაგონები.

— აბა, ნახვამდის! — დიუიშენი მომეხვია და მაგრად მაკოცა შუბლზე. — ბედნიერი იყავი, გზა მშვიდობისა, მშვიდობით, ძვირფასო... ნუ შეკრთები, იყავი გაბედული.

მე შევხტი საფეხურზე და მხრის ზევიდან უკან მოვიხედე. არასოდეს დამავიწყდება, როგორი დანისლული თვალებით მიყურებდა ხელშეხვეული დიუიშენი, იგი წამოიწია, თითქოს უნდოდა ისევ შემხებოდა, მაგრამ სწორედ იმ წუთში მატარებელი დაიძრა.

— მშვიდობით, ალტინაი! ჩემო თვალისჩინო!

— მშვიდობით, მასწავლებელო! მშვიდობით, ძვირფასო მასწავლებელო!

დიუიშენი ფეხდაფეხ მოსდევდა ვაგონს, შემდეგ ჩამორჩა და ისევ მომესმა მისი ყვირილი:

— ალტინა-ა-აი!

იგი ისე ყვიროდა თითქოს დაავიწყდა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანის თქმა და ახლა მოაგონდა მხოლოდ, თუმცა კარგად იცის, რომ გვიანაა... ახლაც მესმის ეს ძახილი, გულიდან წამოსული...

მატარებელმა გვირაბი ჩაათავა. სწორ გზაზე გავიდა, სიჩქარეს მოუმატა და ყაზახეთის უსასრულო ტრამალებით გამაქროლა ახალი ცხოვრების შესახვედრად.

მშვიდობით, მასწავლებელო, მშვიდობით ჩემო პირველო სკოლავ, მშვიდობით ბავშვობავ, მშვიდობით ჩემო პირველო, გაუმხელელო სიყვარულო!..

დიახ, მე ვსწავლობდი დიდ ქალაქში, რომელზედაც ოცნებობდა დიუიშენი, ნათელფანჯრებიან დიდ სკოლაში, რომელზეც მოგვითხრობდა იგი. შემდეგ მუშფაკი დავამთავრე და მოსკოვში გამგზავნეს — ინსტიტუტში.

რამდენი სიძნელის დაძლევა მომიხდა სწავლის წლებში, რამდენჯერ ჩავვარდნილვარ სასოწარკვეთილებაში: ვერაფრით ვერ ვისწავლი-თქო, მაგრამ ყოველთვის, ჩემთვის მძიმე წუთებში თვალწინ მედგა ჩემი მასწავლებელი, იგი მამხნევებდა და მეხმარებოდა სიძნელეთა გადალახვაში. ის რაც სხვისთვის ადვილი იყო, ჩემგან უდიდეს შრომას მოითხოვდა, მე ხომ ანბანიდან დავიწყე.

მუშფაკში ვსწავლობდი, როცა მასწავლებელს წერილი მივწერე, სიყვარულში გამოვუტყდი, პასუხი არ მიმიღია. ამის შემდეგ ჩვენი მიმოწერა შეწყდა. მე ვფიქრობ მან უარი თქვა ჩემს სიყვარულზე იმიტომ, რომ არ უნდოდა ხელი შეეშალა ჩემთვის. შეიძლება მართალიც იყო... ან იქნებ, სხვა რამეც იყო მიზეზი? რამდენი განვიცადე, რამდენი ვიფიქრე მაშინ...

პირველი დისერტაცია მოსკოვში დავიცავი. ეს ჩემთვის დიდი, სერიოზული გამარჯვება იყო. ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ ვყოფილვარ აულში. ამასობაში ომიც დაიწყო. გვიანი შემოდგომით, მოსკოვიდან ფრუნზეში ევაკუირებული, სწორედ იმ სადგურში ჩამოვედი მატარებლიდან, საიდანაც

მასწავლებელმა გამაცილა. ბედმა გამიღიმა, საბარგული შემხვდა, იგი საბჭოთა მეურნეობისაკენ მიეშურებოდა ჩვენი აულის გავლით.

ჩემო მშობლიურო მხარეე, ჩვენთვის ორივესათვის მძიმე წუთებში მოგინახულე შენ. მიხაროდა, როცა ვხედავდი შენს განახლებულ მიწას, ახალ აულებს, გადახნულ ველ-მინდვრებს; ახალ გზებსა და ხიდებს. მაგრამ ომი მიშხამავდა ამ შეხვედრით გამოწვეულ სიხარულს.

ვუახლოვდებოდი აულს, ვღელავდი. შორიდან ვაკვირდებოდი ახალ უცნობ ქუჩებს, სახლებსა და ბაღებს, შემდეგ გავიხედე ბორცვისაკენ, სადაც ჩვენი სკოლა იდგა და გული გამიჩერდა — ბორცვზე ერთმანეთის გვერდით ორი დიდი ალვის ხე იდგა. მათ ქარი არხევდა. და პირველად ადამიანს, რომელსაც მუდამ მასწავლებელს ვუწოდებდი, მივმართე უბრალოდ სახელით.

— დიუიშენ! — წავიჩურჩულე მე. — მადლობა შენ ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთე! არ დაგვიწყნივარ, მაშასადამე, ფიქრობდი... სწორედ ასეთს გიცნობდი მუდამ...

მებარგულმა ჩემს თვალზე ცრემლი დაინახა და შეშფოთდა:

— რა დაგემართათ?

— არაფერი, იცნობ ვინმეს ამ კოლმეურნეობაში?

— რა სათქმელია. ჩვენიანები არიან.

— დიუიშენს იცნობ, მასწავლებლად რომ იყო?

— დიუიშენს? ის ხომ არმიაში წავიდა, მე თვითონ ჩავიყვანე იგი ამ საბარგულით სამხედრო კომისარიატში.

აულის შესასვლელთან გავაჩერებინე ყმაწვილს საბარგული, ჩამოვხტი და დავფიქრდი. ღირდა კია ასეთ შფოთიან დროს აულში მისვლა, ნაცნობების ძებნა, თავის მოგონება? დიუიშენი არმიაში იყო, გარდა ამისა, მე ფიცი მქონდა დადებული: არასოდეს დამედგა ფეხი იქ, სადაც ჩემი ბიძა და ბიცოლა ცხოვრობდნენ. ადამიანს შეიძლება ბევრი რამ აპატიო, მაგრამ ასეთი ბოროტება — არავის.

აღარც კი მინდოდა, რომ აულში ჩემი ჩასვლის ამბავი გაეგოთ. გზიდან გადავუხვიე და ალვის ხეებისაკენ გავწიე.

რამდენი დრო გასულა, ჩემო ალვის ხეებო, მას შემდეგ შე ხომ თქვენ სულ ნორჩები მახსოვხართ. ყველაფერი, რაზეც ოცნებობდა თქვენი დამრგველი და გამომზრდელი, ახდა. რატომ შრიალებთ ასე სევდიანად, რაზე დარდობთ? იქნებ ის გაწუხებთ, ზამთარი ახლოვდება და ფოთლები დაგცვივათ? ან იქნება ხალხის წუხილი და ტკივილი გუგუნებს თქვენს ყლორტებში?

დიახ, მოვა ზამთარი, სიცივე, ქარბუქი იმძვინვარებს, მაგრამ დადგება გაზაფხულიც...

დიდხანს ვიდექი და ყურს ვუგდებდი შემოდგომის ფოთლების შრიალს. ვიღაცას გაესუფთავებინა არხი. კამკამა წყალში ყვითელი ფოთლები ტივტივებდნენ.

ბორცვიდან მოჩანდა ახალი სკოლის შეღებილი სახურავი, ჩვენი კი უკვე აღარსად ჩანდა.

შემდეგ გზისკენ დავეშვი და სადგურისაკენ გავსწიე.

იყო ომი და მოვიდა გამარჯვება. რამდენ მწუხარებას გაუძლო ხალხმა. ბავშვები მამების საველე ჩანთებით დარბოდნენ სკოლაში, მშრომელის მარჯვენა ისევ შეეჭიდა მიწას, ქვრივებს ცრემლი აღარ დარჩათ თვალში და თავის ბედს შეეგუენ. იყვნენ ისეთებიც, კიდევ რომ უცდიდნენ ახლობლებს, ყველა ხომ უცებ არ დაბრუნებულა სახლში.

არ ვიცოდი რა დაემართა დიუიშენს. თანასოფლელები, რომელთაც ვხვდებოდი, ამბობდნენ, რომ იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა, სოფლის საბჭოში მიიღესო ასეთი ცნობა.

— შეიძლება დაიღუპა კიდეც, უმატებდნენ ისინი, დრო გადის და მისი ასავალ-დასავალი კი არ ჩანს.

„გამოდის, რომ აღარ დაბრუნდება ჩემი მასწავლებელი,“— ვფიქრობდი ხანდახან. — ასე ვერ მოვახერხე მენახა იგი იმ დღიდან, რაც სადგურში დავშორდით ერთმანეთს.

ვფიქრობდი ხანდახან. როცა წარსულს ვიგონებდი და არც კი ვიცოდი რამდენ მწუხარებას იტევდა ჩემი გული.

ორმოცდაექვს წელში ტომსკის უნივერსიტეტში მივდიოდი სამეცნიერო მივლინებაში. ციმბირისაკენ პირველად მი-

წევდა მგზავრობა. მუქ კედლად აღმართულიყო ფანჯრებს იქით ულრანი ტყე. ალაგ-ალაგ გაიელვებდნენ შავი სახურავები და მილებიდან ამოსული თეთრი კვამლი. პირველ თოვლს დაეფარა მინდვრები, ყვავები დასჩხაოდნენ გადათეთრებულ მიდამოს. მოქუფრულიყო ცა.

კარგი თანამგზავრები შემხვდნენ. ყოფილი ფრონტელი, რომელსაც ყავარჯნები ეჭირა ხელში, განუწყვეტლივ ხუმრობდა, ყვებოდა ანეგდოტებს ფრონტული ცხოვრებიდან. მაოცებდა ამ კაცის უწყინარი გონებამახვილობა. იგი ვაგონში ყველას მოეწონა. ნოვოსიბირსკს იქით, პატარა გადასასვლელზე, ჩვენი მატარებელი წუთით შეყოვნდა. ვიდექი ფანჯარასთან და ვიცინოდი ჩემი მეზობლის მორიგ ოხუნჯობაზე.

მატარებელი დაიძრა, სიჩქარეს უმატა, მის წინ გაიქროლა ეულად მდგარმა პატარა სადგურის შენობამ. ისართან, წამით მოეწყდი ფანჯარას და ისევ მივეკარი: დიუიშენი დავინახე! იგი იდგა ჯიხურთან ალმით ხელში. არ ვიცი რა დამემართა.

გააჩერეთ! — ვიყვირე და გასასვლელისაკენ გავიქეცი, თვითონაც არ ვიცოდი რას ვაკეთებდი, მთელი ძალით გადმოვწიე დასამუხრუჭებელი სახელური.

ვაგონები ერთმანეთს მიეჯახნენ და მკვეთრად დამუხრუჭდნენ. ხმაურით გადმოცვივდა ბარგი თაროებიდან, აყვირდნენ ბავშვები და ქალები. ვიღაცამ არაადამიანურად დაიკივლა:

— კაცი ჩავარდა მატარებლის ქვეშ!

მე უკვე საფეხურებზე ვიყავი, ჩამოვხტი, არაფერს ვხედავდი და ვერაფერს ვამჩნევდი, არაფერი გამეგებოდა, მეისრის ჯიხურისკენ, დიუიშენისკენ. უკან კონდუქტორების სასტვენის ხმა მომყვებოდა. ვაგონიდან ჩამომხტარი ხალხი უკან მომდევდა

სულისმოუთქმელად ჩავურბინე შემადგენლობას, დიუიშენი შესახვედრად მორბოდა.

— დიუიშენ, მასწავლებელო! — დავიყვირე და მას მივვარდი.

მეისრე შეჩერდა, გაოცებით შემომხედა. ის იყო ნამდვილად. მისი სახე, თვალები, მხოლოდ ულვაშები, იგი ხომ ულვაშებს არ ატარებდა, იყო სხვა და ოდნავ მობერებულიყო.

— რა დაგემართათ, დაიკო, რა იყო? — შემეკითხა იგი ყაზახურ ენაზე. — თქვენ ნამდვილად შეცდით, მე მეისრე ჯანგაზინი ვარ, ბეინეუ მქვია.

— ბეინეუ?

არ ვიცი როგორ შევიკავე თავი, რომ არ ავყვირდი დარდის, სირცხვილისა და ტკივილისაგან. რა ჩავიდინე? სახეზე ხელები ავიფარე და თავი დავხარე. რატომ არ გამისკდა მიწა? ბოდიში უნდა მომეხადა უცნობ მეისრესთან, პატიება მეთხოვნა ხალხისთვის, მე კი ვდუმდი ქვასავით გაშეშებული. არც ხალხი იღებდა ხმას. მე ველოდი, რომ აყვირდებიან, გამლანძღავენ. ყველა დუმდა. ამ საშინელ სიჩუმეში გაისმა ვიღაც ქალის ქვითინი.

— საცოდავს, ძმა ან ქმარი ეგონა, შეეშალა.

ხალხი ამოძრავდა.

— რამდენი რამ ხდება, — წაიბუბუნა ვიღაცამ.

— ყველაფერი შეიძლება, რამდენი გადავიტანეთ ამ ომში.

მეისრემ სახიდან ხელები მომაშორებინა და მითხრა:

— წამოდით, ვაგონამდე მიგაცილებთ, სიცივეა.

ხელი მომკიდა, მეორე მხრიდან ვიღაც ოფიცერი ამოგიდგა:

— წამობრძანდით, ქალბატონო, გვესმის თქვენი გულისტკივილი. — თქვა მან.

გზა დამითმეს, მე მივდიოდი, მივდიოდი ისე, თითქოს ყველაზე ძვირფას ადამიანს ვასაფლავებდი. შემხვედრი მგზავრებიც უჩუმრად უერთდებოდნენ ჩვენს ჯგუფს. ვიღაცამ მხრებზე თბილი ღუნღლიანი თავსაფარი მომახურა. ყავარჯნებზე შემდგარი ჩემი მეზობელიც გვერდით მომყვებოდა. მხიარული და კეთილი ადამიანი რატომღაც ქუდმოხდილი მოდიოდა და ვგონებ ტიროდა. მეც ვტიროდი. და ამ მსვლელობაში ტელეგრაფის მავთულებზე აგუგუნებული ქარის ხმაურში მე სამგლოვიარო მარშის ხმა მესმოდა და ჩუმად ვიმეორებდი: „ველარასოდეს ველარ ვნახავ“.

ვაგონთან მატარებლის უფროსმა შეგვაჩერა. იგი რაღაცას ყვიროდა, თითით მემუქრებოდა, ლაპარაკობდა სასამართლოზე, ჯარიმაზე. ხმას არ ვიღებდი. ჩემთვის ყველაფერი სულერ-

თი იყო. იგი რაღაც ქაღალდს მაჩეჩებდა, მოითხოვდა ხელი მომეწერა, მაგრამ ძალა არ შემწევდა გამომერთმია ფანქარი.

მაშინ ჩემმა მეზობელმა ქაღალდი ხელიდან გამოგლიჯა, ყავარჯნებზე დაყრდნობილმა წაიწია მისკენ და აყვირდა:

— თავი დაანებე! მე მოვაწერ, მე დავამუხრუჭე მატარებელი და პასუხსაც მე ვაგებ!..

ციმბირის მიწაზე. ძველთაძველ რუსულ მიწაზე მიიჩქარო-და დაგვიანებული მატარებელი. მწუხარედ ჟღერდა ჩემი მეზობლის გიტარა. იგი ქვრივი ქალის მწუხარე სიმღერას მაგონებდა. გულით რომ დაჰქონდა ომით გამოწვეული დიდი ადამიანური სევდა.

მიდიოდა წლები. მიდიოდა წარსული და გვიხმობდა მომავალი, დიდი თუ პატარა საქმეები. გვიან გავთხოვდი. კარგ ადამიანს შევხვდი. გვყავს ბავშვები, გვაქვს კარგი ოჯახი, მეგობრულად ვცხოვრობთ. ახლა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვარ. ხშირად მიწევს მგზავრობა. ბევრი ქვეყანა მოვიარე, აულში კი მეტად არ ვყოფილვარ. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ თავს არ ვიმართლებ. თანასოფლელებთან რომ კავშირი გავწყვიტე, ძალზე ცუდია. ასე მოეწყო ჩემი ცხოვრება. მე წარსული არ დამვიწყებია, მისი დავიწყება არც შეიძლება, მაგრამ თითქოს დავშორდი მას.

მთებში არის ხოლმე ასეთი წყაროები: გაიყვანენ ახალ გზას და მისკენ მიმავალ ბილიკს ივიწყებენ. სულ უფრო იშვიათად უხვევენ მისკენ მგზავრები წყურვილის მოსაკლავად, იგი თანდათანობით იფარება პიტნითა და მაყვლით. იშვიათად თუ გაიხსენებს ადამიანი და შარაგზიდან გადაუხვევს, რომ მცხუნვარე დღეს წყურვილი დაიოკოს. მოვა ადამიანი, მოსძებნის ამ მიყრუებულ ადგილს, გადასწევს ბუჩქებს და განცვიფრდება: დიდი ხნის აუმღვრეველი, კამკამა წყალი გაოცებს თავისი სიფაქიზითა და სიღრმით. იგი ამ წყაროში დაინახავს თავისთავსაც, მზესაც, ზეცასაც მაღალ მთებსაც... და მაშინ გაიფიქრებს: განა ცოდვა არ არის, რომ სხვასაც არ ვუამბო ამ წყაროზე? გაიფიქრებს და შემდეგ დაავიწყდება.

ასეთი რამ ცხოვრებაში ხდება... ამიტომაც არის იგი ცხოვრება.

მე ასეთი წყაროები სულ ახლახან გავიხსენე, აულში ყოფნის დროს.

თქვენ გაგიკვირდათ ჩემი მოულოდნელი წამოსვლა. განა არ შეიძლებოდა ყველაფერი ეს, რაც თქვენ გიამბეთ, იქვე მეთქვა ხალხისთვის, ადგილზე? არა. ბაშინ მე აღელვებული ვიყავი, მრცხვენოდა, მრცხვენოდა ჩემი თავისა და ამიტომაც გადავწყვიტე წამოვსულიყავი. მე მივხვდი, რომ არ შემეძლო შევხვედროდი დიუიშენს, პირდაპირ შემეხედა მისთვის. უნდა დავმშვიდებულიყავი, გონება მომეკრიბა, მომეფიქრებინა ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა არა მარტო ჩემი თანამემამულეებისათვის, არამედ ძალიან ბევრისათვის, ყველასათვის.

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. დამნაშავე ვიყავი იმიტომ, რომ ჩემთვის კი არ უნდა ეცათ ასეთი პატივი, მე კი არ უნდა ვმჯდარიყავი საპატიო ადგილზე სკოლის გახსნისას, არა, ამის უფლება ყველაზე უპირველესად ჰქონდა ჩვენს პირველ მასწავლებელს, ჩვენი აულის პირველ კომუნისტს — მოხუც დიუიშენს. მოხდა პირიქით. ჩვენ საზეიმო მაგიდას ვუსხედით და ეს ოქროს გულის ადამიანი კი ჩქარობდა ფოსტა დაერიგებინა, უნდოდა სკოლის გახსნისთვის მოესწრო და მოეტანა მის კურსდამთავრებულთა მოსალოცი დეპეშები.

ეს ხომ გამონაკლისი არ არის. არაერთხელ შემინიშნავს. ამიტომ ვეკითხები ჩემს თავს, როდის დავკარგეთ უბრალო ადამიანისადმი პატივისცემის გრძნობა, ხომ ყველას გვახსოვს როგორ პატივს სცემდა მათ ლენინი?.. მადლობა ღმერთს, რომ ამგვარ ამბებზე ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ ყოველგვარი ფარისევლობისა და მლიქვნელობის გარეშე. ეს ძალიან კარგია.

ახალგაზრდობამ არ იცის როგორი მასწავლებელი იყო დიუიშენი თავის დროზე. უფროსი თაობიდან კი ბევრი უკვე აღარ არის. დიუიშენის მრავალი მოსწავლე დაიღუპა ფრონტზე, ისინი ნამდვილი საბჭოთა მეომრები იყვნენ. მე ვალდებული ვარ მოვუთხრო ახალგაზრდებს ჩემს მასწავლებელ დიუიშენზე. ყოველი ადამიანი ასე მოიქცეოდა. მე აულში არ დავ-

დიოდი და აღარაფერი ვიცოდი მასზე და იგი ჩემთვის თანდათან გადაიქცა რაღაც ძვირფას რელიქვიად, რომელსაც მეზეუმის სიჩუმეში უპოვნია ბინა.

მე კიდევ მივალ ჩემს მასწავლებელთან, ანგარიშს ჩავაბარებ, პატიებას ვთხოვ.

-მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მე მინდა ჩავიდე აულში და წინადადება მივცე ჩემს თანამემამულეებს ახალ სკოლა-ინტერნატს „დიუიშენის სკოლა" უწოდონ, უწოდონ სახელი ამ უბრალო კოლმეურნისა, ამჟამად ფოსტალიონისა. იმედი მაქვს, თქვენც იმ მიწის შვილი, მხარს დამიჭერთ. მე გთხოვთ ამას.

მოსკოვში ახლა ღამის ორი საათია. სასტუმროს აივანზე ვდგავარ. გავსცქერ სინათლის ზღვით გაჩირაღდნებულ მოსკოვს და ვფიქრობ იმაზე, როგორ ჩავალ აულში, შევხვდები მასწავლებელს და ვეამბორები მის ჭაღარით მოსილ წვერს.

ფართოდ ვაღებ ფანჯარას. ოთახი გრილი ჰაერით ივსება. მოციმციმე აისის ბინდბუნდში ვაკვირდები დაწყებული სურათის ეტიუდებსა და ჩანახატებს. ბევრი დამიგროვდა, უკვე მერამდენეჯერ დავიწყე ყველაფერი თავიდან, მაგრამ სურათზე მსჯელობა ადრეა. მთავარი ჯერ კიდევ არ მიპოვნია. დავდივარ და ვფიქრობ, ირგვლივ სიწყნარეა და მე ისევ ვფიქრობ... ვფიქრობ... ასეა ყოველთვის. მე ისევ და ისევ ვრწმუნდები, რომ ჩემი სურათი მხოლოდ და მხოლოდ ჩანაფიქრია.

და მაინც მინდა გესაუბროთ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ტილოზე. რჩევა გკითხოთ. თქვენ, რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ სურათი ჩვენი აულის პირველ მასწავლებელს, პირველ კომუნისტს მოხუც დიუიშენს მიეძღვნება.

მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა, საღებავებით ავსახო ამ ადამიანის რთული, ბრძოლითა და გზნებით აღსავსე ადამიანური ცხოვრება. როგორ მოვახერხო რომ წვეთიც არ დავღვარო პირამდე სავსე ფიალიდან, როგორ მოვიტანო იგი თქვენამდე, ჩემო თანამედროვენო? როგორ მივაღწიო, ჩემი ჩანაფიქრი ისე გადმოგცეთ თქვენ, რომ იგი ჩვენ საერთო ნახელავად იქცეს?

არ შემიძლია არ დავწერო ეს სურათი, მაგრამ რაოდენი

ფიქრი და მღელვარება ისადგურებს ჩემს გულში. ხანდახან მგონია არაფერი გამომივა, და მაშინ ვფიქრობ: რატომ მარგუნა ბედმა წილად მხატვარი გავმხდარიყავი? რატომ ვეწამები ასე? ხან კი ისეთი ძლიერი მგონია თავი, რომ ვფიქრობ მთებს დავძრავ ადგილიდან. მაშინ ჩემს თავს ვეუბნები: დააკვირდი, შეისწავლე, შეარჩიე. დახატე დიუიშენისა და ალტინაის ალვის ხეები, ხეები, რომელთაც ამდენი უბედნიერესი წუთი გარგუნეს ბავშვობაში, თუმცა მათი ისტორია არ იცოდი. დახატე მზემოკიდებული, ფეხშიშველა ბიჭი, რომელიც სულ მაღლა-მაღლა აცოცებული და ალვის ხის ტოტზე შემომჯდარი, მოხიბლული თვალებით გასცქერის მისთვის უცნობ სივრცეს.

ანდა დახატე სურათი და „პირველი მასწავლებელი" დაარქვი. უჩვენე როგორ გადაჰყავს დიუიშენს მდინარეზე ბავშვები და იქვე ცხენზე შემჯდარი მისკენ დამცინავი სახით მომზირალი მელის ბეწვის ქუდიანი ბოროტი, უგუნური ადამიანები.

თუ არადა, ჩვენ როგორ გააცილა ქალაქში მასწავლებელმა ალტინაი. გახსოვს, უკანასკნელად რომ დაუძახა?! დახატე ისე, რომ ის ძახილი, რომელიც ახლაც ესმის ალტინაის, ყოველი ადამიანის გულში ახმაურდეს.

მე ამას ჩემს თავს ვეუბნები. ბევრ რამეს ვეუბნები ჩემს თავს და ყველაფერი არ გამოდის. ჯერ კიდევ არ ვიცი როგორი იქნება სურათი, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ იგი დიდი ძიების ნაყოფი უნდა იყოს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჩემო წითელთავსაფრიანო ჩინარო 5

ჯამილა 125

აქლემის თვალი 185

პირველი მასწავლებელი 227

Чингиз Айтматов

Повести гор и степей

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси — 1963

რედაქტორი ც. ბუაჩიძე
მხატვარი ზ. ფორჩხიძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ეთ. ობდუშელიშვილი
კორექტორი ო. ცინცაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XII—63 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 14,76.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 12,98 საავტორო თაბახი 12,69

ტირაჟი 10,000 შეკვ. № 591.

ფასი 54 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.